actuary ['æktʃuəri] 1. აქტუარი; სადასღვევეო კომპანიის თანამშრომელი, ვინც ვადადებელია გამოთვალოს სადასღვევეო შესატანები; 2. სასამართლოს რეგისტრატორი, მიღიანი

actus reus ლათ. („აქტუს რეუს“): დანაშაულებრივი ქმედება

actum ლათ. („აქტუმ“): „აქტი“ (საბუთი, დოკუმენტი)

actum est, illicit ლათ. („აქტუმ ესტ ილიცეტ“): „საქმე დამთავრებულია, დავიშალოთ“ (პროცესუალური ფორმულა)

ad (აბრ. იხ. აგრეთვე advertisement) სარეკლამო განცხადება

ad acta ლათ. („ად აკტა“): „საქმეში“; „არქივში“

ad agency [æd eɪdʒənsi] სარეკლამო სააგენტო

Ad Alley [æd 'æli] 1. მდლისონ-ავენიუს (ნიუ-იორკის ცენტრი) ერთ-ერთი სახელწოდება, სადაც განლაგებულია დიდძალი სარეკლამო სააგენტოები; 2. სარეკლამო ბიზნესის სინონიმი

adaptation [ə'dæptɪʃn] 1. ადაპტაცია, შეგუება; შეწყობა; 2. დანერგვა (მაგ., ახალი ტექნიკისა); 3. გაუმჯობესება (მაგ., ნაწარმისა)

ad arbitrum ლათ. („ად არბიტრუმ“): სადისკუსიოდ; განსჯისათვის

a dato ლათ. („ა დატო“): ფიქსირებული თარიღიდან; გაფორმების დღიდან.

add [æd] შეკრება, მიმატება; მიერთება; შეჯამება. **Δ to-10% to the price** ფასზე 10% -ის წამატება; **to - the interest** პროცენტის დარიცხვა

addenda pl. addendum-დან

addendum [ə'dendəm] 1. აღენდუმი; ჩარტერზე გაფორმებულ ხელშეკრულებაზე დამატება (იხ. აგრეთვე charter, arenda); 2. დამატება; დანართი (მაგ., კონტრაქტზე)

addict [ə'dɪkt] ნარკომანი (მაგ., morphia- მორფინისტი); ელიქტი; ალკოჰოლისტი.

addiction [ə'dɪkʃn] 1. მიდრეკილება, ცუდი თვისება; 2. ნარკომანია

addition [ə'dɪʃn] 1. მიმატება, შეკრება, შეჯამება; 2. დამატება; მიერთება; 3. დამატებითი თანხის გაცემა; 4. pl. ძირითადი კაპიტალის ნამატი; ძირითად საშუალებათა ნამატი. **Δ - to age** (სატარიფო განაკვეთების) ნამატი, რომელიც განპირობებულია დაზღვევის ხანგრძლივობის გაზრდით; - **to capacity** საწარმოო სიმძლავრეთა ნამატი

addressing company [ə'dresɪŋ 'kʌmpəni] სამისამართო სიების მიმწოდებელი ფირმა (უშუალოდ ფოსტით რეკლამისათვის)

adequate ['ædɪkwɪt] (ლათ. adaequatus-დან გათანაბრებული) 1. ადეკვატური, ტოლი; იგივეობრივი, სრულიად შესაბამისი; 2. საკმარისი; 3. კომპეტენტური

adequation [ædɪ 'kwɛɪʃn] 1. გათანაბრება; გატოლება; 2. ეკვივალენტი

ad finem ლათ. ბოლოს და ბოლის, ბოლოში

adduce [ə'dju:s] 1. მტკიცებულებების წარდგენა (სასამართლოზე); 2. საქმეზე ფაქტების ან ნიემიტკიცების დართვა

adeem [a'di:m] 1. უფლების გაწვევა; უკან წაღება; 2. იმეკიდრეობის უფლების ნამორთმევა; ღებატის შეცვლა.

ad extra ლათ. („ად ექსტრა“): მიღმაღე

ad finem ლათ. („ად ფინემ“): ბოლოს; დაბოლოს; ბოლოში

adherence [ad'hi(ə)rəns] დაკეა (მაგ., კონტრაქტის პირობებისა), ზედმიწევნით სიზუსტით შესრულება (მაგ., წესებისა, კანონისა)

adhesion [a'hi:ziən] 1. შეთანხმება, თანხმობა; 2. (საერთაშორისო ხელშეკრულებით) შესვლა.

adhibere vim ლათ. („ადჰიბერე ვიმ“): ძადის გამოყენება

ad hoc [ad' hək] ლათ. („ად ჰოკ“): „სპეციალური“ (მაგ., ჰიპოთეზა); სპეციალურად გამზადებული; ამ მიზნით (არსებული)

ad idem ლათ. („ად იდემ“): იმავე შესულებით.

Ad infinitum ლათ. („ად ინფინიტუმ“): „უსასრულობაღე“

ad interim ლათ. („ად ინტერიმ“): ამ დროს; ამასობაში; იმაედროულად.

ad invidiam ლათ. („ად ინვიდიამ“): უკუით, სიძულელით შექმნილი (წარმოდგენა და სხე).

adjacencies [a'dʒeɪsənsɪz] მუზობლად განლაგებული სხვადასხვა კატეგორიის საქონელი (საკალო ეკრობაში)

adjoin [a'dʒoɪn] 1. საბუთის დართვა; 2. საკუთრების მოსაზღვრეობა (მაგ., მიწის).

adjudge [a'dʒʌdʒ] 1. მისჯა (სახჯელის); 2. მსჯაერის დაღება; 3. (სასამართლოს გადაწყვეტილების) გამოცხადება; 4. აღიარება, გადაწყვეტა; 5. განხილვა (დაეისა); გადატრა (საქმის)

adjunct [ˈædʒʌŋkt] მთავარი საგნის თანამდევი ნაწილი

adjure [a'dʒʌ] 1. ფიცის დაღებანება; 2. ფიცის დაღება

adjourn [a'dʒʌ:n] 1. სასამართლო პროცესის გადაღება; 2. ეადის გადაწევა; 3. სხვა აღგილას გადასვლა

adjuster [a'dʒʌstɪ] 1. მარეგულირებელი (პირი); შემგუებელი; 2. ხელშემწეობი; შესაბამისობაში მომეყანა; 3. ოფიციალური ექსპერტი

adjustment [a'dʒʌstmənt] 1. (ეკონომიკური) შემწეობა; შემგუება; შემწეობითი რეაქცია (მაგ., ცვლადი ეკონომიკური პირობებისადმი); 2. შესაბამისობაში მოყენა; აწეობა; 3. მომართვა, რეგულირება; კორექტირება; გასწორება (მაგ., გადასახდელის ბალანსისა); 4. (საწარმოო კონტლიქტების) რეგულირება; 5. (მათემატიკურ-ეკონომიკური მეთოდით) გამოთვლა. 6. თანხის წარდგენა. **Δ - between demand and supply** მოთხოვნილებასა და მომარაგებას შორის წონასწორობის დამყარება; **-for discrepancies** სტატისტიკური შესწორება; **-in labor skills** პროფესიული (მუშა) სტრუქტურის რეგულირება; 2. მოთხოვნილების მიხედვით მუშათა კვალიფიცირებულ შემადგენლობის ცვლილება

ad item ლათ. („ად იტემა“): ის რაც სასამართლო საქმის ეხება.

As litteram ლათ. („ად ლიტერამ“): „სიტყვა-სიტყვით“

ad libitum ლათ. („ად ლიბიტუმ“): ამორჩევით; მოთხოვნილების მიხედვით; სურვილით; ნებელობით

ad litteram ლათ. („ად ლიტერამ“) სიტყვა-სიტყვით

ad maker ['meɪkɪk] სარეკლამო განცხადებ(ბე)ბის ავტორი

ad makeup ['meɪkʌp] სარეკლამო განცხადებათა შედგენა

ad manum ლათ. („ად მანუმ“): „ხელზე“ (არსებული); ხელქვეშ; ხელში

admass ['ædmɑːs] (ან ad-mass) მას-შედიის სისტემატური და მეთოდური გამოყენება (კომერციული და სამრეწველო ფირმების მიერ საკუთარი მიზნებისათვის. იხ. სინ. advertising media)

admin. (აბრ.) იხ. administration

adminicle ['ædmɪnɪkl] დამატებითი სამხილი, დამატებითი მტკიცებულება.

administered vertical marketing system [əd,mɪnɪstəd 'vɜːtɪkl 'mɑːkɪtɪŋ 'sɪstəm] ვერტიკალური მარკეტინგის სისტემა (განაწილების სისტემა, რომელშიც განაწილების არხის კოორდინაცია მიიღწევა ფირმა-ლიდერის ძალისხმევით და არა ამ სისტემის მფლობელის მოწადინებისა)

administration [əd'mɪnɪstreɪʃn] 1. საქმის მართვა (management-ისგან განსხვავებით ვიწრო მნიშვნელობის სფეროში); სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა; 2. მართვა (მაგ., სახელმწიფო დონეზე); 3. ამერ. მთავრობა (რომელსაც პრეზიდენტი ხელმძღვანელობს); 4. ადმინისტრაცია; მართვის ორგანო, უწყება; 5. გამოყენება (იურიდიული ნორმებისა), ფუნქციები; 6. აღსრულება მართლმსაჯულებისა

admission [əd'mɪʃn] 1. დაშვება; 2. აღიარება; 3. დემოგ. შობადობის რეგულირების მეთოდების გამოყენება. **Δ - to quotation** (ფასიანი ქალაქების) ბირჟაზე სარეგისტრაციო დაშვება

admit [əd'mɪt] 1. (ფაქტის, დანაშაულის და სხვათა) აღიარება; 2. სამართლიანად ჩათვლა; 3. ნივთმტკიცების გამოყენების (ან ნიყნების) უფლების ნებართვის მიცემა (სასამართლოზე); 4. დათანხმება; თანხმობის მიცემა.

ad modum ლათ. („ად დომუმ“): მსგავსად; იმდევარად; იმნაირად; ისევე, როგორც

admonish [ædmə'niʃ] 1. შენიშვნის მიცემა, გაფრთხილება; 2. საყვედურის გამოტანა.

ad normam ლათ. („ად ნორმამ“): წესის მიხედვით; წესისამებრ

ad notam ლათ. („ად ნოტამ“): „ცნობისათვის“; „შენიშვნისათვის“; ცნობის სახით; ჩასანიშნად; დასამახსოვრებლად

ad notanda ლათ. („ად ნოტანდა“): შენიშვნისათვის; ცნობისათვის; ჩასანიშნად; დასამახსოვრებლად

ad notata ლათ. („ად ტოტატა“): აღნიშნულისათვის; მითითებულის მიხედვით

ad oculus ლათ. („ად ოკულუს“): „ცხადად“; „თვალნათლივ“

adolescent [ˌædɔːˈlesənt] 1. ახალგაზრდა; 2. ახალგაზრდული

adopt [əˈdɒpt] 1. კანონის მიღება; ათვისება; 2. გადაღება (მაგ., გამოკვლევებისა); გადმოღება (მეთოდისა და მისთ.); 3. სესხება (მაგ., სიტყვისა)

adoptee [əˈdɒptiː] ნაშვილები

adult [əˈdʌlt] სრულწლოვანი; მოწიფეული

adulter [əˈdʌltə] მრუშობის მონაწილე, გარყვნილობის მონაწილე

adulterate [əˈdʌltəreɪt] გაყალბება; ფალსიფიცირება; შერევა (მაგ., ცული ხარისხის ნივთიერების დამატების შესახებ). **Δ to ~ coinage** ყალბი ფულ(ებ)ის კეთება

ad usum ლათ. („ად უსუმ“): „პირადი სარგებლობისათვის“

ad valorem ლათ. („ად ვალორემ“): გამოცხადებული ფასით; ფასის შესაბამისობით (მაგ., გადახდისას), აღ ვალორემ

advance [ədˈvɑːns] 1. ზრდა, მატება (მაგ., ფასებისა); 2. სესხი; 3. სესხის გაცემა; 4. პროგრესი; გაუმჯობესება; სრულყოფა; მოდერნიზება; 5. ავანსი; 6. ავანსად გადახდა; 7. წინადადების წაშოყენება. **Δ - free of interest** უპროცენტო სესხი; **in-** წინასწარ, ვადაზე აღრე (მაგ., ხელფასის გაცემა)

advance advertisement [ədˈvɑːns ædvɑːˈtaɪsmənt] ანონსი; წინასწარი სარეკლამო განცხადება

advantage [ədˈvɑːntɪdʒ] 1. სარგებელი; ხიერი; 2. უპირატესობა; 3. სარგებლობა; 4. უპირატესობის მიცემა.

adventure [ədˈventʃə] საუბ. სარისკო კომერციული საქმიანობა, სარისკო ბიზნესი

adversary [ˈædvəsəri] მეორე მხარე (სასამართლო პროცესზე); მოწინააღმდეგე

adversary advertising [ˈædvəsəri ædvɑːˈtaɪzɪŋ] უეუქმედების რეკლამა; ანტი-რეკლამა

adverse claim [ˈædvɜːs ˈkleɪm] 1. მესამე პირის განცხადება საკუთრებაზე, რომლის მიმართ დაპატიმრების ან საქმის გამოკვლების სანქციაა გაცემული; 2. პატენტის მოთხოვნამდე ფიცის მიცემა საკუთრების ფლობაზე.

advert [ˈædvɜːt] მითითება; (საქმესთან) შეხება

advertise [ˈædvɜːtaɪz] საქონლის რეკლამირება; განცხადების გამოქვეყნება

advertised price [ˈædvɜːtaɪz praɪs] რეკლამაში გაცხადებული საქონლის ფასი

advertisement [ədˈvɜːtɪsmənt] სარეკლამო განცხადება, რეკლამა (იხ. ad); **Δ**

cooperative ~ ერთობლივი სავაჭრო-სამრეწველო რეკლამა; **front page** - (გაზეთის) პირველ გვერდზე მოთავსებული (გამოქვეყნებული) რეკლამა; **sample**- რეკლამა ნიმუშების ჩვენებით; **want**- ყიდვის (გაყიდვის, დაჭირავენის და მისთ.) სურვილის განცხადება

advertisement file [ad'vɜ:təismənt faɪl] სარეკლამო ნიმუშების ფაილი.

advertiser ['ædvətəɪzə] რეკლამების შემქმნელი; მარეკლამირებელი; რეკლამათშემქმნელი

advertising ['ædvɜ:təɪsɪŋ] 1. რეკლამა; რეკლამირება (საქონლისა, მომსახურებისა, იდეისა, პატენტისა და ა.შ.); 2. სარეკლამო საქმიანობა; განცხადებათა პუბლიცისა (იხ. აგრეთვე **promotion**). **Δ** - **account** რეკლამის მიმკეცი; სარეკლამო სააგენტოს კლიენტი; - **agency** სარეკლამო სააგენტო; - **allowance** სარეკლამო ფასდაკლება (რეკლამირების ჩასატარებელი ხარჯების დასაფარავად); - **appeal** სარეკლამო კონცეფცია; - **audience** აუდიტორია, რომლისთვისაც გათვლილია [მოგზუღლია] რეკლამა; - **awareness** სარეკლამო საქმიანობაში გათვითცნობიერებულობა; - **claim** სარეკლამო (გამოცხადების) დასტური, დამტკიცება; - **code** რეკლამის კოდესი; - **copy** სარეკლამო განცხადების ტექსტი (ნაბეჭდი სახით. იხ. აგრეთვე **copy**); - **decision** სარეკლამო გადაწყვეტილების მიღება; - **department** რეკლამის განყოფილება (რეკლამის შემქმნელი ფირმაში, სარეკლამო სამუშაოების გამფორმებელი კანტორაში); - **dummy** სარეკლამო განცხადების მაკეტი; - **effect** რეკლამის ზეგავლენა [ზემოქმედება], რეკლამის ეფექტი; - **expert** მერეკლამე, რეკლამის სპეციალისტი; - **exposure** სარეკლამო კონტაქტი [თანამშრომლობა]; - **exposure potential** სარეკლამო კონტაქტების პოტენციალი; - **field** რეკლამის სფერო; - **solder** სარეკლამო პროსპექტი (ნაირგვარი, ფერადი და შავ-თეთრი რეკლამის, — შესრულების პროსპექტი); - **image** რეკლამის სახე; რეკლამის ნაირგვარობა. - **industry** სარეკლამო საქმიანობა [მრეწველობა]; - **management** სარეკლამო საქმიანობის მართვა (რეკლამის შემქმნელ ფირმაში); - **media** სარეკლამო საშუალებანი; რეკლამამატარებლები; - **people** რეკლამის სპეციალისტები; - **performance** რეკლამის ქმედება, რეკლამის ზეგავლენა; - **personality** რეკლამის „სახისმეტყველება“

advertising leverage ['ædvɜ:təɪsɪŋ 'levərɪdʒ] რეკლამის ზემოქმედებით საზოგადოებრივ აზრზე დაწოლა

advertising research foundation ['ædvɜ:təɪsɪŋ rɪ'sə:ɪf 'faʊndəɪʃn] სარეკლამო კვლევითი სამუშაოების ფონდი (სარეკლამო სააგენტოებისა და ა.შ.-ის უნივერსიტეტების რეკლამათ შემქმნელთა არაკომერციული გაერთიანება, რომლის მიზანია რეკლამის ეფექტიანობის კვლევის ყოველმხრივი ხელ შეწყობა)

advertising spiral ['ædvɜ:təɪsɪŋ spəɪl] ახალი საქონლის რეკლამირების პროცესი; „სარეკლამო სპირალი“

advertising theme ['ædvɜ:təɪsɪŋ θi:m] სარეკლამო განცხადების ძირითადი იდეა, რომელიც გამოსახულია ადვილად დასამახსოვრებელი, სხარტი ფრაზით (საქონლის რეკლამური დედაარსი)

advertology [ædvɜ:'tɒlədʒɪ] რეკლამათმცოდნეობა (მეცნიერება რეკლამების შესახებ)

advice [əd'vaɪs] 1. ავიზო (მაგ., სადებეტო, საკრედიტო, წინასწარი ან შემოსული ავიზოს შესახებ); იხ. აგრეთვე **avis**; შეტყობინება; ცნობება; 3. კონსულტაცია. ჩწევა

advisement [əd'vaɪzmənt] 1. განხილვა; მსჯელობა; 2. სასამართლოს თაობაირი გადაწყვეტილების მიღებამდე.

advisory [əd'vaɪzəri] სათათბირო, საკონსულტაციო.

advocacy ['ædvəkəsi] 1. ადვოკატურა; 2. დაცვა; 3. საადვოკატო საქმიანობა.

advocate ['ædvəkeɪt] 1. ადვოკატი, ექილი, დამცველი; 2. დაცვა (სასამართლოზე).

advocatory ['ædvəkətəri] საადვოკატო.

as votem ლათ. („ად ვოტემ“): „სიტყვაზე“; „სხვათა შორის; „რაც შეეხება“; „(ამის) შესახებ“

affairs [ə'feə] (მთავარი საბიზნესო) საქმე; დაკავებულობა; ბიზნესმენობა; საქმიანობა

affer ლათ. („აფერ“) 1. ზომის, წონის და სხვათა განსაზღვრა; 2. დადასტურება; 3. თანხის (ან ჯარიმის) განსაზღვრა.

affidavit [æ'fɪdeɪvɪt] აფიდევიტი; წერილობითი ჩვენება, რომელიც ადვოკატის თანდასწრებით ხელმოწერილია (ამის შემდეგ მას ძალა აქვს სასამართლოზე).

affile [ə'faɪl] 1. საბუთების რეგისტრირება და შენახვა არსებული წესის მიხედვით; 2. საბუთების ჩაბარება სათანადო დაწესებულებაში.

affiliate [ə'fɪliət] 1. ფირმის ფილიალი; შეიღობის კომპანია; გამოვლენა; წარმომავლობისა და კავშირების დადგენა; 3. შეიღად აყვანა; 4. შიშობის დადგენა; 5. ავტორობის დადგენა.

affined [ə'faɪnd] 1. ქორწინებითი კავშირით ნათესაობაში ყოფნა; 2. ელდებულებით დაკავშირებული

affirmation [ə'fɜ:'meɪʃn] 1. მტკიცება; განცხადება; 2. იურ. დადასტურება

affray [ə'freɪ] ჩხუბი, აყაღ-მაყაღი;

affront [ə'frʌnt] 1. საჯარო შეურაცხყოფა; 2. შეურაცხყოფის მიყენება საჯაროდ.

afloat [ə'fləʊt] გადატ. ვალისაგან თავისუფალი; დავალიანების არამქონე

affreightment [ə'freɪmənt] 1. გემის დაფრაბტვა (იხ. freight 2); 2. ეფრეიტმენტი; დაფრაბტვის ხელშეკრულება

afterhours [ɑ:'ftər'aʊəz] დამატებითი სამუშაო საათები

aftermarket [ɑ:'ftər'mɑ:kɪt] 1. მასობრივი ბაზარი (სამომხმარებლო ყიდვა-გაყიდვის ვარიეტებისა); 2. სათადარიგო ნაწილების გაყიდვა და ტექნიკური მომსახურების უზრუნველყოფა (ავტომანქანებისა და ელექტროხელსაწყოთა გაყიდვის შემდეგ)

agate line [ægət'laɪn] 1. „აქატის“ ხაზი, „აქატის“ ბჭკარი; საანგარიშსწორებო ბჭკარი [სტრიქონი]; 2. 1,4 დიუმის სიმაღლის სვეტი ნაბეჭდ რეკლამაში

age [eɪdʒ] 1. ასაკი; 2. მუშაობის ხანგრძლივობა (კომპიუტერისა, მოწყობილობისა); 3. დემოგ. თაობა; 4. წვრთნა (ელექტრონული ხელსაწყოის); 5. დაძველება; 6. ურა; პერიოდი; 7. სრულწლოვანება.

agency ['cidʒnsi] 1. სააგენტო; ორგანიზაცია (მაგ., შუამავალი ორგანიზაცია); ბიურო; წარმომადგენლობა; 2. მოქმედება, საქმიანობა, საშუალება; 3. რწმუნებულსა და აგენტს შორის ურთიერთობა; 3. უწყება; ორგანო; 4. დაქვავება; 5. შუამდგომლობა; 6. ფუნქცია; ფაქტორი.

agenda [ə'dʒendə] 1. საბიზნესო საკითხების ნუსხა; დღის წესრიგი; 2. ღონისძიებათა დასახელება (მაგ., გამოფენების, კონცერტების, სექტაკლების და მისთ. ჩატარების ადგილისა და დროის მითითებით)

agent ['cidʒnt] 1. აგენტი; სავაჭრო გარიგების შუამავალი (ფირმა, საწარმო, პიროვნება და სხვ.); წარმომადგენელი, რწმუნებული; 3. მოქმედი ძალა, ფაქტორი; 4. pl. სააგენტო

agglomeration [ə.ɡlɒmə'reiʃn] 1. ინტეგრაცია (მაგ., ბაზრებისა); გამსხვილება; 2. (დასახლებული პუნქტების) აგლომერაცია

aggo [ə'ɡoʊ] ამერ.სლენ. ქუჩის ჩხუბი.

aggravate ['ægrəveɪt] (დანაშაულის) დამძიმება; (სახვეჯლის) დამძიმება

aggregation [ˌæɡrɪ'ɡeɪʃn] 1. (გარკვეული ნიშნის მიხედვით ეკონომიკური მაჩვენებლების) გამსხვილება, აგრეგაცია; 2. დასახლებული პუნქტი [ადგილი]; 3. მთლიანი (თანხა) საერთო კაპიტალი.

aggrieve [ə'ɡri:v] 1. სარადის მიყენება; სიანის მიყენება; 2. დაუკმაყოფილებლობა (მეკვალის მხრიდან).

agiler ['ædʒaɪl] ინფორმატორი; ცნობების მომცემი; ჯაშუში; დამსმენი

agnate ['æɡneɪt] ნათესაის მხრიდან ნათესაი.

agreement [ə'ɡri:mənt] 1. შეთანხმება; მოლაპარაკება; 2. სტატ. თანხმობა

aid [eɪd] 1. დახმარება, სუბსიდია; 2. დახმარება, თანაშემწე; 3. pl. დახმარება ძალევი; დახმარებასაშუალებანი; 4. ინსტრუქცია, ახსნა-განმარტებითი საშუალება; 5. შექმნა; თანადგომა; 6. წაქეხება (დანაშაულის ჩასადენად).

AIDA model (აბრ. attention-interest-desire-action model-დან); ყურადღება-ინტერესი-სურვილი-მოქმედება ტიპის რეკლამის ფორმულა; აბრ. ყისმ-ა

AIDMA model (აბრ. attention-interest-desire-motive-action-დან) ყურადღება-ინტერესი-სურვილი-მოტივი-მოქმედება ტიპის რეკლამის ფორმულა. აბრ. ყისმმ-ა

AIDS (აბრ. Acquired Immune Deficiency Syndrome-დან) შიღისი (შეძენილი იმუნოდეფიციტური სინდრომი)

air-able ['eə'eɪbl] ტელეფონით [ტელეფონით] ან რადიოთი სატრანსლაციოდ ვარგისი (მოკლე სარეკლამო განცხადება)

air-bus ['eəbʌs] აერობუსი, ძალიან დიდი აეროლაინერი (მცირე მანძილზე ბევრი მგზავრის ვადასაყვანად)

air cargo ['eəka:ɡɒ] აერ-კარგო (იხ. აგრეთვე air freight; cargo)

aircrew ['eəkru:] აერონავიგატორი; მფრინავი

air freight ['ɑ:freɪt] აერფრაიტი (თვითმფრინავით ან ვერტმფრენით გადატანილი ტვირთი. იხ. აგრეთვე **freight** 1)

airmail ['ɑ:meɪl] ავიათოსტა; ავიაგზავნილი (მაგ., წერილი, ბანდეროლი და სხვ.).
აბრ. A.M.

ajo ლათ. („აიო“): ვადასტურება; ვამოწმებ

a jour (ფრანგ. „დღეში; დღეს“) ბულ. აქური (საბუხლალტრო ატრიცხვის წესი, როდესაც საანგარიშო-სააღრიცხვო სამუშაოები, მაგ., საანგარიშო წიგნში, ბარათებში ჩაწერა სრულდება ოპერაციის შესრულების დღეს)

aka ['ei'keɪ 'eɪ] (აბრ. also known as-დან) ცნობილია როგორც

alderman ['ɑ:ldə:mən] 1 ბრიტ. ქალაქის თვითმმართველობის უფროსის თანამემწე; 2. (ლონდონის რაიონის) მუნიციპალიტეტის წევრი; 3. ამერ. ქალაქის მმართველობის წევრი. 4. უხუცესი; სასამართლო ან აღმინისტრაციული მოხელე; ოლდერმანი; 5. ნაცვალი; მმართველი; 6. გილდიის უფროსი; 7. საგრაფოს საბჭოს წევრი (ინგლისში, უელსში)

aleatory [ælɪ'ɔ:ɪəri] (ლათ.-დან **aleator** აზარტული მოთამაშე) ალეატორული; შემთხვევითი, ალბათობაზე და რისკზე დამოკიდებული (მაგ., გარიგებების შესახებ; ალეატორული გარიგება — სარისკო გარიგება, ალალ ბედზე დამოკიდებული გარიგება, სანაძლეო და სხვ.).

algorithm ['ælgərɪðm] ალგორითმი (გარკვეული მიმდევრობის შედგენილი წესების ერთობლიობა, რომელთა ზუსტ თანმიმდევრობით შესრულებასაც მიეყვება დასმული ამოცანის გადაწყვეტამდე. -ამოხსნამდე); **Δ-language** ალგორითმული ენა (კომპიუტერებისათვის შედგენილი ხელოვნური ენა); **best-route** - ოპტიმალური მარშრუტის შერჩევის ალგორითმი (კომპიუტერის ამოცანაში)

alia ლათ. („ალია“): სხვაგვარად; სხვა გზით; სხვანაირად

alia editio ლათ. („ალია ედიციო“) სხვა გამოცემა

alia juris ლათ. („ალია იურის“) სხვისი სახელით მოქმედი პირი

alias ლათ. („ალიას“): 1. მეტსახელი; 2. სხვაგვარად; 3. უწინდებურად.

alia tempora ლათ. („ალია ტემპორა“): სხვა დროს

alibi (alius ibi) ლათ. („ალიბი“, „ალიუს იბი“) სხვა ადგილას (ინციდენტის ადგილიდან შორს); სხვაგან ყოფნა (ინციდენტისას); სხვაგან; ალიბი

alien ['ɑ:li:n] უცხოელი; სხვა ქვეყნის ქვეშევრდომი

alienate ['eɪli:neɪt] 1. გასხვისება; 2. დაცილება; ცოლ-ქმრული ურთიერთობის გაწყვეტა

alienato mentis ლათ. („ალიენატო მენტის“): „გონების გაუცხოება“; შეურაცხადობა

alienator ['eɪnli:neɪtə] გამსხვისებელი, ცედენტი

alio loco ლათ. („ალიო ლოკო“): სხვა ადგილას; სხვაგან

alios ლათ. („ალიოს“): სხვები

all-call frame [ɑ:l kɔ:l 'freɪm] (კომპიუტერით) გამოძახებისათვის გამოყოფილი

კადრი [ჩარჩო]; სასამსახურო კადრი (დისქლინის ეკრანზე, რომელიც მხოლოდ ინფორმაციის გადაცემისთვისაა გამოყოფილი)

all data traffic [ɑ:l'deɪtʃɑ træfɪk] (კომპიუტერით გადაცემული საბირჟო მონაცემთა საერთო ნაკადიდან) მონაცემთა გამოყოფილი ნაკადი

allegation [ˌælɪˈɡeɪʃən] 1. განცხადება; (ფაქტის) მტკიცება; 2. (დაუსაბუთებელი) ბრალდება

allegiance [ə'lidʒəns] 1. ერთგულება; 2. ვალდებულება; 3. მოქალაქეობის ქონა; ქვეშევრდომობა

alliance [ə'laɪnəns] 1. ალიანსი; კავშირი; გაერთიანება (სახელმწიფოებს შორისი კავშირი); 2. კავშირში შესვლა; 3. ნათესაობა; 4. შეთქმულება

allocation [ˌælə'keɪʃn] 1. განაწილება (მაგ., ხარჯებისა, მუშახელისა და მისთ., აგრეთვე პრიორიტეტებისა მასობრივი მომსახურების სისტემაში და სხვ.); განლაგება; 2. თანხის გაღება, ფულის გაღება; ასიგნება; 3. (დღეიციტური ან ფონდირებული რესურსების გამოყოფა); 4. კლასიფიკაცია

allonge [ə'lonʒ] ფრანგ. ალონჟი (თამასუქზე მიმაგრებული წარწერიანი ფურცელი დამატებითი ინდოსამენტებისათვის. იხ. აგრეთვე **endorsement**)

allophylia დემ. სხვა რასის პიროვნება; უცხოელი

all-queued, traffic გამოყოფილი ტრაფიკი (მასობრივი მომსახურების) რიგისობის სისტემაში

allotment [ə'lə:tment] 1. გამოყოფა, განაწილება; დანიშვნა; 2. მეპოიესათვის აქციების გამოყოფა; 3. წილი; ნაწილი; 4. არენდით გასაცემი მიწის ნაკვეთი; ? - **holder** მეარენდე, არენდატორი; ქვემეარენდრე (იხ. აგრეთვე **arenda**)

allottee [ə'lə:ti:] 1. ფასიანი ქაღალდების მიღება ხელწერილით; 2. მკირე მოიჯარე; 3. მიწის ნაკვეთის მიმღები

all out ['ɑ:laʊt] ამერ. სლენ. სრული; დამთავრებული; ამომწურავი.

allowance [ə'laʊəns] 1. დაწება; გათვალისწინება; 2. (მოთხოვნილებათა) ცნობა, მხედველობაში მიღება; 3. ფასჩამოკლება ან ხელფასის დანამატი; საგადასახადო ფასჩამოკლება; 4. დარიცხვა (მაგ., ზედნდები ხარჯების ჩამისა); 5. გადასახადო დაუბეგრავი დახმარება [შემწობა]; 6. საჯონლის მასებს (ბრუტოსა და ნეტოს) შორის სხვაობა; 7. დასაშვები გადახრა; დაშვება; 8. ფულადი დახმარება; (ხელფასის) დანამატი; 9. ნებართვა; 9. ნებართვის მიცემა; დაშვება; თანხმობა; 9. საპატენტო მოთხოვნების აქცეპტირება; 10. აღიარება მოთხოვნისა.

allowed access [ə'laʊd'æksɛs] ნებადართული შეღწევა (კომპიუტერული სისტემის მუხსიერებაში მოათვსებულ საბირჟო ან სხვა ეკონომიკურ ინფორმაციაში)

ally [ə'laɪ] 1. მოკავშირე; 2. კავშირში შესვლა

all-you-can-afford method (რაიმე) წაპოწყებისათვის [კომპანიისთვის] მაქსიმალურად შესაძლო თანხის შეგროვება

alma mater ლათ. („ალმა მატერ“): დედა უნივერსიტეტი („მასაზრდოებელი დედა“)

almoner ['ɑ:mənə] მოწყალეების გამგეობა; ქველმოქმედი (პირი)

al pari (იტალ.-დან *alla pari*, *al pari* თანაბრად; ტოლად) ალპარი (ელუტის, ფა-სიანი ქალაქების, თამასუქებისა და მისთანათა საბირჟო კურსისა და მათი ნომინალურ ლირებულების ტოლობა)

alpha factor [ælfə'fæktə] ალფა-ფაქტორი, ალფა-კოეფიციენტი (კომპანიის აქციების გაყიდვით, ამასთან ბაზრის პირობების და კონიუნქტურის გათვალისწინებით სამომავლო, ყოველწლიური მოგების პროცენტის დაგეგმვის მახასიათებელი. იხ. აგრეთვე *beta factor*)

also-ran ['ɑ:lsəʊ 'ræn] ინგლ., სლენ. 1. დაბალი ხარისხის საგანი; 2. არარაობა; უიღბლო

alter ego ლათ. („ალტერ ეგო“): „მეორე მე“ (ორეული ჩემში)

alternate media [ɑ:l'tɜ:nɪt mi:diə] არატრადიციული სარეკლამო საშუალებები (მაგ., სარეკლამო განცხადებათა გადაცემა თვითმფრინავში, ლიფტში, სატელეფონო საუბრებს შორის ინტერვალში)

alternation [ˈɑ:l'tɜ:'neɪʃn] 1. შესწორება, ცვლილება (მაგ., საბუღალტრო წიგნებში, კომპიუტერული მეხსიერების ეკონომიკურ ინფორმაციაში და მისთ.); 2. ცვლებადი პირობები (თამასუქის ან ჩეკისა); 3. გადაწყობა. გადაყვება (რომელიც არ ცვლის მწარმოებლურობას ან საწარმოო სიმსლავრეებს.); 4. გადაყვება (მაგ., მზა ტანსაცმლისა მყიდველის მოთხოვნით)

alternative [ɑ:l' tɜ:nətɪv] 1. ვარიანტი; ალტერნატივა; 2. ვარიანტული; ალტერნატიული; ურთიერთგამომრიცხავი; (ორი შესაქლებლობიდან) მეორე; 3. სტატ. ალტერნატიული ჰიპოთეზა

alternative media [ɑ:l' tɜ:nətɪv mi:diə] მასობრივი ინფორმაციის ალტერნატიული საშუალებანი (კონტრკულტურის გამგებლობაში მყოფი რადიოსადგურები და ბეჭდვის საშუალებანი)

Am [eɪ' em] აბრ. I. (America-დან) ამერიკა; 2. (american-დან) ამერიკელი

AM ['eɪ' em] (აბრ. ante meridian-დან) შუაღლის შემდეგ

a majore ad minus ლათ. („ა მაიორე ად მინუს“): უმრავლესობიდან უმცირესობისაკენ (მაგ., საპარლამენტო პრაქტიკაში დეპუტატის სხვა ფრაქციაში გადასვლაზე)

amalgamate [ə' mælgə' meɪt] შერწყმა; გაერთიანება (მაგ. ფირმებისა, საწარმოებისა)

amalgamation [ə,mælgə' meɪʃn] ამალგამაცია, შერწყმა; გაერთიანება (საბანკო კაპიტალის ცენტრალიზაციის ერთ-ერთი მეთოდი ერთიანი სააქციონერო კომპანიის წარმოსაქმნელად კორპორაციების, კომპანიებისა და სხვათა გაერთიანების გზით)

ambages [æm' bɛ: dʒɛ: z] pl. 1. შერწოვლილი გზები; 2. გაკვიანურებები; 3. შავი საქმეები

ambit [' æ: nɪt] 1. დააპაპონი, საზღვრები, ზღვრები; 2. სფერო, უბანი (გამოყენებისა და სხვ.)

ambushing ['æmbʌʃɪŋ] ჩასაფრებული მარკეტინგი, მალული მარკეტინგი (პროდუქციის რეკლამირება უბანში, სადაც ამის ოფიციალური უფლება კომპანიას ან ფირმას არა აქვს. სინ. **ambush marketing**)

amelioration [ə'mi:liə'reɪʃn] 1 (კონიუნქტურის) გაუმჯობესება; 2. (პროდუქციის ხარისხის) გაუმჯობესება; ამაღლება

amenable [ə'mi:nəbl̩] განსჯადი; პასუხისმგებელი (მართლმსაჯულების წინაშე).

amendment [ə'mendmənt] 1. დამატება, ცვლილება (კანონში, პროექტში); 2. გასწორება; (ნაკლის) აღმოუხვრა; 3. შესწორება (კონსტიტუციაში, კანონის მუხლში); 4. საპატენტო უწყებაში შეტანილ განაცხადში შესწორების შეტანა.

Amerasian [ˌæməreɪʃn] დემამერაზიელი (ამერიკელი და აზიელი დედ-მამის შვილი)

Amerenglish ['æmə'ŋlɪs] ამერიკული ინგლისური ენა, ინგლისური ენის ამერიკული ვარიანტი; ამერინგლისური

amortization [ə'mɔ:taɪzɪʃn] 1. ცეცხა, ამორტიზაცია; 2. ამორტიზაციული ჩამოწერა (*ძირითადი კაპიტალის მოქმედების პერიოდში*); 3. კრედიტის ან ვალის ეტაპობრივი გადახდა; გარკვეული გრაფიკით გადახდა; 4. ფონდის თანდათანობითი შექმნა (ვალის დასაფარავად, *კერძოდ კი, ვალდებულების ვადის დადგომამდე*); 4. რეალური აქტივების ღირებულებათა გარკვეული ნაწილის ყოველწლიური ჩამოწერა; 5. მოსპობა; განქარება; 6. რეალური აქტივების ნაწილის ყოველწლიური ჩამოწერა (მაგ, გუდვილის პერიოდში. იხ. *აგრეთვე goodwill*); 7. დაკარგვის, სტიქიური შემთხვევის ან სხვათა გამო საჯარო ვალდებულებათა ბათილად გამოცხადება;

amerce [ə'mɜ:s] 1. დაჯარიმება; 2. დასჯა; სასჯელის დადება

Amicus curae ლათ. („ამიკუს კურაე“) „სასამართლოს ან მოსამართლის მეგობარი“: 1. სასამართლოს ექსპერტი, კონსულტანტი; 2. დაფასებულნი, რესპექტაბელური პირი, რომელიც არ წარმოადგენს არც ერთ მხარეს სასამართლოში, რომლის ასრს უფრო ხშირად ითვალისწინებენ

A minore ad maius ლათ. („ა მინორე ად მაიუს“): მცირიდან დიდსაკენ

amount [ə'maʊnt] 1. რაოდენობა; ოდენობა; 2. ჯამი; თანხა; 3. სტატ. მოცულობა; 4. სალიკვიდაციო (საანგარიშსწორებო) პერიოდი ბირჟაზე; 5. ძირითადი თანხა და მისგან მიღებული პროცენტები. **Δ** - **at risk** სადაზღვევო თანხა; - **due (for)** მისაღები თანხა; - **in cash** ნაღდი თანხა; - **to order** შეკვეთის მოცულობა; - **written off** ჩამოწერილი თანხა

amove [əmu:v] 1. თანამდებობიდან გადაყენება; 2. გადანაცვლება, ადგილის შეცვლა; 3. გადაცემა; გადატანა (საქმისა სხვა ინსტიტუციაში).

amy ['æmi] არასრულწლოვანის სახელით სასამართლო პროცესის აღმსრულებელი ახლო ნათესავი (ან მეგობარი და სხვ.).

analogia entis ლათ. („ანალოგია ენტის“): არსებულის მსგავსი

analysis [ə'naɪlɪsɪs] 1. ანალიზი; გამოკვლევა; გამოწველილვითი განხილვა; 2. ანგარიშგების მეოოდო

analyst ['ænəlɪst] ეკონომისტ-ანალიტიკოსი; მკვლევარი-ეკონომისტი. **Business** - კონიუნქტურის საკითხებზე მომუშავე ეკონომისტი; **financial** - ფინანსების ეკონომისტ-ანალიტიკოსი; **marketing-research** - გასაღების (გაყიდვის) ბაზრების შემსწავლელი სპეციალისტი; **system(s)** - სისტემური ანალიტიკოსი (რომელიც იყენებს მათემატიკურ-ეკონომიკურ მეთოდებს, ქმნის მოდელებს, იყენებს კომპიუტერულ აპარატულ-პროგრამულ საშუალებებს და სხვ.).

ancestor ['ænsəstɔ] 1. სტატ. პირველადი საწყისი ხდომილობა; 2. დემოგ. წინაპარი; 3. უკანასკნელის წინა მფლობელი

anchor ['æŋkə] საუბ. „ღღუზა“; სავაკრო ცენტრის უდიდესი მალაზია

and/or, AND/OR [ændɔ:] „და/ან“ (ბიზნესის დოკუმენტებში და ინფორმატიკაში ხმარებული ლოგიკური გამოთქმა. მაგ., „საქონელი გაიგზავნება რკინიგზით და/ან თვითმფრინავით, ე.ი. გაიგზავნება მხოლოდ რკინიგზით, ან მხოლოდ თვითმფრინავით; ან ნაწილი გაიგზავნება რკინიგზით ნაწილი — თვითმფრინავით“)

Angels [eɪndʒlz] სლენ; ანგელოზები. მდიდრები, რომლებიც საჩვენებელი, თეატრალური პროდუქციის შესაქმნელად უზარმაზარ თანხას ხარჯავენ (არსებობს ინვესტორი „ანგელოზები“, რომლებიც სრულიად უცნობ მწერლებს 1000 და მეტ ფუნტ თანხას ჩუქნიან. არსებობს ინვესტორ-ანგელოზ კომპანიებიც); დამფინანსებლები; ქველმოქმედები

anima vilis ლათ. („ანიმა ვილის“) იაფი სულდგმული (ე.წ. „განტყვევის ვატი“)

animus ლათ. („ანიმუს“): განზრახვა

animus injurandi ლათ. („ანიმუს ინჯურანდი“): „სამართალდარღვევისთვის მზადყოფნა“ (კანონდარღვევის განზრახვა)

annex ['æneks] 1. დანართი (დოკუმენტისა); დამატება; 2. ანექსირება; მიერთება; შემოერთება; შემაღვენლობაში იძულებითი ჩართვა; 3. ბეჭდით დანამტკიცება, ხელმოწერით დამტკიცება.

annuitant [ə'nju:ɪt ənt] 1. ანუიტენტი, ყოველწლიური რენტის (ანუ შემოსავლის წყაროს) მიმღები; 2. ყოველწლიური რენტა; 3. სადაზღვევო რენტის მიმღები პირი.

Annuity [ə'nju:ɪtɪ] 1. ყოველწლიური შემოსავალი; ყოველწლიური რენტა; 2. პენსია; 3. სადაზღვევო რენტა; 4. სარჩელი ანუიტენტის დაკისრების შესახებ.

annul [ə'nu:l] შეცვლა; ანულირება, მოსპობა. **A to ~ a law** კანონის შეცვლა

A-number (სინ: **A-number-one**; **A**) [eɪ'numbə] საუკეთესო.

answer ['ɑ:nsə] 1. შეპასუხება, შედავება; პასუხის გაცემა; 2. მოპასუხის წერილობითი (ან ხეპირი) განცხადება.

- antecedent** [ˌæntɪˈsiːdənt] 1. წინამორბედი; წინაპარი; 2. წინა (თაობის); 3. pl. განაწინის გამოტანამდე გამომსუერებელი დეტალები, ფაქტები.
- antedate** [ˈæntɪˌdeɪt] ძველი რიცხვით აღნიშნული საფინანსო დოკუმენტი
- ante diem** ლათ. („ანტე დიემ“): ამ (და ამ) დღემდე
- ante factum** ლათ. („ანტე ფაქტუმ“): ანტე ფაქტუმ; „ამ ფაქტამდე; სანამ რამე მოხდებოდა“
- anticipate** [ˌæntɪˈsɪpeɪt] 1. ანტისიპაცია; დაპროგნოზება; (წინასწარ) განკვეტა; გათვლა; 2. ლოდინი. **Δ to – payment** ვადაზე ადრე გადახდა
- anticipated fulfillment response time** [ˌæntɪˈsɪpeɪtɪd fʊlˌfɪlmnt ˈrɪspɒnsˈtaɪm] მყიდველის წინაშე ფირმის მიერ ვალდებულების შესრულების დროის ინტერვალი
- anticipatory groups** [ˌæntɪˈsɪpətɔːri grʊps] მომხმარებელთა ჯგუფი, რომელშიც კონკრეტულ მყიდველებს გაერთიანება სურთ
- anticompetitive** [ˌæntɪˈkɒmpetɪtɪv] კონკურენტთაწინააღმდეგო, კონკურენციის საწინააღმდეგოდ მიმართული ქმედება
- antimessage** [ˌæntɪˈmesɪdʒ] წინაღმეტყობინება, საწინააღმდეგო არსის შეტყობინება; ანტიმეტყობინება
- apdictic** [ˌæpˈdɪktɪk] უცილობელი, უტყუარი.
- apograph** [ˌæpəˈɡrɑːf] საბუთის ასლი, აპოგრაფი.
- apolide** [ˌæpɔɪd] აპოლიდი (მოქალაქეობის არმიქონე პირი).
- a posteriori** ლათ. („ა პოსტერიორი“): აპოსტერიორული, ცდაზე დაფუძნებული; ემპირიული, ცდისეული, გამოცდილებითი)
- a potiori** ლათ. („აპოტიორი“) უპირატესი საფუძველი
- appeal** [ˈæpiːl] 1. აპელაცია; სააპელაციო საჩივარი. 2. საჩივარი (დაზარალებულისა); 3. საჩივრის უფლება; 4. გასაჩივრება, აპელირება; 5. მოწოდება, მიმართვა.
- appellant** [əˈpeɪlənt] მოსარჩელე, აპელანტი; მომჩივანი.
- appendix** ლათ. („აპენდიქს“): დამატება
- applebutter** [ˌæpl(ə)bʌtə] ამერ. სლენ. მშვიდი საუბარი.
- apple-ple** [ˈæpl(ə) plɪ] ამერ. სლენ. 1. ტიპური ამერიკელი; 2. აკურატული; სასიამოვნო გარეგნობის.
- appl(ly)e-polish** [ˈæpl(ə) ˈpɒlɪʃ] ამერ. სლენ. 1. მომსახურება მოგების მოლოდინში; 2. მლიქვნელობა.
- applicant** [ˈæplɪkənt] განმცხადებელი, მოხონელი, აპლიკანტი.
- application** [ˌæplɪˈkeɪʃ(ə)n] 1. განაცხადი, განცხადება (მაგ., სესხის მიღების თაობაზე); 2. გამოყენება; ხმარება. **Δ – for credit** კრედიტის მიღების განაცხადი; **– for listing** ბირჟაზე აქციის დამუშავების განაცხადი; **– for patent** საპატენტო განაცხადი; **to invite – s for shares** აქციაზე ხელმოწერის მიღება

apply [ə'plai] 1. განცხადება; განცხადების შეტანა; 2. (წერილობითი) მიმართვა; 3. გამოყენება; 4. თხოვნით მიმართვა; 5. ხმარება; 6. დართვა.

appoint [ə'pɔɪnt] 1. განწესება; 2. თანამდებობაზე დანიშვნა; 3. წერილობითი ბრძანება.

appose [æpəʊz] სასამართლოს საბუთების შიგთავსის შემოწმება.

appointee [ə.pɔɪnti:] 1. დასანიშნი პირი; 2. ნებუფიციაარი (პირი, ეისტევისაც რწმენებითი მართვა ხორციელდება).

appointment [ə'pɔɪntment] 1. (თანამდებობაზე) დანიშვნა; განწესება; 2. თანამდებობა; სამუშაო ადგილი; 3. ფულის დაბანდება; 4. შეთანხმება (შეკრების, კონფერენციის და სხვათა მოსაწყობად).

appraisal [ə'preɪz(ə)] 1. შეფასება; ექსპერტა; 2. (ქონების) ღირებულების შეფასება; 3. (მუშაკის) საქმიანი შეფასება, ატესტაცია; 4. ფასეულობა.

appraisement [ə'preɪzmənt] 1. შეფასება; 2. ფასი, ღირებულება; დადგენილი ფასი

appraiser [ə'preɪzə] ოფიციალური შემფასებელი; ტაქსატორი

appreciation ['æpri:ʃi:ɔɪn] 1. ღირებულების ზრდა; გაძვირება (მაგ., ძირითადი კაპიტალის ძველი ობიექტის ანალოგიურ ახალ ობიექტთან შედარებით); 2. შეფასებითი ღირებულების მატება (მაგ., კაპიტალური ქონებისა მის საწყის ღირებულებასთან შედარებით; ზოგჯერ საწყის ღირებულებაზე მეტად მატება, სალიკვიდაციო ღირებულების გამოკლებით); 3. მაღალი შეფასება; დაფასება

approach [ə'prəʊtʃ] 1. მიახლოება, აპროქსიმაცია; 2. (საკითხის გადაწყვეტის) მეთოდი; განხილვა; 3. მიდგომა; თეორია

appropriation [ə.pɹəʊpri:ɔɪn] 1. მითვისება; მისაკუთრება; შექენა; 2. ასიგნება; (სახსრების) გამოყოფა; 3. ასიგნებული სახსრები, ფონდი. **Δ- is in aid** საფინანსო სუბსიდიები

approve [ə'pru:v] 1. მოწონება, სანქციონირება; დადასტურება; 2. მტკიცება; ვიზირება;

a prima facie ლათ. („ა პრიმა ფაცე“): „ერთი შეხედვით“; პირველი შთაბეჭდილებით

arare litus ლათ. („არარე ლიტუს“): ზღვის ნაპირის ხენა (ქართ. სინ: წყლის ნაყვა; ფუჭი შრომა)

arbitrage [ɑ:bitridʒ] 1. არბიტრაჟი, სამედიატორო სასამართლო; 2. საარბიტრაჟო ოპერაციები (ვალუტის, ფასიანი ქაღალდების ან საქონლის ყიდვა და გაყიდვა მოგების მიღების მიზნით)

arbitrator ['ɑ:bitreitə] არბიტრი, სამედიატორო მოსამართლე.

Archer [ɑ:tʃə] ინგლ. საუბ. ორი ათასი ფუნდი, (დაკავშირებულია კონსერვატორ დეპუტატ **Jeffrey Archer**-ის გვართან); ეჩერი

archive ['ɑ:kaiv] 1. (ეკონომიკურ-ფინანსურ მონაცემთა) არქივი; 2. (მონაცემთა) დოკუმენტირება, არქივის შექმნა

archiver ['ɑ:kɑivə] დოკუმენტირების მოწყობილობა (მონაცემთა დაგროვება მათი შემდგომი ძებნისა და ანალიზის მიზნით); არქივერი (რ.ბ.)

arrenda [ɑ'ri:ndə] 1. არენდა (ლათ.-დან **arrendare** ქირით გაცემა. ტერმინი შემოვიდა პოლონურ და სხვა ენებში. უძრავი ქონების დროებით გაქირავება ქონების მესაკუთრესა (არენდის გამცემი) და ფუნქციონერს (არენდატორი, მოარენდე) შორის დადებული ხელ შეკრულებით, გარკვეული ვადით და საზღაურად. არენდით გაიცემა ნაგებობა, საწარმო, მიწა, წარმოების საშუალებები და სხვ.); 2. საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობაში — არენდა სამი სახისაა: პაირინგი, ლიზინგი და რენტინგი (იხ. **hiring, leasing, renting**); 3. საარენდო გადასახადი (ქონებრივი ქირის საფასური)

arguable ['ɑ:gjuəbl] 1. სადავო; 2. დამტკიცებადი; Δ ~ **point** სადავო საკითხი

argue ['ɑ:gju:] 1. იურ. დავა; 2. მტკიცება; დამტკიცება; არგუმენტირება; 3. იურ., ი შვ. გამტყუნება; განაჩენის გამოტანა

argument ['ɑ:gju:mənt] 1. დამტკიცება; განსჯა, არგუმენტაცია; 2. დისკუსია, დავა; 3. მათემ. დამოუკიდებელი ცვლადი; (ფუნქციის) არგუმენტი

argumentum ab impossibili ლათ. („არგუმენტუმ აბ იმპოსიბილი“): „დამტკიცება შეუძლებლობიდან გამომდინარე“ (ლოგიკაში)

argumentum ad hoc ლათ. („არგუმენტუმ ად ჰოკ“): საამისო არგუმენტი (მამოწმებელი საბუთი)

argumentum argetarium ლათ. („არგუმენტუმ არგეტარიუმ“): „ვერცხლის ფულის არგუმენტი“; ქრთამი; მოსყიდვა

arise [ɑ'raiz] 1. (უფლების ან მოვალეობის და სხვითა) წარმოქმნა; 2. წარმოშობა (საკითხის) წამოჭრა; 3. (რაიმეს შედეგად) მიღება.

arithmetical [,ɑ:riθmətikl] არითმეტიკული; ციფრული (აბრ. **arith**); აბრ. არითმ., ციფრ.

arless-penny ['ɑ:lis'peni] ბე; ბეს მიცემა

armistice ['ɑ:mistis] დაზავება, ზავის დადება.

arraign(ment) [ɑ'reinment] 1. ბრალდების წაყენება; 2. მწყაყე კრიტიკა; გაკიცხვა.

aroma ['ærəʊmə] განსაკუთრებულობა. (ოდნავ გასარჩევი) ნიშანთვისება; არომატი

arrangement [ɑ'reindʒmənt] 1. მოლაპარაკება; შეთანხმება; 2. მოწყობა; ორგანიზაცია; წესრიგში მოყვანა; 3. pl. ღონისძიებები; 4. გეგმები

array [ɑ'rei] 1. ნაფიც მსაჯულთა სია; (ამგვირი) სიის შედგენა; 2. სტატისტიკური რიგი; მიმდევრობა; 3. მატრიცა (მაგ., საგადასახადო); 4. ცხრილი; 5. განლაგება (მაგ., ამოსარჩევი ობიექტებისა); 6. დაპრ. (მონაცემთა) მასივი; ველი; სია

arrear [ɑ'riə] 1. გადაუხდელი ვალი; დავალანება; გადაუხდელი თანხა; 2. (in) მოცემული პერიოდის ბოლოს (გადასახადთან დაკავშირებით); 3. ჩამორჩენა (მუშაობაში, მშენებლობაში და ა. შ.). Δ **to collect** ~ გადავადებული თანხის ინკასირება

arrest [ə'rest] 1. დაკავება, დაპატიმრება; დატყუვადება; 2. შეჩერება; გაჩერება; დაყოვნება

arret de prince ფრანგ. 2. „პრინციული დაკავება“ (უცხო ქვეყნების გემების დაკავება მაგ., პოლიტიკური მიზეზით).

arretted [ə'retəd] ბრალდებულის.

arson ['ɑ:sn] ცეცხლის წაკიდება.

ars vita ლათ. („არს ვიტა“): ცხოვრების ხელოვნება

art [ɑ:t] 1. სარეკლამო განცხადებათა მხატვრული გაფორმება; ილუსტრაცია; 2. pl. პუმანიტარული მეცნიერებები; 3. შემოქმედება; 4. დაყოვლიება; წაქეხება.

article ['ɑ:tɪk(ə)] 1. საქონელი; საგანი, ნაწარმი; 2. მუხლი; პუნქტი; პარაგრაფი; აბრ. art. 3. pl. კანონი; სტატეტი; წესდება; შეთანხმება; ხელშეკრულება; 4. ამერ. სლენ. გონიერი და პოპულარული პირი; 5. ამერ. სლენ. კარიერისტი; 6. pl. სასარსელო განცხადება.

artocrat ['ɑ:tɒkræt] არტოკრატი (ხელოვნების ადმინისტრატორი ან მენეჯერი მაღალი რანგისა)

artsy-craftsy ['ɑ:tsi'krɑ:ftsɪ] ამერ. სლენ. პრეტენზიული

assault [ə'sɔ:lt] 1. თავდასხმა; 2. სიტყვიერი შეურაცხყოფა; ცემის მიქარა

assassinate [ə'sæsɪnɪt] 1. მუხანათური მკვლელობა; 2. პოლიტიკური მოტივით მკვლელობა; 3. დაქირავებული მკვლელობა, პროფესიული ქილდურის მიერ მოკვლა

ascendant [ə'scɛndənt] წინაპარი.

ascent [ə'sent] (შთამომავლობითი ქონების) გადასვლა აღმავალი ხაზით.

ascertain(ment) 1. დადგენა; განსაზღვრა; 2. გაცხადება; დამოწმება; გაპიროვნებულება (მაგ., საგნისა, საქონლისა)

ASCII (აბრ. American Standard Code for Information Interchange-დან) ამერიკული სტანდარტული კოდი ინფორმაციის გაცვლისათვის (კომპიუტერებში; პროგრამებში); აბრ. ასკი

ASF (აბრ. American Stock Exchange-დან) ფინანს. ამერიკის საფონდო ბირჟა (იხ. აგრეთვე stock exchange)

Asiadollars ['eɪʃɪdɔ:lz] აზიადოლარები; აზიის ქვეყნების ბანკებში დეპოზიტში მყოფი დოლარები

assemble [ə'sembəl] 1. კრება, შეკრება; თავიერთობა; 2. მოწვევა; 3. აღწობა; დამონტაჟება, შექმნა; 4. (კომპიუტერული პროგრამის) ტრანსლირება, გაერთმთლიანება

assembly [ə'sembli] 1. ასამბლეა; კოლეგია; 2. საკანონმდებლო კრება; კომპლექტი; ჯგუფი; აგრეგატი; 3. მონტაჟი; 4. ერთობლიობა; 5. ასამბლეა; 6. ამერ. საკანონმდებლო ორგანო

assent [ə'sent] 1. თანხმობა; რაიმეზე დათანხმება, მოსურვება; 2. დათმობა; 3. სანქციის გაცემა; უფლების მიცემა; სანქციონირება.

assert [ə'sɜ:t] 1 მტკიცება; 2. განცხადება; დაცვა; (უფლების) დამტკიცება. 3. მოთხოვნა; **to assert innocence** განცხადება უდანაშაულობის შესახებ.

assess [ə'ses] 1. შეფასება, განსაზღვრა (გადასახადის რაოდენობისა); 2. (გადასახადით) დაბეგვრა

assessor [ə'sesə] 1. შეფასებელი; 2. ამერ. საგად. დაბეგვრის ინსპექტორი

assets ['æset] 1. (ბალანსის) აქტივები; 2. ქონება; თანხები; 3, კაპიტალი; ფონდი; სახსრები; 4. სამემკვიდრეო ქონების კომპლექტი.

assign [ə'saɪn] 1 ცესიონარი; სამართალმემკვიდრე; 2. გადაცემა; დათმობა; ცედირება; 3. დადგენა (მაგ, ვადისა); 4. (დავალების) მიცემა; 5. (თანამდებობაზე) დანიშვნა; 6. (ფუნქციის) დაკისრება.

assignee ['æsmi:] 1. სამართალმემკვიდრე; 2. აგენტი, წარმომადგენელი; 3. რწმუნებული; ვალდებულებადაკისრებული პირი.

assignment [ə'saɪnmənt] 1. დათმობა, გადაცემა (ქონებისა, იურიდიული უფლებებისა); 2. ასიგნება; 3. განკუთვნიება; განაწილება; 4. დანიშვნა (მაგ, ვადისა); დანიშნულება; 5. (ფუნქციის, ვალდებულების, მოვალეობის) დაკისრება; 6. კონკრეტული სამსახური, სამუშაო

assize [ə'saɪz] 1. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო; 2. სარჩელის განხილვა უძრავი ქონების ფლობის აღსადგენად; 3. დადგენილება; ბრძანებულება, სტატუტი.

associate [ə'səʃiəɪt] 1. კომპანიონი, თანამონაწილე, თანამზრახველი; 2. საზოგადოების წევრი; 3. შეერთება; მიერთება; 4. მკიდროდ დაკავშირებული

associated [ə'səʃiəɪtɪd] 1. ასოცირებული; 2. მიერთებული; გაერთიანებული; 3. ერთობლივად მოქმედი.

association idearum ლათ. („ასოციაციო იდეარუმი“): იდეათა ასოციაცია

association [ə,səʊsi'eɪʃn] 1. ასოციაცია; გაერთიანება; 2. საზოგადოება; 3. კავშირი, ასოციაცია; 4. ურთიერთობა; ურთიერთკავშირი. ამრ. **assn**

assure [ə'ʃʊə] 1. გარანტია (მაგ, ხარისხისა); დარწმუნება, დაჭერება; 2. (სიციცხლის) დაზღვევა; 3. უზრუნველყოფა.

assume [ə'sju:m] 1. დაშვება; ვარაუდი; 2. (ვალდებულების და სხვათა) საკუთარ თავზე აღება; 3. მისაკუთრება; მითვისება.

assurance [ə'ʃʊərəns] 1. გარანტია; 2. რწმუნება; რწმენა; 3. დარწმუნება, დაპირება

astipulation [ə'stɪpj:leɪʃn] 1. ურთიერთშეთანხმება, ურთიერთთანხმობა; ერთმანეთს შორის დათქმა; 2. მტკიცება; 3. მოწიობა; წინაწერი.

asylum ignorantiae ლათ. („ასილუმ იგნორანცია“): „უეიცობის თავშესაფარი“ (ბენედიქტ სპინოზა, „ეთიკა“, I, 36)

at and from [æt ænd frɒm] „...-ში - ...-დან“. რისკის დაფარვის პირობა გემის ნავსადგურიდან გასვლამდე და გასვლის შემდეგ.

at best [æt best] საუკეთესო ფასად (გაყიდვის შესახებ); მისაღებ ფასად

at call [ætkɑ:l] მოთხოვნისთანავე (მოღვათი თანხის შესახებ)

atmospherics [ˌætməˈsferɪk] ფირმის „სახისმეტყველება“ - საფირმო სტილის, პროდუქციის, შტაბ-ბინისა და პერსონალის ჩათვლით (ამით გამოწვეული შთაბეჭდილება); იმიჯი

atone [əˈtəʊn] 1 ანაზღაურება; კომპენსირება; 2 (დანაშაულის) გამოსყიდვა.

at or better [ət ɔː ˈbɛtə] 1. დათქმულ ფასად ან იაფად ყიდვა; 2. დათქმულ ფასად ან უფრო ძვირად გაყიდვა

atrocious [əˈtrɒʃɪəs] მკაცრი; ზისტი; მხეცური.

attachment [əˈtætʃmənt] 1 (პასუხისმგებლობის, რისკის, ვალდებულების და სხვათა) დადგომა; 2. დაპატიმრება; 3. სასამართლოში მოყვანა. 5. ბექლით დამტკიცება; 6. დაზღვევის შესვლა ძალაში; 7. მოვალის ქონებაზე ყადაღის დადება.

attain [əˈteɪn] (მიზნის) მიღწევა

attendance [əˈtendəns] 1. დამსწრე სასამართლოზე; 2. მომსახურება; მოვლა; 3. დასწრება

attendant(e) [əˈtɛndənt] 1. ატენდანტი; პოლიტიკურ მოღვაწეზე თავდასხმა (მოკვლის მიზნით); 2. მოსამართლის მიერ არასამართლებრივად გამოტანილი გადაწყვეტილების (ან დამატების) შეტანა (ან შეტანის მცდელობა) საქმეში, რომელიც სააპელაციო განხილვას ექვემდებარება.

attenuate [əˈtenueɪt] 1. (დანაშაულის) შერბილება; 2. შესუსტება; 3. გახსნა; გათხელება.

attest [əˈtest] 1. (დოკუმენტზე, მაგ. ანდერძზე) ხელმოწერა მოწმის თანდასწრებით; დადასტურება; 2. დარწმუნება, დამტკიცება.

attestant [ətɛstənt] მოწმე; რაიმეს მადასტურებელი პირი.

attestor იხ. **attestant**.

attitude [ˈætɪtjuːd] 1. პოზიცია, მიმართება; 2. მდებარეობა, პოზა

attorney [əˈtɜːnɪ] 1. ინგლ. ატორნეი (ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც იურიდიულ მომსახურებას უწევს რომელიმე ფიზიკურ ან იურიდიულ პირს. სწორი გამოთქმა „ეტენი“, მაგრამ დაინერგვა „ატორნეი“. იხ. აგრეთვე **power of attorney**); ექილი, რწმუნებული

attractor [əˈtræktə] მიმზიდველი; „მაგნიტი“; სავაჭრო ცენტრში განლაგებული ყველაზე დიდი მაღაზია (იხ. აგრეთვე **anchor**)

attribute [əˈtrɪbjʊːt] 1. ატრიბუტი (დამახასიათებელი) ნიშანი; 2. (დამახასიათებელი) თვისება

auction ['ɑ:kʃ(ə)n] 1. თავისუფალი (საჭარო) გაყიდვა, აუქციონი; ვაჭრობა; 2. აუქციონზე გაყიდვა

audi alteram partem ლათ. („აუდი ალტერამ პარტემ“): „მოუსმინე მეორე მხარეს“. ბუნებრივი მართლმსაჯულების წესი; სასამართლოზე ყველას აქვს ილაპარაკოს თავის დასაცავად.

audilog ['ɑ:daɪlɒg] აუდილოგ-ი; მაყურებელთა დღიური, რომლებშიც ფიქსირებულია ყველა ნანახი პროგრამით გადაცემული ცნობები

audit ['ɑ:daɪt] (ლათ. audit შემსმენელი; პიროვნება, ვინც შეისმენს, გაიგებს) 1. აუდიტი; გონებრივი ანალიზური სისტემურ-კომპიუტერული პროცესი (ეკონომიკური მოვლენებებისა და მოქმედებების ობიექტური მონაცემების მიღებისა და შეფასების სისტემური პროცესი, რომელიც ადგენს მომხმარებლისათვის საინტერესო და მისაღები კრიტერიუმის შესაბამის დონეს. იხ. აგრეთვე auditors); 2. ფინანს. აუდიტი (ა) წლიური საფინანსო ანგარიშგების შემოწმებელი და მისი დამადასტურებელი სპეციალიზებული დაწესებულება — გარე აუდიტი; ბ) სააქციო საზოგადოების სარევიზიო კომისია — შიგა აუდიტი); შემოწმება (საბუღალტრო საქმიანობისა); რევიზია; 3. შემოწმების ჩატარება; რევიზიის ჩატარება (მიღებულ სააღრიცხვო წესებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად); 4. საშინაო მეურნეობის საბუღალტრო ანალიზი; 5. მომხმარებელთა გამოკითხვა; 6. სასწავლო კურსზე სიარული (კოლეჯში, როგორც თავისუფალი მსმენელი); **Δ tax** - გადასახადის დანარიცხის სისწორის შემოწმება; **test** - საკონტროლო შემოწმება; **unscheduled** - არაგეგმიური რევიზია; **voucher** - ვაუჩერული შემოწმება (იხ. voucher 2).

audita querela ლათ. („აუდიტა კვერელა“) შოპასუხის სარჩელის საქმისწარმოების დაწვევის სასამართლო ბრძანებულებით გამოტანილი გადაწყვეტილების შედეგის გასაუქმებლად, ახალი გარემოებების აღძვრასთან დაკავშირებით.

auditing [ˌɑ:daɪtɪŋ] მენეჯ. აუდიტის ჩატარება; შემოწმება; რევიზია, გაკონტროლება

auditor ['ɑ:daɪtə] 1. იურ. აუდიტორი; დამოუკიდებელი შემოწმებელი; 2. რევიზორი, ანგარიშსწორების მკონტროლებელი; 3. თავისუფალი მსმენელი (უმაღლეს სასწავლებელში); 4. მთავარი ბუხალტერი; 5. pl. სარევიზიო ფირმის მუშაკები

auditorial [ˌɑ:di'tɔ:riəl] სარევიზიო; საკონტროლო

auditors ['ɑ:daɪtəz] აუდიტორები (1. რომელიმე დაწესებულების აუდიტის ჩამტარებელი კერძო პირი ან ფირმა; 2. ასეთი პირის ან ფირმის პარტნიორები; მათ შორის კომპიუტერული აუდიტის სპეციალისტები. იხ. აგრეთვე audit 1., 2., 3.).

auger in ['ɑ:ɡə'ɪn] ამერ. სლენ. 1. ავტოკატასტროფა („მიწის გაბერა“); 2. თავი თავის კონტროლის დაკარგვა.

augment [ˌɑ:ɡ'ment] მატება; წამატება, მიმატება; გაზრდა; **Δ to - the capital** კაპიტალის დაგროვება

augmentation [ˌɑ:ɡmen'teɪʃn] 1. გაზრდა, გადიდება; 2. მატება; ნამატი

Au pair girl დემ. დიდა-ქალი (18-25 წლის ქალი(შვილი), რომელიც შინამოსამსახურედ დგება და იმავე ოჯახის ბავშვებსაც უვლის)

auricular [a:'rikjuls] სუპირი; საიდუმლოდ თქმული, ფარული (გარიგება) დახურული თათბირი.

auspice ['a:spis] მფარველობა (მაგ., სახელმწიფოს მიერ)

austerity 1. მკაცრი ეკონომია; 2. pl. მკაცრი ზომები (მაგ., სახელმწიფო კანონების გაელენისათვის ეკონომიკაზე)

autarchy იხ. autarky

autarky ['a:ta:kɪ] (ბერძნ.-დან autarkeia თვითდაკმაყოფილება) ავტარკია (ქვეყნის მეურნეობრივი კარჩაკეტილობა, რომელიც მიმართულია განმზოლოებული და თვითუზრუნველყოფი ეროვნული ეკონომიკის შესაქმნელად)

aut bene ლათ. („აუტ ბენე“; „ან კარგი, ან არაფერი“)

authentic [a:'θentɪk] 1. იურ. ნამდვილი; დოკუმენტურად დადასტურებული; 2. აუთენტიკური, ნამდვილი; 3. სარწმუნო; სწორი

authentication [a:'θenti'keɪʃ(ə)n] დამოწმება (საბუთისა და სხვ.), შემოწმება (ხელმოწერისა), აუთენტიკაცია. **Δ to use of seals for – of a contract** ხელშეკრულების (კონტრაქტის) ნამდვილობის დამოწმება ბეჭდის დასმით

authenticity [a:'θentɪsɪti] აუთენტიკურობა, უტყუარობა, ნამდვილობა, უქველობა

authochthon [a:'tɒkθɒn] დემ. აბორიგენი, მკვიდრი მოზინადრე, ძირეული მცხოვრები

autoheft [a:.'i:'θɛft] ავტომობილის (ასევე საერთოდ, ავტოსატრანსპორტო საშუალებების) ქურდობა

authority [a:'θɔ:riti] 1. უფლება; უფლებამოსილება; ნებართვა; 2. მმართველი ორგანო; ადმინისტრაცია, ხელისუფლების ორგანო; 3. ცნობილი სპეციალისტი; 4. ძალაუფლების სისრულე; 5. კომპეტენციის სფერო; 6. სამართლის წყარო, კანონი; 7. რეკიცება, საფუძველი;

authorization [a:'θɔ:raɪ'zeɪʃən] 1. ნებადართვა; სანქციონირება; 2. დაკანონება; ლეგალიზაცია; 3. უფლებამოსილების მინიჭება; 4. (კორგრესის) გადაწყვეტილება; 5. დადგენილება; ინსტრუქცია; ორდერი; 6. ავტორიზაცია; 7. ხარჯების გაღების ნებართვა; სანქცია; ასიგნების დამტკიცება; **Δ- to operate** სატრანსპორტო ოპერაციების წარმოების ნებართვა; სატრანსპორტო ხაზები [მარშრუტების] ექსპლუატირების პრივილეგია

authorized ['a:'θɔ:raɪzɪd] 1. რწმუნებული; 2. ნებადართული; სანქციონირებული

authorship ['a:'θɔ:ʃɪp] 1. საწყისი; წყარო, თავწყარო; წარმოშობა; 2. ავტორობა

autocide [a:'dɔ:saɪd] თვითმკვლელობა, რომელიც გამოწვეულია წინასწარგანზრახული ავტოაუარიით.

autocracy [a:'tɒkrəsi] ავტოკრატია; თვითმპყრობელობა, აბსოლუტიზმი (ქვეყნის მართვაში)

auto-financing ['a:'taɪn(ə)naɪnsɪŋ] თვითდაფინანსება

automatic groups [a:tə'mætɪk grə:p] (pl) ფორმალური ნიშნით გამოყოფილი მომხმარებელთა ჯგუფი (მაგ., წლოვანების, სქესის, საცხოვრებელი ადგილის, პროფესიის და სხვათა მიხედვით)

autonym [a:'tɔnim] 1. ავტონიმი; ავტორის ნამდვილი სახელი და გვარი; 2. ავტორის ნამდვილი გვარ-სახელით გამოცემული წიგნი და სხვა ბეჭდვითი მასალა.

autonoplex [a:'tɔnəpleks] ავტონოპლექსი (დამოუკიდებელი ფირმების კომპლექსი ცენტრალიზებული მართვით)

autopsy [a:'tɔpsɪ] (ადამიანის) სიკვდილის მიზეზის დადგენა; აუტოფსია; გვამის გაკვეთა.

avouch [ə'vaʊtʃ] 1. (ვინმეს ჩვენების) დათანხმება, დამტკიცება; 2. (ქმედების) აღიარება; 3. იშვ. თავდებობა; გარანტირება.

avail [ə'veɪl] 1. სარგებელი; სარგებლობა; ხეირი; 2. pl. ამონაგები თანხა (საქონლის გაყიდვის შემდეგ მიღებული მოგება)

availability [ə'veɪlə'bɪlɪtɪ] 1. ვარგისობა; გამოსადეგობა (მოწყობილობის, ხელსაწყოების და მისთ.); 2. არსებობა (მაგ., კაპიტალისა, რესურსებისა, საქონლისა და მისთ.); 3. მისაწვდომობა (მაგ., ფასებისა); 4. მზადყოფნა (მაგ., ხელსაწყოთა, მოწყობილობისა და სხვათა დასაყრდენად); ტექნიკური მომსახურებისათვის გამოსადეგობა; 5. მზადყოფნის კოეფიციენტი

aval [ɑ:'vɑ:l] კომერც. ავალი (თამასუქის პირველ გვერდზე ან ცალკე თანამდეგ ფურცელზე ხელმოწერილი საბანკო გარანტია გადახდის ვალდებულების შესახებ); გადახდის თავდებობა

avana გადასახადი (მაგ., თურქეთში); საგადასახადო დაბეგვრა; ავანია

avarice ['æv(ə)rɪs] ხელმოპყირნეობა; სიძუნწე

Ave. (აბრ. avenue-დან) ავენიუ, გამზირი; პროსპექტი

aver [ə'veɜ:] 1 ხაქმში არსებული განცხადება ან მტკიცება, რომელსაც მხარეები უცვლიან სასამართლო გარჩევის საწყის სტადიაზე; 2. მტკიცება (დაამტკიცება).

average ['æv(ə)rɪdʒ] 1. საშუალო მნიშვნელობა; საშუალო შედეგი; 2. საშუალო არითმეტიკული; 3. გასაშუალოება; 4. (ფასიანი ქაღალდების) კურსი; კურსების ინდექსი (ბიზნესში); 5. საბირჟ. მოცემული გამოშვების აქციების თანმიმდევრობითი ყიდვა ან გაყიდვა (კურსის ცვლილების შესაბამისად); 6. სადაზღ. აერია; (გადაზიდვისას საქონლის გაფუჭებით ან ტრანსპორტირებით) მიყენებული ზარალი. **Δ below the** - საშუალოზე დაბლა; **~ in question** საძებნი საშუალო (რიცხვი); **on** - საშუალოდ; **~ down** საბირჟ. მოცემული გამოშვების აქციების კურსის თანმიმდევრობითი ყიდვა (მათი კურსის დაქვემდებარების შესაბამისად); **to ~ up** მოცემული გამოშვების აქციების კურსის თანმიმდევრობითი გაყიდვა (მათი კურსის ზრდის შესაბამისად)

avermint [ə'veɜ:mənt] 1 დამამტკიცებელი საბუთის წარდგენა; 2. სასამართლოს პროცესის დაწყებამდე მხარეებს შორის განცხადების ან მტკიცების გაცვლა.

avert [ə'vɜ:t] მოგერიება; თავიდან აცილება (თავდასხმისა, დარტყმისა).

avg (აბრ.) იხ. **average**

aviation broker [ˌɪvɪ'eɪʃ(ə)n, brɔʊkə] ავიაციის ბროკერი (აგენტი, რომელიც იძლეობს და ყიდის თვითმფრინავებს), აწვობს ჩარტერულ ავიარეისებს, ავიაფრახტებს და სხვ. იხ. აგრეთვე **charter, airfreight**

avail [ə'veɪl] 1. *pl.* ამერ. მოგება; ამონაგები (თანხა); 2. სარგებელი; 3. გამოსადეგი.

avoidance [ə'vɔɪdn̩s] 1. თავის არიდება; თავიდან აცილება

aviso (იტალ.-დან **avizo** შეტყობინება) ავიზო, შეტყობინება (იხ. აგრეთვე **advice**)

avista იხ. **avvista**

avoid [ə'vɔɪd] იურ. 1. თავის არიდება 2. შეწყვეტა; გაუქმება, განქარება, ანულორება. **Δ to - a contract** 1. კონტრაქტის შეწყვეტა; 2. კონტრაქტის გაუქმება; 3. თავიდან მოცილება; 4. კანონის დარღვევა; 5. შეღავება. **Δ to - double taxation** ორმაგი საგადასახადო დაბეგვრისაგან თავის არიდება

avoidance იხ. **avoid**

avoir (ფრ. **avoir** ჰონება, საკუთრება) ავუარები: 1. სახელმწიფო დაწესებულების ან პიროვნების (ხანმოკლე) ანაბარი უცხოურ ბანკში ვალუტის მისაღებად; 2. დავალიანების გადასახდელი ან ვალდებულებების დასაფარავი ფულადი თანხები, თამასუქები, აკრედიტივები, ჩეკები, გზაენილები

avowal [ə'vəʊəl] 1. ევაუელი; პირდაპირი განცხადება ან მტკიცება; ფაქტის ღიად აღიარება (ამასთან ფაქტის გამართლებით); 2. დეკლარირება.

avowant [ə'vəʊənt] პირი, რომელიც პირდაპირ აღიარებს დანაშაულს და ამართლება ამ დანაშაულის ჩადენის ფაქტს.

avvista (იტალ. **a vista** წარმოდგენისთანავე) ფინ. ავისტა; 1. საანგარიშსწორების წარწერა ფულად საბუთზე (მაგ., თამასუქზე), მის წარმოდგენისთანავე ან გარკვეული ვადის შემდეგ ანგარიშსწორებისათვის; 2. თამასუქი, რომელსაც წარმოდგენს უნაღდებენ **aw** [ə:] ამერ. სლენ. (სიტყვით) გამოსვლა, რომელმაც არასასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა.

award [ə'wɑ:d] 1. გადაწვევტილება, რითაც დავის საკითხი მოგვარდება; 2. ჭილღო; პრემია; 3. დაჭილღობა; პრემიის მიღება; პრემიის გაცემა; 4. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება; 5. შეკვეთის მიცემა (ან გაცემა); 6. შეკვეთის დამტკიცება, გადაწყვეტილების მიღება; 7. სახელმწიფო დაკვეთა; 8. ფასიანი ქაღალდების შესყიდვის განაცხადის დამტკიცება (მაგ., აუქციონზე გაყიდვისას). 9. დაცვა; დარაჯობა; 10. ზრუნვა; მოვლა. **Δ competitive negotiation** - კონკურენტული ხასიათის მოლაპარაკების შედეგად მიღებული დაკვეთა; **contrat** - კონტრაქტის დადება (მაგ., სახელმწიფო უწყებისა კერძო ფირმასთან ან კომპანიასთან); **product liability** - 1. უპირობო ჯარიმა უზარისხო პროდუქციისათვის (რომელსაც იხდის შემსრულებელი ფირმა); 2. უზარისხო საქონლისათვის პირგასამტებლო

awarder [ə'wɑ:də] მომრიგებელი მოსამართლე; სამედიატორო მოსამართლე.

awareness [ə'weənɪs] 1. ცოდნა; გათვითცნობიერება; 2. შეგნება; თვითშეგნება.

awkward [ə:'kɑ:d] 1. მოუხერხებელი; ძნელი; უხერხული (მდგომარეობის ან მდებარეობის შესახებ); 2. საუბ. საშიში (პიროვნების შესახებ); ძნელი; რთული

AWOL [ˌɔv, dʌbɪju:əv'el] (აბრ. **absent without leave**) თვითნებურად წასვლა.

axe [æks] საუბ. მკვეთრი შემცირება (მაგ., ბიუჯეტისა, ხარჯისა)

ax, get the [get θɪ:eks] ამერ. სლენ. 1. სამსახურიდან მოულოდნელი დათხოვნა; 2. სკოლიდან (ან კოლეჯიდან) გარიცხვა.

aye [ai] დიახ. **the ayes lobby** კენჭისყრის ღერეფანი (თემთა პალატაში).

azul [æzɪju] ამერ. სლენ. 1. პოლიციელი; 2. პოლიცია

B,b

B. აბრ. 1. იხ. **bid** 1; 2. (**bill of exchange**-დან) გზავნილი თამასუქი, ტრატა (იხ. აგრეთვე **tratta**); 3. იხ. **board** 1; 4. იხ. **bond** 1; 5. იხ. **budget**; 6. იხ. **buyer(s)**

B [bi:] აბრ. 1. (**bag, baggage**-დან) ბაგაჟი, ბარგი; 2. იხ. **base** 1; 3.

BA [bi:ei] (აბრ. **Basic Agreement**-დან) საბაზო კონტრაქტი, ძირითადი შეთანხმება; მთავარი კონტრაქტი

clk [sɪ:elkeɪ] (აბრ) იხ. **clerk** (სინ. **clk**.)

clot [klog] ხელშეშლა, წინააღმდეგობის გაწევა

close [klaus] 1. დახურვა; დაკეტვა; 2. დაბოლოება; დამთავრება; დასასრული; დასკვნა; 3. (წრედის) შერთვა, შეკერა; 4. ვიწრო მჭიდრო (მაგ., კონტაქტი, მორგება). 5. დახკენის გამოტანა; 6. დაპატრონება. დაწვევები; 7. (ხელშეკრულების) დადება. **Δ to - a file** ფაილის ჩაქვტვა; **to - an account** ანგარიშის დახურვა; **to - firm** საბირჟ. მაღალი მზანდის დადგენა, მაღალი კოტირება (ბირჟის დახურვისას); მაღალი ფასების დაწესება (ბირჟაზე)

close [klaʊs] 1. დამთავრება; დახურვა; 2. დასრულება; შეწყვეტა; 3. კონფიდენციალური, დახურული (სხდომა, თათბირი)

closed account [klaʊzɪd əˈkaʊnt] დახურული ანგარიში

close-out [klaʊz' aʊt] ფასჩამოკლებით გაყიდვა (კომერციული საქმიანობის ეტაპის დამთავრების გამო)

close-up [klaʊz' ʌp] ტელეზ. ფართო პლანი

closed-circuit ['klaʊzɪd 'sɜ:kɪt] შეზღუდული მიღებისა (ტელეპროგრამის შესახებ, მაგ., საკაბელო არხით)

closed corporation [klaʊzɪd kə:ˈpɔ:ɹɪʃn] დახურული ფირმა (ფირმა, რომლის აქციები

ეკუთვნის რამდენიმე მენაბრე-დირექტორს და ბირჟაზე არ იყიდება)

closedown ['klaʊz' daʊn] მუშაობის დასრულება (წარმოების დახურვის გამო)

clothe [klaʊð] შემოსვა; მინიჭება (ძალაუფლებისა, ვალდებულებისა).

clay [klaɪ] იშვ. 1. ფული; 2. ჭიბე (სინ. *clay*).

clue [klu:] 1. საშხილი; გასაღები; ის რაც გამოძიებელს საქმის გახსნაში ეხმარება; 2. ამერ. ცნობები, ინფორმაცია; 3. (ვინმესთვის რაიმე) ინფორმაციის გაცნობა [ცნობება]; ახალი (ეკონომიკური) მონაცემების მიღება; საიდუმლოს გახსნა

cluster ['klaʊstə] 1. ჭკუფი, კლასტერი; კონცენტრაცია, დაგროვება (მაგ., მაღაზიათა ჭკუფი ქალაქის ცენტრში, სიახლეთა კონცენტრაცია ეკონომიკური აღდგენის ფაზაში დასხვ.); 2. (საერთო ნიშნით გაერთიანებული) ელემენტთა ჭკუფი; 3. ნადედი, თავმოყრა, გროვა; 4. დემ. მყიდველთა ჭკუფი (რომელიც განისაზღვრება დემოგრაფიული ან ფსიქოგრაფიული პარამეტრების საფუძველზე)

clustering [klaʊstəriŋ] 1. თავმოყრა (მაგ., საწარმოებისა); 2. ჭკუფში გაერთიანება

clutter [klaʊtə] 1. ტელეზ. ერთი მეორის მიყოლებით გადაცემული მრავალგვარი სატელევიზიო სარეკლამო განცხადებები, კლასტერი; 2. უწყესრიგობა, უსისტემობა (მაგ., დოკუმენტაციის გაფორმებაში); 3. დაბრკოლებები; რადიონმაური (მაგ., რადიორეკლამირებისას)

cml. [sɪ:eml] (აბრ.) იხ. **commercial.** (სინ. *coml*)

CN [sɪ:ɛn] (აბრ. **credit note**-დან) ფინან. საკრედიტო ავიზო; აბრ. სა

CNN [sɪ:ɛnɛn] (აბრ. **Cable News Network**-დან) ტელეზ. ამერ. სი-ენ-ენ. (სატელევიზიო უახლესი ცნობები საკაბელო და კოსმოსური საშუალებებით გასულიდან)

Co [kəʊ] (პრეფიქსი) ერთდროულად მოქმედი; ერთად მომუშავე **co-defendant** თანამოპასუხე

CO [kaʊ] (აბრ.) იხ. **company**. სინ. **CO**; **Co**. აბრ. კო

coach [kəʊtʃ] 1. ამერ. უბლატკარტო ვაგონი (მხოლოდ დასაჩდომი ადგილებით); ინგლ. სამგზავრო კუპირებული ვაგონი; საფოსტო ვაგონი; 2. მეორე კლასი (ავიაგადაზიდვებისა)

coalesce [kəʊsəʊs] გაერთიანება; შერწყმა (მაგ., ეკონომიკური ინტერესებისათვის) შეერთება; შეზრდა (მაგ., ფინანსური ინტერესებისა)

coalmining [ˈkəʊlmaɪnɪŋ] ვანახშირის მრეწველობა

co-creditor [kəʊˈkredɪtə] თანაკრედიტორი, ერთ-ერთი კრედიტორი

code [kəʊd] 1. ოფიციალურ კანონთა კრებული; კოდექსი; 2. კოდი; კოდირების სისტემა; 3. კოდირება; დაშიფვრა; 4. (მანქანურ ენაზე შედგენილი) პროგრამა; დაპროგრამება; 5. პროგრამის ტრანსლირება; 6. მანქანური სიტყვა (ბრძანება; რიცხვი); 7. წესები, ნორმები; სტანდარტი; 8. შიფრი; ინდექსი; 9. კოდექსი; ნორმა; წესი

co-debtor [kəʊˈdeɪtə] თანადებიტორი; ერთ-ერთი დებიტორი (სესხისა)

codex manuscriptus ლათ. („კოდექს მანუსკრიპტუს“): „ხელნაწერი ნუსხა“

codicil [kəʊdɪsɪl] ანდერძზე მინაწერი, კოდიცილი

codicilla ლათ. („კოდიცილა“): „დამატება“; „ოქმის დანართი“

codify [ˈkəʊdɪfaɪ] კოდირება; დაშიფვრა

coding [ˈkəʊdɪŋ] 1. კოდირება; რაიმესთვის კოდის მინიჭება; 2. დაშიფვრა; 3. კოდირების სისტემა; 4. დაპროგრამება; კოდირება; 5. ი შვ. ქვეპროგრამა; პროგრამის ნაწილი.

coefficient [ˈkəʊsɪˈfɪʃənt] (აბრ. C.) 1. კოეფიციენტი; 2. ინდექსი; მაჩვენებელი; მამრავლი; 3. უგანზომილებო სტატისტიკა

coercion [kəʊsɪʃən] 1. დაძალევა; იძულება (რაიმე დანაშაულის ჩასადენად; 3. მოქმედების შეზღუდვა; 4. (ფიზიკური) დაწნევა, შეკუმშვა, კოერცია.

coexist [ˌkəʊsɪˈzɪst] (თანა)არსებობა

coffin case ამერ. საუბ. „კუბო“, გრძელი დაბალი სამაცივრო კამერა-დახლი (სასურსათო საცალო ვაჭრობაში)

cognitive dissonance [ˈkɒgnɪtɪv dɪsəʊnəns] მომხმარებელთა დაუკმაყოფილებლობა (საქონლის ყიდვის შემდეგ)

cohabitation [kəʊˌhæbɪˈteɪʃ(ə)n] თანაცხოვრება; ერთად ცხოვრება; ცოლქმრული ცხოვრება

co-heir [kəʊˈeɪ] ქონების თანამემკვიდრე (კაცი). შდრ. **coheirress** თანამემკვიდრე ქალი.

cohort [ˈkəʊhɔ:t] კოჰორტი, კონტინგენტი

coin [kɔɪn] 1. მონეტა; ხურდა; 2. მონეტთმოკრა, ფულის მოკრა

coitus ლათ. („კოიტუს“): „შეუღლება“; „შეერთება“; სქესობრივი კავშირი

cognizance [kɔɡnɪzəns] 1. კომპეტენცია; ცოდნა; 2. საქმის გაძლოდა;

3. საკითხის განსჯადობა; 4. სასამართლო გარჩევა; 5. (ფაქტის) დადასტურება; აღიარება; 5. (გარემოების) გათვალისწინება

coinage [ˈkɔɪnɪdʒ] 1. ფულის მოკრა; 2. სამონეტო სისტემა; 3. ლიტონის ფულები; ხურდა ფული

coined brand name [ˈkɔɪnd brænd neɪm] სავაჭრო მარკის ორიგინალური სახელწოდება

coinsurance [ˈkɔɪn ˈʃ(ə)rensɪ] ერთობლივი დაზღვევა (სადაც გარკვეულ პროპორციულ პროცენტს იხდიან ფირმა და პირი)

colbertism [kɔlbrɪtɪz(ə)m] ფრანგ. კოლბერტიზმი (ეკონომიკაში სახელმწიფოს ცენტრალიზებული ჩარევის პოლიტიკა)

cold [kɔʊld] ინგლ. სლენ. უნაკლოდ, შესანიშნავად (შესრულება, თამაში და მისთ.).

cold-calling [kɔʊld ˈkɔɪnɪŋ] ამერ. „ცივი ზარი“ (პროდუქციის ან მომსახურების ტელეფონით გაყიდვის მცდელობა)

collapse [kəˈlæps] 1. ჩაფარდნა, კრახი, ნგრევა; 2. მყისი ვარდნა; შემცირება.

collar [kɔlə] ამერ. ჟარგ. (პატიმართა ლექსიკა): ქართ. ჟარგ. ქსივა (წერილი ან ჩანაწერი, რომელიც ციხიდან მალულად გამოაქვთ ან შეაქვთ)

collateral [kəˈlæʃərəl] 1. მეორეხარისხოვანი; თანამდევი; 2. დამხმარე; ირიბი; 3. უზრუნველყოფა; წინანდარი; 4. ნათესაობა; (არაპირდაპირი, შორეული) ნათესავი.

collation [kəˈleɪʃən] 1. გასაყიდი ქონებრივი მასა; 2. ტექსტების შეჯერება; შესადარება; 3. მიზანმიმართა დამუშავება; სტატისტიკური ცნობა.

collect [kəˈlekt] 1. ვალის გადახდის იძულება; 2. ინკასირება; (გადასახადის) აკრება; 3. საფასურის მიღება; 4. (საწყობიდან) საქონლის წამოღება; 5. (თანხის) შეკრება; 6. ბაჟის გადახდევინება.

collection [kəˈlektʃən] 1. (მონაცემთა) დაგროვება; 2. (მონაცემთა) ნაყრები, სისტემა, ერთობლიობა; 3. ბანკ. ინკასო; 4. ბანკ. ინკასაცია; გადახდევინება; აკრება; 5. კოლექცია

co-lessee [kəˈleːsiː] თანამოიჯარე; თანამოარენდე

college [ˈkɒlɪdʒ] კოლეჯი; ამერ. უნივერსიტეტი, სპეციალური უმაღლესი სასწავლო დაწესებულება; ინსტიტუტი; კორპორაცია; Δ business - ბრიტ. კომერციული კოლეჯი; **electoral** ~ ამომრჩეველთა კოლეჯია ადამიანების ჯგუფი, რომელიც აირჩია უფრო დიდმა ჯგუფმა რათა მათ მაგივრად ხმა მისცენ არჩევნებში; **private** - კერძო კოლეჯი; **university** - უნივერსიტეტის კოლეჯი

colleger [ˈkɒlɪdʒə] 1. კოლეჯერი; იტონის კოლეჯის სტუდენტი (განსაკუთრებით მათზე, ვინც სტიპენდიას იღებს); 2. ამერ. სტუდენტი

collegian [kəˈliːdʒiən] 1. კოლეჯის სტუდენტი; 2. კოლეჯდამთავრებული ან უნივერსიტეტდამთავრებული პიროვნება

collegiate [kə'li:ʤiət] 1. კორპორაციული; კოლეგიალური; 2. საუნივერსიტეტო. **Δ - life** საუნივერსიტეტო ცხოვრება

collige ['kɒliŋ] წინააღმდეგობაში ყოფნა, კონფლიქტის აღძვრა; ინტერესების შეხება [შეჯახება]

collision [kə'liʒ(ə)n] კოლიზია; (ინტერესების) წინააღმდეგობრიობა; *სინ.* კონფლიქტი

collieshangie [.kɒli'ʃæŋi] შოტლ. ხმაურიანი დავა (მაგ., ბაზრის პირობებში)

colligation ['kɒliɡeɪʃ(ə)n] (ფაქტების) დაკავშირება, განზოგადოება (მათემატიკურ ლოგიკაში).

collogue [kɒ'li:sɪŋ] საუბ. საიდუმლოდ მოლაპარაკება

collude [kə'lu:d] შეთქმულება (მოსამართლის მოსატყუებლად).

collusion [kə'lu:ʒn] 1. კლიენტებს შორის შეთანხმება; 2. საიდუმლო შეთანხმება, შეთქმულება (მოსარჩლესა და მოპასუხეს შორის).

collusive action [kə'lu:sɪv ækʃn] კოლიზიური ქმედება - რომელსაც ადგილი აქვს მეორე მხარესთან ფარული კავშირით.

colony ['kɒlənɪ] 1. დასახლება; 2. კოლონია (სადამსჯელო).

colophon ['kɒləfəvɒn] კოლოფონი; წიგნის გამომცემლის, ავტორის, დამბეჭდავის სპეციალური ნიშანი ან ჰედ (იხ. მაგ., წინამდებარე ლექსიკონის გარეკანზე გამომცემლობა „იბერთედ-პრესის“ კოლოფონი) *სინ.* იხ. **logogram**

colo(u)r ['kɒlə] 1. მოჩვენებითობა; სიმულაცია; 2. დაღის დასმა; 3. უფლების არსებობის მოჩვენებითობა; 4. დამახინჯება (ფაქტებისა), ხელოვნურად გალამაზება, არად ჩაგდება.

combined market coverage [kəm'baɪnd mɑ:ki:t kʌvərɪdʒ] ბაზრის დაპყრობა რეკლამების კომბინირებული საშუალებებით

come [kʌm] 1. სასამართლოში გამოცხადება; 2. მოსვლა; 3. (სრულწლოვანების) მიღწევა.

comeback [kʌmbæk] (შეკვეთების) განახლება; დაბრუნება

COMECON (აბრ. **council for Mutual Economic Assistance**-დან) ეკონომიკურ ურთიერთთანამშრომლობის კავშირი. აბრ. ეუკი

comity ['kɑ:mɪti] 1. დავალება? 2. დაკისრება; 3. თავაზიანობა.

comity of nations ['kɑ:mɪti əv nɛɪʃnz] სხვადასხვა ერების უფლებებისა და ადამ-წესების ურთიერთცნობა, რომლითაც ზოგიერთ შემთხვევებში სხვა ქვეყნის სასამართლოები აღიარებენ და იყენებენ კანონმდებლობის შექმნისას.

comm [kɔ:m] აბრ.: 1. იხ. **commerce**; 2. იხ. **committee** 3. იხ. **comunion**; 4. იხ. **commercial**

command ['kɑ:mɑ:nd] 1. ბრძანება; ბრძანებულება; 2. ბატონობა; კონტროლი; 2. ბრძანება; 3. განკარგულება; 4. შეკვეთა; 5. განკარგულებაში ქონა

commencement [kɑ'mensmənt] 1. საბრალდებო აქტის საწყისი ნაწილი; 2. დასაწყისი. **date of commencement** პარლამენტის აქტის ძალაში შესვლის თარიღი.

commerce [kɑ'mɑ:nd] (ლათ.-დან commercium - ვაჭრობა) კომერცია, ვაჭრობა (ვაჭრობასთან დაკავშირებული საქმიანობა, რომელიც მოგების მიღებისთვისაა გამიზნული); ყიდვა-გაყიდვა (საქონლისა, ტექნოლოგიისა, მომსახურებისა და ა. შ.). აბრ. comm. აბრ. კომ.; **Δ domestic** - შიგა ვაჭრობა; **foreign** - გარე ვაჭრობა; საგარეო ვაჭრობა; **interstate** - აშერ. შტატთაშორისი ვაჭრობა

commercial [kɑ'mɜ:ʃəl] 1. მომგებიანი, შემოსავლიანი; რენტაბელური; 2. კომერციული; სავაჭრო; აბრ. cml; coml; comm. 3. სარეკლამო (გადაცემა); 4. სამოსამსახურო; მომსახურების(ა); 5. საწარმოო, სამრეწველო; 6. სერიული (ნაწარმის თაობაზე); 7. ტექნიკური (პროდუქციის სიწმინდის შესახებ); 8. კერძოდ ნაწარმოები; 9. ტელეზ. სარეკლამო რგოლი

commercial bank [kɑ'mɜ:ʃəl bæŋk] კომერციული ბანკი (დასაქციალიზებულია მოკლევადიანი კრედიტების გაცემაზე, დეპოზიტების მიღებაზე, შენაბრეთა მომსახურებაზე და ა. შ. იხ. აგრეთვე credit.; deposit 1). აბრ. კბ-ი

commercial banner [kɑ'mɜ:ʃəl bæŋə] სარეკლამო ტრანსპარანტი

commercial channel [kɑ'mɜ:ʃəl tʃænl] ტელეზ. კომერციული არხი. აბრ. კა

commercial development [kɑ'mɜ:ʃəl di'veləpmənt] 1. თავისუფალ ბაზარში გასაყიდი ახალი პროდუქციის დამუშავება; 2. წარმოების განვითარება კომერციული მიზნებისათვის

commercial list house [kɑ'mɜ:ʃəl list 'hʌvs] მისამართების სიის კომერციული მიმწოდებელი (უშუალო საფოსტო რეკლამირებისათვის)

commercialization [kɑ'mɜ:ʃəlɪ'zeɪʃn] კომერციალიზაცია (ახალი საქონლის შემუშავების [შექმნის] ერთი პროგრამული ფაზა, რომელიც თვალისწინებს წარმოებისა და მარკეტინგის პროგრამის შემუშავებას, ბიუჯეტის გამოყოფას ამ პროგრამისათვის)

Commission ['kɑ'mɔ:ʃən] 1. კომისია; 2. კომიტეტი. აბრ. comm. აბრ. კომიტ.; 3. რწმუნებულება; უფლებამოსილება; 4. დავალება; 5. კომისიის დადგენილება; 6. საკომისიო თანხა, ჭილდო და სხვ. **Δ Economic - for Europe** გაეროს ეკონომიკური კომისია ევროპის ქვეყნებისათვის; **Middle East** გაეროს ეკონომიკური კომისია შუა აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის; **Federal trade** - აშშ-ის ფედერალური სავაჭრო კომისია; **population** - დემ. გაეროს ქვეყნის მოსახლეობის კომისია

commission [kɑ'mɔ:ʃən] 1. მინდობილობა; სრულუფლებიანობა; 3. კომისია, კომიტეტი. რწმუნება; 2. კომრეც. დავალება; 3. იხ. **Commussion**; 4. საკომისიო გადასახადი; 5. საკომისიო გასამჭელო (მაგ. ფულადი ჭილდო); 6. თანამდებობაზე დანიშვნა; 7. იურ. მომრიგებელი მოსამართლისათვის გაცემული პატენტის (მისი სამსახურში დანიშვნისას). **Δ on** - საკომისიოდ გატანა (საქონლისა); **out of** - გაფუჭებული, დაზიანებული (მაგ., საქონლის შესახებ); **to charge** - 15% 15%-იანი საკომისიო გადასახადის აღება

commissionaire [kə'miʃə'neə] ფრანგ. 1. კომისიონერი; წარმომადგენელი; შიკრიკი; 2. კარისკაცი, შვეიცარი (მაღაზიაში, თეატრში, სასტუმროში); 3. სავაჭრო რწმუნებული

commission broker [kə'miʃən ,brəukə] მაკლერი, ბროკერი, დალალი (საკომისიო მაღაზიებში)

comissioner [kəmiʃ(ə)nə] ინგლ. 1. კომისიონერი, დამოუკიდებელი სავაჭრო შუამავალი (ბროკერი ან აგენტი, რომლის ძირითადი ასპარეზია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზარი); სპეციალური სავაჭრო რწმუნებული; 2. კომისიის წევრი; 3. იშვ. იხ. **comissionaire**

commis voyageur ფრანგ. კომიეოიაჟორი; მსხვილი სავაჭრო ფირმის მოხეტიალე წარმომადგენელი (რომელიც თან წაღებული საქონლის ნიმუშებისა და რეკლამების მეშვეობით მომხმარებელს ადგილზე სთავაზობს ფირმის ნაწარმს)

commit [kə'mit] 1. დავალების მიცემა; დავალდებულება; 2. დაფინანსება; (კაპიტალის) ჩადება; 3. მოვალეობის დაკისრება; 4. მოზიდვა (მაგ., რესურსებისა წარმოებაში გამოსაყენებლად); ჩაბმა საქმიანობაში; 5. კანონპროექტის გადაცემა; 6. დაპატიმრება.

commitment [kə'mitmənt] 1. ვინმეს დაპატიმრების ორდერი; 2. გადაცემა კანონპროექტისა პარლამენტის კომიტეტში; 3. მყიდველის ვალდებულება ფირმის წინაშე (შესყიდვის გარანტიის შესახებ); 2. ვალდებულება (მაგ., მიღებული შეკვეთების შესრულებისა, თანხის გამოყოფისა და მისთ.); 3. გადაცემა (მაგ., კანონპროექტისა უზენაეს საბჭოზე განსახილველად); 4. დანახარჯი, ხარჯი; (კაპიტალის) ჩადება; დაბანდება. - **sf**future delivery სასწრაფო შეკვეთების ვალდებულება.

committal [kə'mitl] (ვინმეს) სამართალში მიცემა ან ციხეში ჩასმა.

committee [kə'miti] კომიტეტი; კომისია; ჯგუფი; აბრ. **comm.** **Δ ~ on stock list** ფასიანი ქაღალდების კოტირებისათვის დამშვები საბირჟო კომიტეტი **ad hoc** - ლათ. სპეცკომიტეტი; **advisory** - საკონსულტაციო კომიტეტი; **auditing** - სარევიზიო კომისია; **finance** - საფინანსო კომიტეტი (კორპორაციაში); **planning** - დაგეგმვის ჯგუფი; **stock exchange** - საფონდო ბირჟის კომიტეტი; **trust** - სატრასტო ოპერაციების კომიტეტი

committens [committentis] ლათ. დავალების მიმცემი; კომიტენტი (დამსაქმებელი პირი, რომელიც ავალებს კომისიონერს, ან სხვა პირს, საქონლის იმპორტს, ექსპორტს, დაფრაბტვას და ა. შ. ხარჯებს კომიტენტი ანაზღაურებს. იხ. აგრეთვე **consignor**; **comissioner**; **freight** 2.)

commitor [kə'mitə] სულით ავადმყოფისთვის მეურვის დამნიშნული მოსამართლე.

commodification [ˌkɒmə'dɪfɪkəɪn] კომოდიფიკაცია (ფულის, როგორც საქონლის სავაჭროდ გამოყენება)

commodity [kə'mɒdɪtɪ] 1. საქონელი; 2. (ფართო) მოხმარების საგანი, პროდუქტი; 3. სამარწველო ნაწარმი (რომლის გადაზიდვას სპეციალური ტარიფით იხდიან დამატებითი მომსახურების სახით)

commodity market [ka'mɔditi mɑ:kɪt] სასოფლო-სამეურნეო და სხვა ნედლი პროდუქტების ბაზარი

commodity group [kə'mɔditi 'grʌp] საქონლის მიმწოდებელთა ჯგუფი

common-carrier ['kɒmən 'keəriə] 1. ამერ. დიდი კომერციული ავიაკომპანია, „მეტლე“; 2. განუსაზღვრელი კრედიტის გამღები ბანკი

common law [ˌkɒmən lɔ:] ზოგადი სამართალი; კანონთა საერთო სისტემა.

common-law marriage [ˌkɒmən lɔ:merɪdʒ] ქორწინება რეგისტრაციისა და ჯერისწერის გარეშე.

common-law wife ['kɒmən lɔ:waɪf] ქალი, რომელიც კაცთან ცხოვრობს, მაგრამ არ არიან დაქორწინებულები.

common wealth ['kɒmənweɪθ] 1. თანამეგობრობა; კავშირი; 2. ფედერაცია; რესპუბლიკა; სახელმწიფო; 3. ამერ. შტატი

commonwealth of independent states ['kɒmənweɪθ] (საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოქმნილი); 1. დამოუკიდებელი სახელმწიფო ან რესპუბლიკა; 2. ფედერაციული რესპუბლიკა; ფედერაციაში შემავალი სახელმწიფო

communiorientes ['kɒmjuəriəntɪs] ადამიანები, რომლებიც ერთდროულად იღუპებიან (მაგ., ავარიის შედეგად).

comms [kɒmz] (აბრ.) იხ. **communication**

communa bonorum ლათ. („კომუნა ბონორუმ“): „ქონების ერთობლიობა“

communication [kəmjʊnɪkəɪʃn] 1. კომუნიკაცია; კავშირგაბმულობა; საინფორმაციო კავშირი; 2. ინფორმაციის გაცემის სისტემა; ურთიერთობის ქონა; 3. pl. ინფორმაციის გაცემისუნარიანობა

community newspaper [kə'mju:nɪti ,nju:spɛɪpə] სათემო გაზეთი

commutation [ˌkɒmjʊtɪʃn] 1. მკაცრი განაჩენის ნაკლებად მკაცრით შეცვლა; სასჯელის შემსუბუქება; 2. ერთი ტიპის გადასახადის სხვა ტიპის გადასახადით შეცვლა.

commute [kə'mju:t] 1. ერთდროული გადასახადი; 2. სახლიდან სამსახურში ყოველდღე სიარული (ან მგზავრობა); 3. სასჯელის შემსუბუქება.

company [kʌmpəni] 1. კომპანია; სააქციო საზოგადოება (იხ. სინ. **joint-stock company**); 2. კორპორაცია; ფირმა

company price image ['kʌmpəni praɪs ɪmɪdʒ] ფირმის „ფასდაწესებითი“ სახე (ფასის დონით განსაზღვრული სახე)

company sales potential ['kʌmpəni seɪls pə'tenʃəl] ფირმის საქონლის გაყიდვის პოტენციალი

company vision ['kʌmpəni vɪʒən] ფირმის (კომპანიის) „სახისმეტყველება“ (ფირმის სახისა და შემოქმედების სტრატეგიული ჩანაფიქრი)

comparable [ˈkɑmpərəbəl] 1. შედარებადი; 2. დაპირისპირებადი

comparative [kəmˈpærətɪv] შედარებითი; შეფარდებითი

comparative law [kəmˈpærətɪv lɔː] შედარებითი სამართალი. სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივი სიტემების შესწავლა.

compare [kəmˈpeɪə] 1. შედარება; პარალელის გავლება; 2. (to) გაიგივება

comparison [kəmˈpærɪs(ə)n] 1. იხ. **compare** 1.; 2. დაპირისპირება; 3. pl. ინფორმაციის პერიოდული გაცვლა (ურთიერთხელსაყრელი კონტრაქტების ან შეთანხმებებისათვის)

compel [kəmˈpeɪl] 1. დაქვემდებარებაში მოქცევა; იძულება; 2. იძულებით გაკეთებინება; 3. მორჩილების მიღწევა; 4. ჩაჩუმება; გაჩუმება (გააჩუმა მან ის).

compensation [ˌkɒmpenˈseɪʃn] 1. კომპენსირება; ანაზღაურება; (მოშახურების) გადახდა; 2. აქერ. შემოსავალი; ხელფასი; დაწილდობა; 3. დახმარება; 4. გაწონასწორება

competition [ˌkɒmpɪˈtɪʃn] 1. კონკურენცია, კონკურენტული ბრძოლა; 2. შეჯიბრება

competition analysis [ˌkɒmpɪˈtɪʃnəʊlɪsɪs] სამრეწველო ჯამუშობა; საკონკურენტო ანალიზი

competitive [kəmˈpetɪtɪv] კონკურენტუნარიანი; კონკურენტული. **Δ** - **advantage** კონკურენტუნარიანი უპირატესობა (არსებულზე უფრო დაბალი თვითღირებულების საქონლის წარმოებისთვის); ~ **behaviour** კონკურენტული ქცევა; კონკურენტის ხასიათი; ~ **bid** კონკურენტის განცხადება; კონკურენტუნარიანობის განაცხადი (მიმწოდებელი ფირმისა მთავრობის განცხადების საპასუხოდ); ~ **bidder's list** მთავრობის შეკვეთის შემსრულებელი ფირმების სია; ~ **capacity** კონკურენტუნარიანობა; ~ **checks** (pl.) კონკურენტის მაკავებელი ფაქტორი; ~ **environment** კონკურენტული გარემოცვა; ~ **impact** კონკურენტუნარიანობის ზემოქმედება; ~ **parity method** კონკურენტის მაწონასწორებელი ხერხი (ფირმის სარეკლამო ბიუჯეტის განსაზღვრის მეთოდი, რომელიც ორიენტირებულია მოცემულ დარგში ლიდერი ფირმა-რეკლამატორის ბიუჯეტზე); ~ **pressure** კონკურენტი-ფირმებისაგან დაწოლა

competitor [kəmˈpetɪtə] კონკურენტი; მეტოქე; მოწინააღმდეგე. **Δ** **to outbid the** ~ კონკურენტზე უკეთესი პირობების შეთავაზება; **to outperform the** ~ კონკურენტის ჯობნა (აძლევა); კონკურენტის დაჯანა (კომერციულ საქმიანობაში); **aggressive** ~ (ბაზარზე) მკაცრად მებრძოლი კონკურენტი; **would-be** ~ სპოტენციალური კონკურენტები

compilation [ˌkɒmpɪleɪʃn] 1. (ფაქტების, სტატისტიკური მონაცემების და სხვა.) შეგროვება; დაგროვება; მოპოვება; მოყრება; 2. (ცნობარების და სხვ.) შედგენა

compiler [ˌkɒmpaɪlə] 1. შემდგენი, კომპილატორი; 2. პროგრამა-კომპილატორი

complain [ˌkəmˈpleɪn] 1. სარჩელის აღძვრა; 2. საქმის აღძვრა; 3. პრეტენზიის გამოხატვა (მიცემა); რეკლამაციის წაყენება; გასაჩივრება

complainant [ˈkəmˈpleɪnənt] 1. მომჩივანი; მოსარჩლე; 2. რეკლამაციის წარმდგენი ორგანიზაცია ან პიროვნება

complaint [kəmˈpleɪnt] პრეტენზია; რეკლამაცია; საჩივარი

complement [ˌkɒmplɪmənt] 1. შტატი; პირადი შემაღვენლობა; 2. კომპლექტი; 3. დამატება; 4. ნორმამდე შემესები რაოდენობა; 5. pl. შემესები რიცხვები.

complementary [kɒmplɪˈmentəri] დამატებითი (მაგ., საქონელი), კომპლემენტარული

complete [kəmˈpli:t] 1. სრული; მთელი; დამთავრებული; 2. დაკომპლექტებული; 3. დამთავრება; დასრულება; 4. დაკომპლექტება

completion [kəmˈpli:ʃn] 1. კომპლექტი; 2. შევსება (მაგ., სიისა, ჩამონათვალისა და მისთ.); 3. იხ. complete 3; 4. სრულყოფილების მიღწევა

complex [ˈkæmpleks] 1. კომპლექსი; ერთობლიობა; 2. კომპლექსური; შედგენლი; რთული

complexity [ˈkæmˈpleksɪti] 1. სირთულე; 2. სირთულის მაჩვენებელი

compliance [kəmˈplaɪəns] 1. თანხმობა; 2. დათანხმება; 3. (სამართლებრივი ნორმების) მოთხოვნების დაცვა.

compliant [kəmˈplaɪnt] დამთმობი; დამყოლი.

comply [kəmˈplaɪ] შესრულება (გადაწყვეტილებისა, ბრძანებისა და სხვ.).

component [kəmˈpəʊnənt] 1. კომპონენტი; შემაღვენელი ნაწილი; 2. დეტალი; კვანძი, ბლოკი; მაკომპლექტებელი ნაწარმი

composition [ˈkɒmpəzɪʃn] 1. კომპრომისული შეთანხმება მოვალესა და კრედიტორს შორის ვალის დაუყოვნებლივ გადახდის შესახებ; 2. აღნაგობა, სტრუქტურა; შემაღვენლობა; 3. კომპრომისული შეთანხმება (გადამხდელისა კრედიტორებთან)

compos mentis ლათ. („კომპის მენტის“): „სალი გონების მქონე“, „ნორმალური“, „შერაცხადი“.

compounder [ˈkɒmpaʊndə] შეამაეალი; შემრიგებელი, საქმის მომგვარებელი.

comptroller [kənˈtraʊlə] 1. მაკონტროლებელი, კომპტროლერი (საფინანსო საქმიანობაში); 2. აშერ. კონტროლიორი; 3. მთავარი ბუღალტერ-კონტროლიორი

computer [kəmˈpjʊ:tə] (აბრ. C) 1. კომპიუტერი (გამომთვლელი მანქანა, გამოთვლითი მოწყობილობა, სამართავსაანგარიშო ავტომატიზებული მანქანა); 2. გამოთვლელი; მოანგარიშე. **A digital** - ციფრული კომპიუტერი; **personal** - პერსონალური კომპიუტერი აბრ. პერკო (ტერმინი პერკო შემოვიტანეთ 1990 წ.; იხ. სსსრ მეცნ. აკად. „მოამბე“; ტ. 137, № 1)

computerization [kəmˈpjʊtəraɪˈzeɪʃn] კომპიუტერიზაცია, კომპიუტერული აპარატულ-პროგრამული საშუალებების დანერგვა (წარმოებაში, ეკონომიკაში)

comr. (აბრ.) იხ. **commissionaire** 1.

con [kʌn] *სლენგ.* მოტყუებით ვინმესგან ფულის მიღების მცდელობა
conceal [kən'si:ɪ] 1. ინფორმაციის დამალვა; 2. ნივთის ან საგნის (მაგ., იარაღის) გადამალვა.

concealment [kən'si:lment] დანაშაულებრივი მიზნით დამალვა.

concealment of birth [kən'si:lment əv bɜ:θ] ბავშვის დაბადების ფაქტის დამალვის რეგისტრირებადი დანაშაული.

concede [kən'si:d] 1. დათმობა; აღიარება (მაგ., მოწინააღმდეგე მხარის სისწორისა); 2. აწონ-დაწონვა; განხილვა.

concept ['kɒnsept] 1. კონცეფცია; ცნება; პრინციპი; 2. შეხედულება; იდეა

concentration [,kɒnsən'treɪʃn] 1. თავმოყრა; კონცენტრაცია; 2. (გეგმების) შეთანხმება

conceptualization [kɒn,septʃʌlɪzɪʃn] ჩანაფიქრის განხორციელება, გეგმის დამუშავება (დანაშაულის გასახსნელად); კონცეპტუალიზაცია

concept ['kɒnsept] კონცეფცია; გაგება; პრინციპი

conception [kən'sepʃn] 1. გაგება 2. კონცეფცია; 3. ჩასახვა (მაგ., ბავშვისა ქორწინებამდე).

concern [kən'sɜ:n] *ინგლ.* 1. კორნცერნი; სხვადასხვაგვაროვანი დაწესებულებების (საწარმოები, ბანკები, საეაქრო ფირმები, საფინანსო და სატრანსპორტო კომპანიები), სამრეწველო და საბანკო კაპიტალის შერწყმითი ერთობლიობა [გაერთიანება]; კ.-ში შემავალი საწარმოები ტრესტისაგან განსხვავებით დამოუკიდებელი არიან, მაგრამ ერთიან ფინანსურ კონტროლს ექვემდებარებიან (იხ. აგრეთვე trust); 2. დაწესებულება; საწარმოო გაერთიანება; ფირმა; 3. მონაწილეობა; ინტერესი; 4. საქმის ან კავშირის ქონა.

concert [kən'sɜ:t] 1. შეთანხმება; თანხმობა; 2. მოლაპარაკება, როდესაც რამდენიმე ადამიანი ან, კომპანია საიდუმლოდ მოქმედებენ სხვა კომპანიის ხელში ჩასაგდებად.

concession [kən'seʃn] 1. ბიზნესის მიზნებისათვის სხვისი ქონების გამოყენების უფლება (მაგ., მიწის ნაკვეთზე საბადოს მოპოვების უფლება); 2. ადგილზე პროდუქციის ერთადერთ გამყიდველად ყოფნის უფლება; 3. ფასჩამოკლება; დათმობა; 4. კონცესია: ა) კერძო მეწარმესთან ან უცხოურ ფირმასთან სახელმწიფოს ან მუნიციპალური ხელისუფლების მიერ დადებული ხელშეკრულება საწარმოების, მიწის და სხვათა გარკვეული ვადით ექსპლუატაციის შესახებ; ბ) კონცესიით შემქნილი საწარმო

concessioner [kən'seʃnə] კონცესიონერი (კონცესიის მიმღები ურდიული ან კერძო პირი); კონცესიის მფლობელი (იხ. concession)

conciliation [kən,sɪl'i'eɪʃn] არბიტრაჟული შერიგება (იხ. აგრეთვე arbitrage).

conciliator [kən'sɪliətə] მომრიგებელი შუამავალი.

concise [kən'saɪs] მოკლე; შემოკლებული

conclusion ['kɒn'klu:ʒən] 1. დასკვნა; 2. გადაწყვეტილება; 3. დამთავრება; დაბოლოება; 4. უფლების ჩამორთმევა

conclude [kən'klu:d] 1. ხელშეკრულების დადება; 2. დასკვნის გამოტანა; 3. დასრულება; 4. წარმატებით; დამთავრება; 5. (სასამართლოზე) რაიმეს უარყოფის აკრძალვა.

conclusive [kən'klu:sɪv] დასკვნითი (ნაწილი); გადამწყვეტი, უდავო (ფაქტი).

concretion [kən'kri:ʃn] შეზრდა

concur [kən'kɜ:] 1. დათანხმება. ურთიერთშეთანხმება; 2. თანხედრობა (მაგ., ხდომილობისა).

concurrence [kən'kʌrəns] 1. შეთანხმება; 2. დამთხვევა; 3. ხელშეწყობა.

concurrent [kən'kʌrənt] 1. თანამდევი; ერთდროულად მოქმედი; 2. პარალელური; 3. ურთიერთდამოკიდებული.

concuss [kən'kʌs] იძულება; დაძალება.

condemnation [ˌkɒndə'mneɪʃn] 1. განაჩენის გამოტანა; 2. ქონების კონფისკაცია; ყადაღის დადება; 3. სარჩელის მიუღებლობა; 4. წუნდება.

condemnatory [kən'demntɔ:ri] სიკვდილით დასჯის გადაწყვეტილების მიღება.

condition [kən'diʃ(ə)n] 1. პირობა; დათქმა; 2. კონდიცია; 3. პირობის დაყენება; 4. განპიროვნებულობა; 5. არსებითი პირობა (მაგ., გაუქმებისა). 3. მდგომარება; მდებარეობა; 4. განპირობებულობა; 5. pl. პარამეტრები მახასიათებლები; 6. კონდიციამდე დაყვანა; 7. რეჟიმი; 8. სიტუაცია

conditioning [kən'diʃniŋ] 1. სათანადოდ დადგენილ მდგომარეობაში მოყვანა; კონდიცირება; 2. პასპორტიზაცია (მაგ., დანადგარისა)

condo ['kɒndəʊ] იხ. **condominium**

condominium [ˌkɒndə'mɪniəm] ამერ. კონდო, კონდომინიუმი (მრავალსართულიანი, მრავალბინიანი სახლი, რომელშიც მისი მფლობელები ცხოვრობენ, ამასთან მიწა, სადაც სახლი დგას, ყველა მფლობელთა საერთო საკუთრებაა)

condone [kən'dəʊn] პატიება; გამართლება (მაგ., ფასის ზრდისა)

conducive [kən'dʌktɪv] 1. ხელის შემწყობი; 2. რაიმეს გამოშწვევი.

confer [kən'fɜ:] 1. ვინმესთვის ძალაუფლების ან პასუხისმგებლობის მინიჭება; 2. მოთათბირება; მოლაპარაკებების გაძღოლა

confer ლათ. („კონფერ“) „შეადარე“. შედარება; შეჯერება (ფაქტებისა).

conference ['kɒnfrəns] 1. თათბირი; კონფერენცია; 2. გემთმფლობელთა კარტელური შეთანხმება

confess [kən'fes] დანაშაულის აღიარება.

confide [kənfaɪd] დაეალება; მინდობა; საქმის მიჩენა, დასაქმება

confidential [ˌkɒnfɪˈdenʃəl] 1. კონფიდენციალური, საიდუმლო; 2. „გახმაურებას დაუქვემდებარებელი“

confine [ˈkɒnfɑɪn] დამნაშავის დამწყვედევა საკანში ან ოთახში.

confirm [kənˈfa:m] დამტკიცება; დასაბუთება; ნების დართვა; რატიფიცირება

conformance [kənˈfɑ:məns] წესის შესაბამისად მოქმედება; კონფორმიზმი.

confirmatio ლათ. („კონფირმაციო“): „დამტკიცება“; „დასაბუთება“

conformism [kənˈfɔ:mɪzəm] (ლათ.-დან **conformis** მსგავსი; შესაბამისი; შესატყვისი) შემგუებლობა; შემთანხმებლობა; (არსებული წესების, გაბატონებული აზრის და სხვათა) პასიური მიღება; პირადი პოზიციის უქონლობა

conformity [kənˈfɔ:mɪti] 1 შესაბამისობა; შესატყვისობა; 2. დაქვემდებარება.

confrere [kənˈfrea] (ერთი და იგივე პროფესიის) პირთა ამხანაგობა, ჭკუფი; კოლეგები

confusion [kənˈfju:ʒn] 1. უწყნარიგობა; არეულობა; 2. ჩარევა; (ერთ მასად) გაერთიანება; წარაცვლება;

congestion [kənˈdʒestʃən] ქაბზმოსახლეობა; ქაბზდასახლება; გადატვირთულობა

conglomerate [kənˈglɒməɪt] (ლათ.-დან **conglomeratus** შეგროვებული, შეკრებილი; თავმოყრილი) 1. კონგლომერატი; რამდენიმე კომპანიისაგან შემდგარი მსხვილი კორპორაცია. იხ. აგრეთვე **corporation**); 2. კონგლომერატი; სხვადასხვა ტიპის ნაწილებს ან საგნების შემთხვევითი თავმოყრა

conjecture [kənˈdʒektʃə] 1. სტატ. სავარაუდო გამოთვლა; 2. ვარაუდი

conjunction [kənˈdʒʌŋktʃən] კონიუნქტურა; შექმნილი ვითარება (საქონლის დამახასიათებელ ნიშანთისებებათა ერთობლიობა დროის მოცემულ მომენტში; ფასების მოძრაობა, ფასიანი ქაღალდების კურსი, მოთხოვნილება, პროდუქციის რაოდენობა, ბაზრის პირობები, მოგების პროცენტები და სხვ.)

con-man [ˈkɒnmæn] ბრიტ. საუბ. კონმენი (ვინმეს ნდობით მოსარგებლე პირი, რომელიც ადლითობით შოულობს ფულს). ტერმინი აკრონიმია სიტყვებიდან **confidene man** თაღლითი, აფერისტი.

connaissance (ფრანგ.-კონოსემენტი) იხ. **bill of lading**

connection [kəˈnekʃən] 1. კონტაქტი; კავშირი; 2. შეერთება; მიერთება; 3. ჩართვა; 4. pl. ნათესაეები; ნათესაური კავშირები

connectivity [ˌkɒnektɪˈvɪti] კონექტიურობა (სხვადასხვა ტიპის კომპიუტერის ან კომპიუტერული სისტემის მუშაობის თავსებადობა), (კომპიუტერთაშორისო) ინტერკომუნიკაცია

con queen [kənˈkwi:n] ამერ. ჟარგ. (პატიმართა ლექსიკა): ქალი-დეტექტივი (გამომძიებელი).

consanguineous [ˌkɒnsæŋˈɡwɪniʊs] ნათესაური; სისხლით ნათესაური; ერთი სისხლის(ა)

consecutive [kən'sekjʊtɪv] მომდევნო; ერთი მეორის მიყოლებით (მაგ., გამოტანილი განაჩენის შესახებ).

consenscence [ˌkɒnsɪ'nesns] დაბერება

consensual [kən'sensʊəl] კონსენსუალური; შემთანხმებლური

consensus კონსენსუსი; შეთანხმება; ურთიერთშეთანხმება; ურთიერთშეთანხმებულობა (მაგ., ხელშეკრულების მუხლზე)

consent [kən'sent] 1. თანხმობა; 2. ნებართვა

consequency ('kɒnsɪkwəns] 1. შედეგი; რეზულტატი; 2. დასკვნა; 3. შესაძლებლობა; მნიშვნელობა; 4. გავლენიანი მდგომარეობა; მაღალი პოსტი

conservancy [kən'sɑ:vənsɪ] 1. ნაოსნობისა და თევზჭერის მარეგულირებელი კომიტეტი; 2. ბუნების დაცვა

conservation [ˌkɒnsə'veɪʃn] 1. შენახვა; კონსერვაცია; 2. იხ. **conservancy**-.

conservationist [ˌkɒnsə'veɪʃnɪst] ბუნების დაცვის საპეციალისტი

conservative [kən'sɑ:vətɪv] 1. დამკავი; 2. კონსერვატიული; 3. მისაღები (მაგ., ფასი); დადაბლებული

consideration [kən,sɪdə'reɪʃn] 1. განხილვა; მსჯელობა; 2. შეხედულება; 3. ანაზღაურება; კომპენსაცია; 4. შემხვედრი დაკმაყოფილება

consign [kən'saɪn] 1. გაგზავნა (საქონლისა და სხვ.); 2. გადაცემა; დავალება

consignation [ˌkɒnsɪ'gneɪʃn] (ლათ.-დან **consignatio** „კონსიგნაცია“-წერილობითი დასტური, დოკუმენტი) 1. საგ. ეკ. ურთ. კონსიგნაცია (საზღვარგარეთ საქონლის გაყიდვის ფორმა, რომლითაც საქონლის პატრონი-კონსიგნანტი, თავის საქონელს სარეალიზაციოდ უგზავნის უცხოეთში მყოფ კომისიონერს-კონსიგნატორს. იხ. **consignor**, **consignee**); 2. საქონლის გაგზავნა საკონსიგნაციოდ

consignee [ˌkɒnsaɪ'ni] საგ. ეკ. ურთ. კონსიგნატორი, ტვირთის ადრესატი, ტვირთმიმღები (იხ. აგრეთვე **consignation** 1.); საცალო საქონლით ვაჭრობის შუამავალი (მას საქონელი არც შეუძენია არც მისი მფლობელია, მაგრამ აქვს სათავსი, გაყიდვის ორგანიზატორია, რისთვისაც საკომისიო შემოსავალს ღებლობს იხ. აგრეთვე **consignor**)

consigner [kən'saɪnɪ] იხ. **consignor**

consignor [kən'saɪnɪ] საგ. ეკ. ურთ. კონსიგნანტი, საზღვარგარეთ გასაგზავნი (ან გაგზავნილი) საქონლის მფლობელი; ტვირთის გამგზავნი. იხ. აგრეთვე **consignation** 1. **consignee**); 2. კომიტენტი (იხ. **committens**)

consignment [kən'saɪnmənt] 1. საქონლის პარტია; ტვირთი; 2. საქონლის გაგზავნა; ტვირთის გაგზავნა; 3. იხ. **consignation** 1.

consistency [kən'sɪstmənsɪ] 1. თანმიმდევრობა; 2. მუდმივობა; სტაბილურობა; მდგრადობა; 3. შეთანხმებულობა; თავსებადობა; 4. საფუძვლიანობა, საბუთიანობა

consols [kən'sɔ:ls] ინვლ. კონსოლიდებული რენტა, კონსოლი

consortes litis ლათ. („კონსორტეს ლიტის“): მომჩივანი მხარეები; დავის მონაწილენი

consortium [kən'sɔ:tɪəm] (ლათ.) მონაწილეობა; კონსორციუმი (სამრეწველო მონოპოლიების ან მსხვილი ბანკების დროებითი გაერთიანება საქმიანი ოპერაციების ჩასატარებლად, მაგ., ინჟინირინგის სამუშაოებისათვის. იხ. აგრეთვე **engineering**)

constable ['kɒnstet] დაფუძნება, დადგენა; დაწესება.

constituency [kən'stɪtʃənsɪ] 1. საარჩევნო ოლქი; 2. საუბ. კლიენტურა, კონტრაგენტები (კომერციული უზნებისა)

constituent [kən'stɪtʃənt] ამომრჩეველი; საარჩევნო ოლქში მცხოვრები.

constitute [ˌkɒnstɪtʃu:t] წარმოადგენს; შეადგენს.

constitution [ˌkɒnstɪ'tʃʊ:ʃən] 1. ქვეყნის ძირითადი კანონი, კონსტიტუცია; 2. ასოციაციის, საზოგადოების ან კლუბის წერილობითი წესები; წესდება; დებულება; 3. წარმოქმნა; შექმნა; დაფუძნება; 4. მოწყობილობა; შედგენილობა.

constrain [kən'streɪn] 1. იძულება; 2. ციხეში ჩასმა; 3. შეკავება; 4. დაკავება.

constraint [kən'streɪnt] 1. იძულება; შეზღუდვა; 2. შემზღუდველი კავშირი; 3. პირობები (მაგ., ეკონომიკური შეზღუდვებისა)

construction [kən'strʌkʃən] 1. ახსნა; ახსნა-განმარტება; 2. პროგრამის შედგენა; 3. **close construction** შეზღუდული (რესტრიქციული) ახსნა. Δ **correct** ~ სწორი განმარტება.

construe [kən'stru:] სიტყვების ან დოკუმენტის მნიშვნელობის განმარტება.

consul ['kɒnsəl] კონსული.

consular ['kɒnsjʊlə] კონსულის(ა); საკონსულო (კონსულისათვის).

consulate ['kɒnsjʊlɪt] კონსულის სახლი ან სამუშაო ადგილი.

consume [kən'sju:m] 1. მოხმარება; 2. ხარჯვა

consummation ['kɒnsə'meɪʃən] 1. საბოლოო გაფორმება; დამთავრება; 2. მოქმედებაში შეყვანა, კონსუმაცია

consumer [kən'sju:mə] 1. მომხმარებელი; 2. აბონენტი. Δ ~ **acceptance** მომხმარებლის მიერ მიღება (მაგ., საქონლისა, საგნისა, რჩევისა, იდეისა და სხვ.); ~ **advertisement** ფართო მომხმარებლისათვის გათვლილი სარეკლამო განცხადება; ~ **behaviour** მომხმარებლის (მო)ქცევა; ~ **confidence index** სამომხმარებლო დამაჯერებლობის მაჩვენებელი (ზიჩიჯანის) უნივერსიტეტის ყოველწევარტალური ღონისძიების შედეგები; ~ **goods advertiser** ფართო მოხმარების საგნების რეკლამის შემქმნელი (ფირმა); ~ **goods fair** ფართო მოხმარების საგნების ბაზარი; ~ **guide** სამომხმარებლო სახელმძღვანელო; ~ **information** სამომხმარებლო ინფორმაცია; ~ **interest group** მომხმარებლის ინტერესების დაცვის ჯგუფი (იხ. აგრეთვე **consumerism**); ~ **jury** სამომხმარებლო ეიური; ~ **list** მომხმარებელთა სია; ~ **market-place** სამომხმარებლო ბაზარი; სამომხმარებლო

რებლო ბაზრის სურათი; ~ -oriented firm ფართო მომხმარებლის გემოვნებაზე ორიენტირებული საქონლის გამომშვები ფირმა; ~ preferences (pl.) სამომხმარებლო უპირატესობის მინიკება; ~ price index სამომხმარებლო ფასების მაჩვენებელი; - Protection Agency მომხმარებლის დაცვის სააგენტო (აშშ); psychologist მომხმარებლის ქცევის (შემსწავლელი) ფსიქოლოგი; ~ -purchase diary მომხმარებლის საყიდლების დღიური; ~ -research firm სამომხმარებლო მოთხოვნილების შემსწავლელი ფირმა; ~ respondent გასაღების სტიმულირების პროგრამაზე გამომხმარებელი მყიდველი; ~ specialty catalog მომხმარებლის სპეციალიზებული კატალოგი

consumerism [kən'sju:mərizm] ამერ. კონსუმერიზმი (მომხმარებელთა საპროტესტო მოძრაობის ფორმა, ბაზარზე ხელოვნურად წარმოქმნილი (საქონელ) გაცვლების უსამართლო თანაფარდობის აღმოსაფხვრელად, იმპორტის გაზრდის, ექსპორტის შემცირების და სხვა გზით ბაზრის გაყვრებისათვის)

consuming capacity [kən'sʌmɪŋ kə'pæsɪtɪ] მომხმარებლის შესაძლებლობა, უნარიანობა

consumption [kən'sʌmpʃən] 1. მოხმარება; 2. ხარჯვა; დახარჯვა

consumption curve [kən'sʌmpʃən kʌɪv] მენეჯ. მოხმარების მრული, მოხმარების დიაგრამა

contact ['kʌntækt] 1. კავშირი; კონტაქტი; 2. დაკავშირება; კონტაქტში შესვლა

contagium vivum ლათ. („კონტაგიუმ ვივუმ“); ცოცხალი კავშირი (აქ: ცოცხალი სიტყვის, დიალოგის გადამღები ძალა)

container [kən'teɪnə] სათავსი; კონტეინერი; ტარა

container premium [kən'teɪnə 'premiəm] შეფუთვის პრემია (უშუალო დაჭილდოების სახე)

contamination [kən,tæmɪ'neɪʃən] (გარემოს) დაბინძურება, დაქუცყიანება

containerization [kən,tɛɪnəraɪ'zeɪʃn] კონტეინერიზაცია; საქონლის გადაზიდვა სპეციალური კონტეინერით

contango [kən'tæŋɡəʊ] 1. რეპორტი. საგარიგებო ანგარიშსწორების გადავადება; 2. გამყიდველის მიერ დამატებული პროცენტი (გადახდის გადავადების გამო); 2. კონტანგო (ნაღდი საქონლის ფასის ნამატი ხანგრძლივი დროით გარიგებებისას, რასაც ბროკერი იხდის. იხ. broker); 3. საქონლის გაყიდვისა და გარკვეული დროის შემდეგ იმავე საქონლის შესყიდვის ორმაგი გარიგება; 4. რეპორტი: ა) საფონდო გარიგების ანგარიშსწორებია გადავადება; ბ) ფასნამატიამგვარი გარიგებისათვის.

contemnor [kən'temə] პირი, რომელიც სასამართლოსადმი უპატივემლობის დანაშაულს ჩადის.

content [kən'tent] 1. ტევადობა; 2. შემცველობა (მასალისა, კიმიური შედგენილობისა და ა. შ.); შიგთავსი; 3. (წერილის) შინაარსი.

contest [kən'test] 1. შეჯიბრი; 2. დავა

contestant [kən'tesnt] 1. კონკურენტი, მკონკურირებელი ფირმა; 2. შეჯიბრის მონაწილე

context ['kɒntɛkst] სიტყვასთან ან ფრაზასთან მყოფი სხვა სიტყვები; ზოგადი სიტყვითი სიტუაცია

contingencies [kən'tɪndʒnsɪ] 1. დამატებითი გაუთვალისწინებელი გარემოებები (გარიგებებისას); 2. გაუთვალისწინებელი ხარჯები

contingent [kən'tɪndʒnt] კონტინგენტი

continuation [kən'tɪnjʊ'eɪʃn] 1. გაგრძელება; 2. დამატება; 3. იხ. **contango**

continuity series ['kɒntɪnju:ɪ sɪrɪ:zɪ] პირდაპირი მარკეტინგით ავტომატურად ვავრცელებული საქონლის სერია

conto corrente იტალ. („კონტო კორრენტე“) ბანკ. მიმდინარე ანგარიში, კონტოკორენტე (ბანკის მიერ კლიენტის დავალებით ჩატარებული ყველა ოპერაციის აქტიური ანგარიში)

contra ['kɒntɹə] 1. კონტრა, საწინააღმდეგო; 2. წინააღმდეგი; განსხვავებული.

contra account ['kɒntɹə ə'kaʊnt] საპირისპირო ანგარიში ანგარიში, რომელსაც მერვე ანგარიშის ბალანსი გამოჰყავს.

contract [kən'tɹækt] 1. საგ. ეკ. ურთ. კონტრაქტი; ხელშეკრულება; ნარდი; 2. ხელშეკრულების დადება (ან გაფორმება); მორიგება, მორიგების მიღწევა; 3. (ეკონომიკის დაცემის ტემპის) შემცირება, შენელება. Δ - awarded დადებული კონტრაქტი

contractor [kən'tɹæktɔ] 1. მენარდი; 2. კონტრაქტენტი (იხ. **contrahent**); 3. დამმუშავებელი; დამამზადებელი ფირმა

contractual [kən'tɹæktʃʊəl] სახელშეკრულებო; ხელშეკრულების(ა); ხელშეკრულებით გათვალისწინებული

contractual vertical marketing system კონტრაქტით საქონლის განაწილების ვერტიკალური მარკეტინგული სისტემა (სისტემა, რომელშიც დამოუკიდებელი ფირმები შეთანხმდნენ ოპტიმალური განაწილებისათვის)

contradict(ion) [kən'tɹə'dɪkʃn] 1. (ლათ. **contradiction**-დან „საწინააღმდეგოს თქმა, შეწინააღმდეგება“) შეუსაბამობა; წინააღმდეგობა; 2. უარყოფა (მაგ., მეთოდისა)

contradiction in adjecto ლათ. („კონტრადიქციო ინ ადიექტო“): შეუსაბამობა განსაზღვრებაში (აქ: საგნის განსაზღვრა შეუსაბამო ზედსართავით. მაგ., ჰუმანისტი მკვლელი კაცისა)

contrafactio ლათ. („კონტრაფაქციო“): კონტრაფაქცია; სააქტიურო უფლებების დარღვევა; ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევა.

contrahent ['kən'tɹəhɛnt] (ლათ.-დან **contrahens**; **contrahentis** ხელშეკრულების დამდებნი) ინგლ. კონტრაქტენტი; კონტრაქტის ხელმოწერაში მონაწილე ყოველი მხარე; საეკონომიკო (ან სხვა ტიპის) ხელშეკრულების მონაწილე; (ურთიერთ)შემათანხმებელი (იხ. აგრეთვე **contractor** 1.)

contra jus et fas ლათ. („კონტრა იუს ეტ ფას“): „კანონისა და სამართლიანობის საწინააღმდეგოდ“

contrapose [ˌkɑntɹəˈpəʊz] (ურთიერთ) დაპირისპირება

contraposition [ˌkɑntɹəpəˈzɪʃn] 1. კონტრაპოზიცია; 2. დაპირისპირება; ანტითეზა. Δ in ~ [of|with] (რაიმეს ან ვინმეს) საპირისპიროდ, საწინააღმდეგოდ

contra proferentem ლათ. სინტრა პროფერენტემ): „მის წინააღმდეგ, კინც ამტკიცებს“. წესი იმის შესახებ, რომ დოკუმენტში რაიმე ორაზროვნება განიმარტება იმ მხარის საწინააღმდეგოდ, რომელმაც იგი შეადგინა.

contraria contraries sunt remedia ლათ. („კონტრარია კონტრარიეს სუნტ რემედია“): საწინააღმდეგო საწინააღმდეგოს წამალი (აქ: ხიდან სოლს სოლითვე ამოაგდებენ)

contra sextum (praecceptum) ლათ. („კონტრა სექსტუმ“): მეექვსე ცნების საწინააღმდეგოდ

contravene [ˌkɑntəˈvi:n] დარღვევა (წესებისა, წესდებისა და სხვათა) და მათ წინააღმდეგ წასვლა.

contribution [ˌkɑntɹiˈbjʊʃn] 1. დახმარება; ხელის შეწყობა; 2. წვლილი; 3. შესატანი; 4. გადასახადი; გამოსაღები, მოსაკრებელი; 5. კონტრიბუცია; გადასახადი; 6. მთლიანი მოგება; შემოსავალი (ნაუკრისა და ცვლად დანახარჯს შორის სხვაობის შედეგი); 7. წვლილის შეტანა

contribution margin [ˌkɑntɹiˈbjʊʃn mɑːdʒɪn] მოგების მარაგი; საქონლის თვითღირებულების ცვალებადობისაგან დამოუკიდებელი შემოსავალი [მოგება]

contributor [kənˈtrɪbjʊtə] 1. კონტრიბუტორი (საერთო მიზნისათვის სხვა პირისათვის თანხის მიმცემი, პირი; დახმარების აღმომჩენი; ამ მიზნით აქციების გადამცემი ან აქციების მყიდველი); 2. მუდმივი თანამშრომელი (გამომცემლობისა, გაზეთისა და სხვ).

contributory [kənˈtrɪbjʊtəri] 1. შემწირველი; გადამხდელი; 2. კომპანიის აქციების მფლობელი წევრი (ამავე კომპანიისა); 3. კომპანიის მთლიანი აქციების მფლობელი; 4. ხელშემწყობი (პირი); დახმარების აღმომჩენი; ქველმოქმედი

contrivance [kənˈtrɔɪvəns] 1. მოტყუება; მოგონება; 2. (გამცემლური) გეგმა; 3. შენიღბვის საშუალება; მაქინაცია.

controff'e'rtა კონტროფერტა (გარიგების ხელშეკრულების დადებაზე დათანხმების განცხადება, ოფერტაში აღნიშნული წინადადების გარდა ახალი პირობების გათვალისწინებით. იხ. აგრეთვე off'e'rtა)

control [kənˈtrəʊl] (აბრ. C.) 1. მართვა; რეგულირება; 2. კონტროლი; შემოწმება, 3. კონტროლის დაწესება; მოწესრიგება; 4. მართვის მოწყობილობა; მართვის ორგანო. Δ in ~ დადგენილ ზღვრულ მნიშვნელობაში მყოფი (ეკონომიკური მიკროსისტემა); out of ~ უმართავი; მოუწესრიგებელი; to adopt ~ კონტროლის დაწესება; to get beyond ~ კონტროლიდან გამოსვლა

controlled circulation [kənˈtrəʊld sɑːkjʊˈleɪʃn] შეზღუდული ტირაჟიანი გამოცემა სპეციალისტებისათვის (მაგ., რეკლამათმექმნელთათვის)

controlled distribution [kənˈtrəʊld dɪstrɪˈbjʊʃn] შემოწმების პირობებში განაწილება (საქონლის გასაყიდად)

controller [kən'trɒlə] 1. კონტროლიორი; მამოწმებელი; 2. მთავარი ბუღალტერ-ანალიტიკოსი; მთავარი ბუღალტერ-კონტროლიორი; 3. გამ. ტექ. კონტროლერი, მართვის მოწყობილობა (მაგ., კავშირის არხის მენსიერების, მონაცემთა შეტანა-გამოტანის და სხვ. კონტროლერი)

controlling [kən'trɒlɪŋ] 1 კონტროლინგი; 2. შემოწმება; მართვა.

control side [kən'trɒl 'saɪd] მომხმარებელთა საკონტროლო ჯგუფი, რომელთაც შეთავაზებენ ძველ საჭონელს (ან რეკლამირების ძველ მეთოდს)

controversial advertising [kəntrə 'vɜ:ʃəl 'ædʃvataɪz] საექვო (ლირებულების ან შინაარსის) რეკლამა

convene [kən'vi:n] 1. მოწვევა; მოხმობა; 2. შეკრება.

convenience [kən'vi:niəns] 1. მოხერხებულობა; 2. ხელსაყრელი პირობები.

convention [kən'venʃn] 1. საგ. ეკ. ურთ. კონვენცია; საერთაშორისო ხელშეკრულება; შეთანხმება; 3. ყრილობა; კონვენტი. მოლაპარაკება; 2. ყრილობა; კონფერენცია; 3. ჩვეულება; პირობითობა.

convergence [kən'vɜ:dgəns] კონვერგენცია; დაახლოება. **Δ ~ of demand** მოთხოვნის ხასიათის მიხედვით დაახლოება (ბაზრის სხვადასხვა სეგმენტებისა); - **of social systems** სხვადასხვა სოციალური სისტემის კონვერგენცია

conversion [kən'vɜ:ʃn] 1. კონვერსია (ა. ერთი ქვეყნის ვალუტის გაცვლა მეორე ქვეყნის ვალუტაზე; ბ. სამხედრო დანიშნულების ქარხნების გადაყვანა სამოქალაქო წარმოებაზე); 2. გარდაქმნა; გადამწევა; 3. გადასვლა (ახალი პროდუქციის გამოშვებაზე); 4. გადაანგარიშება; 5. მისაყურება (მინდობილი ქონებისა); 4. იშვ. სასამართლო განაჩენის შებრუნება; 5. სამოქალაქო სამართალდარღვევა- რაც გამოიხატება პირის მიერ მიბარებული ქონების გამოყენებაში.

conversion rate [kən'vɜ:ʃn 'reɪt] ორსაფეხურიან მარკეტინგში მყიდველთა მიზიდვის მაჩვენებელი; კონვერსიის სისწრაფე

convert [kən'vɜ:t] 1. ქონების სხვა ფორმად (მაგ., ნალდ ფულად) გარდაქმნა; კონვერტირება; 2. შექცევა; 2. საყურების იურიდიული ხასიათის შეცვლა

conveyance [kən'veɪəns] 1. იურიდიული დოკუმენტი, რის ძალითაც მიწის მფლობელობა გამყიდველიდან მყიდველზე გადადის; 2. გადაზიდვა; მიტანა; 3. გადასატანი საშუალება

conveyancer [kən'veɪəns] ნოტარიუსი; პირი, რომელიც ქონების გადაცემის ან დოკუმენტის სისწორის საბუთს ადგენს, ამოწმებს.

convict [kən'vɪkt] პატიმარი; ტუსალი.

conviction [kən'vɪkʃn] 1. გასამართლება; დამნაშავედ ცნობა; 2. დაჯერებულობა; დარწმუნებულობა

Convoke [kən'vɔ:k] მოწვევა (პარლამენტის სხდომისა); (სხდომისათვის) (ან სესიისათვის) შეკრება.

cook [ku:k] ამერ. სლენ. ჩაშლა, გაფუჭება (საქმისა, გეგმისა)

co-op ads [კაუ'აპ 'აძძ] (საერთო) ეროვნული რეკლამათმშემქმნელთა და ადგილობრივი საცალო ვაჭრობის მუშაკთა ერთობლივი სარეკლამო განცხადება (პირველნი რეკლამას უკეთებენ საქონელს, მეორენი — თუ სად შეიძინონ იგი)

co-op advertising [კაუ 'აპ აძვ:აივი] მეწარმისა და საცალო ვაჭრობის მუშაკის ერთობლივი რეკლამა

co-op chain [კაუ 'აპ ʃეინ] საცალო ვაჭრობის მუშაკთა ქსელი, რომლებიც საქონელს ყიდულობენ ბითუმად მოვაკრე ფირმებისაგან; სავაჭრო-შემსყიდველი კოოპერატივები.

cooperation [კაუ 'აპაი:ი] თანამშრომლობა, კოოპერაცია; ერთობლივი მოქმედება

cooperative [კაუ 'აპაი:ი] 1. კოოპერატივი; კოოპერაციული მალაზია; 2. ერთობლივი, კოოპერაციული; 3. კოოპერაციული საზოგადოების წევრი, კოოპერატორი

cooperative mailing [კაუ 'აპაი:ი მაილინგ] ორი ან მეტი რეკლამათმშემქმნის სარეკლამო პროდუქციის ერთობლივი საფოსტო გზავნილი (დანახარჯების პროპორციული გაღებით)

co-opt [კაუ 'აპტ] წვერად მიღება.

coordinate [კაუ 'ა :დი:ნი] შესაბამისობაში მოყვანა, კოორდინირება

coordinated visual identity [კაუ 'ა :დი:ნი:ტი] ერთობლივი გარეგანი, ვიზუალური სახე (მაგ., გასაყიდი საქონლისა, საგნისა)

coowner [კაუ 'აუი] თანამფლობელი; ერთ-ერთი მფლობელთაგანი

cop [კაპ] ინგლ. სლენ. 1. პოლიციელი; კოპი; 2. მუშაობა; საქმიანობა; 3. მოგება; მიღება; 4. ფასიანი, კარგი

cop a heel [კაპ ა ჰი:ლ] ამერ. ჟარგ. (პატიმართა ლექსიკა): ციხიდან გაპარვა, გაქცევა.

coparcener [კაუ'პარს:ნი] თანამონაწილე (მემკვიდრეობითი ქონების ტოლწილობისას).

copper-heated ['კაპ 'ჰი:ტი] ამერ. ჟარგ. (პატიმართა ლექსიკა): გამცემი; არასაიმედო

coproduction [კაუპროდუქი] 1. თანაპროდუქტი, კოპროდუქტი; ერთობლივად შექმნილი პროდუქტი; 2. ერთობლივი წარმოება

coproprietor იხ. **coowner**

copy [კაპი] 1. ასლი, პირი; 2. პირის გადაღება (ქალაღზე), ასლის გამზადება; 3. ტექსტური რეკლამა; 4. ეგზემპლარი, ცალი; 5. დაბეჭდვა, გამრავლება; 6. სარეკლამო განცხადების ტექსტი. **Δ** - **appeal** სარეკლამო ტექსტის ძირითადი იდეა; - **area** სარეკლამო განცხადების ტექსტური ნაწილის ფართობი; - **cat** საქონლის იმიტაცია; - **chief** სარეკლამო ტექსტის (მოზზადების) საშსახურის ხელმძღვანელი (სარეკლამო სააგენტოში); - **delivery** რეკლამის ტექსტის ეფექტიანობა; - **writing** სარეკლამო განცხადების ტექსტების შედგენა

copyholder ['kɑ:pɪhɔ:ldɪ] კოპიჰოლდერი (სასამართლო დადგენილებით უფლების მქონე მოიჯარე)

copyright ['kɑ:pɪraɪt] 1. საავტორო უფლება: ლიტერატურული საკუთრების უფლება; ინტელექტუალური საკუთრების უფლება; 2. საავტორო უფლების უსრუენედელოვა.

coram arbitris [tɛstɪbʊs] ლათ. („კორამ არბიტრის (ან: ტესტიბუს“): მოწმეთა (თან)დასწრებით

cor cordium ლათ. („კორ კორდიუმ“): გულის გული (აქ: ჭეშმარიტების დედაარსი)

corner ['kɔ:nɔ] საბირე. 1. სექულანტების ჭგუფი; 2. კორნერი (აქციების სპეკულაციური შესყიდვა); 3. ინგლ. სლენ. წილი; ნაწილი

corner influence ['kɔ:nɔ ɪn 'flʊəs] „კუთხის“ უპირატესობა (კუთხეში განლაგებული მაღაზიის სავაჭრო უპირატესობა)

coroner ['kɔ:rənə] კორონერი; გამომძიებელი (იურისტი ან ექიმი).

corporate ['kɔ:pəraɪt] კორპორაციული; აქციონერული. **Δ - brochure** ფირმის სარეკლამო ბროშურა [პროსპექტი]; ~ **culture** ფირმის ღირსება; ფირმის „ფასეულობის სისტემა“; ~ **goal** ზოგადსაფირო მიზანი; ~ **identity** ფირმის სტილი (მას ში შედის; ლოგოტიპი, სავიზიტო ბარათები, ბუკლეტები, საფირო შეფუთვის საშუალება, რეკლამა და მისთანანი, რომლებიც ფირმის სამყაროს წარმოაჩენენ); ~ **image** ფირმის „სახისმეტყველება“ მყიდველისათვის; ~ **influence** ფირმის პრესტიჟის გავლენა

corporate licensing ['kɔ:pəraɪt 'laɪsɛnsɪŋ] 1. კორპორაციული ლიცენზია;

აქციონერული საზოგადოების ლიცენზია; 2. ლიცენზიური მარკეტინგი (პოპულარული საფირო სახელების გამოყენება საქონლის გაყიდვის მიზნით, როდესაც ასეთ სახელს საქონლის სახელწოდებასთან არავითარი კავშირი არა აქვს; მაგ., *Coca-Cola* — მისურებზე, *Adidas* — საფერფლებზე და ა. შ.)

corporate name ['kɔ:pəraɪt 'neɪm] საფირო სახელწოდება; კორპორაციული (აქციონერული) სახელწოდება

corporate seminar ['kɔ:pəraɪt semɪnɔ:] სემინარი მარკეტინგის საყითხებში

corporate spying ['kɔ:pəraɪt spaɪŋ] სამრეწველო ჯაშუშობა

corporate vertical marketing system მენეჯ. საქონელთა განაწილების ცენტრალიზებული ვერტიკალური სისტემა (როდესაც ყველა არხი ფირმას ეკუთვნის)

corporation [kɑ:pə'reɪʃn] 1. გაერთიანება, კორპორაცია; 2. ამერ. სააქციონერო საზოგადება; სააქციონერო კომპანია

corpse [kɑ:pz] მიცვალებულის გვამი.

corpus [kɑ:pəs] (კანონების) კრებული; მაგ., **habeas corpus**.

corpus delicti ლათ. (კორპუს დელიქტი): „დანაშაულის დამამტკიცებელი“. ჭეშმარიტი ნივთიერი მტკიცებანი, რითაც დგინდება დანაშაული ფაქტი.

corpus juris civilis [corpus juris Romani] ლათ. („კორპუს იურის ცივი-

ლის“); სამოქალაქო კანონთა კრებული („იუსტინიანეს კოდექსი“; რომაული კანონების კრებული)

corpus legis ლათ. (კორპუს ლეგის); „კანონთა კრებული“ (რომის სამოქალაქო სამართლის წიგნები).

corr. (აბრ.) იხ. **correct** აბრ. კორ.

correct [ka'rekt] 1. გამასწორებელი პატიმრობა (დამნაშავესა); 2. შესწორება; ჩასწორება, კორექტირება. აბრ. C.; **corr.**; 2. ზუსტი; სწორი

corrective [ka'rektiv] 1. გასწორება; მოსწორება, გათანაბრება; 2. შესწორება, კორექტივის შეტანა

corrective order [ka'rektiv o:də] გასწორებელი რეკლამის განლაგების ბრძანება

correlation [ka'relaj(ə)n] 1. შესაბამისობა; შეუფარდება; 2. სტატ. კორელაცია

correspondence [ˌkɒrəs'pɒndəns] 1. მიმოწერა; კორესპონდენცია; 2. შესაბამისობა

correspondent [ˌkɒrəs'pɒndənt] 1. ბანკი-კორესპონდენტი; 2. მიმოწერის თანამონაწილე

correus debendi ლათ. („კორეუს დებენდი“); „ვალის მოზიარე“

corrigendum ლათ. („კორიგენდუმ“); 1. გასწორება; სიტყვა, რომელიც შესწორებულ იქნა; 2. კორექტურული შეტეობა.

corroborate [kə'reɪbɔreɪt] (უკვე მიცემული ჩვენების) დადასტურება; დადასტურება, განმტკიცება.

corruption [kə'rʌpʃən] გამყიდველობა, მეჭრთამეობა; კორუფცია

COS [si:əs es] აბრ.: 1. (cash on shipment-დან) გადაზიდვის ნაღდი ფული; 2. (chief of staff-დან) კადრების გამგე; (შუშა-) პერსონალის ხელმძღვანელი

cosmopolization [kɒz'mɒpələɪzɪʃən] კოსმოპოლიზაცია (სხვადასხვა ეროვნული კულტურებისა და ეთნიკური ჯგუფების ელემენტების ურთიერთ შერწყმა); კოსმოპოლიტის შექმნა (სინ. ფორმაა **cosmopolisation**)

Cosa Nostra იტალ. („კოზა ნოსტრა“ – ჩვენი საქმე); კოზა ნოსტრა; მაფია

cost [kɒst] 1. ჩვეულ. pl. დანახარჯი, ხარჯი; გასავალი; 2. ფასი, ღირებულება; 3. თვითღირებულება; 4. ფასის დადება; საქონლის შეფასება. Δ - **and freight** ღირებულება და ფრახტი (საქონლის გაყიდვის პირობა, რომელიც გულისხმობს ფრახტზე დანახარჯსაც); **at** - თვითღირებულებით; **below** - თვითღირებულებაზე დაბალი (ფასი);

free of - უფასო, უფასოდ; **next to** - თითქმის თვითღირებულების ტოლი (მაგ., ფასის დაწესებისას); **depreciable** ~ 1. ძირითადი [რეალური] კაპიტალის ღირებულება;

2. ამორტიზებული ღირებულება (ძირითადი კაპიტალის ახალი ელემენტის ღირებულებას გამოკლებული სალიკვიდაციო კაპიტალი); **escapable** - (s) შეკვეცადი დანახარჯი (რომელიც გავლენას არ იქონიებს წარმოების მოცულობის შემცირებისას);

marginal ~ 1. pl. ზღვრული დანახარჯები; მატებითი დანახარჯები (წარმოების მთელი დანახარჯის გადიდება ან შემცირება წარმოების მოცულობის ერთი ერთეულით გაზრდისას ან შემცირებისას); 2. ძალზე მაღალი თვითღირებულება; ზღვარგადაცილებუ-

ლი თვითღირებულება (რომელიც წარმოებას წამგებიანს ხდის); 3. **pl.** იშვ. პირდაპირი ხარჯები, უშუალო დანახარჯები; **sunk** ~ (s) აუნაზღაურებელი კაპიტალდაბანდება, დაუბრუნებელი დანახარჯები (მაგ., მოწყობილობის შესყიდვისა, რომელსაც მომავალში ვერ გამოიყენებენ)

costing [kɑstɪŋ] 1. ბულ. აღრიცხვა; 2. (თვითღირებულების) კალკულაცია; 3. (ღირებულების) შეფასება

cost of living [kɑst əv lɪvɪŋ] საარსებო მინიმუმი (თანხა, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს კვებაში, ბინის ქირაში, გათბობაში და ა.შ.).

cost-plus [kɑst plʌs] „ხარჯი-პლუსი“ (ფასის დაწესების მეთოდი, რომელშიც გათვალისწინებულია დანახარჯის ჯამი პლუს მოგება, როგორც დანახარჯის ზემოთ მიღებული პროცენტი)

cosurety [,kɑs'ʃʌrətɪ] თანათავადები

co-tenancy [,kɑu'tenənsɪ] თანაიჯარა, საზიარო იჯარა; საზიარო არენდა

cotenant [,kɑu'tenənt] თანამოიჯარე; თანამოარენდე

conterminous [kɑu'tə:mɪnəs] 1. ერთდროული; 2. თანამდევნი; პარალელური; მოაზღვრე.

cotrustee [kɑu'trʌstɪ:] მინდობილობით პარტნიორობის გამწვევი

cough up [kɑ:f ʌp] ინგლ. სლენ. 1. გადახდა; ფულით გასტუმრება; 2. გადაცემა, მიცემა

coulisse ფანგ. 1. არაოფიციალური საფონდო ბირჟა, კულისი; 2. არაოფიციალური საბირჟო მაცლერები

coulissier ფრანგ. კულისი, არაოფიციალური მაცლერი

counsel ['kɑʊnsəl] 1. საბჭო; 2. თათბირი; განხილვა; 3. **pl.** იურ. ადვოკატი; ვეკილი, დამცველი; იურისკონსულტი; 4. იურიდიული დასკვნის გამოტანა; 5. ბჭობა; რეკომენდაციის გაცემა

counsel(1)or ['kɑʊnsəɪ] 1. მრჩეველი; 2. (განსაკ. ირლ. და ამერ.) ადვოკატი; 3. აღმზრდელი

counsellor-at-law ['kɑʊnsəɪ ət lɔ:l] (განსაკ. ირლ. და ამერ.) ადვოკატი.

count [kaunt] სასარჩელო განცხადების პუნქტი; 2. საბრალდებო დასკვნის მუხლი; 3. ხმების შეკრება; 4. თელა; გათელა, დათელა; გამოანგარიშება; 3. თელის ერთეული

counter [kauntə] 1. საწინააღმდეგო; საპირისპირო; 2. მთვლელი; გამომთვლელი; 3. საუბ. ციხე; 4. სლენ. ადვოკატი; 5. დახლი (სათვლელ-საანგარიშო მოწყობილობით); სალარო **bargin** ~ 1. ამერ. ჩამოფასებული (ფასჩამოკლებული) საქონლის განყოფილება (მალაზიაში); 2. აქციების გაყიდვა დაბალ ფასებში (საბირჟო პანიკის დროს);

lunch ~ ამერ. ბუფეტი დასაჯდომი ადგილების გარეშე

counterbonifiction [kauntə'banɪfai] უკუბონიფიკაცია (საქონლის ცუდი ხარისხის გამო ფასჩამოკლება). იხ. აგრ. **bonifiction**

counter-case ['kɑuntə'keɪs] საქმის კონტრემპორანდუმი; სარჩელის საწინააღმდეგო ქმელება.

counter-charge ['kauntə 'tʃɑ:dʒ] 1. შემხვედრი ბრალდება; 2. შემხვედრი ბრალდების წაყენება.

counter-claim ['kauntə 'kleɪm] 1. შემხვედრი მოთხოვნა; შემხვედრი სარჩელი; 2. შემხვედრი სარჩელის წაყენება.

counter display ['kauntə 'dɪspleɪ] დახლსზედა ექსპოზიცია; დახლზე საჩვენებლად გამოტანა

counterfeit ['kauntəfɪt] 1. ყალბი, რიოში; 2. ყალბი მონეტა; 3. გაყალბება

counterfeiting ['kauntəfɛɪtɪŋ] 1. კონტრაფაქცია (საფირმო სახელწოდებათა არასწორი გამოყენება); 2. სიყალბე; რიოშობა

countermand ['kauntəmənd] 1. შეცვლა; შეჩერება (მაგ., ჩეკით გადახდის ოპერაციისა); 2. შეკვეთის შეცვლა

humpty-dumpty ['hʌmptɪ-'dʌmptɪ] ამერ., სლენ. კანდიდატი, რომელსაც არჩევნებში გამარჯვების შანსი არა აქვს.

hunch [hʌntʃ] 1. სლენ. წინაგრძობა; 2. წინაგრძობის აღძვრა

hundred-call-seconds ['hʌndrəd'kɑ:l'sekəndz] ას წამში ერთი გამოძახება (საინფორმაციო დატვირთვის ერთეული)

hung [hʌŋ] უმრავლესობის გარეშე. Δ **jury** ნაფიცი მსაჯულები, რომლებიც ერთხმა გადაწყვეტილებამდე ვერ მივიდნენ; ~ **parliament** პარლამენტი, სადაც არც ერთ ცალკე აღებულ პარტიას არ გააჩნია ხმების უმრავლესობა (გადაწყვეტილების მისაღებად).

hunger ['hʌŋgə] 1. შიმშილი, ხანგრძლივი კვების ნაკლებობა; 2. (for, after) ძლიერი სურვილი; წყურვილი (მაგ., საქმის კეთებისა)

hunger strike ['hʌŋgə'straɪt] შიმშილობა; შიმშილობის აქცია

hunter ['hʌntə] მაძიებელი; მონადირე. Δ **bargain-** ძალზე დაბალ ფასად აქციების შესასყიდლად ჩასაფრებული პირი.

hurdle [hɜ:dl] 1. ბარიერი; წინააღმდეგობა; 2. ბარიერის გადალახვა.

hurt [hɜ:t] 1. ზარალის მიყენება; 2. გაფუჭება; 8. ზარალი; ზიანი; 4. სხეულის დაზიანება; 5. შეურაცყოფის მიყენება.

hurry-up [hʌrɪʌp] ამერ. საუბ. საჩქარო; საჩქარო ღონისძიების(ა); საჩქარო მოქმედების(ა). Δ ~ **message** სასწრაფო შეტყობინება

husbandman ['hʌzbəndmən] ბრიტ. ფერმერი (იხ. აგრეთვე **farmer**)

husbandry ['hʌzbendri] 1. საოჯახო საქმიანობა; შინა მეურნეობა; 2. ეკონომია, მომკირნეობა; 3. სოფლის მეურნეობა; 4. მიწათმოქმედება

bush money [hʌʃ.məni] გასაჩუქებელი ფული [ქრთამი]

bush money [hʌʃ.məni] სლენ. ფულადი ქრთამი არაკანონიერ ფაქტზე დუმილისათვის.

hush-hush [hʌʃ-hʌʃ] 1 ამერ. საიდუმლო პოლიტიკა; 2. საუბ. ფარული; არაკონფიდენციალური.

hustings ['hʌstɪŋz] წინასაარჩევნო გამოსვლებისათვის განკუთვნილი ტრიბუნა. **at the hustings** საპარლამენტო არჩევნებზე.

Hustings ['hʌstɪŋz] 1. პასტინგსი; ლონდონის საქალაქო სასამართლო; 2. წინასაარჩევნო კომპანია.

hustle ['hʌs(ə)l] 1. ენერგიული ქმედება; 2. დანიჭარება; იძულება; ბიძგება; 3. თავს მოხვევა; მისაღება (საქონლისა).

hustler ['hʌstl(ə)] 1. გამტანი „საქმიანი“, ანგარიშიანი; 2. უცერემონიო კაცი; 3. პასტლერი ნარკომანი, რომელიც ნარკოტიკების გაყიდვითაა დაკავებული და გასამჯელოდ ნარკოტიკს აძლევენ; 4. მემადეი ქალი

hut [hʌt] ამერ. სლენ. 1. საპატიმროს ოთახი; 2. სტუდენტური საერთო საცხოვრებელი

Hybrid Bill ['haɪbrɪd bɪl] შერეული (ჰიბრიდული) კანონპროექტი, რომელიც გავლენას ახდენს ცალკეულ მეწარმეებზე ან ფირმების ინტერესებზე.

Hybrid offence ['haɪbrɪd ɔfəns] დანაშაული, რომელიც შეიძლება განხილულ იქნას მაგისტრატების ან მოსამართლისა და ნაფიც მსაჯულთა მიერ

hydel ['haɪdɛl] (აბრ. — **hydro-electricity**-დან) ჰაიდელი, ჰიდროელექტრობა (ჰიდროელექტროსადგურში გამოიშუშეებული ელექტროენერგიით მიღებული ელექტრობა)

hype [haɪp] ამერ. სლენ. 1. (ცხოვრებისეული) ძალა; სიძლიერე; 2. გამაგრება; 2. წამყვანი, მენეჯერი; 3. მოტყუება; 4. სტიმულირება; 5. აღძვრა; 6. გაბერვა, გადიდება.

hyped-up [ˌhaɪpt'ʌp] სლენ. ხელოვნური; არაბუნებრივი; არანამდვილი

hyper ['haɪpə] ინგლ. საუბ. ჰიპერ-ი, მეტისმეტად აქციური და აგზნებელი; ჰიპერტიპი

hyperdrive ['haɪpə'draɪv] ინგლ. ჰიპერდრაივი; აქტიურობის უეიდურესად ინტენსიურობა (მაგ., ეკონომიკურ ან საგარეო პოლიტიკაში)

hyperinflation [ˌhaɪpəɪn'fleɪʃn] ჰიპერინფლაცია; უსწრაფესი [ზესწრაფი] ინფლაცია, უსწრაფესი გაუფასურება (ქალაქის ფულისა)

hypermadia [ˌhaɪpə'mædɪə] ინგლ. ჰიპერმედია (კომპიუტერის სხედასხვა პროგრამული პაკეტიდან ტექსტების, ვიდეოკადრების, გრაფიკის საწარმოო საშუალებები)

hypermarket ['haɪpə,mɑ:kɪt] გიგანტური მაღაზია; დიდი სავაჭრო კომპლექსი; გიგანტური სუპერმარკეტი, ჰიპერმარკეტი

hypertext [ˌhaɪpə'tekst] ჰიპერტექსტი (სხედასხვა პროგრამული პაკეტიდან ურთიერთდაკავშირებული ტექსტების ჯგუფის წარმოქმნა, მაგ., მონაცემთა ბაზიდან, სიტყვითი პროცესორიდან, გრაფიკული მესსიერებიდან)

hypothecate [ˌhɪpəθeˈkeɪt] დაგირავება (უძრავი ქონებისა)

hypothecation [ˌhɪpəθeˈkeɪʃn] (ბერძ.-დან *hypoteke* გირაო, წინდი; დაგირავება) იპოთეკა; უძრავი ქონების დაგირავება (სესხის მისაღებად. სამისოდ არსებობს იპოთეკური ბანკი გრძელვადიანი კრედიტის გასაცემად, უძრავი ქონების, მიწის, ნაგებობების, — გირაოდ დატოვების შემთხვევებისათვის)

hypothesis [hɪpəˈθɪsɪːz] 1. ჰიპოთეზა; ვარაუდი; დაშვება; 2. იშვ. კანონი. **Δ ad hoc** - სპეციალურად წამოყენებული ჰიპოთეზა; **by** - ვარაუდით; დაშვებით. **adjustment** - (სხვადასხვა ეკონომიკური პროცესების) (შე)თანწყობის ჰიპოთეზა; **hedonic** - პედონიკური ჰიპოთეზა (რომლის მიხედვითაც საქონელი ფასდება მათი სარგებლობის შესატყვისად)

hypothesize [hɪpəˈθɪzɪs] ჰიპოთეზის მიღება; ჰიპოთეზის ჩამოყალიბება (მაგ., ეკონომიკის გაჯანსაღების თაობაზე); დაჰიპოტეზება

hyther [ˈhaɪðə] პროფ. სინოტივისა და ტემპერატურის ერთობლივი ზემოქმედება ორგანიზმზე

I,i

I., i [aɪ] აბრ.: (**incomplete**-დან) არასრული; დაუკომპლექტებელი; 2. (**independent**-დან) დამოუკიდებელი; 3. (**interphone**-დან) შიგა ტელეფონი (დაწესებულებისა); 4. (**input**-დან) შესასვლელი; შესავეალი; შეუტანა (მაგ., ინფორმაციისა მოწყობილობაში)

Iberian [aɪˈbɪəriən] იბერიელი (საქართველოში და ესპანეთში მცხოვრები ტომები) **ib., ibid** {} (აბრ. ლათ.-დან *ibidem*) იქვე, იმავე ადგილას (მითითება)

I. B. [aɪˈbiː] (აბრ. **industrial business**-დან) სამრეწველო ბიზნესი. აბრ. სბ-ი

I.B.R.D. [ˈaɪˈbiː.ɑːˈdi] (აბრ. — **International Bank of Reconstruction and Development**-დან) რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (ფუნქციონირებს გაეროს კონტროლით). აბრ. რგსბ-ი; რეგს-ბანკი

ibis jus, ibi remedium ჭლათ. („იბის იქეს, იბი რემედიუმ“): “სადაც სამართალია, იქ დაცივის საშუალებაცაა“

icand [aɪkænd] სამრავლი **ice** [aɪs] სლენ. 1. აღმასი; ბრილიანტი; 2. ქრთამი. **Δ on** - (განაღლებული შედეგით, განაღლებული საქმით (ან მოგებით); **to put on** ~ (საქმის) გადადება

icing on the cake [ˈaɪsɪŋ ɔɪtə keɪk] ამერ., სლენ. დამატებითი გაუმჯობესება (მაგ., ბიზნესის მენეჯმენტის გადახალისებით).

icon [aɪkən] ნიშანი; სიმბოლო; ილუსტრაცია (სამეცნიერო ლიტერატურაში)

iconic representation [aɪkənɪk reprɪ'zɛntɔːʃn] ობიექტთა გამოსახულებების იკონოგრაფიული წარმოდგენა

idea dubia ლათ. („იდეა დუბია“): „საეჭვო იდეა“

idea falsa ლათ. („იდეა ფალსა“): „მცდარი იდეა“; „ფიქციური (მიოგონილი) იდეა“

idee fixe [iː'deɪ'fɪks] ფრან. აკვიატებული აზრი; ფიქციური იდეა

idem [(a)ɪdɪm] (აბრ. Id.) ლათ იგივე; ასევე; იმავე; ზემოხსენებული.

identical [aɪ'dentɪkəl] 1. ერთნაირი; ერთგვარი; თანაბარი; 2. სავესებით იგივე; იდენტური

identification [aɪ,dentɪfɪ'keɪʃn] 1. გაიგივება, ნამდვილობის დადგენა, იდენტიფიკაცია, გამოცნობა, გარჩევა (მაგ., მომხმარებლის, კლიენტის, მოლაპარაკის, საეკპრონიშნის, დოკუმენტის და მისთანათა გამოცნობა); 2. ფაქტის დადგენა; ამოცნობა; ცნობა, შეცნობა; 3. განსაზღვრა, გარკვევა, დადგენა (მაგ., საბუთის სისწორისა). **Δ** - of words სიტყვების გარჩევა; - of mark მარკის დამლა [შანთი]

identify [aɪ'dentɪfaɪ] 1. პირის ამოცნობა; იდენტიფიკაცია; 2. გაიგივება; იგივეობის დადგენა; 3. ინტერესების გატოლება; გაპირწონება; 4. თანხედრობა (აზრებისა და სხვ.)

identifying feature [aɪ'dentɪfaɪŋ fi:tʃə] ლიცენზ. (საქონლის) განმასხვავებელი ნიშანი

identikit [aɪ'dentɪ'kɪt] დამნაშავეის სურათის შექმნის მეთოდი მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე; დამნაშავეის ფოტორობოტის შექმნა.

identity [aɪ'dentɪtɪ] 1. იგივეობა, იდენტურობა, ტოლფასოვნობა; 2. ნამდვილობა, უტყუარობა; უეჭველობა. **Δ** - transformation (ეკონომიკური ობიექტების) იგივეობრივი გარდაქმნა; accounting - საბუღალტრო ბალანსირება (დებეტისა და კრედიტისა); corporate - ფირმის სახე. ფირმის პრესტიჟი (რეპუტაცია)

identity crisis [aɪ'dentɪtɪ 'krɪsɪz] (საეკპრო) ნიშნის [სახების] კრიზისი (სიტუაცია, როდესაც ნიშნის „გამოსახულება“ ვერ აღწევს საქონლის გასაღების უზრუნველყოფის მიზანს)

id est ლათ. („იდ ესტ“): იხ. i.e.

idle ['aɪdl] 1. უმოქმედო (მაგ., ობიექტი); სარეზერვო; 2. დაუსაქმებელი (მუშაზელი), უმუშევარი; 3. ფუჭი; უქმი (ბრძანება, ინსტრუქცია). **Δ** the market is - მოღუნებული ბაზარი

idler ['aɪdlə] უსაქმური; ყალთაბანდი; ზარმაცი.

i.e. ['aɪ i:] (აბრ. ლათ. id est - დან) ესე იგი. აბრ. ე. ი.

i.f. [aɪ eɪ] (აბრ. in full - დან) სრულად; მთლიანად. აბრ. სრ., მთლ.

iffy [aɪfɪ] ამერ. 1. მერყევი (მაგ., ვარიანტის პირობების შესრულებისადმი); მხოლოდ პირადულ ინტერესებს დაქვემდებარებული; 2. გაურკვეველი; საეჭვო

ignorance [ˈɪgnərəns] 1 უცოდინარობა; უეცობა; 2 უპატივემლობა (კანონისა და სხვ.).

ignorantia juris nocet ლათ. („იგნორანცია იურის ნოცეტ“): „კანონის არცოდნა გეაენებს“

ignorantia recti ლათ. („იგნორანცია რექტი“): „აშკარა უმეცრება“

ignorantia supina ლათ. („იგნორანცია სუპინა“): „განსრახ არცოდნა“

ignoratio elenchi ლათ. („იგნორანციო ელენჩი“): ლოგიკური შეცდომა. რომელიც მდგომარეობს იმის მტკიცების ცდაში, რაც საკითხს არ ეხება.

ignorantia legis non excusat ლათ. („იგნორანცია ლეგის ნონ ექსკუსატ“) „კანონის უცოდინარობა არაუისთვის არ არის საპატიო“.

ignorantia non est argumentum ლათ. („იგნორანცია ნონესტ არგუმენტუმ“): (არცოდნა ან) უგულვებელყოფა მტკიცება [არგუმენტი] არაა

ignore [ɪgˈnɔː] 1. შეუმჩნეველობა, ყურადღების მიუქცეველობა, იგნორირება, უგულვებელყოფა; 2. უმოქმედობა (მაგ., ეკონომიკური პროცესისა)

ignotum per ignotius ლათ. („იგნოტუმ პერ იგნოტიუს“): უცნობი (ფაქტები) უფრო უცნობი (ფაქტების) მეშვეობით

IKBS [aɪkeɪ ˈbɪːes] (აბრ. **Intelligent Knowledge Based System**-დან) პიროვნებათა გონებრივ ცოდნაზე დაფუძნებული კომპიუტერული სისტემა; ექსპერტული სისტემა (გარკვეული პრობლემის გადასაწყვეტად)

ike [aɪk] სლენ. 1. შეეპყრება; მოტყუება; 2. მოუქნელი (აღამიანი)

ill [ɪl] 1. მერ. სლენ. ეჭვის მიტანის გამო დაპატიმრებული; 2. ციხეში ჩასმული.

illegal [ɪˈlɪːɡəl] 1 უკანონო, არალეგალური; 2. არამართლსომიერი; კანონის საწინააღმდეგო; აკრძალული

illegitimate [ɪlɪˈdʒɪtɪmɪt] 1. არალოგიკური, ლოგიკურად არასწორი; 2. არასწორად გამოყენებული (მეთოდი, ფორმულა და მისთ.); 3. უკანონო

illicit [ɪˈlɪsɪt] აკრძალული, უკანონო. Δ - dealer აკრძალული ხერხით (ან საქონლით) მოვაკრე, უკანონოდ მოვაკრე; -trade კონტრაბანდული ვაჭრობა

illiquid [ɪˈlɪkwɪd] 1 იურიდიულად დაუსაბუთებული; 2. არაცხადი; 3. არალიკვიდური (აქტივები).

illiquidity [ɪˈlɪkwɪdɪtɪ] ლიკვიდაციის მოუხდენლობა; არალიკვიდურობა

ill-will [ɪlˈwɪl] ბოროტი განზრახვა; მტრობა.

image [ɪˈmɪdʒ] 1. (ფირმის) რეპუტაცია; პრესტიჟი; 2. საინფ. მომს. გამოსახულება; სახე; 3. გამოსახვა; ასახვა; 4. განსახიერება, სიმბოლო, ნიმუში; 5. საზოგადოებრივი აზრი, შეხედულება, რეპუტაცია (ამა თუ იმ პიროვნებაზე, ფირმაზე, საქონელზე, მომსახურებაზე და მისთ.); 6. გავრცელებული წარმოდგენა (ობიექტზე); ჩამოყალიბებული საზოგნება (რაც ხაზს უსვამს ობიექტის დამატებით თვისებებს, ღირებულებებს, ემოციურ აღქმას და ა. შ.). Δ -compaction (ობიექტის) გამოსახულებათა შეკუმშვა (დის-

ფლვის ეკრანზე); **-copy** ასლი-გამოსახულება (ეკონომიკურ მონაცემთა გრაფიკული ბაზისა); **-creation system** (ეკონომიკური ობიექტის) გამოსახულების ფორმირების სისტემა; **-enhancement** (ობიექტის) გამოსახულების ხარისხის გაუმჯობესება; **-level** გამოსახულების დონე; **-list** (ეკონომიკური ობიექტების) გამოსახულებათა სია; **-movement** გადაადგილებული გამოსახულება; **-point** მხედველობის წერტილი; პროექტის ცენტრი; **-regeneration** (ობიექტის) გამოსახულების რეგენერაცია; **-image studio** საინფ. მომს., დაპრ. ფოტოსურათების დარეტუშების პროგრამა (აშშ-ის Letraset ფირმისა); **-transformation** (ეკონომიკურ) მოდელთა გამოსახულების გარდაქმნა; **-translation** (ობიექტის) გამოსახულების გადატანა.

image computer [i'mɪdʒ kəmputɜː] გამოსახულებათა მათეორმირებელი კომპიუტერი (მაგ., ეკონომიკურ ობიექტთა და მოდელთა კომპიუტერული საშუალებებით ფორმირებისა და ასახვისათვის)

image marketing [ɪmɪdʒ 'mɑːkɪtɪŋ] პროფ. „იმიჯ მარკეტინგი“ (ცნობილ ან პოპულარულ პიროვნებათა გამოყენება საქონლის რეკლამისათვის)

imagery ['ɪmɪdʒəri] გამოსახულებები; სახეები

imaging ['ɪmɪdʒɪŋ] (ეკონომიკური მოდელის) გამოსახულებათა ფორმირება; ასახვა; (დისფლვის ეკრანზე) აღწარმოება

imago animi vultus ლათ. („იმაგო ანიმი ვილტუს“): „სახე სულის ხატია“

imbalance [ɪm'bæləns] 1. სხვადასხვაობა; შეუსაბამობა (მაგ., ბალანსში); 2. გაუწონასწორებლობა; დისპროპორცია; 3. დაუბალანსებლობა; არამდგრადობა. **Δ-order** გაყიდვის დავალებასა და ყიდვას შორის დისპროპორცია

imbecile ['ɪmbɛs:l] სუსტი გონების; ჭკუანაკლები.

imble [ɪm'beɪb] 1. ათვისება; შეთვისება; ასიმილირება; 2. შთანთქმა

IMF [ɪ'mi'teɪn] (აბრ. **International Monetary Fund**-დან) ფინან. საერთაშორისო საეკონომიკო ფონდი. აბრ. სსფი

imitate ['ɪmi'teɪt(ə)n] 1. კოპირება; მიმსგავსება; იმიტირება; 2. იმიტაცია; მიმსგავსება; ყალბქმნილობა

imitation [ɪ'mi'teɪʃn] 1. მიმსგავსება; იმიტაცია; კოპირება; 2. გაყალბება

immaterial [ɪ'mɑː'tɪəriəl] (აბ) საქმესთან დაუკავშირებელი საშხილი (ან ფაქტი).

immanent ['ɪmɑːnənt] 1. სახასიათო, დამახასიათებელი; მუდმივი; თანდაყოლილი; 2. იმანენტური

immediacy [ɪ'miːdɪəsi] 1. უშუალობა; პირდაპირობა; 2. დაუყოვნებლობა; 3. გადაუდებლობა (პროცესისა, ქმედებისა).

immemorial [ɪ'mi'mɑːrɪəl] დიდი ხნის; უხსოვარი დროის; ძველის-ძველი (თარიღი, ფაქტი, მოვლენა და სხვ.).

immerse [ɪ'mɛns] დიდი; კოლოსალური; უზარმაზარი; 2. უზომო; უკიდურესი; უსაზღვრო; 3. საუბ. შესანიშნავი

immigrant ['ɪmɪgrənt] 1. იმიგრანტი; საცხოვრებლად ადგილგადანაცვლებული პირი; 2. ვადასახლებული

immobilize [i'məʊbilaɪz] 1. (კაპიტალის) გამაგრება, (ფასის) ფიქსირება; 2. ბრუნვიდან ამოღება (მონეტისა)

immoral earnings [i'mərəʊ ə:nɪŋgz] არამორალული შემოსავალი; პროსტიტუციის გზით ნაშენი ფული

immovable [i'mu:vəbl] უძრავი (ქონება (მიწა, სახლები და სხვ.)

immunity [i'mju:nɪti] 1. პრივილეგია; შეღავათი; 2. (გადასახადისაგან ან ბეგარი-საგან) განთავისუფლება; 3. ხელშეუხებლობა, იმუნიტეტი

impact ['ɪmpækt] ზეკმოქმედება; ზეგაეღენა; (ზე)გაეღენის სფერო

impair [ɪm'peɪ] 1. ზიანის მიყენება; გაფუჭება; 2. შესუსტება; შემცირება; დარღვევა.

impanel [ɪm'pæni] სიაში ჩაწერა; ჩართვა.

imparl [ɪm'pɑ:l] სასამართლო მოსმენის გადაღება საკითხის მშვიდობიანი გზით გადასაწყვეტად

imparlance [ɪm'pɑ:ləns] 1. მოსარჩელის საწინააღმდეგო განცხადების შეტანის ვადა; 2. იხ. imparl

impatience [ɪm'peɪjəns] 1. მოუთმენლობა, სისტემიდან გამოსვლა (მომსახურების დამთავრებამდე); 2. მომსახურების რიგს მოუმხრობლობა

impatrial [ɪm'pɑ:ɪ(ə)] მიუკერძოებელი; წინასწარ აუკვიატებელი აზრის არმქონე; გავლენის ქვეშ არ მყოფი.

impawn [ɪm'pɑ:n] წინდის ჩაღება; დაგირავება.

impeachment [ɪm'pɪ:tʃmənt] პოლიტ. დადანაშაულება; იმპიჩმენტი (მაღალი თანამდებობის პირთა მიმართ უნდობლობის გამოცხადება ან პასუხისგებაში მიცემა)

impedient [ɪm'pi:diənt] 1. ხელშეშლა; წინააღმდეგობა; 2. წინააღმდეგობრივი; ხელშეშლელი

impel [ɪm'pel] 1. იძულება; აღძვრა; მიდრეკილება; 2. მოქმედებაში მოყვანა; ამოქმედება; ამოძრავება

imperative [ɪm'perətɪv] 1. ვალდებულება; 2. ბრძანება; მოთხოვნა; იმპერატივი; 3. აუცილებელი; სასწრაფო; იმპერატიული.

imperfection of market [ɪmpə'fekʃnəsmɑ:kit] ბაზრის არასრულყოფილება (კონკურენციის პირობებისაგან გადახვევა)

impersonate [ɪm'pɜ:səneɪt] ენმე სხვა პირად თავის გასაღება.

implead [ɪm'pli:d] 1. სარჩელის წარდგენა; 2. სასამართლო გადაწყვეტილებით დევნა

implement [ɪm'plɪmənt] 1. შესრულება; განხორციელება (მაგ., გეგმისა); 2. დანერგვა; ჩანერგვა; ცხოვრებაში გატარება; 3. ხელსაწყო

implication [ɪm'pli'keɪʃn] 1. ნაგულისხმევი; ფარული აზრი; 2. შედეგი; ლო-

გიკური მსჯელობით გამოტანილი დასკვნა; 3. თანამონაწილეობა; ჩართვა (დანაშაულში და სხვ.).

implicit [im'plisit] 1. ნაგულისხმევი; არაცხადი; შინაგანად არსებული; 2. უსიტყვო; უპირობო, სრული; **Δ** -**operation** არაცხადად მოცემული ოპერაცია; -**regeneration** (ობიექტის) გამოსახულების არაცხადად მოცემული რეგენერაცია

implied powers [im'plaid paʊəz] 1. ნაგულისხმევი უფლებამოსილება; 2. ამერ. ფედერალური მთავრობის უფლებამოსილება, რომელიც აშშ-ის კონსტიტუციი, იდან არაპირდაპირ გაიმომდინარეობს.

implied waiver [implaid waivə] უფლებისაგან უარის თქმის გულისხმობა.

imply [implai] 1. ვარაუდს; გულისხმობა; 2. ირიბად გაგებინება ან შეტყობინება; 3. დაბნევა; ჩათრევა; გახევევა

imponderabilia [im.pad(ə)rə'bilɪə] შეუმთხვევითი; აღურიცხაევი, განუსაზღვრავი (ფაქტორი)

import ['impɑ:t] 1. pl. შემოტანილი (საქონელი); იმპორტული (საქონელი); 2. შემოტანა; იმპორტი; იმპორტირება; 3. არსი

invisible ~ s უხილავი იმპორტი (მომსახურებისა და ტურიზმის მუხლები სავადასახადო ბალანსში); **substitutable** ~ ჩანაცვლებადი იმპორტი (იმპორტი, რომელიც შეიძლება შეცვლილ იქნეს მოცემულ ქვეყანაში წარმოებული პროდუქციით)

important item [im'pɑ:tənt aɪtəm] მნიშვნელოვანი საქონელი, (დიდი) სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქცია

importation [,impɑ:'teɪʃn] იმპორტაცია; იმპორტირება (საქონლის ჩამოტანა საზღვარგარეთიდან ვასაყიდად. იხ. აგრეთვე **merchandise**)

import deposit [im'pɑ:t 'depəzɪt] იმპორტული დეპოზიტი (ქვეყანაში საქონლის იმპორტის შემზღუდველი ღონისძიება, რითაც იმპორტიორმა აქციზი უნდა გადაიხადოს).

import duty [im'pɑ:t 'dʒʊti] საიმპორტო საბაჟო გაასახადი (იგი იცავს სამაგპულო მწარმოებლებს უცხოელთა კონკურენციისაგან).

importer [im'pɑ:tə] იმპორტიორი; უცხოეთიდან საქონლის ჩამოტანა

import merchant [im'pɑ:t 'mɜ:tʃənt] დამოუკიდებელი იმპორტიორი, იმპორტული საქონლით მოვაჭრე (ვისაც უცხოეთიდან ჩამოაქვს საქონელი, ინახავს მას და ყიდის თავის ქვეყანაში ბითუმად ან ცალობით)

import quota [im'pɑ:t kwɔ:tə] იმპორტული კვოტა (ქვეყანაში გარკვეული ტიპის საქონლის შემოტანის შეზღუდვა (გარკვეული ვადით))

imports [im'pɑ:ts] იმპორტული საქონლები და მომსახურება

import surcharge [im'pɑ:t 'sɜ:ʃɑ:dʒ] საიმპორტო დანამატი (გარკვეულ საქონელზე ჩვეულებრივი ტარიფის დანამატი, რაც მთავრობა სჭირდება სავადასახადო ბალანსის სამართავად).

importune [ˌɪmpəˈtʃuːn] დაჟინებით მიმართვა, მიჩენა (მაგ, მიუნნდა ის მას).

impose [ɪmpəʊz] 1. დადგენა (კანონით); 2. სისრულეში მოყვანა; აღსრულება (განაჩენისა); 3. დავალდებულება; 4. დაბეგერა; 5. გადახდევინება; 6. თავს მოხვევა; 7. მოტყუება, თაღლითობა

imposition [ˌɪmpəˈzɪʃn] 1. გადასახადი; მოსაყრებელი; 2. დაისრება (მაგ, ვალდებულებისა); 3. (კანონის) დაწესება; დაკანონება; 4. მოტყუება.

impossibility of performance [ɪmˈpɒsəˈbɪlɪtɪəʊ ˈpɜːfɔːmɪŋs] ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ ვალდებულების წილის შეუსრულებლობის სიტუაცია!

impost [ˈɪmpəʊst] იმპორტული საკონლის ყიდვის გადასახადი (რომელსაც მყიდველი იხდის)

impound [ɪmˈpaʊnd] რაიმეს ჩამორიძევა ან შენახვა მანამ, სანამ გადასახადი არ იქნება გადახდილი ან სათანადო დოკუმენტები არ იქნება წარმოდგენილი.

impression [ɪmˈpreʃn] შთაბეჭდილება. **Δ case of first** ~ სასამართლო საქმე, რომელიც სამართლის ისეთ საკითხებს წამოჭრის რისი პრეცედენტი არ არსებობს.

imprest [ˈɪmprest] ფულადი ავანსი, (ფულადი) სესხი

imprimatur [ˌɪmpriˈmeɪtə] დაბეჭდვის ნებართვა.

imprint [ˈɪmprɪnt] 1. ამონაბეჭდი (ქაღალდი); ანაბეჭდი (მ.შ.კეაღი); 2. საგამომცემლო მონაცემები (წიგნის ბოლო გვერდზე); 3. ბეჭდის დასმა; 4. ფიქსირება; დახსოვება; განმტკიცება (მეხსიერებაში)

imprison [ɪmˈprɪzn] ვინმეს ჩასმა ციხეში; თავისუფლების აღკვეთა; ჩაკეტვა

impropriety [ˌɪmprəˈpraɪəti] 1. გამოუყენებლობა; გამოუსადეგარობა; 2. არასწორობა; შეცდომიანობა; 3. უღირსი ქმედება.

improper [ɪmˈprɔːə] 1. არასწორი; შეუყურებელი; 2. შეცდომიანი; არა'უსუცო.

improve [ɪmˈpruːv] 1. გადიდება (მაგ, ფასებისა); გაზრდა (მაგ, მოთხოვნილებისა); 2. გაუმჯობესება (მაგ, ტექნოლოგიური პროცესისა); სრულყოფა (მაგ, მეთოდისა, სტრატეგიისა); გადამუშავება

imprudent [ɪmˈpruːdənt] დაუფიქრებელი; არაწინასწარგანზრახული; არაფრთხილი.

impudence [ˈɪmˈpjʊd(ə)ns] 1. თავხედობა; უსირცხვილობა; 2. უსირცხვიო ქმედება; უღირსი საქციელი

impugn [ɪmˈpjʊːn] 1. უარყოფა; უკუგდება; 2. შედავება

impulse [ˈɪmpʌls] 1. რაიმეს გაკეთების ძლიერი სურვილი; იმპულსი; 2. აღგზნება; ბიძგი

impunity [ɪm'pjʊ:nɪtɪ] 1. დაუსჯელობა; 2. ზარალის გადახდისაგან განთავისუფლება.

imputation [ɪm'pjʊ:teɪʃn] 1. ცუდი აზრის ჩაგონება; 2. პირობითი დარიცხვა (მაგ., საიჯარო გადასახადისა); 3. ჩათვლა; მიწერა (მაგ., ლირებულების ნაწილისა ცალკეული საწარმოო ფაქტორებისადმი); 4. pl. შეფასებითი მნიშვნელობები; ჩათვლილი, დაკისრებული თანხები; 5. ვალდებულება. **Δ -of date** ჩათვლილი (მიწერილი) მონაცემები (როდესაც ფაქტიური ეკონომიკური მონაცემები სახეზე არაა)

impute [ɪm'pjʊ:tɪ] 1. (ვინმესთვის რაიმეს) მიწერა; დადანაშაულება; 2. პირობითად გადახდევინება.

imputed [ɪm'pjʊ:tɪd] 1. დაკისრებული; 2. ჩათვლილი; მიწერილი (მაგ., პროცენტები) **in.** (აბრ.) *იხ.* **inch.** *აბრ. იხ.*

in: **Δ to be -there** *ინგლ. სლენ.* (რაიმე მიზნის მისაღწევად) დიდი ჭაფის გაწევა; მძიმესამუშაოს შესრულება; **to be -with** მეგობრულ ურთიერთობაში ყოფნა (ვინმესთან)

inability [ɪn'æbɪlɪtɪ] 1. არასამართალუნარიანობა; არაქმედუნარიანობა; 2. შეუძლებლობა; (გადახდის) უუნარობა

in absentia *ლათ.* („ინ აბსენცია“): „(ვინმეს) დაუსწრებლად“

in abstracto *ლათ.* („ინ აბსტრაქტო“): „ზოგადად; აბსტრაქტულად“; საერთოდ.

inaccuracy [ɪ'nækjʊrəsi] უზუსტობა (მაგ., მონაცემებისა); შეცდომა

inactive [ɪn'æktɪv] არააქტიური, უმოქმედო; მოდუნებული (მაგ., ბაზრის შესახებ)

in aqua scribere *ლათ.* („ინ აკუა სკრიბერე“) წყალზე წერა (*ქართ. სინ. წყლის ნაყვია*)

inadequacy [ɪn'ædɪkwəsi] შეუსაბამობა; არასრულფასოვნება, არაადეკვატურობა; არასაკმარისობა (მაგ., პირობებისა ხელშეკრულების დადებისათვის)

inadmissible [ɪnəd'mɪsədɪl] (სამხილი) რომელსაც სასამართლო მხედველობაში ვერ მიიღებს.

inadvertent [ɪnəd'vɜ:tnt] 1. უყურადღებო; 2. გაუფრთხილებელი; არააკურატული.

inadvertent access to data [] შემთხვევითი შეღწევა ინფორმაციაში; არასანქცირებული შეღწევა მონაცემებში (კომპიუტერული პროგრამის ან ადამიან-ოპერატორის შეცდომის გამო)

inalielable [ɪn'eɪlɪəbəl] ხელშეუხლებელი; განუყოფელი (მაგ., უფლება)

inaminate [ɪn'æɪnɪt] მოდუნებული, უსიცოცხლო; დუნე, უხალისო (მაგ., ყიდვის მოთხოვნის შესახებ)

in-and-out [ɪnɔɪ(d)'aʊt] დილერული ოპერაციის სწრაფი დამთავრება

inane [ɪ'neɪn] უაზრო; ფუჭი; ცარიელი, უშინაარსო

inapt [ɪn'æpt] 1. შეუსაბამო, უადგილო (მაგ., პირობის ან ვენიშენის პუნქტების შესახებ); 2. უცოდინარი, არაკვალიფიცირებული

in banco *ლათ.* („ინ ბანკო“): „მთლიანი შემადგენლობით“ (მაგ., საააშ. კ. თლოს წიგრების შესახებ). *სინ:* **in bank.**

in bad fait არსკეთილსინდისიერად.

in bar of ... უცილობელი საშხილი (ვინმეს) წინააღმდეგ.

in behalf of (ინტერესის) დასაცავად; სასარგებლოდ; - თვის;

in bond საბაჟოს საწყობში არსებული; საბაჟოზე გადაუხდელი მოსაკრებელი.

in business (in smith) რაიმე საქონლის დიდი მარაგი (საცალო ეაქრობაში) Inc. (აბრ.) **in. Incorporated** აგრეთვე LTD., LD

in cambers [in,kæmbə] მოსამართლის კაბინეტში და არასამართლოს დარბაზში (მაგ., მოსმენა საქმისა).

incamera [in'kæmərə] დახურულად; „დახურულ კარს მიღმა“ (განხილვა).

incantation [,inkæ'teɪ(ə)n] 1. მონქესხეა; მოჯადოება; 2. დაწვეკვლა; მაგიური ფორმულა

incapable [in'keɪpəl] უუნარო; შესაძლებლობის არ მქონე.

incarcerate [in'kɑ:səreɪt] ციხეში ჩასმა.

incarnate [in'kɑ:neɪt] განხორციელება (იდეისა, პროექტისა); გატარება (აზრისა)

incasso იტალ. ინკასო (1. ანგარიშსწორების წესი, რომლითაც კლიენტზე რიცხულ ფულად თანხას ბანკი კლიენტისათვის იღებს მესამე პირისაგან ან პირებისაგან; 2. საგ. ეკ. ურთ. ინკასო გამოიყენება საერთაშორისო ეაქრობაში ფულადი გადასახადების მისაღებად, ფასიანი ქაღალდებისა და სასაქონლო საბუთების დააქცეპტებისათვის. **in. აგრეთვე accept**)

in casu ლათ. („ინ კაზუ“): ამ საქმეში; ამ შემთხვევაში

incautious [in'kɑ:ʃəs] არაფრთხილი; არა ყურადღებიანი (ადეოკატი და სხვ.)

incendiarism [in'sendɪərɪz] წაქეზება; შეგულიანება

incentive [in'sentɪv] 1. წახალისება, სტიმული (მაგ., მატერიალური, ფულადი, საგადასახადო და სხვა სტიმულის შესახებ); 2. pl. პრემიალური სისტემა (სამუშაოს ანაზღაურებისა); 3. (წამახალისებელი) დაჭილდობა

incerta incertibus ლათ. ბუნდოვანის („უფრო) გაბუნდოვნება; გაიქცევა

incertibiliti [in'sɑ:ʊbɪlɪtɪ] შეუქცევადობა; არაკონვერტირებადობა

incest ['ɪnsɛst] გაუკუელმართებული სქესობრივი კავშირის დანაშაული (ნათესავთან: ქალიშვილთან, ვაყიშვილთან, დედასთან, მამასთან; მაგ., ზოგიერთი სექტის წევრებში).

inch [ɪntʃ] ინგლ. 1 ინჩი; სიგრძის საზომი ერთეული; 1 ინჩი = 25,4 მილიმეტრი აბრ. **in** (in. აგრეთვე foot), **pl. inches** ინჩები; აბრ. **ins.** 2. მცირე რაოდენობა, დრო ან მანძილი

inchoate ['ɪnkəʊt] 1 დაუსრულებელი; დაუმთავრებელი; 2. ბოლომდე გაუფორმებელი.

incidence ['ɪnsɪdəns] 1. ზემოქმედება; ზეგავლენა (მაგ., საგადასახადო სისტემა); გავლენის ხარისხი, გავლენის ეფექტი (მაგ., უმუშევრობის პირობების წარმოქმ-

ნასთან დაკავშირებით); 2. გავრცელების სფერო; მოქმედების სფერო; მოცეა (მაგ., დიდი გადასახადების გამო)

incident [ˈɪnsɪdɪnt] 1. შემთხვევა; ინციდენტი; 2. თანამდევნი მოვლენა; ხშირი მოვლენა; 3. (რომელიმე თანამდებობაზე ყოფნისას არსებული) ვალდებულებები და პრივილეგიები; 4. დამახასიათებელი (თვისების შესახებ); 5. შემთხვევითი; თანამდევნი, პარალელურად მიმდინარე

incite(ment) [ˈɪnsaɪt(mənt)] სამოქმედოდ აღძვრა (მაგ., დანაშაულისკენ შეგულიანება); წაქეზება

inciter [ˈɪnsaɪtə] წაქეზებელი (დანაშაულის ჩასადენად); სტიმიულატორი.

inclinable [ɪnˈkluɪnəb(ə)l] 1. (to) მიდრეკილების მქონე; 2. ტენდენციის ქონა

incline [ɪnklaɪn] 1. გადახრის მიდრეკილება; დახრა; გადახრა; 2. შტაგონება (რაიმეს შესრულებისა)

incognito ლათ. („ინკოგნიტო“): ფარულად, უჩინრად, ინკოგნიტო

income [ˈɪŋkʌm] 1. შემოსავალი; შესავალი; სარგებელი; მოგება; სარფი; 2. გასამრჩელო, ხელფასი; 3. მთლიანი (წლიური) ამონაგები; საერთო ნაეკარი. **Δ-on investments abroad** შემოსავალი უცხოური ინვესტიციებისაგან (მუხლი საგადასახადო ბალანსში); **to ensure** - შემოსავლის უზრუნველყოფა (გარანტირება), **discretionary** - დისკრეციული შემოსავალი (მაგ., მომხმარებლის შემოსავლის ნაწილი, რომელსაც იგი თვითნებურად იყენებს აუცილებელი გადასახადებისა და ცხოვრებისეული მოთხოვნილებისათვის დახარჯული თანხის გადახდის შემდეგ); **marginal** - მარკინალური შემოსავალი (ამონაგებას და დანახარჯებს შორის სხვაობა); **mixed** - შერეული მოგება (მაგ., შრომითი და საკუთრებითი შემოსავლები); **psychic** - არამატერიალური შემოსავალი (შემოქმედებითი საქმიანობისა და პროფესიული პრესტიჟის მიღწევებით დაკმაყოფილების სახით)

incomeless [ɪnˈkʌmlɪs] 1. უსარგებლოდ; სარგებლის გარეშე; მოგების გარეშე; 2. უხელფასო; 3. უშემოსავლო

income support [ˈɪŋkʌm ˈsʌpɔ:t] ინგლ. სოციალური დაცვის გადასახადი (უმუშევართა და ღარიბთა დასახმარებლად)

incoming [ˈɪŋkʌmɪŋ] 1. pl. შემოსავლები; მოგებები; 2. შემომავალი, შემოსული (თანხის შესახებ), მიღებული (კაპიტალი); 3. შესვლა (ეფულებისა ძალაში); 4. დამდევნი (წელი); 5. შემავალი (მონაცემები), დოკუმენტები

incommode [ˌɪŋkəˈmoʊd] შეწუხება; შევიწროება; ხელშეშლა

incompatible [ˌɪŋkəmˈpætɪbəl] შეუთავსებელი

incompetent [ɪnˈkɒmpɪtənt] 1. არაკომპეტენტური; არაკმედუნარიანი; 2. (პროფესიულ სამუშაოზე) მუშაობის უფლების არმქონე.

incomplete [ˌɪŋkəmˈpli:t] არასრული; დაუმთავრებელი

inconclusive [ˌɪŋkənˈklu:si:v] 1. დაუდასტურებელი; დაუმტკიცებელი; 2. არადამაჯერებელი (ფაქტები და სხვ.).

incongruous [in'kɒŋgrʊəs] 1. შეუსაბამო; შეუთავსებელი; 2. არადროული; უადგილო; არაწესიერული

inconsistence [ˌɪnkən'sɪsəns] 1 არათანმიმდევრულობა; 2. დაუსაბუთებლობა; 3. შეუთანხმებლობა; შესუსტებლობა; 4 წინააღმდეგობრიობა

in contumaciam ლათ. („ინ კონტუმაციამ“): „დაუმორჩილებლობის ვითარებაში“; სიჯიუტეში.

incorporate [ɪn'kɔ:pəreɪtɪd] 1. კორპორაციის სახით რეგისტრაციაზე გატარება [გაფორმება]; ინკორპორირება; 2. შეერთება; გაერთიანება 3. იურიდიულ პირობად გაფორმება (დაწესებულებისა)

Incorporated [ɪnkəpəreɪtɪd] 1. ამერ. აქციონერული; კორპორაციად რეგისტრირებული (კომპანიის საბელწოდების შემდეგ მიწერილი სიტყვა, რომელიც აღნიშნავს, რომ კომპანია ოფიციალურად ნებადართულია და იწოდება შეზღუდული პასუხისმგებლობის კორპორაციად) შპს-ანგლისში და სხვა ქვეყანაში. იხ. **Limited** 1. აბრ. **Inc. inc.**); 2. ქალაქის სტატუსმიღებული; 3. ჩაშენებული.

incorporation [ɪn,kə:pə'reɪʃn] 1. იხ. **incorporate** 3.; 2. გაერთიანება; მიერთება; ჩართვა; 3. სააქციო საზოგადოების სტატუსის მიღება

incorporator [ɪn'kɔ:pə'reɪtə] კორპორაციის დამფუძნებელი

incorrect [ˌɪnkə'rekt] არასწორი; მცდარი; არაზუსტი.

incorrigible [ɪnkə'rɪdʒɪbl] 1 გამოუსწორებელი (კრიმინალური ტიპი); 2. უიმედო; პესიმიستي; 3. მატყუარა, არამზადა.

incorruptible [ˌɪnkə'rʌtəbl] 1. არაკორუმპირებული, მოუსყიდველი; პატიოსანი კაცი; 2. სწორი; დაუმახინჯებელი

incoterms [ˌɪnkotəms] საგ. ეკ. ურთ. ინკოტერმინები (საერთაშორისო წესების ნაკრების გამოთქმები და აბრევიატურა, რომელიც ზუსტად ასახავს კონტრაქტის პირობებს, მაგ., იხ. **f.o.b. Ltd** და ა. შ.); ვაჭრობაში ხმარებული ტერმინები (იხ. **სინ. trade terms**)

increase [ɪn'krɪ:s] 1. ზრდა; მატება; 2. გადიდება; განვითარება; 3. მომატება. **Δ -in demand** მოთხოვნილების ზრდა; - **in productivity** მწარმოებლურობის ზრდა

increment [ˈɪŋkrɪmənt] 1. ნამატი (მაგ., პროდუქციისა); 2. მოგება; 3. ხელფასზე დანამატი (კვალიფიკაციის ამოღების ან საშესაზღვრებრივი დაწინაურების გამო); 3. გაზრდა; 4. ტვირთის პარტია

incriminate [ɪn'krɪmɪneɪt] 1. დადანაშაულება; ინკრიმინირება; 2. რაიმეში მხილება; 3. პასუხისმგებლობის დაკისრება; 4. რისამე მიზეზად მიჩნევა

inculcate [ˈɪnkʌlpeɪt] დადანაშაულება; ინკრიმინირება.

incumbency [ɪn'kʌmbənsɪ] 1. თანამდებობა; თანამდებობაზე ყოფნა; 2. კომპეტენციის სფერო; 3. ვალდებულება; მოვალეობა.

incumbent [ɪn'kʌmbənt] 1 ვალდებული (თანამდებობის ფარგლებში); თანამდებობით დაკისრებული ვალდებულება; 2. ოფიციალური თანამდებობის პირი.

incur [in'kɜ:] 1. განცდა (მაგ., ზარალისა); (საფრთხეში) ჩაგდება; 2. ვალებში ჩაეარდნა; ვალების აღება; (საკუთარი თავისთვის) ზიანის მიყენება

in curia ლათ. სასამართლოში; ღია სასამართლო პროცესზე.

incurious [in'kjʊ(ə)rɪəs] 1. უეჭურადღებო; ინტერესმოკლებული; 2. სიახლის შეგრძნების არმქონე.

incut ['ɪnkʌt] ჩაჭრილი; ჩაშენებული; ჩაყოლებული; ჩამდგარი

indebted [in'detɪd] 1. ვალში მყოფი; (ვინმეს წინაშე) ვალდებული; 2. სესხით მოსარგებლე

indebtedness [in'detɪdnɪs] დავალიანება; ვალის ჭამი

indecent [in'di:sənt] შეურაცმყოფელი; ზულიგნური (საქციელი)

indecorum [ˌɪndɪ'kɔ:rəm] უტაქტობა; უადგილობა; არაკორექტულობა; უსწილობა

indefeasible right [ˌɪndɪ'fi:z(ə)bl 'raɪt] ხელშეუვალი უფლება

indeliberate [ˌɪndɪlɪbəɪt] დაუგეგმავი; არაწინასწარ განზრახული

indemnify [ɪn'demniʃɪ] 1. დაზღვევა; 2. (for) ანაზღაურება, დაკომპენსება; (ზარალის) ანაზღაურების გარანტიის მიცემა; 3. (for) მატერიალური პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება

indemnitor [ɪn'demɪnɪtɔ] ინდემნიტორი, ზიანის ან ზარალის ანაზღაურების თავდები

indemnity [ɪn'demniʃɪ] 1. ზარალის ან დანაკარგის გარანტია; 2. კომპენსაცია (ზარალის ან ზიანისა); 3. კონტრიბუცია, რეპერაცია; 4. პასუხისმგებლობის მინიჭება; პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება

indenization [ˌɪndɪnɪ'zeɪʃn] ქვეშევრდომობის მინიჭება; ნატურალიზაცია

indent ['ɪndent] 1. (საზღვარგარეთიდან მისაღები საქონლის შეკვეთა; კონტრაქტი; ორდერი; 2. ინდენტი; მოსახევე დუბლიკატის საბუთი; 3. საბუთის შედგენა ორ ან მეტ ეგზემპლარად 3. სასწავლებლად მიზარება; 4. ერთი ქვეყნის იმპორტიორის მიერ სხვა ქვეყნის კომისიონერისათვის მიცემული შეკვეთა; 5. რეკვიზიცია; 6. აბზაცო. **Δ trust** - აქციების მფლობელსა და მათ გამოშვებ კომპანიას შორის დადებული კონტრაქტი

indenture [ɪn'dentʃə] 1. ორ ან მეტ მხარეს შორის დადებული ხელშეკრულება; კონტრაქტი; შეთანხმება; 2. ორ ან მეტ ეგზემპლარად შედგენილი საბუთი; 3. ბეჭედდართყმული საბუთი; 3. აღწერა; ნუსხა.

independence [ˌɪndɪ'pendəns] 1. (არსებითი ნიშნების ურთიერთ) დამოუკიდებლობა; თავისთავადობა; თვითმყოფობა; 2. საკუთარი შემოსავლის ქონა

index (ლათ. — მაჩვენებელი; სია) ინდექსი (რომელიმე ეკონომიკური მოვლენის ცვლილების დინამიკის პროცენტულად გამოსახული ციფრობრივი სიდიდე; მაგ., ფასების ი., ცხოვრების ღირებულების ი. და სხვ. იხ. აგრეთვე Dow Jones index); რიცხვი-

თი მაჩვენებელი; 2. კატალოგი; საძიებელი; სია; 3. ანბანური მაჩვენებელი; 4. დაპრ. და-ინდექსება; ინდექსის მიკუთვნება; მიმთითებლის მომზადება; 5. მაჩვენებელი (მაგ., კონკურენტუნარიანობისა) **Δ** ~ **of consumption** (საქონლის) მოხმარების ინდექსი; ~ **of real wages** რეალური ხელფასის ინდექსი; ~ **of stocks** აქციების კურსის ინდექსი; **consumer confidence** ~ მომხმარებლის დარწმუნებულობის კოეფიციენტი (ეკონომიკური მდგომარეობის მახასიათებელი)

indexation [ˌɪndɛkˈseɪʃn] ინდექსაცია (კონტრაქტით ან ვალდებულებით გადასახდელი თანხების გადაანგარიშება ფასების ინდექსის ცვლილების პროპორციულად, როგორც ინფლაციისაგან დაცვის საშუალება; ინფლაციისას სხვადასხვა ფულადი შემოსავლის რეალური სიდიდის შენარჩუნების საშუალება, საკრედიტო, საგადამხდელი და სხვა დოკუმენტებში განსაკუთრებული წინასწარ დათქმული ინდექსების, — კოეფიციენტების, ჩართვის გზით.იხ. აგრეთვე **inflation**)

indexing [ˈɪndeksɪŋ] 1. დაინდექსება; ინდექსის მიკუთვნება, ინდექსის მინიჭება; 2. ინდექსური დამისამართება (ინდექსის ერთი ერთეულით გაზრდა ან შემცირება); 3. მოდიფიკაცია

indicate [ˈɪndɪkeɪt] 1. ჩვენება, მითითება; 2. აღნიშვნა; 3. მოთხოვნა (მაგ., ვალის გადახდისა); 4. დადასტურება; 5. წინასწარი მონახზნის გაკეთება; წინასწარ დაგეგმვა

indication [ˈɪndɪkeɪʃn] 1. ნიშანი; მითითება; 2. ინდიკაცია; ჩვენება. **Δ** **digital** ~ ციფრული ანათვალა; **go-no-go** ~ „ვარაგისი-უვარაგისი“ ტიპით დახარისხება (ერთი ტიპის პროდუქციის სახეობისა)

indicator [ˈɪndɪkeɪtə] 1. მაჩვენებელი, ინდიკატორი; 2. საინდიკაციო რეგისტრი. **business cycle** ~ ბიზნესის (ეკონომიკური ციკლის) ინდიკატორი; **coincident** ~ სთანხედრის ინდიკატორი (უჩვენებს ეკონომიკური ციკლის მომდევნო ფაზის დადგომას)

indices [ˈɪndɪsɪːz] pl. **index**-დან; იხ. აგრეთვე **index**

indictree [ɪnˈdɪkriː] საბრალდებო აქტის მიხედვით დადანაშაულება.

indictable [ɪnˈdaɪtəbl] სასამართლოში განხილვადი (სამართალდარღვევისათვის).

indicta causa ლათ. („ინდიკტა კაუზა“) განუხილველი სასამართლო საქმე.

indictment [ɪndaɪtmənt] 1. საბრალდებო აქტი; 2. დიდი ჟიურის ვერდიქტი; 3. საბრალდებო დასკვნის პროექტი, რომელსაც სასამართლო შეისწავლის; 4. ამერ. ბრალდებების სია, რომელსაც დიდ ჟიურის წაუყენებენ დასკვნისა გამოსატანად

indigence [ɪnˈdɪdʒəns] სიღარიბის მდგომარეობს; ღარიბის სტატუსი.

indirect [ˌɪndɪˈrekt] 1. ირიბი; არაპირდაპირი დანიშნულებით გამოყენებული (მაგ., დანახარჯების შესახებ); 2. არაკეთილსინდისიერი

indirect headline [ˌɪndɪˈrekt ˈhedlɑɪn] სარეკლამო სათაური შეფარული მიმართვით (ტელე-ან რადიორეპორტაჟში)

indirect contempt [ˌɪnˈdɪrekt kənˈtɛmpt] სასამართლოსადმი უპატივცემლობა სზღომებზე; სასამართლოს გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობა.

indistinct [ˌɪndɪˈstɪŋkt] გაუგებარი; 2. განზნუნული (ასრი); არამკაფიო
indite [ɪnˈdaɪt] სიტყვებით გამოთქმა; 2. წერილობით ჩამოყალიბება; და-
 წერა

indorse [ɪnˈdɔːs] იხ. **endorse**

indorsement [ɪnˈdɔːsmənt] იხ. **endorsement**

inducement [ɪnˈdjuːsmənt] 1. წახალისების მოტივი; წაქეზება; სტიმული

induct [ɪnˈdʌkt] სამსახურში მიღება; თანამდებობაზე დანიშვნა.

inductio ლათ. („ინდუქციო“); კერძოდან ზოგადისკენ (ლოგიკის კანონში).

induction [ɪnˈdʌkʃn] 1. (საქმის) კურსში ჩაყენება; (ბიზნესის) საწყისების გაცნობა; სწავლება; 2. თანამდებობაზე დანიშვნა; 3. ინდუქცია; წანაცვლება; 4. აღძვრა; დაინდუქცეობა; 5. შეყვანა; (მონაცემთა) შეტანა; (ნაყადის) შემება

indulgence [ɪnˈdʌldʒəns] 1. შეღავათი, პრივილეგია; 2. გადახდის გადავადება; 3. ინდულგენცია; 4. ცოდების მიტევება.

industrial [ɪnˈdʌstriəl] 1. სამრეწველო; საწარმოო, ინდუსტრიული; 2. მრეწველი; მეწარმე; 3. pl. სამრეწველო ფირმის აქციები. Δ ~ **advertisement** სამრეწველო ნაწარმის რეკლამა; ~ **democracy** „საწარმოო დემოკრატია“ (წარმოების მართვაში მუშათა მონაწილეობის შესახებ)

industry [ˈɪndʌstri] 1. წარმოება; მრეწველობა; ინდუსტრია 2. წარმოების დარგი; ეკონომიკის დარგი. Δ **infant** - ახალგაზრდა (სუსტი) წარმოება (რომელსაც სუბსი-დია ჰქირდება). **petty** - წარმოება; **process** - 1. დამმუშავებელი წარმოება; 2. pl. გადამამუშავებელი წარმოება; **service-producing** --ies მომსახურების კომპლექსის მწარმოებელი დარგები; ინფრასტრუქტურის დარგები (ტრანსპორტი, ელექტროენერგეტიკა, კომუნალური მომსახურება, საბანკო საქმე, და ზღვევა, სახელმწიფო დაწესებულებების საქმიანობა, საყოფაცხოვრებო სამსახური და სხვ.).

inefficiency [ˌɪnɪˈfɪjənsɪ] არამწარმოებლურობა; არაეფექტიანობა

ineligibility [ɪnˈelɪdʒəˈbɪlɪtɪ] 1 არასრულუფლებიანობა; 2. თანამდებობის დაკავების (ან თანამდებობაზე ყოფნის) უფლება.

inept [ɪnept] 1. ბალადაკარგული, უმოქმედო (დებულება და სხვ.); 2. აბსურდული; უაზრო

inequality [ˌɪnɪˈkwəlɪtɪ] არათანაბრობა; უტოლობა; სხვადასხვაობა; განსხვავება (მაგ., შემოსავალს და გასავალს შორის)

inerrant [ɪnˈerənt] 1. უშეცდომო; ზუსტი; 2. შეუხილწავი (ავტორიტეტი)

inertia selling [ɪˈnɜːʃəˈselɪŋ] ინერციული გაყიდვა (მარკეტინგის მეთოდი, რომლითაც გასაყიდი საგანი ფოსტით ვეგზავნება მყიდველს, ყიდვის დავალდებულების გარეშე); სინ. უარყოფითი ოპციონი (იხ. **option 1**).

in esse ლათ. („ინ ესე“); ნამდვილი; (სახეზე) არსებული.

inexact [ˌɪnɪɡzækt] 1. არაზუსტი; 2. გაფუჭებული; 3. უეკერადლებო; არათანმიმდევრული.

inexpensive [ˌɪnɪkˈspensɪv] იაფი; დაბალფასიანი (საქონელი)

in extenso ლათ. („ინ ექსტენსო“): „შეუმოკლებლად“ (ციტატის შესახებ); მთლიანად; სიტყვა-სიტყვით.

in facie curiae ლათ. („ინ ფაციე კურიე“): „სასამართლოს წინაშე“

in fact ლათ. („ინ ფაქტო“): „ფაქტიურად“

infallible [ɪnˈfæləbəl] (მუდამ) შეუცდომელი; გარკვეული; საიმედო; უშეცდომო

infamous [ˈfɛɪməs] 1. სამოკალაქო უფლებააყრილი (უპატიოსნო დანაშაულისათვის); 2. უპატიოსნო.

infancy [ˈɪnfənsɪ] 1. არასრულწლოვანება; 2. სიჭაბუკე; ადრე ბავშვობა.

inferencing [ˈɪnfərəns] 1. (ლოგიკური) დასკვნა; 2. (ლოგიკური) დასკვნის მიღება; დასკვნის ფორმირება; დასკვნის პროცესი

inferential [ˈɪnfərənʃl] დასკვნის საფუძველზე გამოყვანილი; დედუქციური; ლოგიკური მსჯელობით მიღებული.

inferior [ɪnˈfɪəriəl] 1. (ინსტანციით) დაბლა მდგომი (სასამართლო და სხვ.); 2. დაბალი; ცუდი

infidelity [ˌɪnˈfɪdɪlɪti] 1. არალოიალურობა; სიმუხთლე; 2. გამცემლობა; 3. ღალატი (განს., ცოლ-ქმრული)

in fine ლათ. („ინ ფინე“): „ბოლოს“ (მაგ., გვერდის, პუნქტის და სხვ.).

infidel [ˈɪnɪfɪd(ə)] უღმერთო, ათეისტი; უერწმუნო.

infinite [ˈɪnfɪnɪt] 1. უსასრულო; 2. უთვალავი; 3. მათემ. უსასრულოდ დიდი სიდიდე

infirmity [ɪnˈfɜːmɪti] 1. არამდგრადობა (მაგ., ფასიანი ქალაქების კურსისა); 2. ფიზიკური ნაკლი

in flagrante delicto ლათ. („ინ ფლაგრანტე დელიკტო“): დანაშაულის ჩადენის მომენტში (მაგ., შემჩნეული).

inflate [ɪnˈfleɪt] 1. ფასების (გაუთავებელი) ამაღლება; 2. ინფლაციის გამოწვევა; 3. ხელოვნური ზრდა (მაგ., ეკონომიკური მაჩვენებლებისა); გაბერვა; გაჭიმვა

inflation [ɪnˈfleɪʃn] (ლათ.-დან *inflatio* გაბერვა) ინფლაცია (ქალაქის ფულის გაუფასურება, რაც გამოწვეულია რეალური საქონელბრუნვის მოთხოვნილებაზე მეტი ოდენობით გამოცემული ფულის ნიშნების მიმოქცევაში გაშვებით), ფულის გაუფასურება. Δ **bottleneck** - „ვიწრო ადგილების“ ინფლაცია (მაგ., მოთხოვნების სწრაფი სტრუქტურული ზრდის გამო); **credit** - კრედიტული ინფლაცია (ქარბი საკრედიტო ექსპანსიის გამო); **product** - პროდუქტების [პროდუქტის] ინფლაცია (გამოწვეულია ახალი საქონლის უწყვეტი ნაკადის მოდენით); **sellers** - საქონლის გამყიდველებისა და მომხმარებელთა მომსახურების მიზანმიმართული საბაზრო სტრატეგიით გამოწვეული ინფლაცია

inflator [ɪnˈfleɪtə] ინფლატორი; ფასების მომატების ფაქტორი

inflect [in'flekt] ინფლექტი (სიტყვის) დაბოლოების შეცვლა ან მიმატება

infliction [in'flektʃn] 1. მიყენება (ზარალისა, ზიანისა); 2. დასჯა.

influence [in'flʌns] 1. ზეგავლენა; ზემოქმედება; 2. ზემოქმედების მოხდენა

influx ['ɪnflʌks] 1. მოდენა; მოზღვაეება (მაგ., კაპიტალისა); 2. (ზე) გავლენა

infomercial [ˌɪnfə'mɔ:ʃi] ინგლ. (აქრონიმი სიტყვებიდან **information** და **commercial** კომერციული ინფორმაცია) მოკლე სატელევიზიო სარეკლამო ფილმი (საქონლის მახასიათებლების წარმოჩენით); სარეკლამო-ინფორმაციული, კომერციული ინფორმაცია

infopreneurial industry [ˌɪnfə'prɪ'əʊr(ə)] ინფოპრენერული დარგი: ელექტრონული საოფისე, საყოფაცხოვრებო და სამრეწველო მოწყობილობათა წარმოება და გაყიდვა (მიმართულია ინფორმაციის გასავრცელებლად); საინფორმაციო ტექნოლოგიური დანადგარები, მოწყობილობები და სხვები, კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების გარდა.

in forma pauperis ლათ. („ინ ფორმა პაუპერის“): „როგორც ღარიბი პირი“

informant [ɪn'fɑ:mənt] 1. სარჩელის წარმომდგენი პირი; 2. დასაყითხი პირი; 3. ინფორმატორი; კონფიდენციალური ინფორმაციის მიმწოდებელი; დამსმენი.

in for it [ɪn fɔ:ɪt] ამერ. სლენ. პრობლემების არსებობა; უსიამოვნების ქონა.

informatics [ˌɪnfə'mæɪtɪks] ინფორმატიკა (1. სამეცნიერო-ტექნიკური, ეკონომიკური და სხვა ინფორმაციის ძებნის, შენახვისა და გავრცელებისათვის საჭირო დამუშავების კანონზომიერებანი: აშშ-ში, ინგლისში, რუსეთში და სხვ.; 2. გამოთვლილი ტექნიკისა და მართვის სისტემების დამუშავების, შექმნისა და გამოყენების სამეცნიერო მიმართულება — საფრანგეთში, პოლონეთში და სხვ.; იხ. აგრეთვე **computer**; **computerization**; **robotics**)

information [ˌɪnfə'meɪʃn] ინფორმაცია (1. მონაცემებით გამოხატული აზრობრივი მნიშვნელობა; 2. შეტყობინებები, რომლებიც მათ მიღებამდე არ იყო ცნობილი; 3. მონაცემები). **Δ factual** — ფაქტობრივი ინფორმაცია (მონაცემთა ბაზებში ფაქტებით შედგენილი ინფორმაცია); **help** — საყონსულტაციო ინფორმაცია, ეკრანული დახმარება (დისფლესი ეკრანზე გამოტანილი დამხმარე ცნობები და დიალოგურ სისტემაში სწორად მუშაობის წესები); **multiplexed** — მულტიპლექსური ინფორმაცია, ერთდროულად გამოყენებული ეკონომიკური პარამეტრები (მახასიათებლები, კოეფიციენტები, ინდექსები და ა. შ.); **null** — ინფორმაციის არარსებობა.

informatization [ˌɪnfə'maɪtɪzeɪʃn] ინფორმატიზაცია; ინფორმაციული ტექნოლოგიის გავრცელება (კომპიუტერული აპარატურა-პროგრამული და ინტეგრირებული საინფორმაციო კავშირის საშუალებებით ცოდნის, მეურნეობრიობის და ეკონომიკის სხვადასხვა დარგში გამოსაყენებლად). იხ. აგრეთვე **computerization**, **informatics**

infract(ion) [ɪn'frækt(ʃn)] დარღვევა (კანონისა, ხელშეკრულებისა, ვალდებულებისა და სხვ.).

infractor [in'fraktɔ] დაპრღვევი (კანონისა და სხვ.).

in fragrante delicto ლათ. („ინ ფრაგრანტე დელიქტო“): „დანაშაულის ჩადენის ადგილას“; დანაშაულის ჩადენისას.

infrastructure ['infra'straktʃə] ინფრასტრუქტურა (მწარმოებლური და არამწარმოებლური დარგების კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს აღწარმოების პირობებს: გზები, შენობები, კავშირგაბმულობა, ტრანსპორტი, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, დასვენების კომპლექსი და სხვ.). **Δ basic** ~ ძირითადი ინფრასტრუქტურა, მწარმოებლური ინფრასტრუქტურა (ელექტროკვება, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა); **social** ~ სოციალური ინფრასტრუქტურა

infringement [in'frɪndʒmənt] 1. დარღვევა, შეუსრულებლობა (ხელშეკრულებისა, კანონისა და სხვ.); 2. ხელყოფა, ნებადაურთველი გამოყენება (მაგ., პატენტისა, დედნისა)

infringer [in'frɪndʒə] დაპრღვევი (კანონისა და სხვ.). სინ: **infractor**.

in globo ლათ. („ინ გლობო“): 1. გლობალურად; მთლიანად; გაერთიანოვანადად; 2. ერთიანად; ბითუმად

ingot ['ɪŋgət] 1. ზოდი (ოქროსი, ვერცხლისა); 2. ძელაკი

ingrain ['ɪn'greɪn] ჩანერგილი (იდეა და სხვ.), დაფუძნებული.

inhabit [in'hæbɪt] ცხოვრება; დასახლება; მკვიდრობა, ბინადრობა

inherent [in'herənt] 1. საყუთარი; განუყოფელი ნაწილი; ნიშანდობლივი დამახასიათებელი; 2. შინაგანი; სპეციფიკური; 3. მოუცილებელი. **Δ** ~ **error** საწყისი შეცდომა; (ძალაუნებურად) შეტანილი შეცდომა (წინა ოპერაციის შესრულებისას)

inherit [in'herɪt] (უძრავი ქონების ნუსხაში) მამულის მემკვიდრეობით მიღება.

inheritor [in'herɪtɔ] მემკვიდრე; სამართალმემკვიდრე.

inhibition [in'hɪbɪʃən] 1. ზემდგომი სასამართლო ინსტანციის განკარგულება ქვემდგომისადმი, მაგალითად, საქმის წარმოების შეჩერებაზე, ამ საქმის აპელაციამდე; 2. აკრძალვა

in hoc cash ლათ. („ინ ჰოკ კაშ“): „ამ შემთხვევაში“

in honorem ლათ. („ინ ჰონორემ“): „პატივისცემად“

inhouse [ɪn'həʊs] საკუთრივი, შინამრეწველური, შიგაფირმული

initial ['ɪnɪʃəl] საწყისი (მაგ., პირობები, ჩატვირთვა პროგრამისა კომპიუტერში და სხვ.); დასაწყისი

initial service level ['ɪnɪʃəl 'sɜ:vɪs 'leʊəl] მომსახურების საწყისი დონე (საინფორმაციო ქსელის ექსპლუატაციის საწყის ეტაპზე, ანუ ქსელის მომხმარებლების შესაძლებლობათა შეზღუდვისას)

initiation [ɪnɪ'ʃi:ɪʃn] 1. ინიციატივა; 2. აღძვრა (მაგ., საქმის აღძვრა)

inject(ion) [ɪn'dʒekʃn] 1. შეტანა (მაგ. კაპიტალისა სამეურნეო ბრუნვისათვის); 2. შემოტანა; შემოღება.

injunction [in'dʒʌŋkʃn] 1. სასამართლოს ამკრძალავი გადაწყვეტილება; 2. ბრძანება; დანაწესი; მითითება; 3. სასამართლოს წესით აკრძალვა

injure ['ɪndʒə] ზარალი; დაზიანება; ტრავმა; სხეულის დაზიანება; დაშლავება

in jure gentium ლათ. („ინ იურე გენტიუმ“): საერთაშორისო სამართლის ძალით

injury ['ɪndʒəri] 1. პიროვნების უფლების დარღვევა; 2. პირისათვის მიყენებული ზარალი.

injustice [in'dʒʌstɪs] უსამართლობა.

ink [ɪŋk] 1. მელანი; 2. შავი სითხე. **Δ black** - 1 მოგება; შემოსავალი; 2 მომგებიანობა (ბიზნესური ოპერაციისა); 3. დადებითი საღლო (ბალანსისა, საფინანსო ანგარიშისა); **red** - 1 (ფირმის) დავლიანება; 2. წამგებიანობა (ოპერაციისა); 3. უარყოფითი საღლო (ბალანსისა, საფინანსო ანგარიშისა); 4. ბიუჯეტის დეფიციტი; *პროფ. red - to black* წამგებიანი (ფირმა) მომგებიანად იქცა [გადაიქცა]

inland [ɪnˈlænd] შიგა, შინაგანი (მაგ. ბაზარი)

in latere ლათ. („ინ ლატერე“) სასამართლოს წვერი, რომელიც თავმჯდომარის გვერდით ზის

inlaw ['ɪnlɔ:] 1. უფლებებში აღდგენა (პირისა, რომელიც გამოცხადებული იყო კანონგარეშედ); 2. პოლიტიკური დენილისათვის პოლიტიკური და საკეთრებრივი უფლებების დაბრუნება.

in litem ლათ. („ინ ლიტემ“): სასამართლო განხილვის ეტაპზე.

in legimus ლათ. („ინ ლეგიმუს“): „ხსნა კანონებშია“

in loco delicti ლათ. („ინ ლოკო დელიკტი“): „დანაშაულის ადგილზე“

inmate [ɪnmɑt] 1 დაზურული ტიპის სახელმწიფო დაწესებულებაში მოთავსებული პირი (მაგ. წინასწარ დაკავების საკანში); 2. ბაღრაგიტს ზედამხედველობის ქვეშ მყოფი; პირობითად დაპატიმრებული.

in medio veritas ლათ. („ინ მედიო ვერიტას“): „ქვეშარიტებას შუა ადგილი უკირავს“

inn [ɪn] 1. სასტუმრო, ტრაქტირი; (ტურისტული მოგზაურობისათვის განკუთვნილი) პანსიონატი; 2. მოგზაურთა ღამისგასათევი, ფუნდუკი; 3. „ინნი“ ბარისტების მოსამსოადებელი სასწავლებელი

innocence ['ɪnəsəns] 1. უდანაშაულობა; 2. უვნებლობა; უცოდველობა; 3. უწყინარობა

innocent ['ɪnəsənt] 1. უდანაშაული; 2. უვნებლობა; უწყინარობა; 3. უცოდველობა

innovate ['ɪnuveɪt] სიახლის შეტანა; (ტექნიკური) სიახლეების შემოტანა

innovation [ˌɪnəʊveɪʃn] ინოვაცია; სიახლე; სიახლის შემოტანა; სიახლის დანერგვა (პროგრესის მისაღწევი მართვადი ფორმა: 1. ეკონომიკაში — სახსრების დაბანდების პროცესი ტექნოლოგიისა და ტექნიკის თაობის შესაცვლელად; 2. გამოგონების, პა-

ტენტის, ნოუ-ჰაუს და სხვა ტექნიკური გადაწყვეტის პრაქტიკული რეალიზაციისათვის, — მათი დანერგვით ეკონომიკური ეფექტის მიღწევისათვის, ჩატარებული პროცესი). **Δ factor-saving** – საწარმოო ფაქტორის (მაგ, კაპიტალის ან /და საწარმოო საშუალებათა) დანახარჯების შემზღვეველი ინოვაცია; **product** – ახალი ნაწარმი; **technological** – ახალი ტექნოლოგია

innovation bank [ˌɪnəʊeɪʃn bæŋk] ინოვაციური ბანკი (სააქციონერო ბანკი, რომლის კაპიტალსაც იყენებენ პროგრესული, მაღალეფექტური და კონკურენტუნარიანი პროდუქციის შესაქმნელად. იხ. აგრეთვე **bank**; **innovation**)

innovative [ˈɪnəʊeɪtɪv] სიახლის შემომტანი; ტექნიკურად პროგრესული, ინოვაციური (ორგანიზაციის ფორმის შესახებ)

innovator [ˈɪnəʊeɪtə] 1. ნოვატორი; სიახლის შემქმნელი; სიახლის გამომყენებელი; 2. ახალი პროდუქციის შემქმნელი ფირმა; ახალი ტექნოლოგიის გამომყენებელი ფირმა; 3. რაციონალიზატორი

innuendo [ˌɪnjuˈendəʊ] 1. ქარაგმის შემცველი ცილისწამებლური გამონათქვამი; 2. ორმაგი მნიშვნელობის თითქოს-და უწყინარი გამონათქვამი.

inoperative [ɪnˈɒpəreɪtɪv] 1. არაოპერატიული; არაეფექტური (მაგ, ძალის ან სიმძლავრის შესახებ); არაეფექტიანი (ეკონომიკური ობიექტის ან საწარმოს შესახებ); 2. უმოქმედო, არამომუშავე

inorb [ɪˈnɔːb] მოქმედების სფეროში ჩართვა; საუბ. ორბიტაში ჩართვა

inofficial [ˌɪnəˈfɪʃəl] არასამართლიანი; (ქვევის) საწინააღმდეგო ნორმების საწინააღმდეგო

inordinate [ɪnˈɔːdɪnɪt] უწყესრიგო; მოუწყესრიგებელი (მაგ, შეკვეთისა და მოხმარების დარგში)

in-pack [ˈɪnˈpæk] საქონელთან ერთად გაყიდული პაკეტი [საფუთავი]

inpack event [ˈɪnpæk ˈiːvent] ძვირფასად შეფუთული „პირდაპირი პრიზი“ (გაყიდვის სტიმულირების ერთ-ერთი საშუალება)

inpais ლათ. („ინ პაის“) სასამართლოსა და ოქმის გარეშე (არაოფიციალური განხილვის თაობაზე).

in pari causa ლათ. („ინ პარი კაუზა“): 1. სხვა თანაბარ პირობებში; ანალოგიურ პირობებში; 2. კანონის წინაშე თანაბარ პირობებში

in personam ლათ. („ინ პერსონამ“): „პირის საწინააღმდეგოდ“ (ქმედების შესახებ).

input [ˈɪnpʊt] 1 შეტანა; შეტანილი კაპიტალი; შეტანილი რესურსი; წარმოებაში შეტანილი ფაქტორი; 2. წარმოების დანახარჯები (მაგ., დარგთაშორისი ბალანსის ანალიზში); 3. გამ. ტექნ. (ინფორმაციის) შესატანი მოწყობლობა; 4. (მონაცემთა) შეტანა; 5. შესატანი (ეკონომიკური) მონაცემები; 6. შესატანი ნაკადი ეკონომიკური მახასიათებლებისა. **Δ --mix** საწარმოო დანახარჯების სტრუქტურა (რესურსისა და კაპიტალის განაწილებით). **extra** – გარეგანი რესურსი; **factor** – საწარმოო ფაქტორების დანახარჯი; **labor** ~ შრომის დანახარჯები; **quality** ~ 1. (პარამეტრების) რაოდენობის შე-

ტანა; 2. (საქონლის) რაოდენობის გაზრდა (ხარისხის შეუცვლელად); **total** - საერთო დანახარებები

input-output ['ɪnpʊt-'aʊtpʊt] 1. „დანახარები-გამოშვება“ (ეკონომიკური ციკლის შესახებ); 2. (კომპიუტერული) შემტან-გამომტანი (ავტომატური) მოწყობილობა; (ინფორმაციის) შესატან-გამოსატანი მოწყობილობა (მოწყობილობები და პროგრამები მონაცემთა გადასაცემად ცენტრალური პროცესორიდან პერიფერიული აპარატურისათვის და პირიქით)

inputs ['ɪnpʊts] წარმოების ფაქტორები (მიწა, კაპიტალი, მუშახელი, მასალები), რომლებიც ბიზნესისთვისაა ჩადებული

inquest ['ɪŋkwɛst] გამოძიება; ძებნა.

inquiring [ɪŋkwɑɪ'rɪŋ] 1. (თანამდებობის პირისათვის) დავალების მიცემა ძიების ჩატარების თაობაზე; 2. ძიება (მომხდარ დანაშაულზე).

inquiry [ɪn'kwɑɪrɪ] 1. შეკითხვა; საინფორმაციო შეკითხვა; 2. ცნობა; ცნობის შეგროვება; 3. ინფორმაციის დაგროვება; მონაცემთა დაგროვება; 4. მოთხოვნა (მაგ., ეკონომიკურ მონაცემთა დასამუშავებლად); 5. გამოკვლევა, შესწავლა (მაგ., მყიდველის ქცევისა, სოციოლოგისა, ეკონომიკისა და ა. შ.)

in quorate ლათ. („ინკვორატე“): „ეკორუმის გარეშე“

in re ლათ. („ინ რე“): „რაც შეეხება“ ან: „იმ შემთხვევაში“.

in rem ლათ. („ინ რემ“): „რაიმეს საწინააღმდეგოდ“. **action in rem** „ქონებრივი სარჩელი“

inroad ['ɪnraʊd] შეჭრა; შემოჭრა (ვინმეს უფლებების დასარღვევად).

ins 1. ჩვეულ. პოლიტ. მთავრობაში მყოფი; გავლენიანი პირი. 2. (the -) პოლიტ. საუბ. ქვეყნის მმართველი პოლიტიკური პარტია; 3. აბრ.: 1. (inches-დან) ინჩები (იხ. აგრეთვე inch); 2. იხ. insurance. Δ the - and the outs სამთავრობო პარტია და ოპოზიცია

ins and outs ['ɪnz ən aʊt] ამერ. და ბრიტ. სლენ. 1. დაწერილობითი ცნობები, დეტალები; 2. შესასვლელ-გამოსასვლელები; (ბიზნესის) კუთხე-კუნჭულები.

insane [ɪn'seɪn] ფსიქიკურად დაავადებული; შეურაცხადი; გიჟი; 2. აზროვნებას მოკლებული

insanity [ɪn'sænɪti] ფსიქიკური დაავადება; შეშლილობა.

insatiable [ɪn'seɪʃəbəl] 1. გაუმაძღარი; ღირმეუცვლადი; 2. ცოდნის შექმნის სიმწყავე; 3. მიდრეკილება; სურვილი.

inscriber [ɪn'skraɪbər] (მონაცემთა) ჩამწერი მოწყობილობა

inscription [ɪn'skrɪpʃn] ჩანაწერი; რეგისტრაციატარებული (განცხადება, სარჩელი და სხვ.).

inse [ɪnsɪ] აბრ. იხ. insurance

insecurity [ɪn'si:kjʊərɪti] 1. გუუნადებლობა (მაგ., ჩეკისა, ფასიანი ქაღალდისა); 2. pl. არასაიმედო ფასიანი ქაღალდები

insensible [ɪn'sensəbəl] 1. უაზრო (ქმედება); 2. უგონოდ მყოფი (მაგ., ავტო-აპარის შედეგად); 4. გაუაზრებელი, მოუფიქრებელი (დასკვნა, გეგმა და სხვ.).

insert [ɪnˈsɜ:t] 1. სარეკლამო ჩანართი (ჟურნალში ან საქონლის საფუთავში); 2. pl. სატელევიზიო სარეკლამო რგოლის [გორგოლაქის] გაფორმება (საქონლის რეკლამით; მაგ., მინი-ვიქტორინა, როდესაც შეეითხვას აძლევენ რეკლამამდე, პასუხს კი მინი-ვიქტორინის დასასრულს გამოაცხადებენ). 3. მონაცემთა შეტანა

inset [ɪnˈsɛt] იხ. insert

in-shelf display [ˌɪnˌʃɛlfˈdɪspleɪ] (მაღაზიის დახლისათვის გამზადებული) სარეკლამო პლანშეტი

inside [ˈɪnˈsaɪd] ამერ. 1. საიდუმლო (აგენტი); 2. საიდუმლო ინფორმაცია

insider [ɪnˈsaɪdə] ფირმის კონფიდენციალური ინფორმაციის მქონე პირი; ინსაიდერი; შინაური პირი; ჩვეულის წევრი; ორგანიზაციის წევრი

insolvency [ɪnˈsɒlvənsɪ] გადახდისუუნარობა. **Δ bank** - ბანკის გადახდისუუნარობა

insolvent [ɪnˈsɒlvənt] 1. კოტრი; ბანკოტი; 2. გადახდისუუნარობა

in spades [ˌɪnˈspeɪdz] 1 ამერ. სლენ. „საუკეთესოდ“; ქართ. ჟარგ. „მაგრად“; 2. გამომწვევად; ექსტრავაგანტურად

inspection [ɪnˈspɛkʃn] 1. შემოწმება; წუნდება; 2. განხილვა; გაცნობა; გამოკვლევა; 3. ტექნიკური კონტროლი. **Δ by** - გარედან შეხედვით (კონტროლი); **-for condition** ხარისხის შემოწმება (პროდუქციისა). **luggage** - საბაჟო შემოწმება (ტვირთისა, ბარგისა); **multivariant quality** - (საქონლის) ხარისხის შემოწმება რამდენიმე პარამეტრით; **remote** - დისტანციური შემოწმება, შორიდან შემოწმება; **visual** - გარეგანი შემოწმება; განმსტრობით შემოწმება.

inspector [ɪnˈspɛktə] 1. შემოწმებელი, წუნმდებელი; 2. დამკვირვებელი (ნაწარმის გამოცდისას); 3. ინსპექტორი

instability [ˌɪnstəˈbɪlɪtɪ] არასტაბილურობა; არამდგრადობა (მაგ., ეკონომიკური სისტემისა). **Δ - of credit** კრედიტის არასტაბილურობა; **monetary** - ფულის არასტაბილურობა; **unward** - ეკონომიკური აქტიურობის ინფლაციური ზრდით გამოწვეული არასტაბილურობა

installation [ˌɪnstəˈleɪʃən] 1. დაყენება, მონტაჟი (დანადგარისა); (ტექნიკური დანადგარის) განლაგება; 2. თანამდებობაზე ოფიციალურად დანიშვნა; 3. pl. ნაგებობები; შენობები; 4. დანერგვა; ათვისება. **Δ depot** - საწყობი

installed base [ɪnˈstɑ:ɪdˈbeɪz] საბაზო კომპიუტერული ტექნიკის მომხმარებლები (ფირმის, კორპორაციის და სხვა თანამშრომლები)

installment [ɪnˈstɑ:ɪmənt] 1. მორიგი შესატანი (განვადებით ყიდვისას); მორიგი გადასახადი, ნაწილობრივი გადასახადი; 2. (შეკვეთილი საქონლის) პარტია. **Δ by** - განვადებით

point [paɪnt] 1. ადგილი; პუნქტი; წერტი; 2. წერტილი; ზღვარი; 3. (დროის) მომენტი; 4. მიზანი; განზრახვა; 5. საქმე; საკითხი; 6. არსი; მთავარი; 7. საქმის არსი; განმასხვავებელი ნიშანი; დამახასიათებელი ნიშან-თვისება; 8. თამ. თეორ. ეკ. ქულა; 9. პუნქტი (ფასიანი ქალაქების ან საქონლის კურსის კოტირების საზომი ერთეული); 10. (სატრანსპორტო) სატარიფო უბნის საზღვარი; 11. სასურსათო ტალონი. **Δ** - of make-out 1. მოგების გამოთვლილი დონე; 2. ამოგების წერტილი; არაზარალიანობის დონე; 3. გამოთვლილი მინიმალური მწარმოებლურობა; - of purchase (საქონლის) გაყიდვის ადგილი. **peril** - s ამერ. საიმპორტო ბაჟის შემცირების დონე; split-off - წარმოების დანახარჯების გამოჭენის წერტილი (მაგ., წერტილი, რომელიც შეესაბამება ერთ ნახევრად პროდუქტიდან სხვადასხვა საბოლოო პროდუქტების წარმოების დაწყებას)

poison ['pɔɪzɪn] 1. შხამი; 2. ვინმეს მოწამება.

poke [pɔʊk] სლენ. 1. ჯიბე; ქისა; 2. ფული; 3. დაქირავებული მუშა; 4. ზეგავლენის მოხდენა

pol [pəl] საუბ. პოლი, პოლიტიკოსი

police [pə'li:s] 1. წესრიგის დამყარება (მაგ., ბაზარზე), კანონის დაცვა; 2. მართვა; მოწესრიგება

policemen [pə'li:smɛn] პოლიციის მქმნა, კი, პოლისმენი.

police station [pə'li:s stɑɪʃ(ə)n] პოლიციის ადგილობრივი განყოფილება.

policy ['pɒlɪsi] 1. პოლიტიკა; ქცევის ხაზი, კურსი; 2. სტრატეგია, ქცევა; 3. წესი; მეტორიკა; 4. პოლისი. **Δ** to issue a ~ პოლისის გაფორმება; to take out a ~ დაზღვევა, პოლისის მიღება. **allocation** - რესურსების განაწილების (სახელმწიფოებრივი) პოლიტიკა; **business** - საქმიანი პოლიტიკა, ბიზნესის პოლიტიკა (მაგ., ფირმის მიზნების დაფორმლება და მისი მიღწევის ტექნიკურ-ეკონომიკური საშუალებანი); „ბიზნესის პოლიტიკა“ — სასწავლო საგანი ბიზნესის სკოლაში; **minimax** - თამ. თეორ. ეკ. მინიმაქსის სტრატეგია; **pricing** - ფასების პოლიტიკა; **speculation** - საბირჟო თამაშის პოლიტიკა; **stop(-and)-go** ~ ბრიტ. „სტექ-წინ“ ტიპის პოლიტიკა (რომელშიც მონაკელებს სტიმულირებისა და ეკონომიკური ზრდის შეკავების მეთოდები)

policyholder ['pɒlɪsi 'hɔʊldɜ] სადა ზღ. დამზღვევი

poll [pɒl] 1. ხმის მიცემა; კენჭისყრის ჩატარება; 2. ხმების მიღება; 3. ხმების რაოდენობის დათვლა; 4. ამომრჩეველთა სია; 5. ანკეტური გამოკითხვა; 6. ამერ. ჩვეულ. pl. საარჩევნო უბანი; 7. ინდივიდი; ცალკეული პირი.

polla jury [pɒlə dʒʊri] ჩაფიტ მსაჯულთა ხმების დათვლა.

pulled response ['pʌld .rɛspɔns] საკონტროლო შეკითხვის პასუხი

pollcitation [ˌpɒlɪs'ɪtʃɪn] 1 გაუფორმებელი ვალდებულება; ზეპირი პირობა;

2. დაუაქცეპტებელი ოფერტა.

pollster ['pɒlstɜ] გამოკითხვის სპეციალისტი; ინტერვიუერი

poll tax ['pɒl tæks] ყველასათვის ერთნაირად სავალდებულო გადასახადი.

polluter [pɑ'lu:tɪ] გარემოს გამაბინძურებელი (მაგ., საწარმო)

pollution [pɑ'lu:ʃn] 1. (გარემოს) დაბინძურება; 2. რასების შერწყმა

polycursor პოლიკურსორი (*რომელიმე შექმნილი მთელი დისფლექსიის ეკრანზე: თავწვეტა, ოთხკუთხედი, რომში, ჭიკრი, ვარსკვლავი და სხვა სიმბოლო, რომლითაც ხერხდება მომღვენო ნიშნის ან გამოსახულების გამოჩენა*)

polygamy [pɑ'liɡəmi] პოლიგამია; მრავალმეუღლეობა

polygraph ['pɑliɡrɑ:f] პოლიგრაფი; სიცრუის დეტექტორი.

polygyny [pɑ'liɢɪni] პოლიგინია, მრავალკოლიანობა

polypoly [pɑ'liɒəli] პოლიპოლია (საბაზრო სიტუაციის სახე; მაგ., კონკურენციის შენარჩუნებისათვის რამდენიმე მსხვილი ეპკრის მიერ საბაზრო სიტუაციის შექმნა)

polytechnic [ˌpɑli'teknik] პოლიტექნიკური (მაგ., უნივერსიტეტის ან სკოლის შესახებ)

pool [pu:l] 1. საერთო ფონდი; გაერთიანებული მარაგი (მაგ., ვალუტისა); 2. პული, გაერთიანება (მაგ., რამდენიმე კონკურენტს შორის კარტელური ტიპის გაერთიანება); 3. დაპრ. პული (მონაცემთა) დამგროვებელი (მაგ., კონსტანტების, ამოცანების, ვერსიების და სხვათა პული). **Δ bear** - საბირჟ. ფასჩამოკლებზე მოთამაშე სპეკულანტთა გაერთიანება; **bonus** - პრემიალური ფონდი; **foresight** - წინასწარმეტყველების დამგროვებელი (*მათემატიკურ ლინგვისტიკაში*); **hindsight** - კონფლიქტების დამგროვებელი (*მათემატიკურ ლინგვისტიკაში*); **version** - ვერსიების პული; ახალი (ეკონომიკურ მონაცემებისა) ვარიანტის დამგროვებელი (კომპიუტერულ მესხიერებაში)

pooling ['pu:lɪŋ] გაერთიანება (მაგ., შემოსავლებისა, მოგებისა); დაჯგუფება

poop [pu:p] საუბ. 1. ინფორმაცია; ფაქტები; 2. მარცხი; მწყობრიდან გამოსვლა; გაფუჭება

poor [puə] 1. დაბალი ხარისხის(ა); ცუდი; სუსტი; 2. ღარიბი; დატყი; 3. pl. სიღატაკე

pop [pɑp] ამოგდება (მაგ., ეკონომიკური მონაცემებისა სტატეული მესხიერებიდან);

populace ['pɑpjələs] ხალხის მასა, ხალხი

populate ['pɑpjuleɪt] შეესება; ამოვსება; გავსება

population [ˌpɑpjʊ'leɪʃn] 1. ერთობლიობა; პოპულაცია; მოსახლეობა; მობინადრეები; მცხოვრებლები; 2. სტატ. გენერალური ერთობლიობა; 3. სულადობა (ცხოველებისა, პირუტყვისა). **Δ business** - L აშერ. სამრეწველო-სავაჭრო ფირმა (საწარმო); 2. ბიზნესში ჩართული მოსახლეობის ნაწილი; **home** - ქვეყნის წიგნით მცხოვრებლები; **indigenous** - ძირითადი მოსახლეობა, აბორიგენები; **livestock** - (პირუტყვის) სულადობა; **young** - ახალგაზრდობა

populationist [ˌpɑpjʊ'leɪʃnɪst] 1. პოპულაციონისტი (ქვეყნის მოსახლეობის ზრდის რეგულირების მქონე); 2. დემოგრაფი

porridge [pɑrɪdʒ] სლენ. პატიმრობა.

Port [pɑ:t] აბრ.: 1. (Portugal-დან) პორტუგალია; 2. აბრ. პორტ. (portugese-დან) პორტუგალიელი. აბრ. პორტ.

port [pɑ:t] 1 ნავსადგური, ნავსაყუდელი; 2. დაპრ. პორტი (კომპიუტერული ქსელის აბონენტის შეტანა-გამოტანის წერტილი, რომელსაც სახელი მიკუთვნებული აქვს როგორც სააბონენტო მოწყობილობაში ასევე სატრანსპორტო სადგურში); 3. გასასვლელი; ფანჯარა; ხერელი; არხი

porta antiqua ლათ. („პორტა ანტიკა“): „ანტიკური კიშკარი“: განათლების კულტურის საძირკველი.

porter [pɑ:ɪə] ბრიტ. პორტერი (რკინიგზის სადგურზე ტვირთის გადაშენი); 2. კარისკაცი (ოტელში)

porterage [ˈpɑ:tərɪdʒ] 1. ტვირთის გადატანა; 2. გადატანის საფასური

portfolio [pɑ:ˈfɔ:liʊ] 1. პორტფელი (მაგ., ფასიანი ქაღალდებისა, ხელნაწერებისა, დენებისა); 2. საქალაღდ (დოკუმენტებისა და მნიშვნელოვანი ქაღალდებისათვის); 3. პორტფელი, მინისტრის თანამდებობა. Δ - of bills თამასუქების პორტფელი; - of shares აქციების პორტფელი; insuranse - სადაზღვევო პორტფელი

portion [pɑ:ʃn] 1. კანონიერი მემკვიდრის წილი; 2. ნაწილი; წილი; მზითვეი; 3. ახალგაზრდა პირისათვის გადაცემული წილი.

pose [pəʊz] 1. დასმა, შეთავსება (მაგ., ამოცანისა, წინადადებისა); 2. ჩამოყალიბება, დაფორმულება (მაგ., არგუმენტისა, პრეტენზიისა); 3. შეფიქრანება, ჩინში მოქცევა

posey [pəʊzi] პრეტენზიული (სინ. posy)

posh [pɒʃ] საუბ. 1. ფული (იხ. აგრეთვე ackers, lurry 1.); 2. საუკეთესო, საუცხოო; მოღური

position [pəˈzɪʃn] 1. ადგილმდებარეობა; განლაგება; პოზიცია; მდგომარეობა; 2. ნაშთი, საღლო, ნარჩენი; 3. წუსხა (მიწოდებული ან მისაწოდებელი საქონლისა); სია, ჩამონათვალი; 4. საბირჟ. სასწრაფო გარიგების პოზიცია; კონტრაქტების ჭამი; სასწრაფო პოზიცია (მაგ., განსაზღვრულ თვეში დასრულებადი კონტრაქტი); 5. მარაგი; პორტფელი; 6. მდგომარეობა, თანამდებობა; 7. პოზიცია, მუხლი. Δ - of account (ბანკში არსებული) ანგარიშის მდგომარეობა; - of stock საქონლის მარაგის მდგომარეობა. reserve - რეზერვების საღლო; technical - საბირჟ. (ფასიანი ქაღალდების) ბაზრის მდგომარეობა

positioning [pəˈzɪʃnɪŋ] პოზიციის მიკუთვნება, ადგილის მიჩნევა; ადგილის განსაზღვრა; (საქონლის) პოზიციონირება (არსებულ საქონელს შორის სიახლისათვის ადგილის განსაზღვრის პროცესი)

positive [ˈpɒzɪtɪv] 1. დადებითი; პოზიტოური; 2. განსაზღვრული (მოგებისა და შემოსაღების შესახებ); 3. პოზიტოური (მაგ., ეკონომიკური თეორიის შესახებ); 4. აბსოლუტური; ნათელი; თვალნათელი; 5. პირდაპირი; 6. დაწერილი (კანონი და სხე.).

possess [pəˈzɛs] 1 რაიმეს ფლობა; 2. კონტროლი; 3. თავშეკავების უნარი; საკუთარი სურვილის ან განწყობის მართვის უნარი; 4. (ენის) ფლობა; 5. იშვ. შეტყობინება; ცნობება.

possession [pə'zɪʃn] 1. ფლობა; მფლობელობა; 2. pl. საკუთრება; ქონება; 3. საკუთრებაზე კონტროლი.

possesive [pə'zɛsɪv] მფლობელი; მქონებელი, პატრონი

possesory [pə'zɛsəri] 1. საკუთარი; საკუთრებრივი; 2. საკუთრების ფლობასთან დაკავშირებული.

post [paʊst] 1. ანერ. გარკვეული სახის აქციის სავაჭრო ადგილი; 2. რეკლ. რეკლამირება; განცხადება (მაგ., აფიშების ან პლაკატების მეშვეობით); 3. პოსტი, თანამდებობა; 4. კავშ. ფოსტა, კორესპონდენცია; 5. ანგარიშების გადაგზავნა (ფოსტით); 6. ბულ. საბულალტრო წიგნში ჩაწერა; 7. დაპრ. შეტყობინება; 8. პუნქტი, პორტი, პოსტი. შენიშვნა: ამ თავსართს ხშირად სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, მაგ., შემდგომ; პოსტ; მომდევნოდ (განლაგებული, პოზიციამი მეოფი და სხვ.).

post actum ლათ. („პოსტ აქტუმ“): „შემთხვევის (ან ქმედების) შემდეგ“. იხ. აგრ.: **post factum**

postage ['paʊstɪdʒ] საფოსტო ხარჯები; საფოსტო გადასახადი

postaudit ['paʊstɑ:dit] მენეჯ. გასაელის პერიოდული შემოწმება (ფირმაში, კომპანიაში)

postcard ['paʊstkɑ:d] 1. საფოსტო (ლია) ბარათი; 2. საფოსტო ბარათით შეტყობინება. **Δ direct-mail - s** კავშ. ფოსტით გაგზავნილი სარეკლამო მასალები (უახლოეს მომავალში გასაყიდი საქონლებისა); **follow-up airmail -** კავშ. ავიაფოსტით გზავნილი ლია ბარათი (შეტყობინებით)

postdating ['paʊstdeɪtɪŋ] დაბადების თარიღის გვიანდელი რიცხვით შეცდომით მითითება

postentry ['paʊstɛntri] 1. ანგარიშის შემდგომი დამატებითი გატარება; 2. ანგარიშში ჩაწერა.

poster ['paʊstə] 1. პოსტერი, სარეკლამო პლაკატი; 2. განცხადება; აფიშა; 3. განცხადების გაყვრა, რეკლამების გაყვრა და სხვ. **Δ - board** რეკლ. პლაკატის (გასაყრავი) დაფა; საპლაკატო პანელი

poste restante [] ფრანგ. „მოთხოვნამდე“ (წერწერა წერილის კონვერტზე); „მოკითხვამდე“

posteriory (a posteriory) ლათ. („პოსტერიორი“): „გამომდინარე იქიდან, რაც გადაწყდა“; აპოსტერიორი.

post factum ლათ. („პოსტ ფაქტუმ“): „ფაქტის შემდგომ“; უკანა რიცხვით; დაგვიანებით; პოსტფაქტუმ. (ტერმინის საპირისპიროა **ante factum** - შემთხვევის მოხდენამდე; ფაქტამდე; ანტეფაქტუმ).

post festum ლათ. („პოსტ ფესტუმ“): „დღესასწაულის შემდეგ“ ანუ დაგვიანებით მას შემდეგ რაც მოხდა; უკანა რიცხვით.

[post hoc, ergo propter hoc ლათ. („პოსტ ჰოკ, ერგო; პროპტერ ჰოკ“): „ამის შემდეგ, მაშასადამე ამ მოსულის გამო“ (ლოგიკური შეცდომის შესახებ; ქმედების დროით თანმიმდევრობას ებუღლობენ როგორც მიზეზობრივ დაშოკედებულებას).

post hoc non propter hoc ლათ. („პოსტ ჰოც ნონ პროპტერ ჰოც“): „ამის შემდეგ, მაგრამ არა ამის შედეგად“

postil [pastil] საბუღალტრო წიგნის [ჟურნალის] მუხლის შენიშვნა

posthumous ['pastjuməs] მამის სიკვდილის შემდეგ დაბადებული ბავშვი

posting ['paustɪŋ] 1. ჩაწერა, რეგისტრაცია, გატარება (მაგ., საბუღალტრო ჟურნალში); 2. დაპრ. ინფორმაციის ერთეულის ჩაწერა (მაგ., ფაილში); 3. კავ. შ. კორესპონდენტის გაგზავნა; 4. რეკლ. სარეკლამო განცხადებების გავრცელება

post mortem ლათ. („პოსტ მორტემ“): „სიკვდილის შემდგომ“ (ქმდება). ექსპერტიზა; გვამის ამოღება საფლავიდან და სიკვდილის მიზეზის დადგენის მიზნით გამოკვლევა.

post-nuption [ˌpəʊstˈnʌpʃn] ქორწინების შემდეგ ცოლ-ქმარს შორის დადებული ხელშეკრულება (ან საქმიანი მორიგება).

post obit bond [pəʊst əbɪt bænd] შეთანხმება, რომლის მიხედვითაც მსესხებელი ვალის დაბრუნებას კისრულობს მემკვიდრეობის მიღების შემდეგ.

post release [ˌpəʊstriˈliːs] სასიჯელოს მოხსნის შემდგომი პერიოდი

postpone ['pɒstpaʊn] 1. გადავადება (მაგ., გადასახადისა); გადაადგება; 2. ბოლოს განხილვა; ბოლოში მოქცევა.

postscript(um) ['pəʊstˌskɪpt] აბრ. P.S. 1. პოსტსკრიპტუმი; (წერილზე) მინაწერი; 2. ეპილოგი; 3. დამატებითი ინფორმაცია.

post-teen [ˌpəʊstˈtiːn] ახალგაზრდული; 19 წელზე უფროსი ახალგაზრდი სათეის დამახასიათებელი.

postulate ['pɒstjʊlɪt] 1. პოსტულატი; 2. მოთემ. აქსიომა; 3. იშვ. (წინასწარი) მოთხოვნა.

pot [pɒt] 1. თამ. თეორ. ეკ. ბანკი; 2. საუბ. ფულის გროვა; 3. დაკონსერვება

potency ['pɒtənsɪ] 1. პოტენცია; პოტენციური შესაძლებლობა (მაგ., ფირმისა); 2. ეფექტიანობა (მაგ., მეთოდისა)

potential [pəˈtenʃəl] 1. პოტენციალი (მაგ., ეკონომიკური, საწარმოსი, ნედლეულისა და სხვ.). 2. პოტენციალური (მაგ., შესაძლებლობა ფირმისა, კოოპერაციისა); შესაძლო; ფარული; 3. იშვ. მძლავრი

potentiate [pəˈtenʃiət] 1. ძალის მიცემა; 2. შესაძლებლობის მიცემა

posius sero quam nunguam ლათ. („პორტიუს სერო კვამ ნონგუე ამ“): „სულაბს გვიან, ვიდრე არასდროს“ (ტიტუს ლიბიუსი. „ისტორია“, IV, 2, 11).

poulterer ['paʊltərə] ინგლ. მალაზია „ფრინველი“ (სადაც ძირითადად იყიდება გარეული ფრინველისა და ნადირის ხორცი)

pound [paʊnd] ფუნტი (ინგლ. 373,242 გრამი);

poundage ['paʊndɪdʒ] 1. ფინ. ფუნტი სტერლინგის ანარიცხი პროცენტი (ანგარიშსწორებისას); 2. საბაჟ. წონის ბაჟი; 3. საგად. მოგების დანარიცხი პრემიის გადასახდელად

poverty [pavəti] სიღარიბე; სიღატაკე; სიდუხჭირე

power ['paʊə] 1. ძალაუფლება; 2. უფლებამოსილება; სრულუფლებიანობა; მინდობილობა; 3. მწარმოებლურობა (მაგ., ეფექტიანი, ნომინალური, სრული მწარმოებლურობა); აბრ. P.; 4. შესაძლებლობა, უნარიანობა (მაგ., კრედიტუნარიანობის, მყიდველობითი უნარიანობის და სხვათა შესახებ); 6. სიმძლავრე; ენერჯია; ძალა; აბრ. P.; 6. მათემ. ხარისხის მაჩვენებელი (განტოლების) რიგი; 7. კრიტერიუმის სიმძლავრე; 8 (მოქმედებაში ან მოძრაობაში) მოყენა. Δ - in the market ძალაუფლება ბაზარზე; ბაზარზე მოპოვებული ძალაუფლება - of attorney მინდობილობა; - of sale გაყიდვის უფლება. borrowing - კრედიტუნარიანობა (პიროვნებისა ან ფირმისა); earning - შემოსავლიანობა, მომგებიანობა; legislative - საკანონმდებლო ძალაუფლება

power broker ['paʊə ,brɔ:kə] 1. პოლიტიკური ბოსი, ძირითადად ბიზნესიდან პოლიტიკაში გადმოსული; პოლიტიკოსი-ბიზნესმენი; 2. ძალაუფლების მქონე.

power circuit ['paʊə ,sɜ:kɪt] ენერგეტიკული ქსელი

powerful ['paʊəfʌl] 1. ავტორიტეტული; გავლენიანი; 2. მძლავრი

powering ['paʊəriŋ] შესაძლებლობის გაფართოება (მაგ., ფირმისა)

power of attorney ['paʊə əv 'ætəni] იურ. ატორნეის უფლება (დონორის ან გრანტორის მიერ ატორნეის სახელზე ბეკლით დამოწმებული უფლება, რომლითაც ატორნეი ანხორციელებს დონორის ფუნქციებს. იხ. აგრეთვე attorney 1; donor 3; grantor

p. p. [pi:pi:] (აბრ. per procuracy-დან) იხ. procuracy

PP. [pi:pi:] (აბრ. pages-დან) გვერდები (წიგნის ან სხვა გვერდების ციტირებისას

P. pro [pi:prɒv] იხ. p. p.

PPS. [pi:pi:es] (აბრ. post-postscript-დან) მინაწერის შემდეგი მინაწერი, პოსტ-პოსტსკრიპტი (იხ. აგრეთვე PS).

pr. (აბრ.) იხ. pair

practice ['præktɪs] 1. პრაქტიკა; პრაქტიკულად განხორციელება; 2. მოღვაწეობა; 3. ჩვეულება; ტრადიცია; 4. მეთოდი; სისტემა; პროცედურა; 5. პროფესია; მეცადინეობა; 6. pl. მაქინაციები; თაღლითობა. - of trade სავაჭრო პრაქტიკა. pricing - ფინ. ფასწარმოქმნის პრაქტიკა

practise ['præktɪs] 1 პროფესიით მუშაობა; პროფესიული ჩვეულები; 2 ჩვეულების გამომუშავება; 3. პროფესიული პრაქტიკის ჩატარება; პრაქტიკა

praecipe ლათ. („ორეციპე“): 1. სასამართლოში წერილობითი თხოვნა დოკუმენტის მომზადებისა და გამოქვეყნების თაობაზე (მაგ., განაჩენის გამოტანა თაობაზე); 2. სასამართლოს განკარგულება აღსრულების თაობაზე

pragmatism ['prægmətɪzəm] პრაგმატიზმი; პრაქტიციზმი

pray ['preɪ] 1 თხოვნა; სევწნა; 2. შუამდგომლობა.

prayer ['preɪə] 1. სლენ. შანსი; შესაძლებლობა; 2. შუამდგომლობა; თხოვნა

preamble [ˌpri:ˈæmbəl] საწყისი სიტყვები (ან წინადადებები) რომელშიც ფიქსირებულია ოფიციალურ დოკუმენტებში

precatory [ˈprekətɹi] თხოვნის(ა); თხოვნით მიმართული.

precaution [priˈkɑ:ʃn] 1. წინდახედულება; 2. სიფრთხილე.

precedence [ˈpresɪdəns] 1. ბანკ. პრიორიტეტი (მაგ., კრედიტორებისა გაკონტრებისას); 2. უფროსობა (სამსახურებრივ იერარქიაში)

precedent [ˈpresɪd(ə)nt] 1. (სასამართლო) პრეცედენტი; (კრიმინალური) შექმნილი; 2. წინა; წინა შემთხვევა.

precept [ˈpri:sept] 1. განკარგულება გადასახადების ადგილობრივად გადახდის შესახებ; 2. მოთხოვნა; განკარგულება; წესი; 3. ინსტრუქცია; 4. მიწერილობა; ბრძანება; 5. დაკავების ორდერი; 6. გამოძახება (სასამართლოზე დასასწრებად).

precious metals [ˈpreʃəs ˈmetəlz] კეთილშობილი ლითონები (ოქრო, პლატინი, ვერცხლი). შენიშვნა: **base metals** ნიშნავს არაკეთილშობილ ლითონებს.

precis [ˈpreɪsɪ:] ფრანგ. (დოკუმენტის) რეფერატი, მოკლე აღწერა

precise [ˈpraɪsɪs] 1. ზუსტი; განსაზღვრული; 2. პუნქტუალური; პედანტური

preclude [priˈklu:d] 1. (საფრთხის ან ჩავარდნის) თავიდან აცილება; 2. (ეჭვების) გამორიცხვა; 3. აკრძალვა; ხელის შეშლა (მაგ., ხელშეკრულების გადახედვაზე).

precomputed [ˈpri:kəm ˈpjʊ:ɪd] წინასწარ გა(მო)თვლილი, წინასწარ ნაანგარიშევი

precomputer [ˈpri:kəmpjʊ:tə] (გამო)თვლისწინა; წინაგამომითვლელი; საშინაო (სამუშაოს შესახებ ზოგადი პრინციპების ჩამოსაყალიბებლად)

preconception [ˌpri:kənˈsepʃ(ə)n] წინასწარ შექმნილი აზრი; მიკერძოებული, აზრი; (აკეთილშობილი) ცრურწმენა.

precondition [ˈpri:kənˈdɪʃn] წინასწარი პირობა, წინაპირობა

predecease [ˌpri:diˈsi:s] ადრე სიკვდილი (მაგ., შეილისა მამის გარდაცვალებამდე).

predecision [ˌpri:diˈsɪʒn] წინასწარ გადაწყვეტა

predication [ˌpriːdɪkəɪʃ(ə)n] 1. მტკიცება; განცხადება; 2. იმერ. ფაქტებით დასაბუთება.

prediction [priˈdɪkʃn] პროგნოზი; დაპროგნოზება; წინასწარმეტყველება

predicate [predɪkɪt] 1. განცხადება; მტკიცება; 2. იმერ. დაფუძნება (ფორმისა და სხვ.); 3. გაყოფრება; ასრად მოხელა; 4. პრედიკატი; შემასმენელი.

preempt [priˈempt] 1. სხვაზე ადრე ყიდვა ან გაყიდვა; წინასწარ გამოყენება; 2. ყიდვის უპირატესი უფლების მოპოვება; 3. მომსახურების შეწყვეტა

preemptive [priˈemptɪv] 1. სხვებზე ადრე ყიდვა; 2. ყიდვის უპირატესი უფლება; 3. იმ. preempt 3.; 4. იმერ. საბაჟო მებაეეთა უფლება იმპორტული საქონლის დატყვევებაზე

preemptive marketing [pri'ɛmptiv mɑr'kɛtɪŋ] „წინმსწრები“ მარკეტინგი (ბაზარზე ჯერ კიდევ გამოუტანელი საქონლის რეკლამა კონკურენტი საქონლისაგან მყიდველთა ყურადღების შენელებისათვის, რასაც ხშირად იყენებენ კომპიუტერული ფირმები)

preenter [pri'ɛntə] საბაჟო დეკლარაციის წინასწარი გაცემა

preevaluate [pri'væljʊeɪt] 1. წინასწარი შეფასება; 2. წინასწარ (ზერეულედ) გამოთვლილი ფასეულობა

preference ['prɛfərəns] 1. უპირატესობა; მჯობინება; 2. შეღავათიანი საბაჟო გადასახადი, პრეფერენცია; 3. უპირატესი უფლება; 4. პრივილეგია; pl. პრივილეგირებული აქციები; 5. წარდგენა; წაყენება (სარჩელისა და სხვ.). **Δ asset - s** აქტივების სტრუქტურის განმსაზღვრელი უპირატესობა; **consumer's** - მომხმარებლის (პირადული) მჯობინება [შეხედულება]; **fraudulent** - კრედიტორის უკანონო უპირატესობა (გაყობრებისას); ~ **function** უპირატესობის ფუნქცია (საქონლის შერჩევისას); ~ **item** საქონელი, რომელსაც მყიდველთა უმეტესობა უპირატესობას ანიჭებს

preferential [ˌprɛfə'renʃɪəl] უპირატესი; შეღავათიანი; პრივილეგირებული; პრეფერენციული. ~ **duty** [tariḡ] სპეციალური დაბალი ტარიფი; ~ **terms** [treatment] საქმის წარმოების ჩვეულებრივზე უკეთესი პირობები (ან მეთოდები).

preferential customer [ˌprɛfə'renʃɪəl 'kʌstəmə] შეღავათით მოსარგებლე მუდმივი მყიდველი

preferentialism [ˌprɛfə'renʃɪəlɪzəm] უპირატესობითი სისტემა, პრეფერენციალიზმი (ვაჭრობაში)

preferment [pri:'fɜ:mənt] 1. განცხადება (პროტესტისა); განაცხადი (მოთხოვნისა). 2. ამაღლება; (თანამდებობრივი) დაწინაურება. **Δ ~ of charges** ვინმეს სისხლის სამართლის დანაშაულის ბრალდების აქტი.

prefinance [pri'faɪnəns] წინასწარ დაფინანსება

prejudge [ˌpri:'dʒʌdʒ] 1. საქმეზე მსჯელობა ჩვენების მოსმენამდე; 2. სასამართლოს დამთავრებამდე გადაწყვეტილების მიღება; 3. დაუსაბუთებელი; წინასწარი, მცდარი გადაწყვეტილების მიღება.

prejudice ['predʒʌdɪs] 1. ვინმეს მიმართ უსამართლო გრძობების ქონა; 2. ვინმეს მიმართ მიყენებული ზარალი (ან ზიანი); 3. ზიანის (ან ზარალის) მიყენება; 4. წინასწარ შეგონება; 5. შეგულიანება.

preliminary [pri'li:mɪnəri] 1. წინასწარი; მომზადებითი (მაგ, ხელშეკრულებისწინა სამუშაოების შესახებ); 2. pl. წინაპირობები; წინასწარი მოლაპარაკებები; მონაცემები; წინასწარი შენიშვნები; 3. pl. საწყისი ღონისძიებები; პირველი ნაბიჯი; 4. (წინასწარი) გათვლა.

prelist [ˌpri:lɪst] წინასწარი სიის შედგენა; წინასწარ სიაში ჩართვა

premeditation [priˌmedi'teɪʃn] დანაშაულის დაგეგმვა და წინაპირობების მომზადება (მაგ, ქილერის დაქირავება); 2. წინასწარგანსრახვა.

premise ['premis] 1. გზავნილი; შეტყობინება; 2. წინაპირობა; წინამძღვარი; წინასწარი პირობა; წინათქმა; 3. ზემოხსენებული, მოცემული, ზემოაღნიშნული; 4. pl. უძრავი ქონება, სახლი, შენობა; 5. იურ. აქტის შესავალი ნაწილი (მაგ., უფლების გადაცემის აქტში); დადასტურებითი ნაწილი (მაგ., სასარჩევო განცხადებისა). **Δ ship – s** ინგლ. მალაზიის შენობა

premises ['premisɪs] 1. გასაცემი საკუთრება; შენობა და ადგილი, სადაც უძრავი ქონება მდებარეობს; 2. pl. საიჯარო ხელშეკრულების საწყისი ნაწილი; 3. სარჩელის ძირითადი ნაწილი; 4. ზემოთ ხსენებული (მუხლი, პუნქტი).

premium ['pri:miəm] 1. პრემია; ჯილდო; 2. დაჯილდოება; პრემიალური დანამატი; 3. რეკლ. სარეკლამო პრიზი (მყიდველისათვის უფასოდ გაკეპული საქონელი სხვა საქონლის გასაღების სტიმულირებისათვის); 4. სადა ზღ. სადაზღვევო შესატანი; სადაზღვევო პრემია; 5. საბირჟ. პრემია სასწრაფო გარიგების მოგვარებისათვის; 6. უმაღლესი ხარისხისა; პირველი სორტი; 7. ფინ. დანამატი; პრემია; აჟიო, ლაჟი (ნომინალურ ფასზე დამატება; განსაზღვრულ კურსზე დანამატი ფული); 8. საიმედო; 9. პირველი რიგისა, სასწრაფო. **Δ at a – L** დიდი მოთხოვნილების სარგებლობის(ა); 2. ნომინალზე მაღლა; პარიტეტზე მაღლა; – **for the put** უკუპრემია; გარიგება უკუპრემიით; – **on gold** ლაჟი ოქროზე. **call** – წინასწარი პრემია; ოპციური გარიგებით გადახდილი პრემია (იხ. აგრეთვე **option 1**); **exchange** – ვალ. სავალუტო პრემია (ფორმალურ და მოქმედ სავალუტო კურსებს შორის დადებითი სხვაობა); **natural** – ნატურალური სატარიფო განაკვეთი (მაგ., სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ალბათობის ტოლი სატარიფო განაკვეთი); **risk** – პრემია რისკისათვის

premium brand ['pri:miəm brænd] ძალიან მაღალი ხარისხის სამარკო საქონელი
prenumbering ['pri:ˌnʌmbərɪŋ] წინასწარი დანომერა (მაგ., საბუთების ფურცლებისა)

prepackaging ['pri:ˌpækɪdʒɪŋ] საქონლის წინასწარი შეფუთვა (მალაზიაში)

prepaid ['pri:ˌpeɪd] წინასწარ გადახდილი

prepak ['pri:ˌpæk] იხ. **prepackaging**

preparation [ˌprepə'reɪʃn] 1. მომზადება (მაგ., ბიუჯეტისა); 2. წინასწარი დამუშავება (მაგ., ეკონომიკური ინფორმაციისა); 3. დაანგარიშება (მაგ., ხელფასისა)

prepay [ˌpri:'peɪ] 1. წინასწარ გადახდა; ფრანკირება (საქონლის ან ტვირთის გადაგზავნის, გადატანის ან მიწოდების საფასურის წინასწარ გადახდა); 2. საფოსტო გადასახადის გადახდა

prepayment [ˌpri:'peɪmnt] 1. დაავენება, ავანსის მიცემა, ფრანკირება (იხ. აგრეთვე **prepay 1**); 2. ავანსი

preplanning [ˌpri:'plænɪŋ] წინასწარ დაგეგმვა; წინასწარ დაპროგრამება (სამუშაოებისა, მოქმედების გეგმისა)

preppy ['prepi] ამერ. საკლ. 1. ფრეპი, კერძო საშუალო სკოლადამთავრებული; 2. ფრეპი, კერძო სკოლის მოსწავლე

preprice [ˈpriːpraɪ] ფასების მარკირება (ეტიკეტებზე)

pre-print colour [ˌpriːˈprɪnt ˈkʌlə] ჩართული ფერადი ილუსტრაცია (წიგნისა)

preprogram [ˌpriːˈprɔʊgræm] მენეჯ. წინასაწარი პროგრამა; წინასწარი დაპროგრამება

prerequisite [priˈrekwaɪt] იხ. **premise 2**

prerogative [priˈrɒɡətɪv] განსაკუთრებული უფლება, პრეროგატივა; პრივილეგია

Pres (ან **pres**) (აბრ.) იხ. **president**

prescribe [priˈskraɪb] 1. წესების შემოღება; 2. დიდი ხნის წინ მიღებული უფლების განმტკიცება; 3. სასჯელის გამოტანა; 4. რაიმე უფლების ხანდაზმულობაზე მითითება; 5. წერილობითი ბრძანების გაცემა.

prescription [priˈskrɪpʃ(ə)n] 1 მიწერილობა; 2. განკარგულება; 3. რეკომენდაცია; 4. ხანდასმულობის უყუღება (გადასახადების გადახდისა, ქონებრივი საკუთხისა); 3. დაუწერელი კანონი.

preselection [ˌpriːsɪˈleɪʃn] წინასწარი შერჩევა

Presence [ˈpreɪzns] მეფე; დედოფალი.

presence [ˈpreɪzns] ყოფნა; მორაწიდეყობა (მაგ., დადგენილი პრინციპით).

present [ˈpreznt] 1. წარდგენა; გადაცემა; ჩაბარება (მაგ., თამასუქისა, ჩეკისა); 2. სიჩუქარი; 3. ჩუქება; 4. მოცემული; სახეზე მყოფი; წინამდებარე; 5. (ხშირად) იურ. განსახილველად გადაცემა; 6. ჩვენება, გამოჩენა. **Δ to a - check** ჩეკის წარდგენა (გადახდისას); **to - for collection** ფინანს. ინკასოზე წარდგენა. **to - in evidence** მტკიცებულების სახით წარდგენა.

presentable [priˈzentəbl] 1. საკმაო, რიგიანი, თვალში საცემი; პრეზენტაბელური, შესაშინვეი; 2. კარგი; ღირსეული; რესპექტაბელური

presentation [ˌprezənˈteɪʃn] 1. წარდგენა (მაგ., თამასუქისა, ფასიანი ქაღალდისა); წარმოდგენა (მაგ., ბალანსისა, ეკონომიკური პარამეტრებისა); 2. (საქონლის) წარდგენა, პრეტენზია; ჩვენება; 3. აღწერა; წერილობით ჩამოყალიბება; 4. აღწარმოება; 5. (გრაფიკული) გამოსახულება

presentation folder [ˈprezənˈteɪʃn ˈfɔːldə] სარეკლამო ლიტერატურის ნაკრები

presenter [ˈprezɪntə] წარმომდგენი; წარმდგენი (მაგ., საბუთისა)

presenment [priˈzentmənt] 1. სასამართლო საქმის აღწერა; 2. მსაჯულების განცხადება მათთვის ცნობილ ფაქტობრივ გარემოებებზე (წარმოთქმული ფიცის ქვეშ); 3. საკითხის ჩამოყალიბება; 4. ჩეკის წარდგენა გასანაღებლად; 5. გამოსახულება.

preside [priˈzaɪd] მართვის (ან კონტროლის) განხორციელება.

presidence [ˈprezɪdəns] 1. მართვა, ხელმძღვანელობა; 2. ი.შე. პრეზიდენტობა

presidency [ˈprezɪdənsɪ] 1. პრეზიდენტობა; 2. თავმჯდომარეობა

president [ˈprezɪdnt] 1. პრეზიდენტი (მაგ., ქვეყნისა); 2. (ბანკის, კომპანიის და სხვ.) მმართველობის თავმჯდომარე, პრეზიდენტი; 3. თავმჯდომარე (მაგ., სასამართლოსი, სენატისა); 4. სკოლ. რექტორი (უნივერსიტეტის კოლეჯისა); 5. ამერ. უნივერსიტეტის რექტორი

pres-kit [ˈpriːskɪt] საქონლის ნიმუშებისა და სარეკლამო ლიტერატურის ნაკრები

press [pres] 1. დაეინებითი მოთხოვნა (მაგ., ხელფასის მომატებისა); 2. დამძიმება, გაკირვებაში ჩაგდება; 3. თავს მოხვევა (მაგ., სახელშეკრულებო მუხლისა); 4. გადაუღებელი და სასწრაფო მოქმედებები; 5. ბეჭდის დარტყმა; 6. პრესა: ჟურნალ-გაზეთები, ნაბეჭდი მასშედიური საშუალებები;

pressing [ˈpresɪŋ] გადაუღებელი, სასწრაფო, დაეინებითი

pressure [ˈpreʃə] 1. წნევა, დაწოლა; ზემოქმედება; 2. სიძნელე; გაკირვება; მძიმე მდგომარეობა; ძნელი გარემოება. **Δ** – **for money** ფულის უკმარისობა, ფულის „შიმშილი“; ~ **of competition** კონკურენციის ზემოქმედება (მაგ., ხარისხის გაუმჯობესება); ~ **of taxation** საგადასახადო დაწოლა

presumption [priːˈzʌmpʃn] 1. ვარაუდი; დაშვება; 2. იურ. პრეზუმფცია (მაგ., ფაქტის რწმუნება, სანამ მისი მკდარობა არ დამტკიცდება); 3. ვარაუდზე დამყარებული მოსაზრება; ვარაუდის საფუძველი; ალბათობა

pretax [ˌpriːˈtæks] გადასახადის დარიცხვამდე (პერიოდი)

preterlegal [ˌpriːˈtɔːˈliːɡəl] არაკანონიერი; არასამართლებრივი

pre-term [ˌpriːˈtɜːm] ვადამდელი.

preticketing [priːˈtɪkɪtɪŋ] დამუშავება (მაგ., მოთხოვნებისა, მონაცემებისა)

prevail [priːˈveɪl] 1. ჭარბობა; მეტობა; პრევილირება; 2. დაძლევა; ჯობნა; 3. უპირატესი ძალის ქონა; 4. არსებობა (მაგ., მეთოდისა, აზრისა); იოქმედება.

prevalent [ˈprevələnt] ფართოდ გავრცელებული; ცნობილი

prevaricate [priːˈvæɪrɪkət] 1. სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენება; 2. არაპირნათლად შესრულება; გადაცდომა; 3. ორჭოფული პასუხის გაცემა (დაკითხვისას). 4. უკანონო გარიგებაში მონაწილეობა; 5. მოწინააღმდეგე მხარებთან მოლაპარაკება; 6. ქართ. სლენ. „საქმის ჩაწყობა“.

prevent [priːˈvent] 1. გაფრთხილება; დაცვა; დაფარვა; 2. არიდება; აცილება (მაგ., შეცდომებისა); 3. ხელის შეშლა; დაუმეგბლობა

preventive [priːˈventɪv] 1. გამაფრთხილებელი, დამცავი; 2. ხელშემშლელი; 3. პროფილაქტიკური (მაგ., შეკეთება); იურ. პრევენტიული. **Δ** – **detention** იურ. პრევენციული დასჯენა; ~ **measures** გამაფრთხილებელი ზომები

price [praɪs] 1. ფასი; 2. დაფასება; 3. შეფასება; 4. ფასეულობა; 5. ფასიანი ქალაქების კურსი; 6. ფასის დადება; ფასის მითითება; **Δ at present** – ახლანდელი [მიმდინარე] ფასებით; ~ **shot up** ფასი მკვეთრად გაიზარდა; **to fix a** – დაფასება. – **of day** საბირჟ. დღის კურსი (ფასიანი ქალაქებისა); ~ **of money** ფინ. სესხის პროცენტი. **bas-**

ing-point - ფასისაბაზისო პუნქტი (რომელიც შეიცავს საქონლის წარმოების პუნქტიდან მომხმარებელამდე მითანის დანახარჯებს); **bedrock** - ბოლო [უკანასკნელი] ფასი (გარიგებისას); **exchange** - ფასი ან ურსი ბირჟაზე; **keen** - ინგლ. დაბალი ფასები; **multiunit** - ინგლ. შეღავათიანი ფასი (საკმაო რაოდენობის საქონლის ყიდვისას); **ruinous** - გამაოტრებელი ფასი

price-consumption curve [praɪs kɒnsʌmpʃɪ kə:v] ფასის ცვლილების შესაბამისად მომხმარებლის ცვალებადობის მრუდი

price-current ['praɪs.kʌrənt] პრეისკურანტი (გარკვეულ პერიოდში მოქმედი საქონლის ფასი); არსებული (მიმდინარე) ფასი

price-cutting ['praɪs .kʌtɪŋ] ფასჩამოყლება

price-fixer ['praɪs .fɪksə] საგ. ეკ. ურთ. კარტელის მონაწილე კომპანია (რომლებიც სხვა კომპანიებთან ერთად ფარული შეთანხმებით პროდუქტების მონოპოლიურად მაღალ ფასებს აწესებენ); ფასდამდები

price-list ['praɪs lɪst] პრეისკურანტი; კატალოგი

pricer ['praɪsə] ფასების კალკულატორი

price/value perception ['praɪs/vælju pə'seɪʃɪn] ფარღობა „ფასი-საქონლის ღირებულება“ (მომხმარებლის შეგნებაში)

pricing ['praɪsɪŋ] კალკულაცია; ფასწარმოქმნა; ფასის დაწესება. **Δ cost plus** - ფასწარმოქმნა პრინციპით „საშუალო დანახარჯები პლუს მოგება“; **dual** - ფასების ორნაირი სისტემა; **welfare** - ფასების დაწესება კეთილდღეობის მაქსიმიზაციის გათვალისწინებით

prima facie ლათ. („პირვე ფაქიე“); 1 „სახზე არსებული“; „სახზე“, „ერთი შეხედვით“; 2 უკუგდებული (დარღვეული პრეზუმფცია; საწინააღმდეგოს სასარგებლო მტკიცების არსებობა

primage ['praɪmɪdʒ] 1 დაქირაების (ფრახტის) დანამატი ჩატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებში გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად

primary ['praɪməri] 1. ქრონოლოგიურად პირველი (განსახილველი სასამარ, თლო საქმე ის შეახებ); 2. პირველადი, საწყისი; 3. ძირითადი, მთავარი; 4. უმატივესი, ელემენტარული; 5. მარტივი, საწყისი (ნელი, პროდუქტის ან ნელი მასალის შესახებ). **Δ - package** პირველადი შეფუთვა (უშუალოდ საქონელთან შეხებაში მყოფი საფუთავით)

prime [praɪm] 1. ძირითადი; მთავარი; ამოსავალი; 2. არსებითი; 3. საწყისი პერიოდი; 4. დაწყება; 5. ძირეული; 6. საუკეთესო (მაგ., ხარისხი); 7. პირველი კლასისა; საუცხოო; 8. ცნობების წინასწარ მიწოდება; 9. ინსტრუქტირება; მომზადება; 10 მტირე შუალედების შემდეგ გამოორება. **Δ - cost** თვითღირებულება.

prime times ['praɪm 'taɪms] „პირველადი ფსონი გამრავლებული“ (კრედიტის განახლებისას პირველადი განაყეთის გარკვეულ კოფიციენტზე ნამრავლი)

prime time ['praɪm 'taɪm] პიკის დრო (რადიოსა და ტელევიზიაში; სარეკლამოდ ყველაზე ძვირადღირებული საეთერო დრო)

primo ლათ. („პრიმო“): „ეპირველეს ყოვლისა“.

primus inter pares ლათ. („პრიმუს ინტერ პარეს“): „პირველი თანასწორთა შორის“.

principal ['prinsɪpəl] 1. (იურიდიული) რწმუნებული; უფროსი, მეთაური; პატრონი; პრინციპალი; (ფირმის) თავი; 2. დაბანდებული ან ნასესხები ფული, რომელზეც პროცენტები ირიცხება; 3. ვალის თანხა (რაზედაც პროცენტები ირიცხება); 4. ხელშეკრულების მონაწილე (მაგ., საგარეო-ეკონომიკურ გარიგებებში); 5. თამასუქის ნომინალი; 6. (ბაზაში შელწევის ადმინისტრატორი; 7. მთავარი დამნაშავე; 8. კოლეჯის დირექტორი; ამერ. სკოლის დირექტორი; 9. ძირითადი (მაგ., თანხა, კაპიტალი), მთავარი; 10. ფინან. საერთო ჯამი; ვალის თანხა (რაზედაც პროცენტი დაირიცხება); 11. წარმომადგენელი; რწმუნებული; 12. იურ. მთავარი დამნაშავე; 13. საგ. ეკ. ურთ. ხელშეკრულების მონაწილე; 14. თამასუქის ნომინალი; 15. წამყვანი (მაგ., საწარმო, მიმართულება); 16. დაპრ. (ეკონომიკურ) მონაცემთა ბაზაში შელწევის ადმინისტრატორი. **Δ** - and interest კაპიტალი და პროცენტები; - axis მთავარი ღერძი; - cause მთავარი მიზეზი; - reserves საერთო მარაგი

principum contradictionis ლათ. („პრინციპუმ კონტრადიქციონის“) წინააღმდეგობრიობის კანონი (თუ ვარი მსჯელობიდან ერთი უარყოფს მეორეს, ერთ-ერთი ცრუ გამოიქვამა).

principum divisionis ლათ. („პრინციპუმ დივიზიონის“) „დაყოფის პრინციპი“. პრინციპი, რომლის ძალადაც ახდენენ კლასიფიცირებას

principum exclusi tertii ლათ. („პრინციპუმ ექსკლუსი ტერცია“) „მესამის გამორიცხვის კანონი“ (ლოგიკაში - აზროვნების ოთხი კანონიდან ერთ-ერთი).

principle ['prinsɪpəl] 1. ძირითადი პუნქტი ან საერთო წესი; 2. პრინციპი; კანონი; აქსიომა; კანონზომიერება; 2. საგ. ეკ. ურთ. ძირითადი დებულება; საფუძველი; 3. ნორმა; ძირითადი წესი; 4. წყარო; პირველმიზეზი; საუბ. თავი და თავი; 5. მუშაობის პრინციპი; მოქმედების საფუძველები; 6. შემადგენელი ნაწილი, ელემენტი. **Δ** - of **quity** სამართლიანობის პრინციპი (ეკონომიკურ კონტეფტაში). **averaging** - გასაშუალოების პრინციპი; **compensation** ~ კომპენსაციის პრინციპი; **fluctuating** - (ფასიანი ჯალაღების) კურსის ცვლილების განმსაზღვრელი ფაქტორი

print [print] 1. ბეჭდვა; დაბეჭდვა; 2. ამონაბეჭდი; ანაბეჭდი; 3. ბეჭედი; შრიფტი; 4. გამოცემა; გამოშვება; 5. შტამპი; 6. ჩაბეჭდვა (მეხსიერებაში); დახსოვნება; 7. ბეჭდვითი გამოცემები; სარეკლამო გამოცემები; სარეკლამო ჟურნალი. **Δ** in ~ ნაბეჭდი, დაბეჭდილი (რეკლამა და მისთ.); to ~ out (მონაცემთა) ამობეჭდვა, მონაცემთა გადატანა ქალაღზე. - **advertisement** რეკლ. ნაბეჭდი რეკლამა, ნაბეჭდი სარეკლამო განცხადება; - **campaign** ნაბეჭდი რეკლამის დამზადების კომპანია; - **ed novelty** ნაბეჭდი სუვენირი

prioritized concentrator [praɪ'arɪtaɪzd 'kɒnsəntreɪtə] პრიორიტეტებიანი კონცენტრატორი (პრიორიტეტების შესაბამისი მომსახურების უზრუნველყოფისათვის)

priority [praɪ'arɪtɪ] 1. პრიორიტეტი; 2. რიგისობა; 3. პირველობა, უფროსობა; 3. იურ. უპირატესი უფლება. **Δ** - of invention პრიორიტეტი გამოგონებაში; - share პრივილეგირებული აქცია; - **overlap** დაპრ. პრიორიტეტების ზეღდება; - **test** პრიო-

რიტეტული ტესტი (კომპიუტერულ გრაფიკაში (მაგ., ეკონომიკური მოდელის ელემენტების ობიექტურ სიერცეში საოპერაციოდ და პარალელური პროექციებისათვის). first - პირველრიგისობა, უმაღლესი პრიორიტეტი; national - its ეროვნული პრიორიტეტები (ეკონომიკური პოლიტიკის შედგენისას)

prison ['prɪzən] ციხე; საპყრობილე.

prisoner ['prɪzənə] სამხედრო პატიმარი.

privacy ['praɪvəsi] 1. საიდუმლოება; (ინფორმაციის) კონფიდენციალურობა; 2. პირვნების ან ოჯახის მიერ ცალკე ბინის [სადგომის] დაკავება; 3. კერძო უძრავი შენობა (ფართობი ან მიწის ნაკვეთი).

private ['praɪvɪt] 1. კერძო, პირადი (მაგ., საკუთრების შესახებ); 2. საიდუმლოება, კონფიდენციალურობა; 3 პირადი ბიბლიოთეკა; 4. დაექტილი; დახურული (მაგ., ჩვენება, დემონსტრირება). Δ ~ label სავაჭრო შუამავლის მარკა

private warehouse ['praɪvɪt 'weɪhəʊs] კერძო სავაჭრო ბაზა; ერთი ფირმის საქონლის გამანაწილებელი ბაზა

privation [praɪvɪʃn] (რაიმე) თვისების უქონლობა; (რომელიმე) მახასიათებელის უქონლობა

privatize ['praɪvaɪzaɪz] პრივატიზება: ნაციონალიზებული (სახელმწიფო) საკუთრების შესყიდვის უფლება; განსახელმწიფოებრიობა (შენობისა, მიწისა, ქარხნისა და სხვ.)

privilege ['prɪvɪlɪdʒ] 1. უპირატესობა, პრივილეგია; 2. უპირატესობის მინიჭება (მაგ., ყიდვისას), პრივილეგირება (მაგ., ვაჭრობის მონაპოლიზებისას); 3. გარიგება პრემიის გაცემით; 4. იურ. განსაკუთრებული უფლება (მაგ., ოპციონი, იმ. აგრეთვე option 1.); უპირატესი უფლება; 5. ამერ. სლენ. იურიდიული ინფორმაციის კონფიდენციალურობა; ვაუზმაუტრებლობა. Δ exclusive - ლიცენზ. პატენტით სარგებლობის განსაკუთრებული უფლება; tax - საგად. საგადასახადო შეღავათი

privity ['prɪvɪtɪ] 1. მონაწილეობა, თანამონაწილეობა; 2. თანაზიარობა; საუბ. წილში გასვლა. Δ ~ of contract ხელშეკრულებითი ურთიერთობა

prize [praɪz] 1. ჯილდო, პრემია; პრიზი; 2. მოგება (მაგ., ლატარიამი); 3. შეფასება, დაფასება (მაგ., დამახუბრებისათვის)

pro (ან Pro) 1. პრო (აბრ. professional-დან), პროფესიული (მაგ., pro-sport ან pro-sport პროფესიული სპორტი); 2. პრო (აბრ. probation-დან) გამოცდა; საგამოცდო ვადა; სტატირება

pro (ლათ.) აღნიშნავს: 1. დაქვემდებარებულობას (მაგ., prorektor პრორექტორი, რექტორის მოადგილე); 2. მიმხრობას, მხარდაჭერას (მაგ., pro-German პროგერმანული); 3. ნაცელად, მაგიერად (მაგ. pro-Consul კონსულის მოვალეობის შემსრულებელი); - თვის; დგომას (ვინმეს) მხარეს ან (ვინმეს) სასარგებლოდ. 3. აბრევიატურა სიტყვიდან professional - პროფესიული (მაგ., სუფიქსი აკრონიმში Lexipro series პროფესიული ლექსიკონების სერია (გამომცემლობისა „იბერთედ-პრესი“). Δ - rata პროპორციულად

pro and con(tra) 1. ლათ. „მომხრე“ და „წინააღმდეგი“ (მაგ., კენჭისყრისას, მეთოდის გარჩევისას); 2. საკითხის დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასება (ან აწონვა); საკითხის განხილვა (გააზრება და დასაბუთება)

probability [ˌprɒbəˈbɪlɪti] 1. ალბათობა; 2. მათემ. დამაჯერებლობა; სარწმუნოება

probable [ˈprɒəbəl] 1. შესაძლო; ალბათური; 2. სარწმუნო; დამაჯერებელი, დასაჯერი

probate [ˈprəʊbɪt] 1. ანდერძის დასაბუთება; 2. სასამართლოს მიერ ანდერძის თაობაზე განხილვადი საკითხი; 3. ანდერძის ნამდვილობის ოფიციალური დადასტურება.

probative value [ˌprəʊbətɪv væljʊː] ნივთმტკიცება (სასამართლოზე); სამხილი.

probatum est ლათ. („პრობატუმი ესტ“) შესაწმენკლდია, დამტკიცებულდია (მოწონებულდია, მიღებულდია).

probe [prəʊb] 1. სასინჯი; ზონდი, საცეცი; 2. ნიმუში; 3. გამოკვლევა, კვლევა; გამოკრევევა, გარკვევა; 4. მისადგომი

probity [ˈprəʊbɪti] (ბიზნეს-) მიუკერძოებლობა; (ბიზნეს-) სიწმინდე

problem [ˈprɒbləm] 1. ამოცანა, პრობლემა; 2. რთული საკითხი, პრობლემა. **Δ-of waiting** ლოდინით მომსახურების ამოცანა. **allocation** - განაწილების ამოცანა; **bargaining** - ამოცანა ვაჭრობის შესახებ; **bottleneck** - „ვიწრო ადგილები“ პრობლემა; **marketing** - მაკეტინგის ამოცანა; რეალიზაციის ამოცანა; **product-mix** - პროდუქციის ასორტიმენტის პრობლემა

procedendo ლათ. („პროცედენდო“): ქვემდგომი ინსტანციისადმი ბრძანება (მაგ. დამატებითი ძიებისათვის. წარმოების გაგრძელებისათვის და შ.).

procedural [prəˈsiːdʒrəl] 1. პროცედურული, პროცედურასთან დაკავშირებული; 2. იურ. პროცესუალური

procedure [prəˈsiːdʒə] 1. პროცედურა; (შესრულების) პროცესი; 2. მეთოდი, ხერხი; (საკითხის გადაწყვეტის) მეთოდიკა; 3. (ჩატარების) ტექნიკა; ტექნოლოგიური პროცესი; 4. იურ. სამართალწარმოება. **Δ - of customs** საბაჟო პროცედურა. **auditing** - მენეჯ. ანგარიშიანობის შემოწმების პროცედურა, აუდიტის პროცედურა; **hidding** - ვაჭრობათა სისტემის ორგანიზების პროცედურა; **test** - შემოწმების პროცედურა

proceed [prəˈsiːd] 1. კვლავქმედება, კვლავკეთება; განახლება; 2. (დაწყებული პროცესის) გაგრძელება; 3. მიმდინარეობა

proceeding [prəˈsiːdɪŋ] 1. ქევა, მოქცევა; 2. pl. სამუშაოები, საქმეები; 3. შრომები (სამეცნიერო) ანგარიშები; 4. იურ. სასამართლო წარმოება

proceeds [prəʊsiːdʒ] 1. თამასუქის დისკონტისას გადახდილი თანხა; 2. ფასიანი ქაღალდების გაყიდვისაგან მიღებული შენატანი; 3. ამონაგები, ნაეაჭრი; შემომტანი; შენატანი; 4. შემოსავალი

process [prəʊˈses] 1. პროცესი, ხერხი, მეთოდი, რითაც სასამართლო ამტკიცებს თავის იურისდიქციას; 2. სასამართლოში გამოძახების უწყება; 3. ოფიციალური იურიდიული პროცედურა; 4. ფორმალური მსვლელობა (პროცესისა); 5. განვითარება; ქმედება; 6. განვითარების მსვლელობა; აქტი, ქმედება; 7. მიმდინარეობა,

მსულებლობა; 8 (მონაცემთა ავტომატური) დამუშავება; გადამუშავება; 9. საქმის აღძვრა; 10. პროცესუალური ნორმები. **Δ acquisition** ~ (საქონლის) მიწოდების უზრუნველყოფის პროცესი. **Δ decision** ~ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი; **launching** ~ ბაზარზე გატანა (ახალი საქონლისა ან პროდუქტისა); **price-adjustment** ~ ფასების რეგულირების პროცესი

processing ['praʊsɛsɪŋ] 1. დამუშავება (მაგ., მონაცემებისა, ინფორმაციისა); 2. დამზადება (მაგ., ნიშნისა, დეტალებისა); 3. ტექნოლოგია; ტექნოლოგიური მეთოდის შემუშავება; 4. პირველადი გადამუშავება (მაგ., ნედლეულისა, საშუალოდ მონაცემებისა). **in-line data** ~ (ეკონომიკურ) მონაცემთა ოპერატიული დამუშავება; **of line** ~ (მონაცემთა) არაავტონომიური დამუშავება

process-server ['praʊsɛs, sɜ: vɔ] ოფიციალური დოკუმენტების ხელიდან ხელში გადამცემი პირი.

processor ['praʊsɛsə] 1. პროცესორი; მონაცემთა დაპროგრამებული დამუშავების კომპიუტერული მოწყობილობა; 2. (მონაცემთა) დამუშავების პროგრამა; 3. გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმო

precinct ['prɪsɪŋkt] 1. ქალაქის ნაწილი, სადაც აკრძალულია ავტომობილების მოძრაობა. 2. ამერ. ქალაქის ადმინისტრაციული ოლქი. **Δ police** - პოლიციის უბანი.

proctor ['prɔktə] კანონისა და წესრიგის დამცველი პირი უნივერსიტეტში

procuracy ['prɔkjʊrəsi] იურ. იმპ. მინდობილობა; სრულუფლებიანობა

procurator [ˌprɔkjʊ'reɪtɔ] 1. სრულუფლებიანობა; ნდობა (ადვოკატისადმი და სხვ.); 2. საქმის გამძღვა სრულუფლებიანობის სტატუსით; 3. მიღება, შექმნა; 4. სესხის მიღება; სესხის გაცემა (კლიენტისათვის); 5. მკაცრის დაჭილდობა მიღებულ სესხისათვის; 6. მინდობილობით ბიზნესის წარმართვა; 7. მინდობილობა. **Δ joint** - კოლექტიური სრულუფლებიანობა

procurator [ˌprɔkjʊ'reɪtɔ] 1. საქმის წამყვანი; ნდობით აღტურვილი პირი; 2. იურ. რწმუნებული

procure [prə'kjʊə] 1. ქმედება, ვინმეს რაიმეს გაკეთებაზე (განსაკუთრებით ქალის დათანხმება სქესობრივ კონტაქტზე ფულის შეთავაზებით); 2. მოპოვება; მოვნა; უზრუნველყოფა; 3. შექმნა; ყიდვა; 4. მიმართვა; 5. შეუამდგომლობა; მაჭანკლობა.

procurement [prə'kjʊəmənt] 1. მიწოდება, მიტანა; მიწოდების კონტრაქტი; 2. იმ. **procurator** 1.

produce ['prɔdju:s] 1. პროდუქცია; ნაწარმი; 2. პროდუქტ(ებ)ი; სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები; 3. წარმოება, გამოშვება; შემუშავება; 4. განხორციელება; შექმნა; გამოშვება; 5. შედეგი; 6. (შემოსავლის) მოტანა. **Δ excess** ~ 1. ჭარბი პროდუქცია; 2. ჭარბი პროდუქტი; **gross** - მთლიანი ნავეჭრი; მთლიანი ამონაგები; **raw** - ნედლეული **producer** [prə'dju:sə] მწარმოებელი; დამამზადებელი; შემქმნელი; გამომშვები. **Δ commodity** - საქონელშემქმნელი; **low-cost** - წარმოების მცირე დანახარჯებით მომუ-

შვე მწარმოებელი; **money** ~ ფულ(ებ)ის ემიტენტი [გამომშეები]. ~ **goods** სამრეწველო გამოყენების საქონელი

productibility [prɔ,dɔktɪ 'bɪlɪtɪ] 1. პროდუქტიულობა; ნაყოფიერება; 2. ტექნოლოგიურობა; განხორციელებადობა; 3. გამომშეებადობა; წარმოქმნადობა

product ['prɔdɔkt] 1. პროდუქტი; პროდუქცია; ნაწარმი; ფაბრიკატი; 2. დოკუმენტების წარდგენა; 3. შედეგი, პროდუქტი; 4. მათემ ნამრავლი; 5. იშვ. საქონელი. Δ ~ **sold** რეალიზებული პროდუქცია; **to abandon the ~** პროდუქციის წარმოების შეწყვეტა ~ **of labor** შრომის შედეგი **complete** ~ შხა ნაწარმი; **export** ~ საექსპორტო პროდუქცია; **import** ~ იმპორტული პროდუქცია

product class ['prɔdɔkt klɑ:s] საქონლის კლასი (მომხმარებელთა უმეტესობისათვის ურთიერთშენაცვლებადი ნაწარმების ჯგუფი)

product development ['prɔdɔkt 'dɪvɛləpmɛnt] საქონლის შექმნა [დამუშავება]

product feature ['prɔdɔkt 'fi:tʃə] საქონლის თვისება [მხასიათებელი]

product idea ['prɔdɔkt ɪə'ɪdɪə] საქონლის იდეა [ჩანაფიქრი]

product introduction [prɔdɔkt ɪntrə'dɪʌkʃən] საქონლის გატანა ბაზარზე (გასაყიდად)

production [prɔ'dɪʌkʃn] 1. წარმოება, დამზადება; გამზადება; 2. გამოშვება; 3. მწარმოებლურობა; 4. გამომუშავება (მაგ., ელექტროენერჯისა); 5. იხ. **product** 1.; 6. მიღება, გენერირება, წარმოქმნა; 7. (დოკუმენტების) წარდგენა. Δ ~ **in bulk** მასობრივი წარმოება (მაგ., ყოველდღიური მოხმარების საქონლისა); **to speed up** ~ პროდუქციის გამოშვების დაჩქარება [გაზრდა]

productionizing [prɔ'dɪʌkʃənɪzɪŋ] ნაკადური წარმოების ორგანიზაცია; ნაკადური ხაზის მეთოდის დანერგვა (წერილსერიული წარმოებაში)

production manager [prɔdɪʌkʃn 'mænɪdʒə] საწარმოო განყოფილების უფროსი

productivity [prɔdɪʌk'tɪvɪtɪ] მწარმოებლურობა (მაგ., საწარმოსი); პროდუქტიულობა (მაგ., მესაქონლეობისა); ეფექტიანობა (მაგ., ძირითადი კაპიტალისა). Δ **capital**~ 1. კაპიტალუკუება; 2. ფონდუკუება; **marketing**~ მარკეტინგის შედეგიანობა; **per capita** [head]~ გამომუშავება ერთ სულ მოსახლეზე

product knowledge ['prɔdɪʌkt 'nɔɪlɪdʒ] საქონლის (თვისებების) ცოდნა

product life cycle ['prɔdɪʌkt 'laɪf 'saɪkl] მენეჯ. საქონლის ცხოვრების ციკლი (ბაზარზე საქონლის არსებობის ექვსი ეტაპი: გამოჩენა, ზრდა, სიმწიფე, გაჭერება, დაცემა და საქონელზე უარის თქმა)

product line ['prɔdɪʌkt 'laɪn] საქონლის სერია (ერთი ფირმის საქონლის ასორტიმენტი ან მკიდროდ ურთიერთდაკავშირებულ ნაწარმთა ჯგუფი, რომლებიც ერთობლივად გამოიყენება, და აგრეთვე ჰყავთ ერთი და იგივე მწარმოებელი, აქვთ საერთო სარეალიზაციო ბაზა და ფასების ერთნაირი დიაპაზონი). **product mix** ~ ფირმის (მიერ ბაზარზე გატანილი) საქონლის ასორტიმენტის სტრუქტურა

product preference ['prɔdɪʌkt 'prefərəns] მუიღველობითი უპირატესობა საქონლისადმი

product quality leader ['pradakt 'kwɑli ɪ:lɪdɔ] საქონლის ხარისხის მიხედვით ლიდერი

product support ['pradakt sɑ'pɔ:t] მენეჯ. საქონლის „მხარდაჭერა“ (რეკლამის მუდმივი კაპიტალდაბანდებითა და რელიზაციის სტიმულირებით).

product-use experience ['pradakt.ju:s ɪkspɪəriəns] საქონლის გამოყენების გამოცდილება

product watch ['pradakt wɒtʃ] (ბაზრის) საქონელზე მუდმივი დაკვირვება

proet contra ლათ. („პრო ეტ კონტრა“): „თანახმა“ და „წინააღმდეგო“ (კენჭისყრისას).

profess [prə'fes] 1. ღიად აღიარება; 2. პრეტენციის გამოხატვა; 3. (ბიზნესით) დაკავებულობა; 4. თაყის მოკატეხება.

profession [prə'feɪn] 1. პროფესია; სპეციალობა; 2. pl. (the-) რაიმე პროფესიის აღმნიშვნელი; 3. რწმუნება (მაგ. გარბევისას გულწრფელობაში); მტკიცება; განცხადება

professional beauty aids [prə'feɪnəl 'bjʊti 'eɪds] კოსმეტიკური სალონების (საკოსმეტიკო) საქონელი

profer ['prafə] შეთავაზება; წარდგენა (დოკუმენტისა და სხვ.).

proficient [prə'fɪʃənt] 1. სპეციალისტი; (დარგის) ექსპერტი; 2. გამოცდილი, მარჯვე; გერგილიანი

profit ['prɒfɪt] 1. მოგება; შემოსავალი; 2. სარგებლობა, გამორჩენა, სარტა, ზიერი; 3. შემოსავლის მიღება; მოგების მიღება. **Δ - on capital** კაპიტალიდან (მიღებული) მოგება; ~ **per unit** ხვედრითი მოგება; ერთეული პროდუქტიდან (მიღებული) მოგება. **abnormal** - ზემოგება; **mercant's** - ნავეჭრით მიღებული მოგება; **monthly** ~ თვიური შემოსავალი; **negative** ~ ზარალი; დანაკარგები

profitability [ˌprɒfɪtə'bɪləti] მომგებიანობა; შემოსავლიანობა; სარგებლიანობა; რენტაბელობა

profitable ['prɒfɪtəbl] 1. სასარგებლო; ხელსაყრელი; სასიკეთო; 2. მომგებიანი; შემოსავლიანი; რენტაბელური

profiteer [ˌprɒfɪ'tiə] 1. პირი, რომელიც ზომავზე მეტ სარგებელს ნახულობს, განსაკუთრებით საქონელის დეფიციტის პირობებში, სპეკულანტი; 2. სპეკულირება

profitgraph ['prɒfɪtgrɑ:f] მომგებიანობის გრაფიკი

profit taker ['prɒfɪt 'teɪkə] ინგლ. მოგებაზე მოთამაშე პირი (რომელიც მოკვლევადიანი აქტივებით ვაჭრობს)

pro forma ლათ. („პრო ფორმა“): ფორმისათვის; გარეგნობისათვის.

pro forma letter ფორმალური წერილი, რომელიც სასამართლოს ატყობინებს სხვა სასამართლოს გადაწყვეტილებას.

prognosis [ˌprɒg'nɒsɪs] პროგნოზი; წინასწარმეტყველება

prognosticator [ˌprɒg'nɒstɪkətɔ] პროგნოზის სპეციალისტი, მაპროგნოზებელი

prognostics [prag'nastiks] პროგნოსტიკა; პროგნოზირება; წინასწარ განკვერტა
pro gradu ლათ. („პრო გრადუ“) ხარისხისათვის.

program(me) [,prɒsgræm] 1. პროგრამა. აბრ. p.; 2. გეგმა; 3. დაპროგრამება; პროგრამის შედგენა; 4. დაგეგმვა; გეგმის შედგენა. **Δ** – **that** – დაპროგრამებული პროგრამა. **ad hoc** – სპეცპროგრამა; **control** – მართვის პროგრამა; **credit** – დაკრედიტების პროგრამა; **marketing** – მარკეტინგის პროგრამა; პროდუქციის რეალიზების პროგრამა; **quality** – ხარისხის გაუმჯობესების პროგრამა; **training** – პროფესიული მომზადების პროგრამა

programmer ['prɒsgræmə] 1. დამპროგრამებელი; 2. დაპროგრამების მოწყობილობა

programming ['prɒsgræmɪŋ] დაპროგრამება; პროგრამის შედგენა. **Δ** **budget** – ბიუჯეტის დაპროგრამება; ხარჯთაღრიცხვის პროგრამის შედგენა; **compute-aided** – კომპიუტერული დაპროგრამება (მაგ., ეკონომიკური ამოცანებისა)

progress ['prɒsgrɛs] 1. პროგრესი; განვითარება; გაუმჯობესება; 2. მიღწევა, მიღწევები; 3. სელა, განვითარება; 4. პროგრესირება; 5. წინსვლა. **Δ** – **of ordeps** შეკეთების შესრულების მსვლელობა. **economic(al)** – ეკონომიკური პროგრესი; **rural** – სოფლის უბნებში მიღწეული პროგრესი; **technical** – (სამეცნიერო-) ტექნიკური პროგრესი

progression [prɒgrɛʃn] 1. მათემ. პროგრესია; 2. განვითარება

progressive [prɒ'grɛsɪv] 1. პროგრესული; 2. მეწინავე

prohibit(ion) [prɒ'hɪbɪt] 1. აკრძალვა; აკრძკეთა; 2. ხელშეშლა

prohibitory injunction [prɒ'hɪbɪtɔri ɪndʒʌŋkʃn] სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც უკანონო ქმედებას კრძალავს.

project [prɒ'dʒekt] 1. გეგმა; პროექტი; 2. დაგეგმვა; დაპროექტება (მაგ., საწარმოო სიმძლავრის გაფართოებითი სამუშაოებისა, ეკონომიკური მოდელისა და სხვ.); გეგმის შედგენა; პროექტის შედგენა; 3. (სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს) თემა; 4. ახალი მანქანის (მოწყობილობის, ხელსაწყოს) დამუშავება, შექმნა; 5. სამშენებლო ობიექტი; 6. გამოგდება, გამოშვება; 7. (კაპიტალდაბანდების) პროგრამა. **Δ** **capital** – კაპიტალდაბანდების პროგრამა (ძირითადი კაპიტალის გაფართოების ან მოდერნიზაციისთვის); **licensed** – 1. ლიცენზირებული პროდუქტი; 2. ნებადართული მშენებლობა

projection [prɒ'dʒɛkʃn] 1. პროექცია; 2. დაპროექტება; 3. სტატ. პირობითი მათემატიკური ლოდინი; 4. იხ. **project** 2.; 5. მათემ. შემთხვევითი სიდიდის ნაგარაუდვეი მნიშვნელობა; 6. პერსპექტიული შეფასება (მაგ., შწარმოებლურობისა); პროგნოზი (მაგ., ნორმატიული, დემოგრაფიული, ტექნიკის განვითარებისა და სხვა პროგნოზის შესახებ)

projector [prɒ'dʒɛktɔ] 1. დაპროექტებელი; 2. კინოპროექტორი

proliferation [prɒ,lɪfə'reɪʃn] 1. რაოდენობრივი ზრდა; გაერკვლება; 2. მკვეთრი ზრდა (მაგ., საწარმოო დანახარჯებისა)

prolong [prɒ'lan] 1. გაგრძელება; (სიგრძეზე) დაგრძელება; 2. ვადის გადაწევა; გახანგრძლივება (მაგ., საგადასახადო ვადისა), პროლონგირება

prolongation [ˌprɒlɒŋˈgeɪʃn] (ვადის) გაგრძელება, გადავადება, პროლონგაცია (მაგ., თამასუქის პროლონგაცია)

promise [ˈprɒmɪs] 1. დაპირება; შეპირება, აღთქმა; 2. ვალდებულება; 3. დაპირების მიცემა; 4. ვალდებულების აღება. Δ - **to pay** გადახდის ვალდებულება; - **of discount** თამასუქის გათვალისწინების ვალდებულება; **condition** - იურ. პირობითი ვალდებულება; პირობითი დაპირება

promisee [ˌprɒmɪˈsi:] პირი, რომელსაც რამეს დაპირდნენ.

promiser [ˈprɒmɪsə] 1. იურ. პირი, რომელიც შეპირდა; 2. იურ. პიროვნება, რომელმაც ვალდებულება იყისრა; 3. მოვალე; თამასუქის გამცემი

promote [prəˈməʊt] 1. პარლამენტში ახალი კანონპროექტის წარდგენა; 2. რაიმესთვის ხელშეწყობა; 3. წინ წაწევა; 4. შემდეგ ეტაპზე გაყვანა.

promoter [prəˈməʊtə] 1. დამფუძნებელი; ფუძემდებელი; დამაარსებელი (მაგ., ფონდისა); 2. რაიმე ღონისძიების ხელშეწყობი, ძეგლისმდებელი (მაგ., წესდებისა, გეგმის მიღებისა). Δ **company** - სააქციო საზოგადოების დამაარსებელი

promotion [prəˈməʊʃn] 1. (განვითარების) ხელშეწყობა, დახმარება, შექმნა, წახალისება; 2. (საქონლის) რეალიზაციის სტიმულირება (მაგ., რეკლამირების მემუიბით); 3. დაფუძნება, დაარსება (მაგ., სააქციო საზოგადოებისა); 4. სამსახურებრივი დაწინაურება; 5. სარეკლამო-პროპაგანდისტული საქმიანობა

promotion man [prəˈməʊʃn mæn] შუამავალი; აგენტო

promotional allowance [prəˈməʊʃnəl əˈləʊəns] მასტიმულირებელი ფულადი საშუალებანი (მწარმოებელი ფირმის მიერ შუამავალი ფირმისთვის გაცემული წახალისებელი თანხა საქონლის გასაღების სტიმულირების საღონისძიებოდ)

promotional item [prəˈməʊʃnəl aɪtəm] საქონლის გასაღების სტიმულირებისათვის კამპანიაში გამოყენებული ნაწარმი

promotional visor [prəˈməʊʃnəl ˈvɪzə] სარეკლამო პლანშეტი (საქონლის გაყიდვის ადგილებში)

promotools [prəˈməʊtʊːlz] გასაღების სტიმულირების საშუალებანი (სარეკლამო განცხადებები, საფოსტო გზავნილები, საქონლის დემონსტრაცია, კატალოგები და ა.შ.)

prompt [prɒmpt] 1. სწრაფი; დაუყოვნებელი; სასწრაფოდ მისატანი ან გასასტუმრებელი; 2. ბიძგის მიცემა; წაქეზება; 3. ეპქარსა და იმპორტიორს შორის შეთანხმება (ბიზნესში), 3. ხელფასის (გაცემის) დღე; 4. საქონლის ჩაბარებისა და გადახდის დღე; 5. დაპრ. მიწვევა (მაგ., მომხმარებლის მიწვევა ეკონომიკურ მონაცემთა შეტანის განსახორციელებლად კომპიუტერთან დიალოგისას); კარნახი

prompting [ˈprɒmptɪŋ] მითითება, დახმარება, კარნახი (აღმაიან-კომპიუტერული დიალოგისას-კომპიუტერული სისტემის მხრიდან კარნახის შესახებ)

pronounce [prəˈnaʊns] 1. ოფიციალური განცხადება; 2. გადაწყვეტილების მიღება; 3. აზრის გამოთქმა. **to pronounce a judgement** სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება

proof [pru:ʃ] 1. (და)მტკიცება; 2. შემოწმება; გამოცდა; 3. (რაიმეს) სამხილი; 4. კრედიტორის განცხადება ან მტკიცება იმის შესახებ, რომ მისი ვალი აქვს გაბანკოტებულ პირს ან სალიკვიდაციოდ გამზადებულ კომპანიას; 5. უანგარო; მოუსყიდავი; 6. მღვრადი; 7. შეულწევი, დაცული; უსაფრთხო. **Δ without** - დაუმტკიცებლად. - **of deposits** დეპოზიტების დახარისხებისა და შემოწმების სისტემა; - **of-purchase(seal)** საქონლის ყიდვის დასტურის ნიშანი (ჩვეულებრივ მიეკრება საფუთავს) ან მარკა. **variant** - ვარიანტული დამტკიცება; **zero** - ნულოვანი ჭამით კონტროლი (შესაბამისი სიდიდეების დამატებისას)

propaedeutics [ˌprəʊpi:ˈdju:ʔɪks] პროპოდეუტიკა, შესავალი კურსი (მაგ., ბიზნესის სკოლის საგნებში)

propagate [ˈprəpəgeɪt] 1. გავრცელება; 2. ეთერში გადაცემა; 3. გამრავლება; 4. თაობიდან თაობას გადაცემა

propel [prəˈpel] 1. მოქმედება, სტიმულირება; 2. ამოქმედება; წინსვლა

propensity [prəˈpensɪti] მიდრეკილება (მაგ., მოხზარებისადმი, იმპორტირებისადმი, ხარჯისადმი და სხვ.)

proper [ˈprəpə] 1. დამხასიათებელი, თვისებრივი; 2. სწორი; კეწმარტივ; შესაფერისი; 3. მათემ. წესიერი; 4. საკუთარი (სახელი); 5. იშვ. კარგი; 6. ხელსაყრელი; სათანადო; 7. წესიერი; რიგიანი; 8. ამერ. სლენ. რეგულარული; პირველი კლასისა.

Δ - fraction მათემ. წესიერი წილადი

property [ˈprəpərti] 1. თვისება; ნიშან-თვისება; 2. საკუთრება, ქონება; მიწის საკუთრება, მამული; 3. საკუთრების უფლება; 4. გადასატანი ტვირთი. **Δ** - **in placements** ფასიანი ქაღალდების სახის საკუთრება; - **in the goods** საქონლის და საკუთრების უფლება. **blocked** - გაყინული საკუთრება; **estate (fixed)** - უძრავი ქონება; **rented** - იჯარით აღებული ქონება; **trust** - მინდობილობითი საკუთრება

propertyless [ˈprəpərtɪlɪs] უქონელი, ხელმოკლე; უზოვარი, ღარიბი

propinquity [prəˈpɪŋkwɪti] 1. სისხლით ნათესაობა; 2. სიახლოვე, (დროის მომენტის) ჩქარი დადგომა

receive [ri'si:v] 1. იურ. დამეგება; მხედველობაში მიღება (მაგ., მოწმეთა ჩვენებებითა და სხვ.); 2. იურ. გადამალვა (მოპარული საქონლისა); 3. მიღება (მაგ., ცნობისა, საჩუქრისა, ხელფასისა და მისთ.); 4. შექმნა (მაგ., გამოცდილებისა); მიღება (მაგ., უმაღლესი განთლებისა); 5. (**to, into, among**) დამეგება (რაიმე საქმის შესასრულებლად); მიღება (მაგ., პარტიაში, კავშირში, ასოციაციაში და სხვ.). **Δ to** - one's salary ხელფასის მიღება (ნაღდი სახით); **to** - a payment გადასახადის მიღება

received [rɪ'si:vɪd] მიღებული, საყოველთაოდ აღიარებული. **Δ the ~ text** იურ. კანონიკური ტექსტი (მტკიცედ დადგენილი, ნიშნად აღებული ტექსტი); **the ~ version** 1. ყველაზე სწორად ჩათვლილი ტექსტი (მაგ., კონტრაქტისა); 2. მიღებული ვერსია; **pronunciation** ნორმატული გამოთქმა; **ოქსფორდული (წმინდა ინგლისური) გამოთქმა** (ხშირად აბრ. **Received pronunciation** — **R. P.**)

receiver [rɪ'si:və] 1. მიმღები; 2. ტვირთის მიმღები; 3. ლიკვიდატორი (მოვალის ქონებისა). **tax ~ აბრ.** გადასახადების ამკრეფი; **wholesale ~** დიდი რაოდენობის პროდუქტების შემსყიდველი ბითუმად მოვაპრე

receivership [rɪ'si:vəʃɪp] შემოსავლების აღრიცხვის ადმინისტრაცია.

receiving [rɪ'si:vɪŋ] 1 მიმღები; მიმღების(ა). 2. მიმღები მხარე; 3. წინასწარგანზრახული კანონდარღვევით მიღებული ქონების გადაძალა; 4. ნივთის მიღება

recency [rɪ'sənsɪ] 1. სიახლე; 2. სიქორფე, სინედლე

reception [rɪ,sepʃɪn] 1. მიღება(მაგ., მტკიცებულებებისა); მიღების მოწყობა; 2. შესვლა (საპატიმროს საკანში); 3. აღქმა (მაგ., ახალი იდეისა, წინადადებისა); 4. მიღება, შეხვედრა, დახვედრა. **Δ ~ to deposits** ანაბრების მიღება; **~ capacity** გამტარუნარიანობა; **~ test** (საექსპლუატაციოდ) მიმღები გამოცდა

recess [rɪ'ses] 1 აბრ. არდადეგები; სხდომის შესვენება; 2. *pl.* სამალაეი; ნიშა; საიდუმლო საცავი (ძვირფასეულობისათვის); 3. შესვენების გამოცხადება; 4. დასკვნა.

recession [rɪ'seʃn] 1. დაცემა, რეცესია, ტემპის დაცემა (მაგ., ეკონომიკური რეცესია); 2. უარის თქმა, უარყოფა (მაგ., კონტრაქტთან დაკავშირებით); 3. შემცირება, დაბლაღება; დაცემა; 4. იურ. ტერიტორიის უკუგადაცემა; 5. (ხშირად **from-თან**) მოცდობა, მიტოვება, უკანდახვევა; 6. (პარტიიდან) გამოსვლა. **Δ ~ from a contract** იურ. კონტრაქტზე უარის თქმა; **~ in demand** მოთხოვნილების დაცემა; **to cause a ~** ეკონომიკური დაცემის გამოწვევა. **business ~** საქმიანი აქტიურობის დაცემა; **minor ~** (კომერციული) საქმიანობის უმნიშვნელო დაცემა

recidivist [rɪ'sɪdɪvɪst] რეციდივისტი; დამნაშავე, რომელიც განმეორებით სჩადის დანაშაულს.

recipient [rɪ'sɪpɪənt] 1. იურ. მიმღები (პიროვნება); 2. ინფორმაციის მიმღები

reciprocal [rɪ'sɪprəkəl] 1. წინააღმდეგობა; დაპირისპირებულობა; 2. ურთიერთობითი; ორმხრივი; 3. ტოლი, ეკვივალენტური, შესაბამისი, ანალოგიური (მაგ., შედეგების შესახებ); საპასუხო; 4. იურ. ურთიერთვალდებულებითი (დამოკიდებულების შესახებ); 5. შესაბამისი; ეკვივალენტური; ანალოგიური; 6. ორმხრივი; საპასუხო; თანაზიარი.

reciprocate [rɪ'sɪprəkeɪt] 1. ერთმანეთისათვის სამსახურის გაწევა; მოექცევიანებს ისევე, როგორც თქვენ გექცევით; 2. სამაგიეროს გადახდა; ზღვევინება; მიგება; 3. თავაზიანი ურთიერთგაცვლა (ინფორმაციისა, აზრებისა).

reciprocality [ˌresi'prəsɪtɪ] 1. ურთიერთშეთანხმება; 2. ერთმანეთისათვის სამსახურის გაწევა.

recitals [ri'saɪtlz] დოკუმენტის ან საკუთრების უფლებით გაცემის აქტის შესავალი ნაწილი, რომელშიც ჩამოთვლილია მისი მხარეები და ძირით, აღი მიზნები.

recite [ri'saɪt] 1. (ფაქტების) ჩამოყალიბება; 2. (სახუთის შინაარსის) ჩვენება; (ფაქტების) ჩამოთვლა.

reckless ['rɛkɪlɪs] თავზებულაღებული; პირი, რომელიც მაშინაც რისკავს, როცა იცის რომ მისი ქმედება მისივე სიცოცხლისათვის სახიფათო იქნეს.

recklessness ['rɛkɪlɪsnɪs] გაუფრთხილებლობა; რისკიანი ქმედება.

reckon ['rɛkən] 1. განხილვა, ჩათვლა, მოფიქრება; 2. ანგარიშის გასწორება; გაქვითვა; 3. აღრიცხვა; 4. (ვინმეს) იმედით ყოფნა

reckoning ['rɛkəʊɪŋ] ანგარიში; გამოთვლა. Δ - of cost დანახარჯის გამოთვლა

reclaim [ri'kleɪm] 1. რეკლამაციის წარდგენა; 2. მოთხოვნით მიღება; (ფულის) დაბრუნება; 3. გამოყენება; უტილიზება; 4. გასწორება, გადაყვება; შეკეთება; აღდგენა; 6. (მიწის) ათვისება; მელიორაცია; ამოშრობა

reclamation [ˌrɛkɪə'meɪʃn] 1. გამოთხოვა (საქმისა); 2. სარჩელის წამოყენება; 3. თხოვნა დაბრუნების შესახებ; 4. რეკლამაცია; პრეტენზია; 5. გადაყვება, შესწორება; 3. რეკლამაციის წარდგენა

recognition [ˌrɛkə'gɪnɪʃn] 1. ამოცნობა; გამოცნობა (მაგ., სახეთა ამოცნობა, ნიშნების ან ხმის გამოცნობა); 2. განსხვავება, ვარჩევა; გამოჩვენება; 3. იურ. გამოძიება. **magnetic-ink character** ~ მაგნიტური მელნით დაწერილი ტექსტის გამოცნობა (ზოგიერთ ბანკში ჩეკების ავტომატური დამუშავებისას)

recognizance [ri'kɒnɪzəns] 1 ვინმეს მიერ სასამართლოს მიმართ აღებული ვალდებულება, რომ იგი სასამართლოში მოგვიანებით გამოცხადდება ბრალდების საპასუხოდ, ხოლო გამოუცხადებლობის შემთხვევაში ჯარიმას გადაიხდის; 2. წინდი; გირაო (თავდებობის პირობისათვის).

recognize ['rɛkəgnaɪz] 1 რაიმეს ან ვინმეს ამოცნობა; 2. ნანახი; გამოცნობილი; 3. სიტყვის მიცემა (მაგ., კრებაზე); 4. წინდის მიცემა; 5. დავალდებულება (სასამართლო წესით); 6. ოფიციალურად აღიარება; 7. (თავისი თავის დამარცხების ცნობა (მაგ., წინასაარჩევნო კომპანიისას).

recommendation [rɛkə'men'deɪʃn] 1. რეკომენდაცია; რჩევა; 2. დადებითი გამომხატება; დადებითი აზრი; შექება; 3. წარდგენა (ჯილდოზე და სხვ.).

recommit [ˌrɪkə'mɪt] ამერ. კომისიისათვის კანონპროექტის დაბრუნება დამატებით განსახილველად.

recompense ['rɛkəmpens] 1. კომპენსაცია, (ზარალის) ანაზღაურება; 2. (შრომის) ანაზღაურება; 3. (დამსახურებული) შერისძიება; დასჯა.

reconcile ['rɛkəsaɪl] 1. მოგვარება; დარეგულირება; 2. შესაბამისობაში მოყვანა; შეთანხმება; (ანგარიშების) შემოწმება; 3. ორი ანგარიშშის ან ხარჯთაღრიცხვის შედარება, შეჯერება; 4. (მოდაყვთა) შერიგება; 5. შეთანხმების მიღწევა.

reconduct [rɪˈkɔːndʌkt] იძულებით მიყვანა; მიცილება (მაგ., ბადრაგით).

reconsider [rɪˈkɔːnsɪdə] 1 კვლავ განხილვა; 2. (გადაწყვეტილების) გადახედვა; გადასინჯვა.

recording [rɪˈkɔːdɪŋ] 1. რეგისტრაცია; 2. რეგისტრი; 3. რეესტრი; 4. ოქმის შედგენა; ოქმის დაწერა.

recorify [rɪˈkɔːfɪz] 1. (კვლავ) დამტკიცება; 2. (კვლავ) გააფორმება.

reconstruction [rɪˈkɔːnstɹʌkʃn] 1. გადაკეთება; რეკონსტრუქცია; 2. აღდგენა; 3. გარდაქმნა; 4. რეორგანიზაცია. ახალი მოდელის მიხედვით აგება (შექმნა და სხვ.).
Δ - technique (ეკონომიკური მოდელის) გამოსახულების აღდგენის მეთოდი

reconsign(ment) [rɪˈkɔːnsaɪnmənt] (ტვირთის) გადამისამართება (გზაზე მყოფი საქონლის შესახებ)

reconversion [rɪˈkɔːnvɜːʃn] რეკონვერსია; სამხედრო მრეწველობის გადაკეთება ფართო მოხმარების საგნების საწარმოებლად

reconvert [rɪˈkɔːnvɜːt] 1. რეკონვერსიის ჩატარება; სამხედრო მრეწველობის გადაყვანა მშვიდობიან რელსებზე; 2. საწყის მდგომაროებაში დაბრუნება

reconviction [rɪˈkɔːnvɪkʃn] აღრე ნასამართლევი პირის გასამართლება; კვლავ გასამართლება.

record [ˈrɛːkɔːd] 1. ჩაწერა; რეგისტრაცია; 2. ჩაწერა; რეგისტრირება; 3. pl. სააღრიცხვო დოკუმენტები; 4. ფაქტოგრაფიული მონაცემები; 5. დაპრ. ჩანაწერი (ინფორმაციის სტრუქტურული ერთეული); 6. საბუღალტრო წიგნი, რეგისტრი; 7. pl. მონაცემები, ფაქტები; 8. *საინფ. მომს. მახასიათებელი* (აღამიან-კომპიუტერული დიალოგისა); 9. სარეკორდო. **Δ on** - ოფიციალური. - **s of billings** გამოწერილი ანგარიშების რეგისტრი; შექვეთისათვის გაგზავნილი ანგარიშების რეგისტრი. **book** - **s** საბუღალტრო წიგნი ჩანაწერი; **business** - საქმიანი წიგნი; ბიზნესის წიგნი; **plant** - **s** ძირითადი კაპიტალის სააღრიცხვო რეგისტრი

recorder [rɪˈkɔːdə] 1. ჩამწერი მოწყობილობა, რეგისტრატორი (მონაცემებისა); თვითჩამწერი (ხელსაწყო); 2. იურ. რეგისტრატორი. **Δ data** - მონაცემთა რეგისტრატორი; **digital** - ციფრული რეგისტრატორი (მაგ., ეკონომიკური პარამეტრებისა)

recording [rɪˈkɔːdɪŋ] 1. ჩაწერა, რეგისტრაცია; ჩანაწერი; 2. თვითჩამწერი; მარეგისტრირებელი. **Δ direct** - უშუალო ჩაწერა (საშუალებდო ჩაწერის ან გარდაქმნის გარეშე); **dual** - ორმაგი ჩანაწერი; **reference** - საკონტროლო ჩაწერა; **source** - საწყისი ჩანაწერი

recoup [rɪˈkuːp] 1. ანაზღაურება; კომპენსირება; 2. ამოგება (მაგ., კაპიტალდაბანდებისა); 3. დაქვითვა; დაკავება; 4. ანგარიშის ჩატარება; 5. დაანგარიშება.

recourse [rɪˈkɔːs] 1. (დახმარებისათვის) მიმართვა; (რაიმესადმი) დაყრდნობა (მაგ., მეთოდზე ან ფინანსურ ბაზაზე დაყრდნობის შესახებ); 2. გამოსავალი; გამოსავლის საშუალება; 3. იურ. რეგრესი (მაგ., *თამასუქის მიხედვით გადახდილი თანხის უკან დაბრუნება*); რეგრესის უფლება; დაბრუნების უფლება (*თამასუქის მფლობელისა თამა-*

სუქის გამტევისაგან თანხის მიღებაზე). **Δ ~ to the capital market** კაპიტალების ბაზრისადმი მიმართვა; კაპიტალების ბაზრის გამოყენება; **with** - რეგრესით; **without** - to me „ჩემსკენ შემოუბრუნებლად“, „უკუმოთხოვნის გარეშე“ (შზღლუღული ინდოსამენტის სახე)

recover [rɪ'kʌvə] 1. გადახდევინება; ზღვევინება; უკან მიღება; ინკასირება; ვალის აკრეფა; 2. ანაზღაურება; 3. აღდგენა; 4. იურ. (საქმის) მოგება. **Δ to ~ damages** ზარალის კომპენსაციის მიღება; **to ~ one's credit** კრედიტუნარიანობის აღდგენა

recovery [rɪ'kʌvəri] 1. ანაზღაურება (მაგ., ზარალისა); 2. აღდგენა (ეკონომიკისა); გამოცოცხლება (საქმიანობისა); 3. რეგენერაცია (მაგ., გამოსახულებისა); 4. დაბრუნება (მაგ., ვალისა); 5. ინკასირება; გადახდევინება; ზღვევინება; 6. იურ. სასამართლოს გადაწყვეტილებით გადახდევინება, ვინდიკაცია; 7. ვინდიკაცია, სასამართლოს გზით ამოღება; 8. გამოჯანმრთელება.

recrimination [rɪ'krɪmɪneɪʃn] 1. ურთიერთ ბრალდება; ურთიერთ დაბრალება; 2. შემხვედრი ხასარჩელო განცხადება.

re-cross [rɪ'krɒs] განმეორებითი ჯვარედინა დაკითხვა (ექვმიტიანილ(ებ)ისა).

recruitment [rɪ'krʉ:tmənt] პირადი შემადგენლობის დაკომპლექტება

recusation [ˌrɛkjʉ:zɔ:ʃn] აცილება (მოსამართლის მიმართ; ნაფიც მსაჯულთა მიმართ).

rectification [ˌrɛktɪfɪ'keɪʃn] 1. გასწორება; დაზუსტება; 2. შეცდომის აცილება; 3. დაწმენდა; რექტიფიკაცია

rectify ['rɛktɪfaɪ] 1. გასწორება; შესწორება; 2. დაზუსტება; გაუმჯობესება; 3. აწყობა; მომართვა; 4. მათემ. გავრყევა.

recto [rɛktəʊ] რექტო (ფურცლის მხოლოდ წინა გვერდზე დაბეჭდილი ტექსტი; ჩვეულებრივ კენტ ნომრიანი გვერდი)

rectus in curia ღაო. („რეკტუ ინ კურია“) „სასამართლოში გამართლებული“

recur(rence) [rɪ'kʉ:rəns] გამეორება; დაბრუნება; პერიოდულობა (მაგ., ეკონომიკური კრიზისისა)

recusal [rɪ'kjʉ:zəl] მოსამართლის ან ნაფიცი მსაჯულის დისკვალიფიკაცია მიკერძობების გამო.

recycle [ˌrɪ'saɪkl] 1. გამეორებითი (ეკონომიკური) ციკლი; 2. ციკლის გამეორება; 3. (ნარჩენის) გადამუშავება; კვლავდამუშავება

red [red] 1. დებეტი; პასივი; დეფიციტი; 2. სლენ. სასარგებლო (წამოწყება); 2. სლენ. უსარგებლო; 3. ვალი; დავალიანება; 4. ამერ. სლენ. წითელი; კომუნისტური; რადიკალური; 5. ერთი ცენტი. **Δ in the ~** ამერ. სლენ. 1. ზარალით მომუშავე; 2. ბალანსის დეფიციტით მუშაობა; **to be the ~** 1. ვალში ყოფნა; 2. ზარალის ქონა; ზარალით მუშაობა

redaction [rɪ'dæksɪn] 1. რედაქტირება (მაგ., დისფლეს ეკრანზე), ლიტერატურული დამუშავება; 2. რედაქცია (მაგ., ეკონომიკური ტექსტის ვარიანტი); 3. გადამუშავებული (სარეკლამო) გამოშვება

redactor [ri'dektɔ] 1. (ტექსტის) შემდგენელი; 2. მასწორებელი, რედაქტორი
redargue [re'dɑ:ɡju] შოტლ. იურ. უარყოფა, მიუღებლობა (პრეტენზიისა და სხვ.)

red-cap, redcap ['redkæp] ამერ. მებარგული; (ტვირთის, ბარგის) გადამტანი

red-cent [red'sent] 1. ამერ. ერთცენტრიანი მონეტა; 2. საუბ. სპილენძის ფული; გრომ-კაპიკი. **Δ not worth a ~** საუბ. გრომ-კაპიკად არ ღირს; გახვერტილ გრომად არ ღირს (საქმიანი წამოწყების უარსაყოფად)

reddendo singular singulis ლათ. („რედუნდო სინგულარ სინგულის“): „ცალ-ცალკე მიმართებაში“ (საკითხის არსში წელომისას).

reddit ლათ. („რედიტ“): „ოვით გამოცხადდა“ (მინაწერი დასაკითხად გამოძახების უწყისში).

red dog flour ['red dɔ:ɡ flaʊ] დაბალხარისხიანი ხორბლის ფქვილი

redeem [ri'di:m] 1. გამოსყიდვა; დახსნა (მაგ., დაგირავებული ნივთებისა); 2. დაფარვა (ვალისა), გადახდა; 3. უკუმიღება, დაბრუნება (საკუთარი ნივთისა, საქონლისა და სხვ.); 4. შესრულება (მაგ., პირობისა); 5. გასწორება (მაგ., შეცდომისა), გამოსყიდვა; მონანიება (მაგ., დანაშაულისა). **Δ to ~ an error** შეცდომის გასწორება; **to ~ a loan** ვალის გადახდა; ვალის დაფარვა; სესხის განაღდება

redeemable [ri'di:mbl] 1. განაღდებადი; გადახდადი; დაფარვადი; 2. გამოსყიდვადი; 3. დახსნადი

redeeming [ri'di:mɪŋ] გამანაღდებაელი; მკომპენსირებელი; გადამხდელი

redemand [ri'di'mɑ:nd] 1. იურ. (რაიმეს) დაბრუნების მოთხოვნა; 2. კვლავმოთხოვნა

redemption [ri'dɛmpʃn] 1. გამოსყიდვა (მაგ., თამასუქისა); დახსნა; 2. დაფარვა (მაგ., ვალისა); დაბრუნება; 3. (დანაშაულის) მონანიება; 4. განთავისუფლება; ბრუნვიდან ამოღება; 5. შესრულება (მაგ., ვალდებულებისა). **Δ ~ in gold** ოქროზე გადაცემა; **to postpone ~** (ფასიანი ქალაღების) გამოსყიდვის გადავადება; გაცვლის გადავადება. - **fund** დაფარვის ფონდი; - **price** ამოსასყიდი ფასი; ამოსასყიდი კურსი (ღირებულება)

redhibition [redhi'bɪʃn] მყიდველის მიერ ყიდვა-გაყიდვის აქტის ცალმხრივი შეცვლა

red ink [red'ɪŋk] 1 (ბალანსის) უარყოფითი სალო; 2. საბიუჯეტო სახსრების ლეფიტიტი

redirect [ri'di'rekt] 1 გადამისამართება; სხვა მისამართით გაგზავნა; 2. კვლავ დაკითხვა; 3. კვლავ გამოკითხვა.

rediscount [ri'diskaunt] (თამასუქის) განაღდება; კვლავალრიცხვა

redistribution [ri'dɪstrɪ'bju:ʃən] გადანაწილება; ხელახალი განაწილება. **Δ income** - შემოსავლის გადანაწილება

redistricting [ri'dɪs'trɪktɪŋ] 1. საარჩევნო უბნების გადანაწილება (ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით დანაწილება); 2. ქალაქის დარაიონება.

red label [ˌrɛdˈleɪbl̩] წითელი იარლიყი (ააღუბადი ტვირთის მონი შენის სახე)

Red Mike [ˌrɛdˈmaɪk] ამერ. სლენ. ცოლის მოძულე

redraft [ˌrɪːˈdrɑːf] 1. უეუგადაყვანადი თამასუქი, რეტრატა; კვლავ გზავნილი თამასუქი (ან წერილობითი ფასიანი ქაღალდი); 2. გამეორებითი პროექტი; გამეორებითი რედაქცია

redraw [rɪːˈdrɔː] უეუგადაყვანადი თამასუქის წარდგენა; რეტრატის წარდგენა

redress [ˌrɪːˈdres] 1. შესწორება; აღდგენა (მაგ., ბალანსისა); 2. ჩვეულ. იურ. ანაზღაურება, დაკმაყოფილება, სატისფაქცია; ზარალის ანაზღაურება

red tape [ˌrɛdˈtɛɪp] ამერ. სლენ. 1. ბიუროკრატია; 2. ქაღალდომანია.

reduce [rɪːˈdjuːs] 1. შემცირება (ფასის) დაკლება; 2. (ხარჯების) შეკვეცა; 3. (სხვა ვალუტად) გადაქცევა; გადაყვანა; 4. მათემ. შეკვეცა; 5. (ერთიან სისტემაში) მოყვანა. **Δ - in yield** ამოგების შემცირება, ნავაქრის შემცირება; **no - s** მყარი ფასები

reductio ad absurdum კლათ. („რედუქციო ად აბსურდუმ“): „აბსურდამდე დაყვანა“ (დაშვებული შეცდომიანი ვარიანტი მიღებული უასრო შედეგის შესახებ, ანუ ე. წ. „საწინააღმდეგოდან დაშვება“).

redundancy [rɪːˈdʌndənsɪ] 1. ჰარბი; ნაკარბი; ზედმეტი, ნამეტი; 2. მუშახელის სიჭარბე; 3. ზედმეტობა, ნამეტობა; სიჭარბე

reefer [ˈrɪːfɔː] ამერ. სლენ. 1. ვაგონ-მაცივარი; იზოთერმული ვაგონი; 2. დიდი სამრეწველო მაცივარი.

reek [rɪːk] სლენ. ქაღალდის ფულები (იხ. აგრეთვე **chink**)

re-entry [rɪːˈɛntri] უძრავი ქონების მიღება და ხელახლა შესახლება

re-examination [ˌrɪːɪɡzæmɪˈneɪʃn] მოწმისთვის მიცემული დამატებითი შეკითხვები (მეორე მხარის აღვოკატის მიერ ჯვარედინი დაკითხვის შემდეგ).

re-examine [ˌrɪːɪɡˈzæmɪn] აღვოკატის მიერ საკუთარი მოწმისათვის დამატებითი შეკითხვების დასმა მეორე მხარის აღვოკატის მიერ მისი ჯვარედინი დაკითხვის შემდეგ.

reexport [ˌrɪːˈɛksˈpɔːt] 1. რექესპორტი; 2. აღრე შემოტანილი საქონლის გატანა; რექესპორტირება

refer [rɪːˈfɜː] 1. მიმართვა; მითითება; 2. გაგზავნა (მაგ., დახმარებისათვის, საბუთის მისაღებად); 3. იურ. განსახილველად გადაცემა; 4. იშვ. ვალის გადატანა, გადაედება. **Δ - to drawer** „მიმართეთ ჩემის გამკეშ“ (ბანკის თანამშრომლის წარწერა გაუნაღლებელ ჩეკზე)

referee [ˌrɪːfɜːˈrɪː] იურ. რეფერი; არბიტრი; სამედიატორო მოსამართლე

reference [ˈrefrɛns] 1. ცნობა; 2. იხ. refer 1.; 3. შეტყობინება; 4. დაპრ. მიმართვა (მაგ., ეკონომიურ მონაცემთა ობიექტისადმი მიმართვის პროცედურა); 5. განსახილველად გადაცემა; 6. სარულუფლებიანობა, კომპეტენცია; 7. რეკომენდაცია; გამოხმარება; 8. რეკომენდატორი (პიროვნება); 9. ფარლობა; შეფარდება; კავშირი; 10. ეტალონი; სტან-

დარტი; 11. ცხრილის ან გრაფიკის სახით წარმოდგენა (ეკონომიკური ხასიათის მონაცემებისა მათი გამოყენების გასაადვილებლად); 12. საწყისი პირობები (მაგ., გარიგებამდე)

referral [ri'fɜ:rɔl] 1. განსახილველად გადაცემა; 2. სხვა სასამართლოში გადაზენილი საქმე; 3. სამედიცინოდ განწესება; 4. დასახმარებლად მიმართვა.

refinance [ri'faɪnəns] კვლავდაფინანსება; დამატებითი დაფინანსება

refinement [ri'faɪnmənt] 1. სრულყოფა; 2. ნატიფობა; 3. დასუფთვება (ფორმულისა და სხვ.).

refinery [ri'faɪnəri] ნავთობდამწმენდი ქარხანა; ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა (ან კომპანია)

reflate [ri:'fleɪt] წინა დონის აღდგენა (ფასისა); ეკონომიკის გეგმების გამოცდის აღკვეთა.

reflation [ri:'fleɪʃn] 1. რეფლაცია (დაცემული ფასების დონის აღდგენა); 2. ინფლაციის (ხელოვნური) განახლება; 3. ეკონომიკური ზრდის სტიმულირება (მაგ., ფინანსური შეზღუდვების შემცირებით ან გაუქმებით)

refloat [ri:'fləʊt] 1. სესხის კვლავგამოცემა; 2. კომპანიის რეორგანიზაცია (კაპიტალის სტრუქტურის შეცვლით)

reflux ['ri:'flʌks] 1. უკუღრება (მაგ., ფულისა); 2. უკუღრება; 3. კვლავღრება

reform [ri:'fɔ:m] 1. გადაკეთება; გასწორება; შესწორება; 2. გარდაქმნა, რეფორმა; 3. აღდგენა; კვლავწარმოქმნა

refresh [ri'freʃ] 1. (ინფორმაციის) აღდგენა; რეგენერაცია; 2. (მონაცემთა) განახლება

refresher [ri'freʃə] ადვოკატის პონორარი.

refrigerate [ri'frɪdʒəreɪt] 1. გაცივება; გაყინვა; 2. ცივ ადგილას შენახვა

refrigerator [ri'frɪdʒəreɪtə] ამერ. სლენ. ციხე; საპყრობილე.

refuge ['refju:dʒ] თავშესაფარი

refugee ['refju:'dʒi:] ლტოლვილი; დევნილი

refund [ri'fʌnd] 1. კვლავდაფინანსება; 2. (ზარალის) ანაზღაურება; (ვალის) გადახდა; 3. ფულადი დაწილდობა (საქონლის ყიდვის დასტურის ნიშნის [მარკის] წარმდგენისას. იხ. აგრეთვე **proof-of-purchase** (seal))

refunding [ri'fʌndɪŋ] ფინანს. რეფინანსირება (იხ. აგრეთვე **refund** 1.); 2. ძველი დავალიანების დაფარვა ახალი სესხის გამოშვებით. **Δ advance** ~ წინასწარი რეფინანსირება; **bonds** ~ ძველი ობლიგაციების ახალი გამოშვების ობლიგაციებით შეცვლა; **debt** ~ დავალიანების რეფინანსირება

refundment [ri'fʌndmənt] გადახდა; დაფარვა (ვალისა და მისთ.)

refund check [ri'fʌnd 'tʃek] (მომხმარებლის მიერ მალაზიაში საქონლის ყიდვისას) წარდგენილი ჩეკი; გადასახდელი (ანგარიშის) თანხა

refusal [rɪ'fju:zəl] 1. უარყოფა; კატეგორიული უარი; 2. პირველად არჩევის უფლება (მაგ., შეძენისას, ყიდვისას); 3. იურ. უპირატესი უფლება ოფერტის (ძირითად პირობებიანი სახელშეკრულებო წინადადების) მისაღებად ან უარსაყოფად

refuse [rɪ'fju:z] 1. უარის თქმა; უარყოფა; უკუგდება; აცდენა; 2. (წარმოების) ნარჩენი; გამოფიტული მადანი; 3. გამოუყენებელი. **Δ to ~ a bill** თამასუქის აქცეპტირებისაგან უარის თქმა; **to ~ payment** გადასხდისაგან თავის არიდება; გადაუხდელობა; **salable ~** რეალიზებადი ნარჩენ(ები)

refusenik [rɪ'fju:zɒnik] საუბ. პირი, რომელიც თანამშრომლობას გაუბრუნებს (სიტყვიდან **refuse** უარის თქმა.); გამქცევი

refutation [ˌrɪfju:teɪʃn] უარყოფა; უკუგდება. **Δ ~ of a method** მეთოდის უარყოფა

refute [rɪ'fju:t] უსაფუძვლობის დამტკიცება; უარყოფა (მაგ., ვალაუვალობისა, გაცორებისა და მისთ.)

reg. აბრ.: 1. *იხ.* register 1.. 2.. 2. *იხ.* register; 3. *იხ.* registration

regain [rɪ'geɪn] 1. დაბრუნებული თანხა; ამოღებული თანხა; 2. აღდგენა (ძველ პოზიციანზე) დაბრუნება; 3. დაწევა, მიერთება, მიმხრობა

regard [rɪ'gɑ:d] 1. გათვალისწინება; მხედველობაში მიღება; 2. განხილვა

regardless [rɪ'gɑ:dliʃ] 1. უყურადღებოდ; დაუფიქრებლად; 2. მხედველობაში მიუღებლად; ყურადღების მიქცევის გარეშე.

regenerate [rɪ'dʒenəreɪt] 1. აღდგენა, რეგენერაცია (მაგ., მარკეტინგული მონაცემებისა); 2. აღდგენილი, რეგენერირებული (მონაცემები, პარამეტრები); 3. გარდაქმნილი, გაუმჯობესებული; 4. *საინფ. მომს. დაპრ.* (ინფორმაციის) გადაწერის ოპერაცია

Regina probationum *ლათ.* („რეგინა პრობატორიუმ“): „მტკიცებულების დედოფალი“ (განსასჯელის მიერ დანაშაულის აღიარების კომპროტების უსუნაქსობა).

region ['ri:dʒiən] 1. სტატ. უბანი; არე, ზონა; 2. ქვეყანა; ქვეყნის რაიონი; რეგიონი; 3. (კვლევის) სფერო, უბანი; დიაპაზონი; 4. ადგილი (მაგ., დიაგრამაზე, გრაფიკზე). **Δ**

confidence ~ სტატ. სარწმუნო უბანი; **doubful** ~ სტატ. გადაწყვეტილების მიუღებლობის არე (უბანი); **work** ~ სამუშაო უბანი

register ['redʒɪstə] 1. რეესტრი; საბუღალტრო დავთარი; ჩანაწერთა წიგნი; 2., ყურნალი; რეგისტრი; მიმთითებელი; ოფიციალური სია; აღწერა; 3. რეგისტრი; (ინფორმაციის) მაგროვებელი; მარეგისტრირებელი (მექანიზმი); მთვლელი; 4. ჩაწერა; რეგისტრირება; 5. აღნიშვნა; (ხელსაწყოს) ჩვენება; 6. წიგნი ჩაწერა; 7. (მონაცემთა) დახსოვება; 8. (ყველა ნაწილი) ზუსტად მორგება; შესაბამისობაში მოყვანა; ზუსტად თანხედობა; 9. *კომპ. მეცნ.* სიტყვის სივრცე (მაგ., ასოციაციურ მესხიერებაში). **Δ to ~ s deed** გარიგების ნორატიულად დამტკიცება **address** ~ (მომხმარებელთა) მისამართების წიგნი; **cash** ~ სალაროს ყურნალი; **land** ~ კადასტრი, მიწის რეგისტრაცია, აღწერა და შეფასება; **voucher** ~ 1. საგადასახლო დოკუმენტების წიგნი, „ვაუჩერ“-რეგისტრი; 2. ნაღდი ფულის გაცემის სარეგისტრაციო ყურნალი

registrar ['redʒɪstrə:] 1. (შემოსული საქმის) რეგისტრატორი; 2. ობლიგაციების რეგისტრატორი; 3. მმჩ-ის თანამშრომელი, რეგისტრატორი; 4. ინფორმაციის სარეგისტრაციო მოწყობილობა; 5. სარეგისტრაციო ბიურო

registration ['redʒɪ'streɪʃn] 1. ჩაწერა, რეგისტრირება; 2. რეგისტრაცია, (სარეგისტრაციო) ჩანაწერი; 3. მმჩ-ი, მოქალაქეთა მდგომაროების აქტების ჩაწერა; 4. (ხელსაწყოს) ჩვენება; მთვლელის ჩვენება

registry ['redʒɪstrɪ] 1. რეგისტრატურა; 2. იხ. **registration** 1., 2., 3., 3. ჩანაწერთა ჟურნალი; რეესტრი; აღრიცხვის ჟურნალი

reglement ['reglɔnmənt] ფრანგ. რეგულირება; მოწესრიგება

regrade [ri'greɪd] 1. განმეორებითი კლასიფიცირება; 2. შეკეთება

regress [ri'gres] 1. რეგრესი, (ეკონომიკურად) დაცემა; 2. დაბრუნება, უკუმოძრაობა; რეგრესირება

regression [ri'greʃjən] 1. სტატ. რეგრესია; 2. უწინდელ მდგომაროებაში დაბრუნება; საწყის წერტილში დაბრუნება

Regula juris ლათ („რეგულა იურის“): „სამართლის წესები“; „სამართლის ნორმები“.

regular ['redʒjʊlə] 1. რეგულარული; სისტემატური; ნორმალური; 2. ჩვეულებრივი; 3. მუდმივი; 4. კვალიფიცირებული; პროფესიული; 5. სწორი; სწორად წარმოქმნილი. **Δ - brand** ჩვეულებრივი მარკა, რეგულარული გამოყენების მარკა [ნიშანი]; - **price** სტანდარტული საცალო ფასი (შეღავათის გარეშე); - **size** სტანდარტული (ზომისა)

regularizing [ˌregjʊləraɪzɪŋ] 1. რეგულარიზაცია; 2. (ენის) სტანდარტიზაცია

regulate ['regjuleɪt] 1. კონტროლირება, რეგულირება, მოწესრიგება; 2. (მოქმედების) შეზღუდვა, რეგულირება

regulation [ˌregjʊ'leɪʃn] 1. რეგულაცია; მოწესრიგება; რეგულირება; 2. (პროცესის) სტაბილიზაცია; 3. წესი; ინსტრუქცია; 4. pl. ტექნიკური პირობები; ტექნიკური ნორმები; 5. დადგენილება; განკარგულება; 6. დანაწესი, დანიშნულება, მითითება; მიწერილობა, მოწერილობა. **Δ - D D** - წესი (გაერთიანების წევრი ბანკების ოპერაციების სარეგულაციო წესი); - **M M** - წესი (ამერიკის ბანკების მეშვეობით ევროდოლარების ნაკადის სარეგულაციო წესი); - **Q** ამერ. **q** - წესი (რომელიც კრძალავს 30 დღეზე ნაკლებ დროში მანკიდან გამოტანილი ფულის პროცენტის გადახდას)

regulator ['regjʊlətɔ] 1. მარეგულირებელი, რეგულატორი; 2. სტაბილიზატორი

rehabilitate [ˌri:(h)əbɪlɪteɪt] 1. აღმწავის აღდგენა უფლებებში; რეაბილიტაცია. 2. მუშაუნარიანობის აღდგენა; 3. რეკონსტრუირება; შეკეთება; აღდგენა. **Δ monetary** - ფულადი მიმოქცევის გაჭანსაღება

rehear [ˌri:hiə(rɪŋ)] საქმის კვლავ მოსმენა (სასამართლოში)

reimburse ['ri:m 'bɜ:s] 1. ანაზღაურება, კომპენსირება; დაბრუნება; 2. დაფარვა (მაგ. ვალისა); გადახდა

reimport [re'ɪmpɔ:t] 1. რეიმპორტი, ადრე შემოტანილი საქონლის გატანა; 2. რეიმპორტირება; კვლავიმპორტირება; 3. pl. რეიმპორტირებული საქონელი; კვლავიმპორტირებული საქონელი

reinforce [ˌrɪːɪn'fɔːs] გაძლიერება; განმტკიცება (ინფორმაციისა, ფაქტ(ებ)ისა.

reinstatement [ˌrɪːɪn'steɪtmənt] 1. უწინდელ იურიდიულ უტფლებებში აღდგენა; 2. ძიების განახლება.

reinsurance [ˌrɪːɪn'ʃʊərəns] კვლავდაზღვევა, ხელახლა დაზღვევა; განმეორებითი დაზღვევა. **quota share** ~ კვოტური კვლავდაზღვევა (როდესაც ხელახლა დაზღვევის ყოველი გარიგებისას თავისი წილი ერგება)

reinsurer [ˌrɪːɪn'ʃʊərə] ხელახლა დაზღვევეი; განმეორებით დაზღვევეი

reinvest [rɪːɪn'vest] 1. რეინვესტირება (კაპიტალის) კვლავჩადება; კვლავმოთავესება; 2. უფლებებში აღდგენა

reissue [ˌrɪ 'ɪʃuː] 1. განმეორებითი გამოცემა; კვლავგამოცემა; 2. კვლავ გამოშვება (მაგ., აქციისა, ობლიგაციისა)

reject [ˈrɪːdʒekt] 1. უკუგდება; მიუღებლობა; 2. უარყოფა; 3. წუნდება; 4. დახარისხება; 5. წუნი; 6. დაწუნებული (საქონელი, პროდუქცია, დეტალი); 7. ჩამოწერა; 8. უარყოფა. **Δ to ~ an offer** ოფერტზე უარის თქმა; **to ~ credit** კრედიტის გაუცემლობა

rejection [rɪ'dʒekʃən] 1. წუნდება; დახარისხება; 2. (საქონლისაგან) უარის თქმა; 3. ჩაზშობა, რევექცია

re-join [ˌrɪː'dʒɔɪn] კვლავ შეერთება; კვლავდაკავშირება

rejoinder [rɪ'dʒɔɪːndə] 1. ადვოკატის ხელმეორედ გამოსვლა სასამართლოში მოპირიანის საპასუხოდ; 2. შეპასუხება; პასუხი; 3. კრიტიკის პასუხი.

relapse [rɪ'ləps] შემტირება; დაცემა (მაგ., ფასისა)

relata refero ლათ. („რელატა რეფერო“); „ქვეყნები მოყოლილს“ ანუ „გადმოგ(კვმ) რაც გაეციონე“. ბერძენი ისტორიკოსი *პეროდოტე*, „ისტორია“, VIII, 152.

relate [rɪ'leɪt] 1. კავშირის დაყარება; 2. პირადად კონტაქტის დამყარება; 3. ნათესაყად ყოფნა

relation [rɪ'leɪʃn] 1. კავშირი; დამოკიდებულება; 2. ფარდობა; შეფარდება; კანონზომიერება; 3. ნათესაყი; 4. ინფორმაციის წარდგენა; სასამართლოში განცხადების შეტანა. **Δ business** ~ სსაქმიანი კავშირები; საეკრო ურთიერთობები; **savings-income** ~ დანაზოგის ფარდობა შემოსაყვალთან

relational database [rɪleɪʃeɪnəl 'deɪtəbeɪz] რელაციურ (იერარქიულ) მონაცემთა ბაზა (რომლიდანაც მონაცემები ერთდროულად სხვადასხვა მარშრუტით ინდივიდუალურ მომხმარებლებამდე მიდის)

relationship [rɪ'leɪʃəɪʃɪp] (ურთიერთ) დამოკიდებულება; (ურთიერთ)კავშირი; ურთიერთდამოკიდებულებანი; კავშირი

relative ['relatɪv] 1. დაყავშირებული; 2. ფარდობითი; პირობითი; 3. ფარდობითი რიცხვი; ინდექსი; 4. შესაბამისი; 5. ნათესაყი (ქალი ან კაცი). **Δ specific-cycle** ~ სკერძო ციკლის ფარდობითი მაჩვენებელი (მოცემული ციკლისას; ფაქტიური სიდიდის ფარდობა საშუალო მნიშვნელობასთან)

relator [riˈleɪtə] 1. ვანმეხადებელი; პროკურორის მრჩეველი კერძო პირი, რომელიც რეკომენდაციას აძლევს პროკურორს წამოიწყოს პროცესი (ხვეულებზე საზოგადოებრივი ორგანიზაციის წინააღმდეგ); 2. ინფორმატორი. ფაქტების მომწოდებელი.

relax [riˈlæks] 1. შესუსტება (მაგ., კავშირებისა); დასუსტება; 2. დეფორმირება

relaxation [ˌriːlæksɪʃn] 1. შემცირება, დაცემა (მაგ., აქტიურობისა); 2. იხ. relax 1.; 3. იურ. ნაწილობრივი (ან სრული) განთავისუფლება (გარიმისაგან, გადასახადისაგან და მისთ.); 4. რელაქსაცია, საწყის მდგომარეობაში დაბრუნება.

release [riˈliːz] 1. იკონმეს განთავისუფლება; ციხიდან გამოშვება ; 3. ვინმეს სასარგებლოდ საკუთარ უფლებებზე უარის თქმა; 4. გამოთავისუფლება (მაგ., კაპიტალისა); გამოშვება; გაშვება (ხელზე გაცემა); 5. ნებართვა; 6. ნებართვის მიცემა; ნებართვის აღება; 7. გამოქვეყნების ნებართვა; ნებადართული პუბლიკაცია; 8. განართვა; განბლოკირება (მაგ., ელემენტისა); 9. გასაყიდად გამოტანა; 10. ახალი პროდუქციის გამოშვება; 11. იჯარით გაცემა; არენით გაცემა. **Δ - a claim** სარჩელისაგან განთავისუფლება. **Δ - of hoarder gold** ოქროს დეტენავერაცია, ოქროს საგანძურისაგან გამოტანა

relend [riˈlend] კვლავსესება; (ფულის) განმეორებითი სესება

relevance [ˈrelɪvəns] 1. განხილვად საკითხთან კავშირში; 2. დროულობა; მართებულობა; შესაბამისობა; 3. აქტუალურობა; 4. მნიშვნელობა; 5. არსებობა; 6. რევეანტურობა.

reliability [riˌlaɪəbɪlɪti] 1. საიმედოობა; უმტყუნებლობა; შეუფერხებლობა; 2. უტყუარობა; უეჭველობა; უცილობლობა; 3. (მანქანის მუშაობის ან მექანიზმის ქმედების) უსაფრთხოობა

reliable [riˈlaɪəbəl] 1. სარწმუნო; 2. სანდო; უტყუარი; 3. საიმედო; 4. მტკიცე

reliance [riˈlaɪəns] 1. ნდობა (ინფორმაციისაღმი, მონაცემებისაღმი); 2. გამოყენების ხარისხი; დამოკიდებულება

relief [riˈliːf] 1. შემწეობა; დახმარება (მაგ., უშუშვერობისას); 2. გადახდისაგან განთავისუფლება; 3. ფასიანოკლება (მაგ., გადახდისას); 4. მრავალსახეობა; კონტრასტი; 5. დაწევა, მოშვება; 6. შემსუბუქება (ტკივილისა და სხვ.); ნუგეში; ცვლილება; სხვადასხვაობა.

reload [ˌriːləʊd] 1. იაფად ყიდვა და ძვირად გაყიდვა; 2. გადატვირთვა

relocation [ˌriːləʊˈkeɪʃn] 1. გადაადგილება (ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე); გადანაცვლება; 2. დაპრ. (მეხსიერების) გადანაწილება

reluctant [riˈlʌktənts] წინააღმდეგობის გამწევი, ძლიერ დამუშავებადი

rely (on, upon) [riˈlaɪ] დაიმედება; დანდობა; მიხდობა; დაჭერება, დარწმუნებით ყოფნა

remain [riˈmeɪn] 1. უფლება უძრავ ქონებაზე, რომელიც მეპატრონეს დაუბრუნდება იჯარის ვადის გასვლის შემდეგ; 2. ნარჩენი (ვალისა); 3. ნაშთი (მათემატიკაში); 4. დარჩენილი საგანი (ან საგნები).

rem acu tetigist ლათ. („რემ აკუ ტეტიგისტის“) : „შენ ნემსით შეეხე საქმეს“ (ანუ 'სუსტად მიხანაში მოარტყი; საქმის არსში სუდმიწყენით გაერკევი).

remand [rɪ'mɑ:nd] პატიმრის დროებით განთავისუფლება (სასამართლო პროცესის განახლებამდე).

remainder of debt [rɪ'meɪndəɹəv'deɪt] ვალის ნარჩენი

remanent ['reməmənt] 1. ნარჩენი; ბოლო, დარჩენილი ნაწილი; რემანენტი; 2. იურ. სასამართლოს მიერ განსახილველად გადადებული საქმე; 3. შემდგომ სესიაზე განსახილველად გადადებული საკითხი (პარლამენტის სხდომებისათვის)

remargining [rɪ'mɑ:dʒɪnɪŋ] დამატებითი მარჯის შეტანის მოთხოვნა.

remark [rɪ'mɑ:k] 1. შენიშვნა; 2. მითითება; 3. ჩანიშვნა; 4. დაკვირვება; 5. იშვ. ჩვენება

remarketing [rɪ'mɑ:kɪŋ] განმეორებითი მარკეტინგი, რემარკეტინგი (მაგ, საქონლის „გაცოცხლებით“ რეკლამით და ახალი ბაზრით)

remedy ['remɪdi] 1. სამართლებრივი დაცვის საშუალება; სიმაართლის დაცვის მეთოდი; 2. ზარალის ან ზიანის ანაზღაურება; 3. დახმარება ზარალის ან ზიანის ასანაზღაურებლად.

reminder [rɪ'maɪndə] შეხსენება; განმეორებითი წერილობითი შეტყობინება

remission [rɪ'mɪʃn] 1. პატიმრობიდან განთავისუფლება; 2. განაჩენის გაუქმება, რემისია; 3. პატიმრობის ვადის შემცირება; 4. უფლებზე უარის თქმა; 5. რემისია (საანგარიშო თანხის დამრკველება, შემცირების გზით); 6. (გადასახადისაგან) განთავისუფლება; 7. ფასჩამოკლება; შეღავათი.

remittent [rɪ'mɪtənt] ფულის გადაგზავნა.

remittance [rɪ'mɪtəns] 1. რემიტირება, გადაგზავნა (მაგ, ფულისა); გადატანა; 2. ფულადი გზანილი, რემესა; 3. გადახდა. **Δ - s and pensions** ფულადი გზანილები და პენსიები

remittee [rɪ'mɪ'ti:] რემიტენტი (მაგ, ფულადი გზანილის მიმღები, თამასუქის მიმღები)

remitter [rɪ'mɪtə] ფულის გადამგზავნი, რემიტერი

remnant ['remnənt] ნარჩენი (მაგ, პროდუქტისა)

remote [rɪ'məʊt] 1. დაშორებული; დისტანციური; 2. (შორ) მანძილზე მოქმედი. **Δ - access** დაპრ. დისტანციური მიმართვა (მაგ, დიალოგის რეჟიმში — ეკონომიკურ მონაცემთა ბაზისადმი); ~ **control** დისტანციური მართვა (მონაცემებისა); ~ **job entry** დავალებათა შორიდან შეტანა; ~ **job output** დავალებათა შორიდან გამოტანა; ~ **აღი** დაშორებული მომხმარებელი, დისტანციური მომხმარებელი

removal [rɪ'mu:vəl] 1. მოცილება; აცილება; მოშორება; 2. შეეკლა, გამოსწორება; 3. გადაადგილება, გადასვლა

remove [rɪ'mu:v] 1. გადატანა; გადაგზავნა; 2. გადაადგილება; 3. მოშორება, მოცილება; გამორიცხვა

remunetate [ri'mju:nəreit] ანაზღაურება; კომპენსირება; გადახდა

remunerative [ri'mju:nərətiv] ხელსაყრელი, მოხერხებულო; კარგად ანაზღაურებადი

render ['rɛndə] 1. წარდგენა (მაგ., ანგარიშისა); 2. (დახმარების) აღმოჩენა, გაწევა; 3. (დასკვნის) გამოტანა; 4. გამოხატვა; დაფორმულება; 5. თარგმნა (ერთი ენიდან მეორე ენაზე); 6. (სხვა სიტყვებით) გადმოცემა; 6. რაიმედ გადაქცევა.

render aid ['rɛndə aɪd] დახმარების გაწევა

render a report [ˌrɛndərə're'pɔ:t] ანგარიშის ჩაბარება

render a verdict [ˌrɛndərə'verdɪkt] ვერდიქტის გამოტანა

rendu *à franco*

renegotiation [ˌrɛnɔ:ɡɔʃɪ'eɪʃn] გადახედვა (კონტრაქტის ან ხელშეკრულების პირობებისა)

renew [ri'nju:] 1. განახლება; აღდგენა; რესტავრირება; 2. განმეორება; 3. გაგრძელება (მაგ., მოქმედების ხანგრძლივობისა)

renewal [ri'nju:əl] 1. აღდგენა; განახლება (მაგ., პროცესისა); 2. (მარაგის) შევსება; 3. აღდგენითი შეკეთება (მაგ., გაცვეთილი მექანიზმის ახლით შეცვლა); 4. გაგრძელება, პროლონგაცია (მაგ., თამასუქისა); 5. ახალი სესხის გაცემა ძველის ნაცვლად; 6. ეკვივალენტური შეცვლა

renounce [ri'naʊns] 1. უარის თქმა ('უფლება'სე, აქცია'სე და სხვ.); 2. უარყოფა; უკუგდება; 3. გადადგომა

renovation ['rɛnə'ʊʃɪn] 1. აღდგენა; რენოვაცია; 2. რეკონსტრუირება; მოდერნიზება; გაუმჯობესება; ძველი მოწყობილობის ახლით შეცვლა; რენოვაცია

rent [rent] 1. რენტა; საიჯარო გადასახადი; 2. ბინის ქირა; 3. გაქირავება; 4. *pl.* ამერ. მრავალბინიანი შემოსავლიანი (გასაქირავებელი) სახლები; 5. უძრავი ქონების გაქირავებით მიღებული მოგება. **Δ** - *in kind* ნატურალური რენტა, პროდუქტების სახით მიღებული შემოსავალი. **money** - ფულადი რენტა (გადასახადი); **nominal** - ამერ. ნომინალური რენტა; ძალიან დაბალი ბინის ქირა; **pure** - წმინდა რენტა; **quasi** - 1. ეკვივირენტა, ზედმეტი შემოსავალი; 2. საარენდო გადასახადი

rentable [rentbl] 1. რენტაბელური, შემოსავლიანი; 2. საიჯაროდ გადაცემადი; საარენდოდ გადაცემადი

rental ['rentəl] 1. საარენდო გადასახადის თანხა; 2. მეარენდეთა სია

rentcharge ['rentʃɛ:dʒ] თავისუფალ მფლობელობაში არსებული მიწის (მაგ., მულის) საიჯარო გადასახადი.

rente ფრანგ. რენტა; სარენტო ქალაქები

renter ['rentə] არენდატორი; მოიჯარე; დამქირავებელი

rent-free ['rent'fri:] საარენდო ან საბინაო გადასახადისაგან განთავისუფლებული

rentier [rɑntiɛ] 1. რანტიე; 2. ქაღალდის კაპიტალის მესაყუთრე

renting ['rentɪŋ] რენტინგი; არენდით გაცემა (მანქანებისა და მოწყობილობებისა, მოკლე ვადით, ექვს თვემდე; მოკლევადიანი არენდა; მათი შესყიდვა იკრძალება არენდის გამსკეში ორგანიზაციის მიერ, რომელიც გამოჰყოფს თანხას შეკეთებისა და მოდერნიზაციისათვის. ამასთან, რენტინგის საარენდო გადასახადი მეტია სალი ზინგო გადასახადზე. იხ. აგრეთვე **arrenda**, **leasing** და **hiring**)

renuociation [ri'noʊsi'ɔʃɪŋ] უარის თქმა (მაგ., აქციების ფლობაზე)

renvoi [,rɑn'vwa:] 1. უკუმიმართვა; კვლავ მიმართვა (კანონის მუხლის მოშველიებით); 2. დიპლომატის გაწვევა, გაძევება.

reopen ['ri:əpɪ] გამოძიების განახლება; ხელახლა მოსმენა;

reorder ['ri:'ɔ:də] 1. განმეორებითი შეკვეთა; 2. რეორგანიზება (მაგ., წარმოებისა)

reorganization [ri:,'ɔ:gnai'zɪʃɪŋ] 1. რეორგანიზაცია; გადაკეთება (მაგ., ფირმისა);

2. გაჯანსაღება, სანაცია (მაგ., წამგებიანი დაწესებულების გადარჩენა)

rep. (აბრ.) იხ. **report** 1.-აბრ. რეპ.

repair [ri'peɪ] 1. შეკეთება, რემონტი; 2. შეკეთების ჩატარება; 3. pl. საშემკეთებლო სამუშაოები

reparation [ri:peəri'ɔ:ʃɪŋ] 1. ანაზღაურება; რეპარაცია (მაგ., ფულადი ან ნატურალური გადასახადი); 2. შესწორება, გასწორება

repatriation [ri:'pætri'eɪʃɪŋ] რეპატრიაცია, სამშობლოში დაბრუნება

repay(ment) [ri'peɪmənt] დაბრუნება (მაგ., ფულისა); ვალის დაბრუნება; გადახდა; დაფარვა (სესისა); ანაზღაურება. **Δ - of debts** სესხების დაფარვა

repeal [ri'pi:l] 1. კანონის გაუქმება; 2. უკანონო ქმედებად ცნობა.

repeat [ri'pi:t] 1. გამეორება; 2. pl. გამეორებითი შეკვეთები; დამატებითი შეკვეთები

repetition [ri'pi:ʃɪŋ] 1. რაიმეს განმეორებით ჩადენა; 2. ერთობლიობა; 3. გამოყენების მრავალჯერადობა; პირდაპირი გამეორება, ასლი. **Δ - of crime** განმეორებითი დანაშაული; **- of offences** დანაშაულთა ერთობლიობა (ან რაოდენობა).

rephasing [ri'freɪzɪŋ] კვლავგანხილვა; გადახედვა; თანხის შეცვლა, თანხის გაზრდა

replace [ri'pleɪs] 1. შეცვლა; ჩანაცვლება; 2. შევსება; აღდგენა; 3. დაბრუნება

replacement [ri'pleɪsmənt] შეცვლა; ამოგდება (მაგ. ძირითადი კაპიტალისა); შენაცვლება

replanning [ri'plæniŋ] განმეორებითი დაგეგმვა, კვლავდაგეგმვა

replead [ri'pli:d] 1 მხარეთა დავის განახლება; 2. შემხვედრი საბუთების კვლავ წარდგენა.

replenishment [ri'plenɪʃmənt] (მარაგის) შევსება

replevin [ri'plevɪn] 1 საეინდიკაციო სარჩელი (იხ. აგრეთვე **recovery** 6.); სარჩელი

მოძრავი ქონების მფლობელობის დაბრუნების შესახებ სასამართლოს მიერ და-
ისრებული ვალის გადახდის შემდეგ.

replica [ˈreplɪkə] 1. დუბლიკატი; ზუსტი ასლი; 2. მოდელი; 3. რეპროდუქცია, ანა-
ბეჭდი

replicate [ˈreplɪkɪt] 1. ასლის გადაღება; გამრავლება; ტირაჟირება; 2. იშვ. გამეო-
რება; 3. პასუხის გაცემა; რეპლიკა

replot [ˈreplɒt] (გრაფიკის) აგება ახალი მონაცემებით; კვლავ აგება (დამატებითი
მონაცემების საფუძველზე)

reply [rɪˈplaɪ] 1. პასუხი (მაგ., გამოკითხვისას); 2. პასუხის მიღება; პასუხის გაცემა;
იურ. მოსარჩელის პასუხი

repo [ˈriːpoʊ] ამერ. სლენ. მოპარული და გაყიდული ავტომობილი

report [rɪˈpɔːt] 1. ანგარიში; შეტყობინება; ცნობება; 2. მოხსენება; 3. საბირჟ. რე-
პორტი, რეპორტული გარიგება; 4. ანგარიშის წარდგენა; ცნობის გაგზავნა; შეტყობი-
ნების გაგზავნა; 5. მოხსენების გაკეთება, მოყოლა; 6. აქტის შედგენა; აღწერა; 7. აქტი.
Δ - in full სრული ანგარიშის წარდგენა. **appraisal** ~ (ძირითადი კაპიტალის) შეფასე-
ბის აქტი; **call** ~ ამერ. საფინანსო ანგარიში; **general** ~ კრებსითი ანგარიში; **profit-and-**
loss ~ შემოსავლისა და დანახარჯების (დანაკარგების) ანგარიში; მოგებისა და წაგების
ანგარიში

reported case [rɪˈpɔːtɪd keɪs] პროცესების ანგარიშთა კრებულში (Law
Reports) პრეცედენტის სახით შეტანილი საქმე.

reporter [rɪˈpɔːtɜː] 1. ანგარიშვალდებული (პირი); 2. რეპორტიორი, კორესპონ-
დენტი

reporting [rɪˈpɔːtɪŋ] 1. ანგარიშიანობა; 2. ანგარიში; 3. რეპორტაჟი

repose [rɪˈpaʊz] 1. დაყრდნობა; დაფუძნება; 2. დასვენება; 3. იმედის ქონა; 4. უფლე-
ბის მინიჭება

reposit [rɪˈpɑːsɪt] 1. რეპოზიტო; 2. საცაემი შენახვა; შესანახად გადაცემა; 3. იშვ.
შეცვლა

repossess [ˌriːpəˈzɛs] 1 ნივთის უკან დაბრუნება, რომელსაც ვინმე კრედიტით
იძენს; 2 უძრავი ქონების დაბრუნება, რომელსაც კრედიტით ყიდულობენ.

repossession [riːpəˈzɛʃn] ქონების გამოსყიდვის აქტი (განს., ისეთი საგ-
ნებისათვის, რასაც კრედიტით ყიდულობენ).

re-present [reˈprɪzɛnt] 1. კვლავ წარდგენა (დოკუმენტისა); 2. გამოსახვა,
გამოხატვა

representation [ˌreprɪzənˈteɪʃn] 1. რეპრეზენტაცია; 2. ადვიკატის მიერ ვინმეს
წარდგენა. 3. გამოსახულება; სახე; ხატება; 4. მტკიცება; დამტკიცება; განცხადება;
5. წარმოდგენა; გამოსახვა; ჩაწერა; 6. აღწარმოება; 7. pl. აღნიშვნები; 8 დამოდღლება
(მაგ., ეკონომიკური ობიექტისა); იმიტაცია; 7. სტატ. (ფუნქციის) გამოსახვა, გამოსახ-
ვის მეთოდი, გამოსახვის ხერხი; 8 პოლიტ. წარმომადგენლობა. Δ trade ~ საეკპრო
წარმომადგენლობა

representative [ˈreprɪˈzɛntətɪv] 1. სავაჭრო აგენტი; წარმომადგენელი; 2. ტიპიური, ჩვენებითი, დამახასიათებელი; 3. უფლებამოსილი. 4. ქვედა პალატის წევრი. შენიშვნა: მას Congressman-საც უწოდებენ.

representor [ˈreprɪzɛntə] პირი, რომელიც სხვას უქმნის წარმოდგენას რაიმე საკითხზე.

reprice [rɛˈpraɪs] ფასების გადახედვა; გადაფასება, ახალი ფასების დაწესება

repricing [rɛˈpraɪsɪŋ] სხვა ფასებში გადაანგარიშება (გადაყენა)

reprieve [rɪˈprɪːv] 1. დროებით გადაადება; 2. დროებით შემსუბუქება; 3. განაჩენის ან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების დროებით შეჩერება.

reprint [ˈrɪːˈprɪnt] კელაენაბეჭდი; რეპრინტი

reprisal [rɪˈpraɪzəl] (ლათ. repressalia-დან) იურ. რეპრესალია (ძიულებითი ზომა, მაგ., ერთი სახელმწიფოსი მეორეს მიმართ)

reprimand [rɪˈprɪmɑːnd] 1. ოფიციალური კრიტიკა; 2. საყვედური; შენიშვნა; 3. საყვედურის გამოტანა; 4. ოფიციალური შენიშვნის მიცემა.

reprivatization [rɪːˌpraɪv(ɪ)zɪz(ɪ)ʃn] რეპრივატიზაცია; დენაციონალიზაცია

repro [ˈreprəʊ] (აბრ.) იხ. reproduction აბრ. რეპრო .

reproducibility [ˌrɪːprɒdjuːsəˈbɪlɪtɪ] 1. აღწარმოებულობა; 2. ავტომატურ-პროგრამული აღწარმოებულობა (მაგ., რობოტიზებული ქარხანაში, ავტომატურ ხაზებიან საწარმოებში)

reproducing [ˌrɪːprɒdjuːsɪŋ] 1. აღწარმოება, რეპროდუცირება; 2. აღმწარმოებელი

repudiate [rɪˈpjʊːdiɪt] 1. უარის თქმა (მაგ., კონტრაქტის ან რაიმეს მიღებაზე); 2. ცალმხრივად გაყრა; განქორწინება; 3. უკუგდება (ერიანტისა, თეორიისა და სხვ.); 4. გადასახადის არგადახდა (განხ., სახელმწიფოსთვის).

reproduction [ˌrɪːprɒˈdjuːkʃn] 1. აღწარმოება (მაგ., კაპიტალისა, პროდუქტისა. ტერმინები "აღწარმოება", „მწარმოებლურობა“ და სხვები შემოიტანა აყად. პაატა გუგუშვილმა); 2. აღდგენა, გენერაცია (მაგ., კომპიუტერის მესხიერებაში ეკონომიკური მოდელის მონაცემებისა); 3. გამრავლება; 4. ასლი, რეპროდუქცია; 5. შობადობა; 6. მოსახლეობის აღწარმოება; გამრავლება

reprogram(m)ing [ˌrɪˈpreɪɡrɑːmɪŋ] პროგრამის გადაყეთება; განმეორებითი დაპროგრამება, კელადპროგრამება

repudiate [rɪˈpjʊːdiɪt] 1. ვაბათილება, ანუღირება, მიუღებლობა, უარის თქმა (მაგ., ვალის გადახდაზე); 2. განქორწინება

repugnance [rɪˈpɪɡnəns] შეუთავსებლობა; არათანმიმდევრობა; წინააღმდეგობრიობა (მაგ., კანონების ან ხელშეკრულების მუხლებისა).

repugnant [[rɪˈpɪɡnənt]] შეუთავსებელი; წინააღმდეგობრივი.

reputate [rɪˈpjʊːləɪt] პატივისცემის ღირსი; პატივცემული (პირი).

repulse [ri,pals] უარყოფა (ბრალისა, დანაშაულისა).

requaification [ri,kwalifikafn] განმეორებითი კვალიფიკაცია, კვლავკვალიფიკაცია

request [ri'kwest] 1 თხოვნა; 2. შუამდგომლობა; 3. მოთხოვნა; 4. გამოთხოვა (საქმისა); 5. შეთავაზება („დავაჯალოთ“, „გამოვიწეროთ“ ტიპისა).

require [ri'kwaɪə] 1. მოთხოვნის წაყენება; 2. ბრძანების გაცემა; 3. ახსნა-განმარტების წარდგენა ან გადაცემა.

requirement [ri'kwaɪəmənt] 1. მოთხოვნა; (აუცილებელი) პირობა; 2. მოთხოვნილება; საჭიროება; 3. pl. ტექნიკურ-ეკონომიკური მოთხოვნები. **Δ to meet** - ს 1. ტექნიკური პირობების დაკმაყოფილება; 2. მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. **market** - ბაზრის მოთხოვნილება (გასაყიდად გატანილ ან გამოსატან საქონელზე); **sales** - მოთხოვნილების მოცულობა

requisite 1. (ლათ.-დან **requisitum** — აუცილებელი, საჭირო) რეკვიზიტი (დაწესებულების ფუნქციონირების აუცილებელი ფორმალური მისამართი, ფაქტი, ტელეფონი, ბანკში ანგარიშის ნომერი და ა. შ.); 2. აუცილებელი, მოთხოვნილი; საჭირო (საგანი და სხვ.)

requisition [,rekwi'ziʃn] 1. რეკვიზიცია (მაგ., სახელმწიფო ორგანოების მიერ ქონების სამუდამო ან დროებითი ჩამორთმევა ანაზღაურებით); 2. განაცხადი, მოთხოვნა; 3. მოთხოვნილება; 4. პირობა, მოთხოვნა (მაგ., გაყიდვისა, შესყიდვისა); 5. გადახდის მოთხოვნა; 6. ბრუნვაში გაშვება (მაგ., პროდუქციისა); გამოყენება.

requital [ri'kwaitl] 1. შურიძიება; რეპრესალია; 2. კომპენსაცია; ანაზღაურება.

requite [ri'kwaiə] ანაზღაურება; გადახდა; კომპენსაცია. **Δ in - of smth** (რამისთვის) საკომპენსაციოდ, ანაზღაურების მიზნით; **to - smb for his service** (ვინმეს) პატივისცემა მომსახურებისათვის

rereading [ri'ri:ɪd] განმეორებითი ამოკითხვა, კვლავამოკითხვა, კვლავწაკითხვა

rerecording [,ri:ri'kɑ:diŋ] გადაწერა; კვლავჩაწერა (მაგ., რეესტრში, კომპიუტერტის მეხსიერებაში)

reroute [,ri'ru:t] შემოვლა, შემოვლით მოძრაობა

rerun [ri'ɾʌn] 1. დაპრ. კვლავგასვლა, განმეორებითი გატარება (ამოცანისა კომპიუტერში); კვლავგაშვება; განმეორებითი გარეკვა (საკომპიუტერო პროგრამისა); 2. განმეორებითი ქმედება; 3. განმეორებითი ჩვენება (მაგ., ეკონომიკური ინფორმაციისა დისფლის ეკრანზე)

res ლათ. („რეს“) 1 საკითხი; საგანი (მსჯელობისა); საქმე; 2. ფაქტი; გარემოება.

resale [,ri:'seɪl] გადაყიდვა, ყიდვა და გაყიდვა

resell [,ri:'sel] გადაყიდვა; ყიდვა და გაყიდვა.

res gestae ლათ. („რეს გესტა“): სადავო საკითხის არსის ფაქტთან დაკავშირებული გარემოება;

res integra ლათ. („რეს ინტეგრა“) არც კანონითა და არც პრეცედენტის ანალოგიით დარეგულირებადი საკითხი.

res judicata ლათ. („რეს იუდიკატა“); ერთხელ განხილული საკითხის ხელშეორედ განხილვის დაუშვებლობის პრინციპი.

reschedule [ri'ʃedju:ɪ] გადავადება (ვალის) გადახდისა

rescheduling [ri'ʃedju:ɪŋ] კალენდარული გეგმის გადასინჯვა

rescind [ri'sɪnd] შეცვლა, ანულირება (მაგ. გადაწყვეტილების ანულირება, ხელშეკრულების მუხლ(ებ)ის შეცვლა); გაბათილება

rescission [ri'sɪʃiən] L შეწყვეტა; გაუქმება; ანულირება; განქარება

rescue ['reskjʊ:] 1. განთავისუფლება, განტვირთვა; 2. იურ. პატიშრობიდან იძულებით განთავისუფლება; 3. ხსნა; დახსნა; შევლა; 4. ვინმეს გადაჩენა დახრჩობისაგან-სიკვდილისაგან ან ტრამვისაგან; 5. ძალადობით მოპოვება, უკანონოდ მითვისება.

dump დაპრ. საავარიო განტვირთვა; ავარიული დამპი (მაგ. ოპერატიული მესხიერებიდან მონაცემების გადაწერა გარე მესხიერებამი ან ამობეჭდვა); - **point** დაპრ. აღდგენის წერტილი (პროგრამის კვლავვა შევებით)

re-search [ri'sɜ:ʃ] კვლავძიება; კვლავძებნა

research [ri'sɜ:ʃ] 1. კვლევა; გამოკვლევა; ძიება; შესწავლა; 2. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო; 3. კვლევის ჩატარება; 4. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარება

researcher [ri'sɜ:ʃə] მკვლევარი

reseat [ri'si:t] 1. გად აყიდვა (საქონლისა); 2. კვლავ შეწება (წერილის კონვერტისა)

reservation [rezə'veɪʃn] 1. დარეზერვება; 2. შენახვა, დატოვება; 3. პირობა; 4. ამერ. წინასწარი შეკვეთა; 5. რეზერვაცია

reserve [ri'zɜ:v] 1. რეზერვი; თადარიგში მყოფი; 2. მარაგი; მარჯაუა; 3. დარეზერვება; დაჭავენა; 4. გაუნაწილებელი მოგების ანგარიში. Δ - (for interest) პროცენტის საგადსახადო რეზერვი; - for taxes გადასახადების დასაფარავი რეზერვი; to build - ს რეზერვების შექმნა

reserves [ri'zɜ:vz] 1 დანაზოგები უცხოური ვალუტების სახით; 2 (im) შემდგომში გამოსაყენებლად გადანახული; 3 შენახვა; გადაღება; 4. დამატებითი შენიშვნა; 5. დაჯავშნა; წინასწარი შეკვეთა.

reset ლათ. („რესეტ“); დანაშაულის გზით მითვისებული ქონების გადაძალვა; 2. დამნაშაის მფარველობა ან გადაძალვა; 3 დამნაშავესთან შეკრა.

reship(ment) [ri'ʃɪpmənt] გადატვირთვა (ერთიდან მეორე ადგილზე); გადატანა

residence ['rezɪdəns] 1. ადგილსამყოფელი; 2. ყოფნის ხანგრძლივობა; 2. ბინა, სახლი

resident ['rezɪdənt] 1. მუდმივად მცხოვრები; 2 დაპრ. რეზიდენტი; (მონაცემების ან პროგრამის) რეზიდენტული ნაწილი; 3. წარმომადგენელი; 4. (im) ნიშანდობლივი

residue ['rezɪdju:] 1. ნაშთი; 2. ნარჩენი I(ყველა ხარჯის გასტუმრების შემდეგ).

resign [ri'zaɪn] განმეორებითი ხელწერა; განმეორებითი მონიშვნა.

resignation [.rɛzɪɡ'neɪʃn] 1 გადადგომა; სამსახურის მიტოვება; 2. თანამდებობაზე უარის თქმა.

resist [rɪ'zɪst] 1 წინააღმდეგობა; დაუმორჩილებლობა; 2. პირისპირ დადგომა; 3. (რაიმესაგან) თავის შეკავება.

resistance [rɪ'zɪstəns] 1. წინააღმდეგობა; წინააღმდეგობა; 2. (ომური ან რევოლუციური) წინააღმდეგობა

res nullius ლათ. („რეს ნულიუს“): უპატრონო საგანი ან ქონება.

resolution [.rɛzə'lu:ʃn] 1. გარჩევუნარიანობა; გარჩევითობა; 2. (პრობლემის) გადაწყვეტა; 3. ამოხსნა; მოხსნადობა; 4. დაშლა, დემონტაჟი; 5. გახსნა

resort [rɪ'zɔ:t] 1. თავშესაფარი, საფარველი; 2. იმედი; ნუგეში; 3. საშუალება; 4. საშუალების გამოყენება. **Δ to ~ to borrowing** ხესხის აღება; ხესხების გამოსაყოფად მიმართვა.

resource [rɪ'zɔ:s] 1. რესურსი; ბუნებრივი სიმდიდრეები; 2. pl. მარაგი, რესურსები; 3, pl. (ფულადი) საშუალებანი; 4. pl. (ბანკის) აქტივები; 5. pl. არსებობის საშუალებანი; 6. შესაძლებლობა, საშუალება, ხერხი. **Δ ~ allocation** 1. რესურსების განაწილება, მარაგის განაწილება; 2. დაპრ. (ცენტრალური პროცესორის) საშუალებათა განაწილება რამდენიმე მომხმარებელსა და რამდენიმე გარემოწყობილობას შორის

respondeat superior ლათ. („რესპონდეტ სუპერიორ“): „მაღლა მდგომი იყოს პასუხისმგებელი“. წესი, რომლის მიხედვითაც პრინციპალი პასუხს აგებს აგენტის ქმედებებზე ან დაქირავებული პასუხისმგებელია დაქირავებულის მოქმედებებზე.

respondentia [.rɛspɑn'dɛnʃɪə] ტვირთის ან გემის დაგირავებისათვის აღებული სესხი, ბოღმერეი (გერმანული სიტყვიდან **Bodmeri**)

response [rɪ'spɑns] 1. პასუხი; 2. (ეკონომიკური მონაცემების შესაბამისი) საპასუხო ქმედება; რეაქცია; 3. სტატ. მახასიათებელი; (პარამეტრების) დამოკიდებულება; 4. ამოქმედება; 5. (სამართლად) დაყოლა, მართვა; 4. (აპარატურის) მგრძობიარობა

responsibility [rɪ'spɑnsəbɪlɪtɪ] 1. პასუხისმგებლობა; 2. ვალდებულება; 3. ანერ. გადახდის უნარიანობა; 3. საიმედოობა; 4. მეურვე; 5. შეგნებულობა; გონიერულობა.

responsiveness [rɪ'spɑnsɪvɪnɪs] რეაგირებადობა (მაგ., პროცენტის ნორმის ცვლილებისადმი, კრედიტული პოლიტიკისადმი და მისთ.)

rest [rest] 1. ნაშთი, (ანგარიშის) საღლო; 2. უძრავობა; დადგომა (საწარმოსი, მანქანისა); 3. ინგლ. სარგებერო ფონდი; 4. შუალედი, პაუზა (მაგ., ეკონომიკურ ციკლებს შორის შუალედი); 5. დასვენება; არამუშა მდგომარეობაში ყოფნა; შესვენება; შუალედი; 6. უცვლელად ყოფნა; 7. (on, upon, in) პასუხისმგებლობის) დაკისრება; 8 ნარჩენი; დანარჩენი, სხვები. **Δ for the ~** 1. ნარჩენ თანხაზე (გაანგარიშებით); 2. რაც შეეხება დანარჩენებს; **to bring ~** გაჩერება (მაგ., სისტემისა, მანქანისა); შეჩერება (ტექნოლოგიური პროცესისა)

restante ფრანგ. „მოთხოვნამდე“, „მოკითხვამდე“ (წარწერა წერილის კონერტზე).

restart [ˌrɪːstɑ:t] 1. კვლავაშვება; კვლავამუშაება; 2. (პროგრამის) შესრულების განახლება (მაგ., საკონტროლო წერტილში ჩაწერილი ეკონომიკური პარამეტრებით)

restaurateur [ˌrestrɔ:tɜ:] ფრანგ. რესტორნის პატრონი (*სინონიმებია აგრეთვე restaurateur; restauranter*)

restitution [ˈrestɪju:t] 1. აღდგენა (პროცესისა); 2. ანაზღაურება (მაგ., ზარალისა); დაბრუნება (კანონიერი მესაკუთრისათვის); 3. (დეფორმირებული საგნის ფორმის) თვითაღდგენა; 4. რესტიტუცია (ლათ. *restitutio*-დან), ძველი უფლებრივი მდგომარეობის აღდგენა; ქონების დაბრუნება

resto [rɪtɔ] საუბ. რესტო, რესტორანი (*კანადური სლენგი*)

restock(ing) [ˌrɪstɔk(ɪŋ)] მარაგის შევსება

restoration [ˌrestɔˈreɪʃn] 1. აღდგენა; 2. შეკეთება; 3. რეკონსტრუქცია

restrain [rɪˈstreɪn] 1. შეზღუდვა; შეკავება; 2. ზღვრებში მოთავსება; 3. შეკავშირება; 4. დაკავება; დაკერა. **Δ to ~ M to N** M-ის შეზღუდვა N-ის ზღვრით

restraint [rɪˈstreɪnt] 1. შეკავება; შეზღუდვა; (მაგ., კრედიტისა); 2. აკრძალვა (მაგ., ვაჭრობისა); 3. იურ. დაკავება (პირისა). **Δ ~ of prices** იშვ. ემბარგო (*იხ. აგრეთვე embargo*)

restriction [rɪˈstrɪkʃn] 1. საგ. ეკ. ურთ. (ლათ.-დან *restrictio* — შეზღუდვა), რესტრიქცია, შეზღუდვა (საქონლის წარმოების, ექსპორტისა და გასაღების შეზღუდვა ფასების აწევის მიზნით და სხვ. მიმართავენ აგრეთვე კრედიტის, ვალუტის რესტრიქციას); 2. შეზღუდვა, შემოსაზღვრა; 3. შეზღუდვის ფუნქცია; 4. pl. შეზღუდვითი ღონისძიებები; 5. დამატებითი შენიშვნა, შესწორება; 6. დაბრკოლება; შეფერხება

restructure [ˈrɪːstrʌktʃə] სტრუქტურის შეცვლა, სტრუქტურის გადაკეთება

result [rɪˈzʌlt] 1. შედეგი; რეზულტატი (მაგ., შეფასების შედეგი, გამოკრებადი რეზულტატები, შედეგები); 2. (*from* პროცესის) შედეგად წარმოქმნა, გაჩენა; 3. (*in*; შედეგების ამოხვედვით) დამთავრება, დასრულება (მაგ., ეკონომიკური გათვლებისა)

resume [rɪˈzju:m] 1. გაგრძელება, განახლება (მაგ., ვაჭრობისა); 2. (სესხის) მიღება; კვლავადება; 3. შედეგების შეჯამება, რეზიუმირება

resume' [reˈzjumɔ] 1. რეზიუმე; კრებსვა (მაგ., ანგარიშების კრებსვა), შეჯამება; 2. შედეგები; დასკვნები

resumption [rɪˈzʌmpʃn] განახლება (მაგ., ვალუტის გაცემისა)

retabulation [rɪˈtæbjʊleɪʃn] კვლავდატაბულება (ეკონომიკურ მონაცემთა) შეტანა ახალ ტაბულაში

retail [ˈriːteɪl] 1. ცალობით გაყიდვა; 2. საცალო (მაგ. ვაჭრობა). **Δ ~ chain** საცალო ვაჭრობის მაღაზიების ქსელი (ერთი ფირმისა); - **distribution** ცალობით განაწილება; საცალო ვაჭრობის მაღაზიებისათვის განაწილება (სხვადასხვა საქონლისა)

retailer [ˈriːteɪlə] ცალობით მოვაჭრე; საცალო ვაჭრობის მაღაზიის გამყიდველი. **Δ ~ tag** რეკლ. (ტელერეკლამის ბოლოს) ცალობით მოვაჭრის შეტყობინება სარეკლამო საქონლის გაყიდვის პირობებისა და ადგილის შესახებ

retailing [ri:'teɪlɪŋ] 1. ცალობით ვაჭრობა (გაყიდვა); 2. ცალობით მოვაჭრე. ?-
institution საცალო ვაჭრობის დაწესებულება. franchise - ცალობით ვაჭრობა სპე-
ციალური კონტრაქტით; telecommunication - სატელეკომუნიკაციო საშუალებებით
ცალობით ვაჭრობა (ტელეფონით შეკვეთა, ანგარიშის კომპიუტერით გამოწერა)

retailment ['ri:'teɪlmənt] იხ. retailing 1.

retail park ['ri:'teɪl 'pɑ:k] ცალობით მოვაჭრეთა მაღაზიების პარკი (განსაკუთ-
რებით მდიდრული ლანდშაფტურ უბანში, აგარაკებზე და სხვ.)

retain [ri:'teɪn] 1. შენახვა (მაგ., მარაგისა); 2. (კომპიუტერულ მეხსიერებაში) დახ-
სომება; 3. დაჭირავება, აყვანა (ადვოკატისა); 4. ძალის შენარჩუნება

retainer [ri:'teɪnə] 1. აშერადვოკატისათვის საქმის წარმოების დავალება; 2. ადვო-
კატის წინასწარი ჰონორარი; 3. ჩამკერი, ფიქსატორი

retaliate [ri:'tæli:ɪt] 1. შემხივდრი დადანაშაულება; 2. საპასუხო ზომების მიღე-
ბა (რეპრესალია, მაგ., გაზრდილი გადასახადების დაწესებით); 3. საპასუხო დარტყმის
მიყენება (კონკურენტულ ბრძოლაში)

retaliation [ri:'tæli:'eɪʃn] საპასუხო ზომა, რეპრესალია; იმავე (ხერხით) ზღვეე-
ნება

retardation [ri:'tɑ:deɪʃn] 1. შენელება; (პროცესის) დაყოვნება; 2. გონებრივი
განვითარების დაყოვნება.

retention [ri:'tenʃn] 1. საგნის დაპატიმრების უფლება; 2. შენახვა; შენახვის
უფლება; 3. დახსომების მეთოდი; 4. დამატებითი ვადით დატოვება (სამხედრო სამ-
სახურში).

retiral [ri:'taɪrəl] სიტყვის retirement ამერიკული და 'შოტლანდიური ვარიანტი
(იხ. retirement).

retire [ri:'taɪə] 1. ბრუნვიდან ამოღება; გამოსყიდვა; (ვალის) დაფარვა; 2. დაშლა;
დემონტაჟი; 3. პენსიაზე გასვლა; **Δ to - a bill** თამასუქის დაფარვა (ვალის გადგენისას);
to - money from circulation ფულის ბრუნვიდან ამოღება

reticence ['relɪs(ə)ns] 1. სიჩუმე; დაფარვა; 2. 'შეკავებულობა. 3. დუმილი (დანა-
შაულზე); 4. ერთობლივი დაფარვა (დანაშაულებრივი ქმედებისა).

retired [ri:'taɪd] 1. დაფარული; განაღდებული (მაგ., თამასუქი); 2. პენსიაზე გასული

retiree [ri:'taɪə] პენსიონერი; სამსახურიდან გადამდგარი

retirement [ri:'taɪəmənt] 1. ბრუნვიდან ამოღება (მაგ., ფულისა); 2. გამოსყიდვა
(მაგ., აქციებისა); 3. დაფარვა (მაგ., ვალისა); 4. (მოწყობილობის) დემონტაჟი; მწყობ-
რიდან გამოსვლა; 5. პენსიაზე გასვლა; დათხოვნა; 6. მოხსნა (მაგ., მოძველებული სის-
ტემისა); ჩამოწერა; 6. დაგეგმილი უკანდახევა

retooling [ri:'tu:liŋ] ახალი ტექნიკით აღჭურვა; ახალი მოწყობილობების დაყენე-
ბა [ექსპლუატაციაში გაშვება]; აპარატურული განახლება

retort [ri:'tɔ:t] 1. რეპრესალიების მიღება (მაგ., ემბარგოს შემოტანა); 2. შედაცება

retraining [rɪˈtreɪnɪŋ] გადამზადება (მაგ., კადრებისა); კვალიფიკაციის ამოღლება
retreat [rɪˈtri:t] 1. თავშესაფარი; მიუსაფართა აღვლილი; 2. ფასიანი ქაღალდების სავაჭრო კურსის დაცემა; 3. უკანდახევვა, უკუსვლა.

retrenchment [rɪˈtreɪtʃmənt] 1. ხარჯის შემცირება; ეკონომია; 2. ტექსტის შემცირება

retrial [ˌrɪːˈtraɪəl] 1. საქმის კვლავ განხილვა; 2. გამეორებითი გამოყენება; 3. მოთხოვნათა გამეორება; ვლავმოთხოვნა.

retrieval 1. (ინფორმაციის) ძებნა; 2. აღდგენა, უწინდელ მდგომარეობაში დაბრუნება; 3. შესწორება (მაგ., საბუღალტრო ჩანაწერებისა, ეკონომიკური პარამეტრებისა); 4. დაბრუნება

retro [ˈrɛtroʊ] უკან, შებრუნებით; (პროცესის) დაბრუნებით

retroactive [ˌrɛtroʊæktɪv] 1 უკუძალის მქონე; წარსულ დროში ძალაში შესული; 2. შებრუნებით; უკან; 3. პროცესის დაბრუნებით;

retrocession [ˌrɛtrə(ʊ)ˈseɪʃn] რეტროცესია (მაგ., სადა ზღვევო რისკის გადასვლა მესამე ფირმის ხელში); უკუშეშობა, რეაქცია

retrospective [rɛtrəˈspektɪv] უკუძალის ქონა (მაგ., კანონის შესახებ).

retry [ˌrɪːˈtraɪ] სარჩელის განმეორებით განხილვა (სასამართლო პროცესის კვლავჩატარება).

return [rɪˈtɜ:n] 1. დაბრუნება, უკუსვლა; 2. კომერც. შემოსავალი, მოგება; 3. ფინ. თანხის დაბრუნება; 4. pl. დაბრუნებული საქონელი; დაბრუნებული ჩეკები (თამასუქები და სხვ.); 5. მოგების მიღება; შემოსავლიანობა; 6. ბრუნე; 7. წმირად; pl. ფინ. უწყისი; ანგარიში; სტატისტიკური ანგარიში; ანგარიშის მონაცემები; & pl. ოპერაციათა შედეგები; გამოთვლის შედეგები; აღწერის შედეგები; 9. საგად. საგადასახადო დეკლარაცია; 10. დაპრ. (კომპიუტერის მენსიერებისადმი) კვლავმიმართვა; 11. საინფორმაციო უკუაზრხი; 12. პოლიტ. ოფიციალური განცხადების გაკეთება, ანგარიშგება. **Δ to - a bill unpaid** გაუნაღლებელი თამასუქის დაბრუნება; **to maximize - s** მოგების მაქსიმიზება, მაქსიმალური მოგების მიღწევა; **budgeted** - ბიუჯეტური შემოსავლიანობა; **fair** - მოგების სამართლიანი ნორმა (ინვესტირებულ კაპიტალზე); **profit** - მოგება; **tax** - საგად. 1. საგადასახადო დეკლარაცია; 2. საგადასახადო შემოსავალი

returning officer [rɪˈtɜ:nɪŋ ɔ:fɪsə] საარჩევნო რწმუნებული (რომელიმე ოლქში).

reunion [rɪˈjuːnɪʊn] შეერთება; (რამდენიმე ან ორი ფირმის) კვლავგაერთიანება ერთიანი ნორმის აღდგენა

reuse ლათ. („რეუს“): იურ. საქალაქო (სასამართლო) პროცესზე მოპასუხე (pl. **rei**)

reuse [ˌrɪːjuːs] კვლავგამოყენება, განმეორებითი გამოყენება

trvalidate [rɪːvæˈlɪdeɪt] 1. ავრიდიული ძალის კვლავ მინიჭება; 2. კვლავ რატ-იფიციირება; 3. კვლავ დამტკიცება (კენჭისყრის შედეგისა და სხვ.).

revalue [rɪːˈvæljʊː] კვლავშეფასება; გადაფასება (მაგ., ვალუტისა მისი პარიტეტის გაზრდის მიმართულებით)

revamp [rɪːˈvæmp] 1. შეკეთება; გასწორება; 2. ნაწილობრივ შეკეთება; 3. გადაკეთება

reveal [ri'vi:l] 1. გახსნა; მხილება; 2. ჩვენება; შემჩნევა

revenue ['revɪnju:] 1. შემოსავალი; მოგება; 2. შემოსავლის წყარო; 3. pl. შემოსავლის მუხლები; 4. საფინანსო სამმართველო; 5. გადასახადებისა და შემოსავლების დეპარტამენტი

reversal [ri'vɜ:səl] 1. შექცევა; უკუმიმართულებით მოძრაობა, უკუმოძრაობა (მაგ., ფასებისა); 2. მობრუნება; გადატეხა; სამუშაოების მკვეთრი გარდაქმნა; 3. გაბათილება; ანულირება; შეცვლა; 4. ინვერსია

reverse [ri'vɜ:s] 1. შებრუნებული, საწინააღმდეგო (მაგ., ფინანსური პროცესის შესახებ); 2. უკუპროცესი; 3. შებრუნებული მტკიცება; 4. (მკვეთრი) უკუსვლა, უკუმოძრაობა; 5. შეცვლა, ანულირება; **Δ** – of coin მონეტის მეორე მხარე

reverse clipping [ri'vɜ:s 'klɪpɪŋ] დაეკრანება; შიგა ამოკვეთა (მაგ., მიკროეკონომიკური ობიექტის ნაწილისა, რომელიც რთულ უბანშია მოთავსებული)

reverse video [ri'vɜ:s 'vaɪdɪəʊ] უკუვიდეოგამოსახულება; ნეგატიური ვიდეოგამოსახულება (ობიექტისა)

reversibility [ri'vɜ:sə'bɪlɪtɪ] 1. შექცევადობა (მაგ., პროცესისა); 2. იურ. გასაჩივრებადობა, შეცვლადობა

reversionary [ri'vɜ:ʃənəri] ერთი მემკატრონის ხელიდან მისი სიკვდილის შემდეგ სხვა მემკატრონის ხელში გადასვლელი (საკუთრება).

reverification [ri'verɪfɪ'keɪʃn] კვლავმემოწმება; პერიოდული შემოწმება

reversion [ri'vɜ:ʃn] 1. რვეერსია: პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნება; 2. გადაადგილება; 3. გარდაცვლილის ნდობით აღჭურვილისათვის გადახდილი თანხა.

revert [ri'vɜ:t] 1. უკუშექცევა, უკუმიმართვა (მაგ., პროცესისა); 2. იურ. წინა მესაკუთრის ხელში გადასვლა; 3. გადაბრუნება, უკუსვლა

reverter [ri'vɜ:ɪtə] 1. დაბრუნების უფლება; რვეერსია; 2. უფლების შებრუნება; 3. საკუთრების უფლების უკუგადასვლა პირვანდელ მფლობელთანა.

review [ri'vju:] 1. განხილვა; მიმოხილვა; 2. ანალიზი; გადახედვა, გადასინჯვა; 3. რეფერატი, რეცენზია; 4. შემოწმება (მაგ., კონსტრუქციისა); გადამოწმება (მაგ., საკრედიტო განცხადებისა, ფასებისა)

revile [ri'vaɪl] გინება; გაკიცხვა; შურააცხყოფა.

revise [ri'vaɪzə] 1. შემოწმება; რვეიზია; 2. შესწორება; 3. რვეიზიის (ანუ შემოწმების) ჩატარება; 4. გადახედვა.

revision [ri'vɪʒən] 1. გადასინჯვა; შემოწმება; რვეიზია; 2. შესწორება, დახუსტება (მაგ., ფასებისა); 3. გადამუშავება; მოდერნიზაცია

revival [ri'vaɪvəl] 1. გამოოცხლება (მაგ., ბაზრისა); 2. ძალაში კვლავმესვლა (მაგ., ხელშეკრულებისა); 3. აღორძინება

revive [ri'vaɪv] 1. განახლება (სასამართლო პროცესისა); 2. კვლავდაწყება; 3. (პატენტის მოქმედების ვადის) აღდგენა.

revocable [rɪ'vʌskəbl̩] შეცვლადი (მაგ., აქციათა კურსი); ანულირებადი; განქარებადი; გაუქმებადი.

revocation [ˌrevə'keɪʃn̩] იურ. 1. შეცვლა, ანულირება; გაუქმება; რევოკაცია; 2. მოქალაქეობის ჩამორთმევა

revoke [rɪ'vʌsk] პოლიტ. 1. შეცვლა; გაბათილება; ანულირება (ბრძანებისა, კანონისა და მისთ.); 2. გამოხმობა, გამოძახება

reward [rɪ'wɑ:d] 1. დაგილოება; წახალისება; 2. ფიქლო; 3. პრემია.

rewholesaler [rɪhɔʊl'sɛɪlɚ] 1. ბითუმად გადამყიდველი; 2. ბითუმად გადამყიდველი შუამავალი ფირმა

rework [rɪ'wɜ:k] 1. გადაყეთება, შეცვლა; 2. რეგენერაცია

rewrite ['rɪ:raɪt] ამერ. 1. გადაამუშავებული ტექსტი; 2. დასაბეჭდად გამოსადგებული ტექსტი; 3. გადაწერა; 4. გადაკეთება; 5. რედაქტირება; დასაბეჭდად გამოსადგება (რეკლამისა)

R/I. [ˈɑ:raɪ] ან **R.I.** (აბრ.) იხ. **reinsurance**

ribbon branding [rɪbn brændɪŋ] ლენტის დაწებვით მარკირება

rib joint [rɪb dʒɔɪnt] ამერ. სლენ. ბორღელი; მეძავთა სახლი.

rich [rɪtʃ] 1. ძვირფასი (მაგ., ქვა); 2. ფასიანი, ფასეული; 3. მდიდარი

riches [rɪtʃɪz] სიმდიდრე; სიუხვე

richly [rɪtʃɪ] 1. მდიდრად, (ძალიან) შეძლებულად; 2. საკმაოდ; სრულიად

richness [rɪtʃnɪs] 1. სიმდიდრე; 2. ფასეულობა; 3. სიუხვე; 4. ნაყოფიერება; მოსაყლიანობა; 5. სილამაზე; ბრწყინვალეობა

rid [rɪd] 1. თავიდან მოცილება; (რაიმესაგან) განთავისუფლება; 2. გასუფთავება; 3. საუბ. დამთავრება

ride [raɪd] 1. საფინანსო ოლქი (უბანი); 2. გადალახვა; დასაყუთრება; მისაყუთრება; 3. გამგზავრება; მგზავრობა; 4. მართვა (მაგ., ავტომანქანისა); **Δ - over** აცილება; მიუღებლობა (მაგ., პროტესტისა)

rider [raɪdɚ] 1. შედეგი; დასყენა; 2. დამატება; დამატებითი პუნქტი; დამატებითი მუხლი (დოკუმენტისა); დანართი; 3. აღონეი (მაგ., თამასუქზე დამაგრებული გადასაცემ წარწერებიანი დამატებითი ფურცელი; ის, რაც არ ეტევა თამასუქზე მისაწერად იხ. აგრეთვე **allonge**); 4. იმე. კომივიოიაფორი; 5. მათემ. დამატებითი ამოცანა (ან თეორემა)

rif [rɪf] ამერ. სლენ. 1. სამსახურებრივი დაქვეითება; 2. შტატების შეკვეცა.

riff [rɪf] ამერ. სლენ. 1. მსმენელის კეთილგანწყობის მიზნით მოგონილი სიახლეების თქმა; საუბრის თემიდან გადახრა; 2. სამრეწველი ვაგონ-მაცივარი.

rig [rɪg] 1. ტრანს. კომბინირებული სატვირთო ავტომანქანა; ტრაქტორი და ავტოფურგონი; 2. აღჭურვა; შეიარაღება; 3. საუბ. კოსტუმი; ტანსაცმელი; მანერა; ყაი-

და; ჩვეულება. **Δ to** - the market ფასიანი ქაღალდების კურსის ხელოვნური გაზრდა [გაბერვა]

right [raɪt] 1. უფლება; 2. pl. უფლებები; 3. pl. ნამდვილი ფაქტები; ნამდვილი მდგომარეობა; 4. pl. წესრიგი; 5. სწორი; ნამდვილი: საჭირო; 6. მოწესრიგება; 7. მარჯვენა მხარე; 8. კომპენსირება; (ზარალის) ანაზღაურება; 9. ამერ. სლენ. შეგობრული; წესიერი; საიმედო. **Δ - s and duties** უფლებები და მოვალეობები; - **of recourse** რეგრესის უფლება; უკუშოთხოვნის უფლება (ინდოსანტიანდმი); - **of redemption** გამოსყიდვის უფლება; **dividend** - დივიდენდის მიღების უფლება; **no voting** - საბირჟა აქც. ხმის მიცემის უფლების არქონა (აქციების გაყიდვისას); **patent** - ლიცენზ. საპატენტო კანონმდებლობა; **sole voting** - საბირჟა აქც. ხმის განსაკუთრებული უფლება (აქციების ყიდვა-გაყიდვისას)

rigorism ['rɪgərɪzəm] (ფრ.-ში *rigorisme*, ლათ.-დან *rigor* სიმკაცრე) რიგორიზმი (პრინციპებისა და წესების შეკატრად განუხრელად დაცვა, განსაკ. მორალურ საკითხებში)

rigorous ['rɪgərəs] მკაცრი; ზუსტი (მაგ., გათვლები)

ring [rɪŋ] 1. საბირჟო წრე (ა. წრის წევრებს განსაკუთრებული უფლება აქვთ საბირჟო გარიგებების მოწყობაზე; ბ. ბირჟის წევრებისათვის მრგვალად განლაგებული სკამები); 2. რინგი (კარტელური გაერთიანების ერთ-ერთი სახე); 3. რგოლი, წრე; 4. ხმა; ხმაძალღობა

ringer ['rɪŋə] ამერ. სლენ. 1. შესანიშნავი კაცი; 2. პირველხარისხოვანი საგანი; 3. ზუსტი ასლი; 4. პირი, რომელიც რამდენჯერმე (უკანონოდ) აძლევს ხმას.

ringster ['rɪŋstə] ამერ. სლენ. 1. პოლიტიკური ხროვის ან დაჯგუფების წევრი; 2. სპეკულანტების გაერთიანების წევრი

riot [raɪət] 1. აჯანყება; 2. აურზაური; 3. დროის ან თანხის ფუჭად ხარჯვა.

riot act ['raɪət 'ækt] 1. მონაწილეობა შეთქმულებაში (აჯანყებაში, აურსაურში); 2. ინგლ. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კანონი; 3. საუბ. მკაცრი გაფრთხილება.

riot squad ['raɪətskwɑ:d] სპეცდანიშნულების (საპოლიციო) რაზმი.

rip [rɪp] ამერ. სლენ. 1. მოპარული (ნივთი, საგანი); ნადავლი; 2. მოპარვა; 3. ნაძირალა; 4. დაჯარიმება; დასჯა; 5. წვეკტა; (გა)წვეკტა; 6. წარჭობა

riparian [rɪ'peəriən] 1. სანაპიროს(ი), ნაპირის (ა); 2. სანაპირო ზოლის (მიწის) მფლობელი

rip-off ['rɪp.ɒf] 1. ქურდობა; თაღლითობა; 2. არასინდისიერი კომპილაცია (მაგ., გადაშუშება (პროგრამისა, პროექტისა, სამეცნიერო შრომისა); 3. სხვისი (სამეცნიერო ან ლიტერატურული) ნაშრომის მიმთვისებელი; პლაგიატი; 4. შეშეკრება; შელაგათი (გადასახადის გადახდისას)

ripsnorter [ˌrɪpsnɔ:tə] ამერ. სლენ. 1. საოცარი, არაჩვეულებრივი პიროვნება; 2. ხმაურიანი კაცი.

rise [raɪz] 1. მატება (მაგ., ფასებისა), აწევა; ამაღლება; ზრდა; 2. დანამატი (ხელფასისა); 3. სამუშაოს დამთავრება; (სესიის, კონფერენციის, სხდომის) დახურვა; 4. წაწევა (სამსახურებრივი იერარქიაში). **Δ** - in price ფასიანი ქაღალდების კურსის (ან ფასის) მატება; - in quotation საბირჟ. კურსის მატება; - of stock აქციების კურსის ზრდა

rising ['raɪzɪŋ] 1. სამუშაოს დამთავრება; 2. დასვენების გამოცხადება.

rising of court ['raɪzɪŋəʊ ,kɔ:t] 1. სასამართლოს პროცესის დამთავრება; 2. (პროცესზე) შესვენების გამოცხადება.

rising vote ['raɪzɪŋ 'vəʊt] ადგომით ხმის მიცემის პროცედურა.

risk [rɪsk] 1. რისკი; 2. გარისკვა; 3. საშიშროება; საფრთხე; 4. მათემსაშუალო რისკი; 5. სადაზღვევო რისკი; 6. დაზღვეული პიროვნება; დაზღვეული საგანი; 7. განუზღვევლობის ხარისხი, ალბათობა, შესაძლებლობა. **Δ** at owner's - მფლობელის რისკზე; to run the - გარისკვა; - of error შეცდომის საფრთხე; buyer's - მომხმარებლის რისკი; credit - კრედიტული რისკი, სესხის გადაუხდელობის რისკი; in surance - სადაზღვევო რისკი; standard - ნორმალური რისკი (ალბათობა, რომელიც არ ცილდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გარკვეულ ზღვრებს); undue - გაუმართლებელი რისკი; vendor's - მიმწოდებლის რისკი

risk assets [rɪsk 'æzɪts] არალიკვიდური აქტივები (ხანგრძლივი ინვესტიციები და ხანგრძლივი სესხები).

riskness ['rɪsknɪs] გარისკვა; რისკის ხარისხი

risky ['rɪski] რისკიანი; სარისკო

rite [raɪt] 1. პროცედურა; ცერემონია; 2. წეს-ჩვეულება, წესი, რიტუალი. **Δ** oath - ფიცის დადების ცერემონია!

rites [raɪts] ზნე-ჩვეულება(ნი)

ritz [rɪts] საუბ. 1. მდიდარი, არისტოკრატიული სტილი; ფუფუნება; 2. თვითდაღჭერებული; ამაყი, ბაჟია

ritzzy ['rɪtsɪ] ამერ. სლენ. 1. დახვეწილი; ელეგენტური; 2. მდიდარი; მდიდრულად მცხოვრები.

rival ['raɪvəl] 1. კონკურენტი; მეტოქე; მოწინააღმდეგე; 2. კონკურენციის გაწევა; 3. მაკონკურირებელი (მაგ., საქონლის შესახებ)

rivalry ['raɪvəlri] მეტოქეობა; კონკურენცია

river ['rɪvə] 1. ამერ. სლენ. გამოცდა; 2. ნაკადი

rivest ['raɪvɪst] ამერ. სლენ. ფული; დოლარები.

Rly [ɑ:elwaɪ] ან rly. (აბრ.) იხ. railway აბრ. რყ/გზ; რყ. გზ.

Rm. [ɑ:cm] (აბრ.); 1. იხ. ream; 2. (room-დან) ოთახი; აბრ. ოთ. pl. ბინა; აბრ.

roadblock ['rəʊd'blɒk] 1. პრობლემა; 2. სირთულე

roam-a-phone ['rəʊmə,fəʊn] იმჟ. პორტატიული [გადასატანი] ტ; ხელით სატარებელი ანტენიანი სახლის ტელეფონი

rob [rʌb] მოპარვა; გაძარცვა.

robbery [rʌbrɪ] ძარცვა

robot ['rɒbʌt] რობოტი; მრავალფუნქციური დაპროგრამებული ავტომატი

robotics [rɒʊˈbɒtɪks] რობოტიკა (მეცნიერების დარგი, რომელიც ამუშავებს რობოტების აგებისა და გამოყენების საკითხებს, ადამიანის სხვადასხვა ფუნქციების - საწარმოო, კომერციული და ა. შ. - შესასრულებლად. იხ. აგრეთვე **robot**, **robotize**, **robotization**)

robotize ['rɒsbʊaɪz] რობოტიზება; ავტომატიზება (მაგ., წარმოებისა)

robotization [ˌrɒsbʊtaɪzeɪʃn] რობოტიზაცია; (წარმოების) ავტომატიზაცია რობოტების გამოყენებით (იხ. აგრეთვე **robotics**)

robust [rəˈbʌst] 1. მტკიცე (კონსტრუქცია, ხელსაწყო და სხვ.); 2. ძლიერი; 3. მძიმე

rock [rʌk] *სლენ.* 1. ძვირფასი ქვა; 2. ფული; დოლარი (იხ. აგრეთვე **jack**, **hard**); 3. ამერ. *სლენ.* ბრიყული შეცდომა; 4. ამერ. *სლენ.* როკის სტილის მუსიკის მოყვა, რული თინეიჯერი.

rod [rɒd] 1. როდი (5,0292 მ.); იხ. აგრეთვე *სინ.* **perch**; 2. გადატ. ძალა, ძალაუფლება; 3. ამერ. *საუბ.* რევილვერი; იარაღი.

Rogernomics ['rɒdʒəˈnɒmɪks] როჯერნომიკა (ახალი ზელანდიის მონეტარული ეკონომიკური პოლიტიკა დ. როჯერისა)

roll [rɒl] 1. (სახელობით) სია; უწყისი; 2. რულონი; 3. ამერ. *საუბ.* ფული; ფულის დასტა, ფულის შეკვრა; 4. ამერ. წინსვლა, წინ წაწევა (მაგ., კომერციულ საქმიანობაში); **Δ relief** - დახმარების ფონდი; **tax** - საგადასახადო სია; დაბეგრვადი ობიექტების სია

rollback ['rɒlˈbæk] 1. (საბაზრო ფასების) შემცირება; 2. დაპრ. დაბრუნება (მაგ., პროგრამის მიერ გაეღოლ წერტილში დაბრუნება კელავგაშვების მიზნით)

roll-call ['rɒlˌkɔːl] სახელობითი კენჭისყრა.

roll out ['rɒl ˈaʊt] ბაზარზე გატანა; აქტიურად გაყიდვა (საქონლისა)

rollout ['rɒlaʊt] ახალი საქონლის გაჩენა ბაზარზე

rollover ['rɒlˈəʊvə] ბანკ. კრედიტის პროლონგაცია (მაგ., ძველი ობლიგაციის ახლით შეცვლით)

room [ruː(ː)m] 1. ოთახი; 2. pl. ბინა; შენობა; საცხოვრებელი ადგილი; 3. ბინის დაკავება; ოთახის დაკავება; 4. შენობის გამოყოფა

roomage ['ruːmɪdʒ] ამერ. ადგილი, ფართი; ფართობი

roomer ['ruːmə] (ამერ.) იხ. ინგლ. **lodger**

root [ruːt] 1. მათემ. ფესვი; 2. ბაზა, საფუძველი; 3. მოსახლეობის საწყისი რაოდენობა (აღწერისას). **Δ** - of contract კონტრაქტის არსი

root of title ['ruːtəvˈtaɪtəl] 1. ძირითადი უფლებრივი დოკუმენტი, რომელიც ადასტურება გამყიდველის უფლებას საკუთრების გაყიდვაზე; 2. მიზეზი; წყარო

rope in ['rəʊp'ɪn] ამერ. სლენ. მოტყუება.

roster [rɑ:stə] 1. სამართალწარმოების ოქმი; 2. სია; რეესტრი (სასამართლო საქმის დასახელებებით და სხვა მონაცემებით).

rotation [rəʊ'teɪʃn] 1. მონაცვლეობა, პერიოდული გა მეორება; როტაცია; 2. ფინან. წრიული ბრუნვა, (კაპიტალ) ბრუნვა; 3. ავტ. სხვადასხვა სახის აქციების კურსების თანმიმდევრობითი ზრდა. **Δ in** - მონაცვლეობითი; რიგის მიხედვით; თანმიმდევრობით (განმეორება); **un** - პტოკავი გრაფიკით

rough [rʌf] ამერ. სლენ. 1. უხეშად მოპყრობა; ცემა; 2. სახიფათო; მძიმე; არასასურველი.

roughly [rʌfli] მიხლოებით; სავარაუდოდ; დაახლოებით (გამოანგარიშებების შესახებ)

round ['raʊnd] 1. პოლიტ. საგ. ეკ. ურთ. რაუნდი. (მოლაპარაკებათა) ტური; 2. ციკლი; სერია; რიგი; 3. წრე, ჯგუფი (მაგ., პიროვნებებისა, საქმიანობისა); 4. დამრგვალებული; დამთავრებული (მაგ., ხელშეკრულების ტექსტი, ფრაზა და მისთ.); 5. დამრგვალება; 6. დამთავრება, დასრულება. **Δ ~ into** 1. დამთავრება, დასრულება (მაგ., აქტის მიღებით); 2. განვითარება, გარდაქმნა (მაგ., პატარა საწარმოდან დიდ ფირმად); **~ off** 1. დამრგვალება (მაგ., რიცხვებისა, ფასებისა); 2. დამთავრება (მაგ., მოლაპარაკებისა, გარიგებისა); **to ~ downward** დამრგვალება პიკრე რიცხვისკენ; **to ~ upward** დამრგვალება დიდი რიცხვისკენ

round-robin servicing ['raʊnd 'rəʊbɪn 'se:vɪsɪŋ] დაპრ. ციკლური მომსახურება (რესურსების ციკლური გამოყენება დროის ფიქსირებული კვანტებით, განრიგით განაწილებულ დავალებათა შესასრულებლად)

round-trip [ˌraʊnd'trɪp] ამერ. მგზავრობა (ვასჯლის ადგილზე) დაბრუნებით

round-up ['raʊnd'ʌp] 1. ცნობათა ან შეტყობინებათა შეკრება; ინფორმაციის თავმოყრა; 2. ამერ. სლენ. 1. ჩასაფრება და დაჭერა (დამნაშავეთა ჯგუფისა); 3. თხოვნის დაკმაყოფილება.

roundup ['raʊndʌp] განმზოგადებელი (მაგ., პროცნობის შესახებ)

roup ['raʊp] ობ. auction

roul [raʊl] 1. ბრიტ. აღლევებულთა თავშეყრა; 2. ამერ. მასობრივი არეულობის მონაწილეთა დარბევა.

route [ru:t] 1. კავშ. ტრანს. საინფორმაციო მიმართულება, მარშრუტი; გზა; ტრაქტი; 2. მიმართულების აღება, მარშრუტის შერჩევა; კურსის აღება; 3. ნაკადურობა (მაგ., წარმოებითი პროცესისა); 4. ვადატ. საშუალება. ხერხი, გზა; **Δ en** - ფრანგ. გზაში (ტვირთის შესახებ); **~ sheet** ტექნოლოგიური პროცესის (განვითარების) მიმართულება;

routine [ru:ti:n] 1. მუშაობის ნორმალური (დადგენილი) რეჟიმი; გეგმითი სამუშაოების მიმდინარეობა; 2. დაპრ. (სტანდარტული) პროგრამა; ქვეპროგრამა; 3. ოპერაციათა დადგენილი თანმიმდევრობა; დადგენილი რიგი; რიგისობა; 4. იშვ. ალგორითმი; 5. რუტინა; 6. ყოველდღიური პროდილაქტიკა. **Δ ~ message** სასწრაფო შეტყობინება

routine maintenance [ru:ti:n ,meɪntəniəns] გეგმიური [რეგულარული] პროფილაქტიკა

routing [ru:tiŋ] 1. ტრასა; მარშრუტი; კურსი; 2. ტრასირება; დამარშრუტება; გზის გაკვლევა; 3. დაპრ. დამარშრუტება; (მონაცემთა გადაცემის) ტრაქტის დანიშვნა; 4. (პროცესის) მარშრუტინაცია

row [rou] 1. რიგი; მიმდევრობა; თანმიმდევრობა; 2. სტრიქონი, ბწყარი; 3. საუბ. რიგში ჩაყენება; რიგში ჩასმა; 4. მათემ. ერთ წრფეზე განლაგებული წერტილები; Δ - **matrix** მატრიცის სტრიქონი; **table** - ტაბულის სტრიქონი

row pitch [rou piʃ] სტრიქონის ბიჯი (ქალაღლის ლენტზე); ნაჩერეტთა ბიჯი (პერფოლენტზე)

royalty ['rɔiəlti] 1. ბრიტ. ლიცენზ. როიალტი (სალიცენზიო ფულადი ჭილდო, რომელსაც ლიცენზიტი იხდის სალიცენზიო ვადაში; იხ. აგრეთვე **licence**); 2. ინგლ. მიწის საყუთრების უფლება; 3. საგად. წიაღის დამუშავების (საიჭარო) გადასახადი; 4. საავტორო ჰონორარი (ყოველი გაყიდული წიგნის პროცენტული ანარიცხი). Δ - **on sales** საგად. სალიცენზიო გადასახადი (იანგარი შება საქონლის გაყიდვის პროცენტული ანარიცხის სახით)

rtn [ɑ:ti:ɛn] (აბრ. იხ. **return**)

rub [rʌb] დაბრკოლება, შეფერხება, სიძნელე.

rub out ['rʌb əʊt] ამერ. სლენ. 1. მოკვლა; 2. მოსპობა. Δ - **along** 1. ელენელა წინსვლა (მაგ., ბიზნესში), წაწევა; 2. სიძნელიდან გამოსვლა (მაგ., ფინანსებთან დაკავშირებით); - **away** (გამოსახულების) წაშლა; - **off** წაშლა, გასუფთავება

rubber check ['rʌbɔ'ʃɛk] ამერ. საუბ. ბანკის მიერ დაბრუნებული ჩეკი

rubber [rʌbɔ] 1. რეზინი; კაუჩუკი; 2. pl. აქტ. კაუჩუკის კომპანიის აქციები და ობლიგაციები

rube [ru:b] სლენ. 1. ფერმერი; 2. სოფელი; მიაბიტი ადამიანი

rudder [rʌdə] სახელმძღვანელო პრინციპი

ruffle [rʌfl] ამერ. სლენ. ხელბორკილი.

ruggedization [ˌrʌgɪdaɪ'zeɪʃn] 1. გამტკიცება, გამაგრება; 2. საიმედოობისა და ცვეთამედგობის თვისების მინიჭება

rug joint [ˌrʌg 'dʒɔɪnt] ამერ. სლენ. ელეგენტური, ძვირფასი (ღამის კლუბი, სასტუმრო, რესტორანი, კაზინო და სხვ.).

ruin ['ru:ɪn] 1. გაკოტრება, კრახი; 2. დაშლა, მოსპობა

rulable [ru:lbəl] ამერ. საუბ. (წესით) დაუშვებელი

rule [ru:l] 1. წესი (მაგ., შუ. კეტების მიცემის, შეფასების, დანახარჯთა მინიმიზაციის და სხვა წესების შესახებ); 2. სორმა; 3. მათემ. პრინციპი (მაგ., მინიმაქსისა); 4. კრიტერიუმი; სტანდარტი; 5. იურ. დადგენილება (კონკრეტულ საქმეზე); კანონი; 6. მართვა; კონტროლის გაწევა; 6. იურ. საქმის გადაწყვეტა; დადგენა; 7. პოლიტ. ძალაუფლება;

მმართველობა; ბატონობა; მ აქტ. გარკვეულ დონეზე გაჩერება (ფულის ან ფასიანი ქაღალდების კურსისა); კოტირება. **Δ to ~ the market** კომერტ. ბაზარზე ბატონობა; **to ~ the roast** მართვა; ბრძანების ვაცემა **competitive bidding rule** კონკურენტული ვაჭრობის წესები (იყენებს აშშ-ის ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისია); **Δ decision** - გადაწყვეტილების მიღების წესი; **maintenance** - ტექნიკური მომსახურების წესი; **majority** - „უმრავლესობის“ პრინციპი; მაჟორიტული წესი; **rewriting** - (ეკონომიკურ) მონაცემთა გადაწერის წესი; კვლავწარწერის წესი; **standing** - წესდება; **ten percent** - აშერ. ათი პროცენტის წესი (რომლითაც ერთ პიროვნებას ეკრძალება ბანკის კაპიტალის 10 %-ზე მეტი თანხის სესხის აღება); **twenty percent** - აშერ. ოცი პროცენტის წესი (სესხის 20 %-ის ბანკში შენახვის შესახებ)

ruleless ['ru:lɪs] 1. უმართავი; გაუკონტროლებელი; შეუმოწმებელი; 2. იურ. წესს დაუქვემდებარებელი, კანონს დაუქვემდებარებელი

ruler [ru:lɪə] მბრძანებელი; გამგებელი; მმართველი

ruling [ru:lɪŋ] 1. მმართველობა; ბატონობა (მაგ., ფირმისა ბაზარზე); 2. დადგენილება; (სასამართლოს ან კრების) გადაწყვეტილება; 3. არსებული; მიმდინარე; **Δ ~ clique** პოლიტ. მმართველი ზედაფენა (ჩგუფი); ~ **prices** კომერტ. მოქმედი (საბაზრო) ფასები

ruly ['ru:lɪ] იშვ. ადვილად მართვადი; დისციპლინირებული

rumble [rʌmbl] აშერ. სლენ. 1. საფრთხე; 2. პოლიციის დასმენა, ინფორმაცია დანაშაულის თაობაზე; 3. აშკარად დანახვა.

ruminate ['ru:mɪneɪt] მოფიქრება (მაგ., პროექტისა); მოსაზრება (მაგ., გეგმისა)

rummage ['rʌmɪdʒ] 1. საბაჟ. შემოწმება საბაჟოში; 2. ჩხრეკა; გამოწვლილივით განხილვა; გემის ჩხრეკა; 3. ძველმანი; საქონლის ნარჩენი. **Δ ~ out** იურ. ამოღება (ნივთისა და მისთ.)

run [rʌn] 1. სვლა; მუშაობა; მსვლელობა; 2. მუშაობის რეჟიმი; ექსპლუატაცია; 3. დაპრ. სწრაფვაშეება, გარეკვა (მაგ., კომპიუტერის პროგრამის ერთჯერადი გამოყენება, გამკოლი შესრულება); ვასვლა; გარბენა; 4. წარმ. საწარმოო ციკლი; პერიოდი; 5. მას. მომს. მოთხოვნა; მოთხოვნათა ნაკადი; 6. საშუალო ხარისხი; ტიპი; 7. მართვა, ექსპლუატირება; 8. დროის შუალედი, პერიოდი; 9. ნებართვა, გამოყენების უფლება; 10. საინფ. მომს. (მონაცემთა) დამარშრუტება; 11. გარკვეულ ვადაში მოქმედი (მაგ., საიჯარო ხელშეკრულება); 12. დაპრ. მონაცემთა გაგზავნა (კომპიუტერულ ქსელში, არხში ან ხაზში); 13. (on, upon) რომელიმე საკითხის (ან თემის) შეხება. **Δ ~ away with** 1. (რესურსების) ხარჯვა; 2. მოუფიქრებელი (ნაჩქარევი) გადაწყვეტილების მიღება; 3. აზრით გატაცება; **to ~ a business** საქმის [ბიზნესის] მართვა; **to ~ a deficit** დეფიციტის ქონა; **to ~ a risk** გარისკვა; რისკის თავის თავზე აღება; **to ~ dry** დაცლა, გამოფიტვა (მაგ., რესურსებისა); **to ~ up** 1 სწრაფად ზრდა (მაგ., ანგარიშისა, შემოსავლისა); 2. დონის აწევა (მაგ., ფასიანი ქაღალდების კურსის შესახებ); 3. მათემ. ციფრების სვეტების შეკრება; „hot-shot“ - სასწრაფო რეისი (მაგ., მალფუქადი პროდუქტის გადასაზიდად); **large** - დიდი პარტია (ნაწარმისა); **non stop** - უწყვეტი მუშაობა [რეჟიმი]; **short** - 1 წერილსერიული წარმოება; 2. (ნაწარმთა) მცირე პარტია; 3. ხანმოკლე მუშაობა; 4. დროის მცირე მონაკვეთი

runaway ['rʌnəweɪ] 1. ციხიდან გაპარული; 2. სახლიდან გაქცეული; 3. შეუკავებელი; შეუჩერებელი (მაგ., ინფლაციის შესახებ); 4. კონტროლს დაუქვემდებარებელი. უკონტროლო (პროცესი); 3. სწრაფად ზრდადი (მაგ., ფასების შესახებ); **Δ** - brand კომერც. სამარკო საქონელი (რომელიც დიდი უპირატესობით ლიდერობს ბაზარზე); - inflation ფინ. შეუკავებელი ინფლაცია; - prices უკონტროლო ფასები

rundown ['rʌndaʊn] 1. მოთხოვნილებათა კლება, დაცემა; 2. (მუშაობის ტემპის) დაცემა; დეკლენა; 3. მწარმოებლურობის დაცემა; 4. მოკლე აღწერა; კონსპექტი; 5. თეზისი; ანოტაცია; 6. (საქონლის) რაოდენობის შემცირება; 7. დაწვრილებითი ანგარიში; დეტალური ახსნა.

runner ['rʌnə] ჯიბის ქურდთა ბანდის წევრი (ქართ. სინონ. „მორბენალი“, ვისაც ბოლოს გადააწვდინან მოპარულ ნივთს - რ. ბ.)

running ['rʌniŋ] 1. რეისი; გარბენი; 2. (მანქანის) მუშაობა, ექსპლუატაცია; 3. მიმდინარე, პერიოდული (მაგ., ტექნიკური მომსახურება); 4. უწყვეტი, თანმიმდევრობითი; 5. მათემატიკური ცვლადი; 6. აღიარებული; საყოველთაოდ ცნობილი; სწრაფად გავრცელებული; 7. ექსპლუატაციაში მყოფი; მოქმედი. **Δ** - to shedule 1 გრაფიკით მუშაობა; 2. გრაფიკით მოძრაობა; 3. გრაფიკით შესრულება (მაგ., დაგეგმილი საქმიანობისა); - of insurance portfolio სადაზღ. სადამზღვევო პორტფელის ვადის გასვლა; ahead - წინსვლა (მაგ., ფირმის საქმიანობაში); dack ~ 1 უუსვლა; 2. უუქმდება; - expenses მიმდინარე დანახარჯები

running-account ['rʌniŋ 'əkaʊnt] ბანკ. მიმდინარე ანგარიში

running-away ['rʌniŋəweɪ] 1. რამდენადმე გასწრება; დასწრება; წინსვლა; 2. იხ. runaway

runoff ['rʌnɔf] 1. დანახარჯი, ხარჯი; 2. დონის დაცემა; 3. მოცულობის შემცირება (მაგ., წარმოებული პროდუქციისა); 3. აქტიური ვადინება (მაგ., კაპიტალისა სხვა ქვეყანაში); 4. განადენი; განაპარი (მაგ., უკონტროლო თანხისა); **Δ** - paper რეკლ. „საგაზეთო სახე“ (საქონლის ფერადი რეკლამისა); ~ the-mill ამერ. ჩვეულებრივი, მარტივი

run-out ['rʌnaʊt] 1. გამოშვება (მაგ., პროდუქციისა); 2. გამოსაული; 3. გაპარვა, გადინება (მაგ., თანხისა)

run unit ['rʌnjuɪt] საინფ. მომს., დაპრ. პროცესი (მაგ., ეკონომიკურ ცოდნის ბაზებთან მომუშავე ერთი ან რამდენიმე პროგრამის შესრულების პროცესი)

runup [rʌnʌp] 1. მატება; ზრდა; 2. დანამატი; 3. გაშვება, ამოქმედება; 4. (წინასწარი) სამზადისი; მომზადება; 5. ავარდნა (საბირეო ფასებისა)

rural ['rʊrəl] 1. სოფლის(ა); 2. გლეხი, სოფლის მცხოვრები; **Δ** - exodus სოფლის დაცლა; სოფლიდან (ქალაქში) გაქცევა; - youth . სოფლის ახალგაზრდობა

ruralization [ˌrʊrəlaɪ'zeɪʃn] 1. რურალიზაცია; აგრარიზაცია; 2. სოფლის მოსახლეობის ზრდა

rural police ['rʊrəl pə'li:s] სოფლის პოლიცია.

rurbanization [rɜ:'bʌnaɪ'zeɪʃn] რურბანიზაცია

ruse [rɜ:z] 1. ეშმაკობა; 2. მოტყუება; თაღლითობა.

rush [rʌʃ] 1. სწრაფვა (მაგ., კომერციული საქმიანობისაგან); მისწრაფება; 2. სწრაფად ჩატარება; 3. ინფორმაციის სწრაფად მიტანა; 4. (ბრძანების) სწრაფად შესრულება; 5. (for, on) გაზარდილი მოთხოვნილება, დიდი მოთხოვნილება; 6. დაწოლა; დაწნევა (მაგ., მოთხოვნათა ნაჯადისა); მოზღვავება; დაწოლა; 7. სწრაფად იძულებით კეთება; 8. აშერ. სლენ. ყურადღების მთლიანად კონცენტრირება პირზე, იდეაზე, მეტოღზე და სხვ.; 9. აღიარება; მოწონება. Δ gold - ოქროს ციებ-ციხელება; **information** - ინფორმაციის მოზღვავება

rusher [rʌʃə] აშერ. სლენ. ენერგიულად, მიზანსწრაფულად მოქმედი პირი.

rushing [rʌʃɪŋ] 1. გაცხოველებული (ვაჭრობა), გაცოცხლებული (ბაზარი) 2. პოლიტ. გამალებული (მოლაპარაკება, გარიგება); 3. მსწრაფი, ძლიერი

rest [rest] 1. (შესხიერების) შესუსტება, დაქვეითება; 2. უფრო გავლენა

rustic [rʌstɪk] სოფელში მუდმივად მცხოვრები; გლეხი

rustication ['rʌstɪ'keɪʃn] 1. სოფელში დასახლება, სოფელში საცხოვრებლად წასვლა; 2. უნივერსიტეტიდან დროებით ამორიცხვა (სტუდენტისა)

rustle [rʌsl] 1. აშერ., საუბ. სწრაფად, ენერგიულად მოქმედება; 2. ცოცხალი საქონლის მოპარვა (განსაკუთრებით ყროვნებისა და ცხენების)

rustler ['rʌslə] 1. აშერ., საუბ. მარდი; მარჩვე; ენერგიული; საქმოსანი; 2. ცოცხალი საქონლის გამტაცებელი, ქურდი

S,s

S,s [es] აბრ.: 1. (აშერ. senat-დან) სენატი; 2. (აშერ. senator-დან) სენატორი; 3. იბ. scale; 4. იბ. share; 5. იბ. stock; 6. იბ. supply; 7. იბ. surplus.

s. [es] აბრ.: 1. იბ. series აბრ. სერა; 2. იბ. shilling; 3. იბ. section

S.A. [es 'ci] აბრ. იბ. savings account. აბრ. ს. ა.; სა

s.a. [es 'ci] აბრ. იბ. semiannual

sabotage [sæbətɑ:ʒ] 1. გეგმის ჩაშლა; მუშაობის ჩაშლა; 2. საბოტაჟი; 3. საბოტაჟის მოწყობა; 4. ძირგამომოხრევი საქმიანობა; დივერსია

sack [sæk] 1. დიდი პაკეტი (ქალაქისა ან პლასტიკატისა); 2. სეკი (წონის ერთეული); 3. ჩაყრა; 4. (სამსახურიდან) დათხოვნა; 5. ჩაჭიბება; 6. (სამსახურიდან) დათხოვნა; 7. გამარცხვა; დატაცება; ჯიბეში ჩადება; 8. ქართ. სლენ. (ფულის) მოტყუება; 9. ტომარა; საძილე ტომარა; 10. ტიკი; 11. პარაშუტი.

sacking [sækɪŋ] 1. სამსახურიდან დათხოვნა; 2. ტომრებში ჩაყრა

sacrifice ['sækrɪfaɪs] 1. ზარალი; 2. ზარალით გაყიდვა (იძულებით გაყიდვისას)

sacrilege ['sækrɪlɪdʒ] 1. მკრესელობა; 2. წაბილწვა; შეტღალვა (წმინდა ადგილისა); 3. საეკლესიო ქონების დატაცება.

saeculi vitia, non hominis ლათ. („სიკეთელი ვიტია, ნონ ჰომინის“): „ეპოქის ნაკლი და არა კაცისა“

safe [seɪf] 1. მყარი საფუძვლის მქონე სასამართლო განაჩენი, რომელსაც ვერ შეცვლის სააპელაციო თხოვნა; 2. სეიფი; რეინის კარადა; ცეცხლგამძლე კარადა; 3. უსაფრთხო; საიმედო.

safeguard ['seɪfɡɑ:d] 1 დაცვა; გარანტია; 2. უსაფრთხოების ზომა; 3. გარანტირება; რაიმესაგან დაცვა.

safety ['seɪftɪ] 1. უსაფრთხოება; 2. ურისკობა; 3. უვნებლობა; დაცულობა; 4. უსაფრთხოების გარანტია.

safe-pledge [seɪfpledʒ] დათქმა; პირობის მიცემა (მაგ., მოწმედ დადგომასზე, ხასამართლოში გამოცხადებაზე და ა. შ.).

sag [sæɡ] დაცემა (მაგ., ფასისა, ფასიანი ქაღალდების კურსისა); დაწევა

sailing [seɪlɪŋ] 1. ნაოსნობა; 2. გემის გასვლა.

sailor ['seɪlə] მეზღვაური.

salability [ˌseɪlə'bɪlɪti] საქონლის გასაღებადობა [გაყიდვადობა]

salable [seɪləbəl] 1. გაყიდვადი; გასაღებადი; 2. მისაღები ფასი; 3. მოთხოვნილებით სარგებლობის (მაგ., საქონლის შესახებ)

salami tactics [sələmi ˈtæktɪks] 1 პოლიტიკური უფლებების თანდათანობით შეზღუდვის პრაქტიკა; 2. მოწინააღმდეგეთა ლიკვიდაცია ერთი მუორის მიყოლებით.

salami technique [sələmi ˈteknɪks] ტექნიკური მისაღება; („სალამი-ტექნიკა“, კომპიუტერული თაღლითობა - ფინანსური გადარიცხვების უკანონოდ მისათვისებლად. შდრ. იხ. **hucker**)

salary ['sæləri] 1. ხელფასი, სარგო; 2. ხელფასის გადახდა; 3. pl. ხელფასის ფონდი; გადასახდელი ხელფასის საერთო თანხა. **Δ to earn a ~** ხელფასის მიღება; **to raise the ~** ხელფასის მომატება, სარგოს მომატება; **far ~** მაღალი სარგო (ხელფასი); **state ~** მყარი სარგო

saldo (იტ.:ლ. — **saldo** ანგარიშის გათანაბრება: მუდმივობა; ლიკვიდაცია) სალდო ფინ. (ფულად შემოსავალსა და გასავალს შორის სხვაობა გარკვეულ დროით ინტერვალში: 1. დებიტის და კრედიტის (იხ. **debet, credit**) აქტივისა და პასივის თანხებს შორის ყოველი თვის ბოლოს გაანგარიშებული სხვაობა; 2. საგ. ეკ. ურთ. საქონლის ექსპორტითა და იმპორტით მიღებულ მოგებასა და დავალიანებას შორის სხვაობა; 3. ბანკისაგან მოკლევადიანი ნასესხები თანხასა და დაბრუნებულ თანხას შორის სხვაობა და სხვ.)

sale [seɪl] 1. გაყიდვა; გასაღება; 2. ვაჭრობა; 3. სავაჭრო გარიგება; 4. აუქციონზე გაყიდვა; 4. pl. ფასდაკლებით გაყიდვა; გაყიდული საქონლის მოცულობა; საქონელბრუნ-

ვა. **Δ**, „as is“ ~ ამერ. „როგორც სახეზეა“ — პირობით გაყიდვა (გარანტიის გარეშე გაყიდვა); ~ **by weight** წონით გაყიდვა; ~ **or return** გაყიდვა ან დაბრუნება (საქონლისა გარკვეულ ვადაში); ~ **of pledge** გირაოს გაყიდვა; ~ **room** სააუქციონო დარბაზი; **auktion** ~ აუქციონი; აუქციონზე გაყიდვა; **bargain** ~ **s** მთლიანად გაყიდვა (ფასჩამოკლებით), დაყიდვა (**tying-in** ~ დატვირთვით გაყიდვა, დამატებითი ასორტიმენტით გაყიდვა **sales** ['seɪls]: ~ **area** სავაჭრო დარბაზი; გასაღების რეგიონი; ~ **bulletin** სავაჭრო ბიულეტენი; ~ **claim** კომერციული არგუმენტი; ~ **leads** „კარანაზი“; პოტენციალური მყიდველების ინფორმირება; ~ **message** სავაჭრო შეტყობინება; ~ **representative** სავაჭრო აგენტი, კომივოიაჟორი

salesgirl ['seɪlɜ:zɜ:] გამყიდველი ქალი

salesman ['seɪlzmæn] 1. ამერ. კომივოიაჟორი; კომერციული აგენტი; 2. გამყიდველი (მამაკაცი); 3. კომისიონერი.

sales promotion ['seɪlz prɔ:moʃ(ə)n] გასაღების სტიმულირება; საქონლის მიწოდება (უფასო ვაჭრობის მიცემით, მომხმარებლისთვის პრემიის გაცემითა და სხვა წახალისებით).

salt [sɔ:lt] საუბ. ფული.

salus populi suprema lex ლათ. („სალუს პოპული სუპრემა ლექს“): „ხალხის კეთილდღობა უზენაესი კანონია“ (ციცერონი. „კანონთა შესახებ“, III. 3.8).

salvage ['sælvɪdʒ] 1. ქონების გადარჩენა, ქონების დაცვა; (გემის) ტვირთის გადარჩენა; 2. არარეალიზებული პროდუქცია, რომელიც გადასამუშავებლად ვარგისი; წარმოების ნარჩენები (მეორეული გადამამუშავებისთვის); 3. წართვის შეგროვება; წართვის გადამამუშავება

salvaging ['sælvɪdʒɪŋ] 1. ნარჩენების გამოყენება, უტილიზაცია; 2. ამორტიზებული ქონების გამოყენება

salvo ['sælvɔ] 1. იურ. დამატებითი შენიშვნა; შესწორება; 2. მიზეზი; საბაბი

salvo jure ლათ. („სალვო იურე“): „უფლების შენარჩუნებით“

same [seɪm] 1. (ჩვეულ. **the** ~) იგივე: ერთი და იგივე; 2. (**the** ~) ასეთივე; ერთნაირი; 3. უცვლელი; 4. ზემოთხსენებული; 5. ერთგვაროვანი, ერთი ტიპის (მონაცემები, პარამეტრები) ერთნაირი.

sameily ['seɪmli] ერთგვაროვანი; მონოტონური

sameness ['seɪmɪnis] 1. მსგავსება; 2. ერთგვაროვნობა; მონოტონურობა; 3. ტოლობა; ერთნაირობა

sample ['sæmpl] 1. მთელი საქმის მცირე ნაწილი; ამორჩევა; შერჩევა; 2. ამოყრება (მაგ., მონაცემებისა); 3. ნაყრები (ამონაყრები) ერთობლიობა; 4. შერჩეული პარტია (ნაწარმისა); 5. ნიმუში (მაგ., პროდუქტისა, სავნისა); სინჯი; ეტალონი; 6. მოდელი; თარგი; 7. ნიმუშების შერჩევა; გასინჯვა; 8. ათვლა, გაზომვა; 9. გაანალიზება, ანალიზის ჩატარება. **Δ as per** ~ ნიმუშის მიხედვით; ~ **without value** ნიმუში ფასის მიუთითებლად; ~ **of data** მონაცემთა ნაყრები; **combined** ~ შერეული ნიმუშების ამორჩევა; **discarded** ~ დაწუნებული დეტალების ამოყრება [შერჩევა]; **omitted** ~ გამოორციხვის მეთოდით შერჩევა

sampling [ˈsæmpɪŋ] 1. დისკრეტულ მონაცემთა შერჩევა; (მონაცემთა) დისკრეტობა; დისკრეტული წარმოდგენა; 2. შერჩევის მეთოდი; შერჩევითი კონტროლი; 3. სტატ. შერჩევა; ამოკრება (მაგ., ეკონომიკური მონაცემებისა); 4. შერჩევითი; ამორჩევითი (სიდიდეების შესახებ); 5. ნიმუშთა შერჩევა; სინჯის აღება; გასინჯვა; 6. დატაბულება. **Δ** - at beginning of period პერიოდის დასაწყისში შერჩევა; - by attributes ხარისხობრივი ნიშნით შერჩევა; **intensive** - ინტენსიური შერჩევითი კონტროლი; **line** - შერჩევითი კონტროლი სამრეწველო ხაზზე; **unbiased** - ობიექტური შერჩევა, მიუკერძოებელი შერჩევა

sampling campaign [ˈsæmpɪŋ ˈkæmpɛɪn] (ახალი საქონლის) სასინჯი ნიმუშების გავრცელების სარეკლამო კამპანია

saniurai bonds სამურაის ბონები (არაიაპონური ფირმის მიერ გამოშვებული იუნური ღირებულების ობლიგაციები, ბონები)

sancrum officium ლათ. („სანკტუმ ოფიცუმი“): „წმინდა მოვალეობა“

sanction [ˈsæŋkʃən] 1. სანქცია, რატიფიკაცია; დამტკიცება; 2. სანქციონირება; რატიფიცირება; დამტკიცება; 3. აკრძალვა; აკრძალვითი ღონისძიება (მაგ., ეკონომიკური აკრძალვითი ზომები)

sane [ˈseɪn] 1. გონებრივად ნორმალური; შერაცხადი; კეთილგონიერი; ნორმალური ფსიქიკისა; 2. საღი (მსჯელობა) საღად მოაზროვნე.

sanity [ˈseɪnɪti] გონებრივად შერაცხადი; საღი ჭკუა.

sans recours ფრან. „ვალდებულების გარეშე“; „დახმარების თხოვნის გარეშე“. წესი, რომლითაც ანგარიშის ინდოსატი (მასზე ხელის მომწერი პირი) პასუხს არ აგებს მის დაფარვაზე (როგორც პრინციპალის სახელით მოქმედი აგენტი).

Sanyo სანიო (მსხვილი იაპონური ფირმა, რომელიც სპეციალიზებულია აუდიო-დავიდეოტექნიკის დამუშავებითა და წარმოებით)

sapienti sat ლათ. („საპიენტი სატ“): „საკმაოდ გამიგებისათვის“ (ალაუკტიუსი, „პერსი“, IV.7. 727-729).

satisfaction [ˌsætɪs ˈfæksjən] 1. დაკმაყოფილება (მაგ., მოთხოვნილებებისა); 2. იურ. ვალდებულების შესრულება; თანხვედრი დაკმაყოფილება; 3. ვინმესთვის თანხის გადახდა (ან საქონლით კომპენსაცია) მის მიერ სარჩელის არ აღპერას სანაცლოდ; 4. დამაკმაყოფილებელი, საკმარ; 5. მოთხოვნილების შესაბამისი; შესაფერისი; **Δ** - of debt ვალის გადახდა; **to enter** - საკომპენსაციო თანხის შეტანა [გადახდა]

satisfy [ˈsætɪsfaɪ] 1. ვალის დაფარვა; 2. შესრულება ან სრულად ჩატარება; 3. სიამოვნების მინიჭება; 4. შესაბამისობა; 5. პირობების დაკმაყოფილება.

saturation [ˈsætʃəˈreɪʃən] 1. გაჭერება (მაგ., ბაზრისა საქონლით); გაჭერებულობა; 2. სტატ. კორელაცია (მაგ., მარტივ ფაქტორსა და ცვლადს შორის); **Δ** - campaign (გარკვეული საქონლით ბაზრის) გაჭერების კამპანია; ~ couponing კუპონებით გაჭერების კამპანია; ~ flow (მოთხოვნილებათა) გაჭერებული ნაკადი

save [seɪv] 1. ეკონომიის ვაწვევა; დაზოგვა; 2. (ფულის ან რესურსის) შეზონახვა; შენახვა; 3. დაგროვება (მაგ., კაპიტალისა); 1. გარდა, ჩაუთვლელად; 5. შენარჩუნება (საფრთხიანობისა); 6. გადაარჩენა; 7. ამოღების გათვალისწინება. **Δ ~ as you earn** ინგლ. მოგების მიღებისთანავე დაზოგეთ (ყოველთვიური შესატანი დაგროვების პროგრამა).

saving ['seɪvɪŋ] 1. ეკონომია, დაზოგვა; შენახვა; 2. ეკონომიური; მომპირნებობითი; 3. გადაარჩენა; (სახელით) დატოვება, მოტოვება, შენახვა, გადადება; 5. იურ. დამატებითი შენიშვნის შემცველი (დოკუმენტი). **Δ ~ in inventory** მარაგის მოცულობის შემცირებით გაწეული ეკონომია; **cost ~** (წარმოების) დანახარჯების შემცირება, დანახარჯების შემცირებით მიღებული ეკონომია; **personal** ~ პირადი დანახოვი

savings account ['seɪvɪŋ ə'kaʊnt] სასწრაფო ანგარიში. აბრ. S.A. აბრ. ს. ა.; ს.

savvy ['sævi] საუბ. შორსმკვრივტი; გამჭრიახი

saw [sɔ:] (სინ. sawbuck) აშერ. სლენ. 1. ათი დოლარი; 2. ავეჯიანი სახლის პატრონი.

Δ double ~ ოცი დოლარი;

say-so [seɪsɔ] აშერ. სლენ. 1. პირადი რეკომენდაცია; პირადი შეხედულება, აზრი ან დასკვნა; 2. ხმის მიცემით დამტკიცება. სინ: **say so.**

scab [skæb] აშერ. სლენ. შტრეიკებერი.

scads [skæds] (სინ. skads) სლენ pl. ფული (იხ. აგრეთვე scrip); დიდი რაოდენობა (რამდე სავსისა); ბევრი (მაგ., სსსწავლო მასალის შესახებ)

scaffold ['skæfɔld] ემაფოტი.

scale [skeɪl] 1. მრავალსაფეხურიანი სასამართლო სისტემა; 2. მასშტაბი; სკალა; ზომა. აბრ. S.; 3. დონე; განვითარების საფეხური; 4. მასშტაბის შეცვლა; მასშტაბის განსაზღვრა; გადაყვანა; გადათვლა 5. pl. სასწორი. **Δ on a ~** საბირჟ. სხვადასხვა კურსით (წარმოდგენილი ფასიანი ქაღალდების შესახებ); **to buy on a ~** საბირჟ. აქციების ყიდვა კურსის დაქვემდებარებით; **to sell on a ~** საბირჟ. აქციების ვაყიდვა კურსის ვაზრდისას; **automatic** ~ ავტომატური სასწორი; **sliding** ~ მცოცავი სკალა; მცოცავი გრაფიკი (მუშაობისა)

scaling ['skeɪlɪŋ] 1. ნორმირება; 2. დამასშტაბება; 3. საბირჟ. ფასიანი ქაღალდებით (ან საქონლით) ვაჭრობის მეთოდი

scalp [skæɪp] აშერ., მცირე მოგებით ვაჭრობა

scalper ['skælpə] აშერ., წერილი კომერსანტი

scambled merchandising ['skæmbld mə:ʃəndauzɪŋ] „შერეული“ ვაჭრობა; „ათასი წერილმანის“ მალაზიაში.

scamp [skæmp] 1. სწრაფად და უხარისხოდ მუშაობა; 2. უფარვის მასალით მუშაობა

scamper ['skæmpə] სწრაფად და ხერხელედ წაყიფება, გადათვლიერება; განსტრობა

scan [skæn] 1. სწრაფვა; (ეკრანზე) ჩვენება; 2. გულ დასმით, გასკვლა; ჩამოება;

3. განხილვა; რეფერირება (ეკონომიკური სტატისტიკისა და მისთ.); 4. იშვ. აღქმა, აღწარმოება; 5. იშვ. კრიტიკა

scandal ['skændl] 1. აღშფოთება (უღირსი ფაქტის გამო); სასარცხიანო ფაქტი; სკანდალი; 2. მიზანიმართული ჭორი; სახალხოდ გაიკიცხვა.

sandalum magnatum ['skændsɔm mag. neitɔm] მაღალნივთის დისკრედიტაცია. გაჭორვა.

Scanlon plan [skænlɔn plæn] ჯოზეფ სკენლონის პროგრამა მენეჯმენტის სტიმულირებისათვის; თანამშრომლებისათვის დანაშოგების გადანაწილებით მწარმოებლურობისა და ეფექტიანობის მიღწევა.

scanner ['skæna] სკენერი; გამშლელი მოწყობილობა (ინფორმაციის ამოკითხვამოწყობილობაში); ფოტოსურათების და სხვათა შესატანი მოწყობილობა

scant [skænt] მცირე, შებლულული. Δ ~ income უმნიშვნელო შემოსავალი

scarcity ['skeəsiti] 1. ნაკლი, ზადი, ნაკლოვანება; 2. დანაკლისი; ნაკლებობა; უკმარობა (მაგ., პროდუქციისა, მასალისა, რესურსისა); 3. სიძვირე; 4. გაჭირვება; ხელმოკლეობა; 5. იშვიათობა Δ ~ of capital კაპიტალის ნაკლებობა; ~ price მაღალი ფასი (პროდუქციის ნაკლებობისას)

scare (up) ['skeəɹʌp] საუბ. 1. საჭონლის წარმოება; 2. საგნის პოვნა

scatter [skæɪə] 1. გა(ნ)ბნევა; (ფულის) გაფლანგვა; 2. (გეგმის ან პროექტის) ჩაშლა; 3. (საჭონლის სხვადასხვა ადგილას) განლაგება; Δ - write მონაცემთა ჩაწერა (კომპიუტერის მესიერების სხვადასხვა უბანში); data - სტატ. (ეკონომიკურ) მონაცემთა გაბნევა

scatteration [skæɪə'ɔɪʃ(ə)n] 1. განთავსება, განლაგება (სამრეწველო კომპანიაში, ფირმებისა და ფილიალებისა); 2. ქაღალქ-თანამშვსაყრების შექმნა; ქაღალქის ფილიალებისა); 3. განბნევა (საშუალებებისა, ძალებისა).

schedule ['ʃedju:l] 1. განრიგი; გრაფიკი; 2. (მუშაობის) რეჟიმი; 3. განრიგის შედგენა; (სამუშაო) გრაფიკის შედგენა; 4. კალენდარული გეგმა, კალენდარული გრაფიკი; პროგრამა; ტაბელი; 5. ტაბულა; ცხრილი; სქემა; სპეციფიკაცია; 6. გეგმაში შეტანა; გრაფიკში შეტანა; 7. საუბ. დაგეგმვა; გეგმის შემუშავება; დაპროგრამება, პროგრამის შემუშავება; გათვალისწინება; Δ სია; ნუსხა; ჩამონათვალი; აღწერილობა; Δ ahead of - გრაფიკის წინსწრებით; on - (ზუსტად) განრიგით, დროულად; availability - ამერბანკის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გრაფიკი (ფედერალური სარეზერვო სისტემის შეშვეობით ინკასირებისას); bullish - (კაპიტალის) ზრდაზე გათვლილი პროგრამა; rate - სატარიფო ბაღე; repayment - (კრედიტის ან ვალის) დაფარვის სკალა

scheduled ['ʃedju:ld] დაგეგმილი; გრაფიკით გათვალისწინებული; (ნორმალურ პირობებში) მოსალოდნელი

scheduler ['ʃedju:lɔ] 1. დამგეგმავი; დავალებათა დამგეგმავი; 2. უფროსი (მაგ., საგეგმო ან საფინანსო განყოფილებისა); Δ priority ~ პრიორიტეტის დამგეგმავი; program ~ (კომპიუტერული რესურსების) პროგრამული დამგეგმავი

scheduling ['ʃedju:lɪŋ] 1. დაგეგმვა; 2. კალენდარული დაგეგმვა; 3. გრაფიკის შედგენა; გეგმის შედგენა; Δ concurrent - პარალელური მუშაობის გეგმის შედგენა (მაგ.,

ერთი და იმავე ფირმის სხვადასხვა თანამშრომლისათვის); **priority** ~ პრიორიტეტული დავალების დაგეგმვა

scheme [ski:m] 1. სქემა; 2. გეგმა; პროექტი; პროგრამა; 3. სისტემა; სტრუქტურა; 4. ნახაზი; დიაგრამა; 5. დაგეგმვა; დაპროექტება, პროექტის შედგენა; 6. ოპერაციათა მიმდევრობა; პროცედურა. **Δ to lay down a** ~ პროგრამის ჩამოყალიბება; **to ~ a system** (ეკონომიკური) სისტემის პროექტის შედგენა; ~ **of values** ფასეულობათა სისტემა

incentive ~ მატერიალური სტიმულირების სისტემა; **priority** ~ მას. მომს. პრიორიტეტების სისტემა; **simulation** ~ დამოდლების სქემა; ეკონომიკური მოდელი სისტემა
schism [s(k)iz(ə)m] 1. გაჩეხილობა; 2. სექტა; 3. სქიზმი.

school [sku:l] 1. სკოლა; სასწავლო დაწესებულება; ფაკულტეტი; კურსები; 2. (სამეცნიერო) მიმართულება, სკოლა; **Δ business** - ბიზნესის სკოლა; **private** - კერძო სკოლა; **religious** - სასულიერო სასწავლებელი; **residential** - სკოლა-ინტერნატი
schooling ['sku:lɪŋ] განათლება; სასკოლო განათლება

scio me nihil scire ღაღ. („სციო მე ნიჰილ სცირე“) „ეიცი, რომ არაფერი ვიცი“ (სოკრატე).

scission ['sɪʃɪn] 1 ცოლ-ქმრის საკუთრების უძრავი და მოძრავი ქონებების გაიჯენა; 2. ხელშეკრულების იგახლენვა“ (კოლიზიურ სამართალ, ში, როდესაც ხელშეკრულების სხვადასხვა ასპექტები სხვადასხვა სამართლებრივი სისტემებით რეგულირდება).

scold [skəʊld] 1. ქალი, რომელიც მუდამ იგინება; 2. ხმაურით და უხეშო სიტყვებით დავა.

scoop [sku:p] 1. ამერ. დიდი მოგების მიღება; დიდი თანხის მიღება; 2. სენსაციური (საგაზეთო) მასალა, სიახლე; უმთავრესი ცნობები

scope ['skəʊp] 1. იურიდიული კომპეტენცია ქაზლერები; ზღვრები; 2. მასშტაბი; სფერო (მაგ., შემოკმედებისა, საქმიანობისა); 3. შინაარსი; არსი; აზრი. **Δ - of marketing** 1. მარკეტინგის საზღვრები; 2. ბაზრის საზღვრები

score [skɔ:] 1. ანგარიში; დავალიანება; ვალი; 2. რაოდენობრივი მაჩვენებელი (მაგ., დიდი ფული, გამოშვებული პროდუქცია); 3. საფუძველი, მიზეზი; 4. მოგება; უპირატესობის მიღწევა; 5. ი.შ. კრედიტით აღება (მაგ., რესტორანში, ბარში); 6. საუბ. არსი, დედაბარი; სქემის არსი; სიტუაცია; სიახლე; 7. ამერ. სლენ. დაგეგმილი მკვლელობა; განწირვა; 8. ამერ. სლენ. მოთათბირება არალეგალური ბიზნესის ორგანიზებისათვის; 9. ამერ. სლენ. შეტყობინების არსი, მთავარი აზრი, სიტუაციის შეგრძნება.

scanty ['skæntɪ] 1. მწირი; არასაკმარისი; 2. ქუნწი; ხელმოკერილი.
scrag [skræŋ] 1. საეკო ბიზნესიდან თავის დაღწევა; თავის დახსნა; 2. მოყვლა; დახვრეტა

scraging [skræŋɪŋ] მკვლელობა.
scratch [skrætʃ] ამერ. სლენ. 1 ნაღდი ფული; ქაღალდის ფული; 2 ფულადი სესხი; 3. უბის წიგნაკი საქმიანი შეხედრების ჩანიშნვით, ვარიანტით; 4. დადებითი შეხედრება; მოხდენილი შთაბეჭდილება.

screen [skri:n] 1. ეკრანი (კომპიუტერის დისფლენისა ან ტელევიზორისა); 2. to screen(ing) candidates კანდალატების შემოწმება.

screw [skru:] ინგლ. საუბ. 1. ციხის ზედამხედველი; მეციხოვნე; 2. ხელფასი; საზღაური; 3. გამოუყენებელი; 4. მძიმე გამოცდა.

screwjail ['skru:dʒeɪ] ამერ. სლენ. 1 არაეფექტური; 2. არააკურატული.

scrip [skrip] 1. ანაბრის მიღების დროებითი ხელწერილი; 2. აქციის ფლობის დროებითი სერტიფიკატი; 3. საგადასახლო საშუალებათა დროებითი სახეები (მაგ., სერტიფიკატები); 4. სლენ. ერთი დოლარი; 5. სლენ. ფული (იხ. აგრეთვე **ackers**; **scads**); 6. საუბ. ყალბი ფულის წყეთებელი.

script [skript] 1. საკონტროლო თანმიმდევრობა (შეტყობინებისა, რომელიც ფორმირდება სააბონენტო დისფლენებზე); 2. იურ. დედანი (საბუთისა); 3. ხელნაწერი; მანუსკრიპტი.

scrivener ['skrivnɔ] 1. ნოტარიუსი; 2. საბუთების შემესები, ჩამწერი, „მწერალი“

scroll [skrɔul] 1. „ჩახუჭკუჭკუელი“ ხელმოწერა; ხელმოწერითი „ფლოგი“; 2. გრაფილი (პერგამენტისა, ტყვისა და სხვ.).

scrutiny ['skru:tɪni] 1. გამოწვლილვით განხილვა; ანალიზი; 2. გამოკვლევა; შემოწმება (მაგ., მიკრო-ეკონომიკური მოდელისა)

scuttle ['skʌtl] 1 გემის განზრახ ჩაძირვა (მაგ., ფსკერის გახვრტით); 2. სასწრაფოდ გაქცევა; საშიშროებისაგან თავის დაღწევა; 3. პასუხისმგებლობის თავიდან აცილება (ან თავის არიდება)

scuzzball [skʌzɔ:bɔ:l] ამერ. საუბ. არასასიამოვნო (ან საზიზღარი) პიროვნება

seal [si:l] 1. საბოლოოდ გადაწყვეტა, დამტკიცება; ოფიციალურად სანქციონირება; 2. ბეჭედი; დამლა; 3. პლომბი; შანთი; 4. ბეჭდით დამოწმება; ბეჭდის დასმა; 5. დადაღვა; დამანთვა; დაპლომბვა; რაიმეს მკმდროდ დაცობა, დახურვა; 6. ნიშანი; დასტურის ნიშანი; თანხმობის ნიშანი; **Δ** **customs** – საბაჟოს ბეჭედი; საბაჟოს პლომბი

search [sɑ:ʃ] 1. (სამხილის პოვნის მიზნით) გამოკვლევა; ძებნა (მაგ., ინფორმაციისა); ძიება; 2. ჩრხეკა, კვლევა; 3. ძებნის ჩატარება, კვლევის ჩატარება, შესწავლა; **Δ** **patent** – ლიცენზიაპატენტო ძებნა (მაგ., კონიუნქტურის დასადგენად); **pattern** – უშუალო ძებნა

searcher [sɑ:ʃɔ] ჩხრეკის ჩამტარებელი.

seasonal [si:zɔnl] სეზონური (მაგ., საქონლის შესახებ)

seat 1. ადგილი; ადგილმდებარეობა; 2. მანდატი; ადგილი საკანონმდებლო ორგანოში; 3. მოთავსება, დაყენება; 4. ფუნდამენტი; საყრდენი ზედაპირი. **Δ** – **on the exchange** ადგილი საფონდო ბირჟაზე

sec [sek] (აბრ.) იხ. **section**; 2. იხ. **second**; 3. იხ. **secretary**

secede [si'si:d] 1 ორგანიზაციისაგან ან ფედერაციისაგან გამოყოფა, მოწყვეტა; 2. პარტიიდან ან ბლოკიდან) გამოსვლა.

secession [si'seɪʃ(ə)n] 1. განხეთქილება (პარტიისა, ბლოკის); 2. გამოსვლა (პარტიიდან და სხვ.); 3. ამერ. განღვებულად დადგომა, აჯიკეთა.

seclude [si'klu:d] 1. უფლების ჩამორთმევა; პრივილეგიის [უპირატესობის] ჩამორთმევა; 2. უგულვებელყოფა (განხილებისას)

second ['sekənd] 1. მეორე; 2. დამატებითი, მეორე, თანამდევითი (მაგ., მიზნები); 3. მეორე კლასი (მატარებელში ან თვითმფრინვაში); 4. თანამდებობრივი დაქვეითება; 5. დამხმარე; 6. წამი. აბრ. წმ.

secondary ['sekəndri] 1. მეორეული (პროდუქტი, მასალა და მისთ.); 2. მეორეხარისხოვანი; არამაპროფილირებელი (მაგ., საგანი)

second fiddle [sekənd 'fɪdl] ამერ. სლენ. 1. დაბალი თანამდებობა (ან მდგომარეობა); 2. დაქვემდებარებული; 3. (ვინმეს) შემცველი.

second hand [sekənd 'hænd] 1. მეორეული; 2. ნახმარი; ჩამოფასებული (მაგ., საქონელი)

secretary ['sekɹətəri] 1. მდივანი; 2. მინისტრი; 3. პოლიტ. მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე

section ['sekʃn] 1. სექცია; დეტალი; 2. (მთელის) ნაწილი; მონაკვეთი; ნაწყვეტი; (განუთის) განყოფილება; 3. (ხელშეკრულების, წესდების) მუხლი; (წიგნის) პარაგრაფი; 4. დასექციება; დანაწილება; ქვედანაყოფებად წარმოდგენა (დაშლა); 5. ქალაქის ნაწილი, კვარტალი; 6. ამერ. 640 აკრის ტოლი ფართობის მიწის ნაკვეთი; 6. საბირჟ. სექცია (გარკვეული ფასიანი ქაღალდების სავაჭრო უბანი)

secr(tor) ['sæktɔ] 1. სფერო, დარგი, სექტორი (მაგ., ეკონომიკისა); 2. ნაწილი, ნაკვეთი; **Δ banking** - ბანკის სექტორი; **monetary** - ფულის (ფულადი) სექტორი (მაკროეკონომიკური მოდულებისა); **personal** - პირადი [კერძო] სექტორი (ეროვნულ მეურნეობრიობაში)

secular [sekjʊlə] 1. საუქუნებრივი (მაგ., ეკონომიკური ციკლები); 2. მუდმივად მოკმედი; ხანგრძლივი

secure [sɪkjʊə] 1. გარანტირება; საიმედოდ დაცვა; 2. ყიდვა, შექენა; მიღება; 3. მიღწევა (მაგ., ხელშეკრულების დადებისა); 4. დაზღვევა; 5. მემკვიდრეობის უფლების უზრუნველყოფა. **Δ to ~ a creditor** კრედიტორის უზრუნველყოფა; **to ~ an order** შეკვეთის მიღება

security [sɪ'kjʊərɪti] 1. უზრუნველყოფა: გარანტია; 2. ჩვეულ. pl. ფასიანი ქაღალდები; 3. უსაფრთხოება; საიმედოობა; დაცვა; 4. დაზღვევა (მაგ., რისკისაგან); 5. თავდები; 6. თავდებობა. **Δ - for a debt** სავალო გარანტია; **on a ~ of** გარანტიით; უზრუნველყოფით; **to become ~** თავდებად დადგომა; **active ~ ies** ბაზარზე აქტიურ მიმოქცევაში მყოფი ფასიანი ქაღალდები; **real ~** ნივთიერი უზრუნველყოფა (მაგ., ვალისა); **variable dividend ~ ies** ცვლად დივიდენდიანი აქციები

sederunt ლათ. („სედერუნტ“): 1 „სხდომას ესწრებოდნენ“ (ოქმში ჩანაწერი); 2. სასამართლოს სხდომა.

sedition [sɪ'dɪʃns] პროვოკაციული; მთავრობის საწინააღმდეგო; არეულობის გამომწვევი.

sed pereundi mille figurae ლათ. („სედ პერეუნდი მილე ფიგურე“): „დასაღიქავად ათასი ხერხი არსებობს“

seduce [sɪ'dju:s] 1. (ქალის) შეცდუნა; სქესობრივ კავშირზე დაყოლიება; 2. მოტყუებით იძულება (კრიმინალისკენ).

see [si:] ამერ. სლენ. 1. აღიარება; წინსვლა; 2. ინსპექტირება; შემოწმება (განსაკ., თანამდებობის პირებისა); 3. შემოსაულების განაწილება; მოქრთამვა.

seed capital ['si:d 'kæpɪtəl] დაპროექტების პირველი ეტაპის ეწინააღმდეგარული კაპიტალი (ბიზნეს-გეგმის შესადგენად)

seedsman ['si:dmən] ინგლ.საფოსტო შეკვეთებით თესვების გამყიდველი ფირმა

seek [si:k] 1. ძიება; ძებნა; 2. თხოვნა; (ინფორმაციის, ცნობებისა და სხვა-თა) მიღების თხოვნა; 3. თხოვნით მიმართვა; 4. რაიმეს კეთების მცდელობა; ცდა.

seesaw ['si:sə:] მერყევი (ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ); ზემოთ და ქვემოთ მოძრაობა (მაგ., კურსის დონისა)

segment [seg'ment] 1. ნაწილი, წილი; სეგმენტი; ამრ. სეგმ; 2. ბაზრის სეგმენტი; 3. დასეგმენტება; დანაწილება, ნაწილებად დაყოფა, მონაკვეთებად დაყოფა; 4. მათემ. სეგმენტი, მონაკვეთი; 5. (ქალაქის) ნაწილი

segmentation ['segmen'teɪʃn] (ბაზრის) დასეგმენტება, სეგმენტაცია; (ბაზრის) დაყოფა (სეგმენტებად, ნაწილებად); **Δ- algorithm** (გამოსასულების) სეგმენტაციის ალგორითმი

segregation [ˌsiɡrɪ'geɪʃn] 1. გამოყოფა, იზოლაცია; განცალკევება, განყენობა, სეგრეგაცია; 2. (მოსახლეობის) სეგრეგაცია

seised [si:zd] 1. კონფისკებული; 2. დაპატიმრებული (გემი, სხვა საკუთრება).

seised of a property [si:zd əf ə'prɒpərtɪ] საკუთრების ოფიციალურად ფლობა.

seize [si:z] მისაყისება; მისაკუთრება. წართმევა.

seizing [si:zɪŋ] 1. ჩაქერა, დაქერა; ფლობა; 2. მითვისება; მისაკუთრება; წართმევა **Δ - signal** (საინფორმაციო ხაზის) დაკავების სიგნალი (გადაცემა სინფორმაციო კავშირის დამყარების საწყის მომენტში)

seizor ['si:zə] 1. ქონების დამყადაღებელი (ან დამაპატიმრებელი); 2. მფლობელი.

seizure ['si:zə] 1. კონფისკაცია; წართმევა; 2. (ქონების) მისაკუთრება; 4. ამოღება (ქონებისა); 5. შემთხვევით სარგებლობა; 6. გემის (საქონლის და სხვ.) დაპატიმრება.

seizure attempt ['si:zə ə'tempt] საინფორმაციო ხაზის დაკავების მცდელობა

selection [si'lekʃn] ამორჩევა; შერჩევა; სელექცია; **Δ - of risks** (მინიმალური) რისკის შერჩევა (დიდი რისკის ალბათობის შემცირება)

selector ['si:lektə] შერჩევი, სელექტორი (მალაზიის თანამშრომელი, რომელიც საქონელს არჩევს ტელეფონით შეკვეთისას)

self-cheque [ˌselfˈtʃek] წარმომდგენზე გამოწერილი ჩეკი

self-contained [ˌselfkənˈteɪnd] ჩაყვრილი; იზოლირებული (მაგ., მიკროეკონომიკური სისტემა)

self-control [ˌselfkənˈtrɔʊl] თვითმოწესრიგება, თვითრეგულირება

self-cost [ˌselfˈkɒst] თვითღირებულება.

self-defence [ˌselfdɪˈfens] თავდაცვა.

self-enumeration [ˌselfɪnʌməreɪʃn] თვითრეგისტრაცია; თვით (გა)დანომვრა

self-financing [ˌselfˈfaɪnənsɪŋ] თვითდაფინანსება

self-instruction [ˌselfɪnˈstrʌkʃn] თვითსწავლება; თვითინსტრუქტაჟი

self-learning [ˌselfˈlɜːnɪŋ] თვითსწავლება; თვითმსწავლა

self-loading [ˌselfˈlɔʊdɪŋ] თვითდატვირთვა; ავტომატური დატვირთვა

self-refrnl [ˌselfrɪˈfɜːrəl] 1. საქმის წარმოებაში მიღება (სარჩელისა და სხვ.);

2. საქმის აღება.

self-regulation [ˌselfˌreɡjʊˈleɪʃ(ə)n] 1. თვითრეგულირება; 2. თვითრეგლამენტირება.

self-reproduction [ˌselfrɪprəˈdʌkʃn] 1. თვითაღწარმოება; 2. თვითაღდგენა (პროცესისა)

self-restrain [ˈselfrɪˈstreɪn] თვითშეზღუდვა (მაგ., უფლებისა, მაგ., დასვენებისა).

self-sufficient [ˌselfsʌˈfɪʃnt] საკუთარი თავის უზრუნველყოფელი.

synergism ['sɪnərdʒɪzəm] სინერგიზმი (მოელენა, როდესაც ცალკეული მაგრაზმ ურთიერთდაკავშირებული და ერთიანი ნაწილების შემქმნელი ფუნქციონირება მეტ ეფექტს იძლევა, ვიდრე იმავე ნაწილების შეუკავშირებელი, ცალ-ცალკე აღებული ფუნქციონირების ჯამური ეფექტი)

synergy ['sɪnədʒɪ] სინერგია (ბიზნესში — ორი ან მეტი გაერთიანებული ორგანიზაციის უფრო ეფექტური პოტენციალი, ვიდრე ცალ-ცალკე მათგანის ნაქლებეფექტური მუშაობისა); ერთი მიმართულებით მიზანსწრაფულის მუშაობა, სინერგია

synopsis [sɪ'napˌsɪs] რეზიუმე; კონსპექტი; მოკლე აღწერა (მაგ., საკანონმდებლო ორგანოში შეტანილი კანონპროექტებისა)

synthesis ['sɪnθɪsɪs] 1. სინთეზი; 2. განზოგადოება; დასინთეზება; **Δ** **computer** - კომპიუტერული დასინთეზება (მაგ., ეკონომიკური ციკლისა, პროცესისა); **logical** - ლოგიკური განზოგადოება

system ['sɪstɪm] 1. სისტემა; ერთობლიობა; 2. მეთოდი, ხერხი, სისტემა; 3. კლასიფიკაცია; 4. სისტემა, მოწყობილობა (მაგ., კომპიუტერული პროგრამული სისტემა, პროცესორი და სხვ.); 5. ქსელი (მაგ., საეაქრო, სარკინიგზო და სხვ.); 6. გეგმა; განლაგება; სქემა; 7. რეჟიმი; 8. სიმრავლე; ერთობლიობა (მაგ., ეკონომიკური ობიექტებისა); 9. წყობა; მოწყობილობა. **Δ** ~ **with refusal** მას. მოშს. მტყუნების შესაძლებლობის სისტემა; ~ **with restrictions** მას. მოშს. შეზღუდვის პირობებიანი სისტემა; **advertised bid (ding)** ~ ღია ეაქრობის სისტემა (ხელშეკრულებების დადებისას და მისთ.); **assembly** ~ დაპრ. მაერთ-მთლიანებელი სისტემა; (პროგრამა-) ასემბლერი; **call-reply** ~ დაპრ. (კომპიუტერთან) დიალოგის სისტემა; შეკითხვებისა და პასუხების სისტემა; ინტერაქციული [დიალოგური] სისტემა; **data** ~ საინფორმაციო სისტემა; (ეკონომიკურ) მონაცემთა სისტემა; **fiscal** ~ 1. საგადასახლო სისტემა; 2. ფინანსური სისტემა; **open price** ~ ამერ. ღია ფასების სისტემა; „ღია“ კონკურენცია (ფასების ინფორმაციის გაცელის პრაქტიკა)

system-analyst ['sɪstɪm 'æɪnəlɪst] სისტემური ანალიტიკოსი; მესისტემე-ანალიტიკოსი

systematization ['sɪstɪmətaɪ'zɛɪʃn] სისტემატიზაცია, სისტემაში მოყვანა

systematize ['sɪstɪmətaɪz] სისტემატიზება, სისტემის სახით წარმოდგენა; დასისტემატიზება

systematizer ['sɪstɪmətaɪzɪ] სისტემის შემდგენი, მესისტემე; კლასიფიკატორი; სისტემატიზატორი

systemless ['sɪstɪmlɪs] 1. უსისტემო; 2. უსტრუქტურო; 3. სისტემამოშლილი

sz. [eszɛd] (აბრ.) იხ. **size**

T,t

T, t [tɪ:] აბრ.: 1. იხ. **tare**; 2. (telephone-დან) ტელეფონი; აბრ., ტ., ტელე; 3. (teletype-დან) ტელეტაიპი; 4. იხ. **time** 1.; 5. იხ. **transfer** 6. იხ. **transmission**; 7. იხ. **transmitter** 2.; 8. (transponder-დან) მოპასუხე; ავტომოპასუხე; 9. იხ. **true**

TA [tɪ:'eɪ] აბრ.: 1. (telephone apparatus-დან) ტელეფონის აპარატი; აბრ. ტა; 2. იხ. **transferable account**

TAB ['tɪ:'eɪ'bi] აბრ.: 1. იხ. **table** 1.; 2.; 2. იხ. **tabulation**; 3. (tabulator-დან) ტაბულატორი

Tab [tæb] ამერ., საუბ. 1. აღწერა; (რაიფს) შემოწმება; 2. მომსახურების ფულის გადახდა; მომსახურების გადასახადი; 3. ვალი; ანგარიში (რესტორანში); 4. გამოყოფა, განკუთვნება; 5. ცხრილის (ტაბულის) სახით განლაგება, დატაბულება; 6. საუბ. თამასუქი

table ['teɪbl] 1. ტაბულა, აბრ. T.; აბრ. ტაბ.; 2. ცხრილი; 3. ნუსხა; სია; 4. მატრიკა (მაგ., უშუალო დანახარჯებისა, შეკვეთების ოდენობისა და სხვ.); 6. დატაბულება; ცხრილის შედგენა; 7. დაფა; 8. მაგიდა; 9. დუქანი; 10. ამერ. გადაღებული, განხილვიდან მოხსნილი; 11. ამერ. საუბ. აღწერა; (რაიმეს) შემოწმება; 12. მომსახურების გადასახადი; 13. ვალი; ანგარიში; 14. გამოყოფა; განკუთვნება; 15. საუბ. თამასუქი. **Δ upon the** - განსახილველი (საკიხთის შესახებ); ცნობილი; - **of rates** ტარიფი; **cost** - დანახარჯების ცხრილი, **loss** - სტატ. ზარალის ცხრილი, წაგების ცხრილი; **summary** - კრებსითი ცხრილი **tax** - საგადასაგადასახადო ცხრილი; საგადასახადო ნიხრი

tabloid insert ['tæblɔ:d in'sɛ:t] მკირაფეორმატიანი სარეკლამო ჩანართი (ურბნალში)

taboo [tə'bu:] 1. ტაბუ (რაიმე მოქმედების, კანონის, დადგენილების და სხვათა აკრძალვა); 2. აკრძალვა; 3. აკრძალული; 4. ტაბუს დადება; აკრძალვა

tabs [tæbs] ამერ. საუბ. 1. აღრიცხვა; მომსახურების საფასური; ანგარიში (რესტორანში სადილისა და სხვ.); 2. გადატ. თვალთვალი; (on) ძვალყურის დევენება; 3. *pl. n.* თეთრი ქსოვილის ყელსახვევი, რომელსაც ბარისტერი (აღვოკატი) ქალსტუხის ნაცვლად ატარებს.

tabula rasa ლათ. („ტაბულა რასა“): „სუფთა დაფა“; დაუწერილი დაფა.

tabulation ['tæbjʊ'leɪn] 1. დატაბულება; ტაბულის შედგენა; ცხრილის შედგენა; ცხრილში შექანა. აბრ. T.; 2. *pl.* ცხრილის მონაცემები

tacit ['tæsit] 1. შეთანხმებული, მაგრამ ჯერაც დაუმტკიცებელი; 2. პირობითი; ნაგულისხმევი; მდგომარეობიდან გამომდინარე; 3. დასკვნითი; 4. დუმილით დათანხმებული ან მოწონებული; 5. ავტომატური (მაგ., ხელშეკრულების გაგრძელების შესახებ).

tacitus consensus ლათ. („ტაციტუსის კონსენსუსი“): „უხიბველი თანხმობა.“

taciturnitas ლათ. („ტაციტურნის ვიტა“): „სიციცხლის ზისლი.“

tack [tæk] 1. (კანონპროექტის) დამატება; 2. ბრიტ. მიწის მფლობელობა; მიწის არენდითი (იჯარით) გაყემა; 3. საუბ. საიმედოობა; სიმტკიცე; 4. კურსით სვლა; ქალსი; 5. (to, on) მიერთება.

tacking ['tækiŋ] კანონპროექტისათვის დამატებითი მუხლის მიერთება (რაც კანონპროექტის მიღებას უზრუნველყოფს).

tacksman ['tæksmæn] შოტლ. მოარენდე.

tacky ['tæki] ამერ. სლენ. 1. მოდიდან გასული; მოძველებული; 2. არააკურატული; ვულგარული; 3. ქართ. ყარგ. მოჩვარული.

tactics ['tæktiks] (ბერძ.-დან *taktike*) ტაქტიკა (სტრატეგიის ნაწილი).

tag [tæg] 1. იარლიყი; ეტიკეტი; 2. იარლიყის დაკერა; ეტიკეტის მიწებება; 3. (საქონლის) მონივნება; 4. დაპრ. ტევი, ნიშანი (ინახება მესხიერებაში სიტყუასთან ერთად); **Δ dog** - დაპრ. ჩამაგრებული (ჩაწერილი) ნიშანი (მონაცემთა ჩანაწერის ან ველის აუტოლებელი ელემენტი); **price** - იარლიყი ფასის მითითებით

tag-along ['tægəɔlŋ] ამერ. სლენ. ავტოტრაილერი.

tag line ['tæɡlɔɪn] დამამთავრებელი ფრაზა (სარეკლამო განცხადებისა)

tail ['teɪl] ნაანდერძეუი ქონება; საერთო ქონებიდან გასიციოვილი ქონება.

tail [teɪl] 1. ნარჩენი; „კული“ (მაგ., განაწილების მრუდისა); დიდ გადახრათა უბანი; 2. მს. მომს. რიგი; 3. მონეტის მეორე მხარე; 4. იურ. ნაანდერძევი საკუთრება; 5. ამერ. სლენ. 1. ვილდო დამნაშაის დაჭერისათვის.

taint [teɪnt] (შავი) ლაქა; ნაკლი

take [teɪk] 1. კონკრეტული მოქმედების განხორციელება (მაგ., სხდომის თავ-მჯდომარეობა); 2. (კლიენტისაგან სამოქმედო ინსტრუქციის) მიღება; 3. ამონაგები; ნაეპკრი; 4. მიღება (მაგ., ფასიანი ქალაღლისა); 5. აღება (მაგ., პატენტისა); 6. გადახდევინება; აყრეფა; 7. ხელფასის აღება; 8. (მიწის) არენდა, იჯარა; 9. იჯარით აღება (გაცემა); არენდით აღება (გაცემა). **Δ to - away** დარიცხვა; დაკავება; **to ~ for the call** საბირჟ. წინასწარი პრემიის გაყიდვა; **to ~ in** 1. (ტვირთის) აღება; 2. მოსავლის) აღება; **to ~ up** 1. გამოსყიდვა; გადახდა; 2. შექენა; (ფასიან ქალაღღებზე) ხელმოწერა

take a rap [ˌteɪkəˈræp] *ქატბ. ჟარგ. (ქართული ვარიანტი): გაზეთვა (სხვისი დანაშაულის თავის თავზე აღება*

take-in ['teɪkɪn] ვინმეს მოტყუება, გაცურება;

take-off ['teɪkɒf] 1. ზრდა; აღმასელა (მაგ., ეკონომიკისა); 2. ნაკლი; დეფექტი.

take on ['teɪkən] 1. აღება (მაგ., საქმისა, სამუშაოსი); 2. მიღება (ხარისხისა, ყორმისა); 3. აყენა (სამუშაოზე, სამსახურში); 4. მიღება (გემბანზე); მკსაყრების ნახმა (მაგ., კათუტებში).

take (someone, something) on [teɪkən] ამერ. სლენ. 1. თავის თავზე აღება; 2. რაიმესთვის ბრძოლის სურვილი; 3. აღელვება; გაბრაზება.

„take one“ literature ['teɪkwənˈlɪtʃɪtʃə] უფასოდ გასაყრცეღებელი სარეკლა-მოღიტერატურა

take-out ['teɪkaʊt] 1. (დამნაშაის ან სხვა პირის) გამოყვანა შენობიდან; 2. მიპატიეფება; დაპატიეფება; 3. ამოღება, ამონაგების მიღება; (საკომპენსაციო თანხის) მიღება.

take-out foods ['teɪkaʊ fʊ:ds] კაფეტერიებიდან გამოტანილი მზა საყვები პრო-ღუქტები

take-over ['teɪkəʊvə] 1. (სხვის მაგივრად) რაიმეს კეთება; ვინმეს შეც-ღლა; 2. (პოზიციის) გადაცემა 3. შერწყმა (მაგ., კომპანიებისა); შეერთება; 4. კონ-ტროლსა და მართვას დაქვემდებარება; 5. განსხვისება (საკუთრებისა); 6. მიღება; 7. ამერ. სლენ. საერთო მოგებიდან მიღებული პროცენტი; თანხის ნაწილი; უკანონო გზით მიღებული ფულის წილი.

takeover ['teɪkˈəʊvə] ბიზნესის შესყიდვა

tekeover marketing ['teɪkˈəʊvə mɑ:kiŋɪŋ] დამპყრობი მარკეტინგი (ერთი ფირ-მის მიერ მეორე ფირმის შთანთქმის შეღეგობრივი მარკეტინგი)

Takeover Panel ორგანო, რომელიც არეგულირებს კომპანიებს
taker ['tcɪkə] 1. მიმღები; 2. მყიდველი; კლიენტი; 3. მეწარმე. **Δ - of bribe** ქრთამის აძლები

taking ['tcɪkɪŋ] 1. მოცვა, შემოერთება; 2. pl. ამონაგები, ნაეაქრი; 3. ჩამორთმევა; ამოღება; 4. აძლები, მფლობელი

tale [teɪl] pl. 1. სათადარიგო (დამატებითი) ნაფიცი მსაჯულები; 2. ჟიურის შეესება დამატებითი ნაფიცი მსაჯულებით.

talesman ['teɪl:z:mən] სათადარიგოდ გამოსახიებული ნაფიცი მსაჯუელი.

talk [tɔ:k] ამერ. სლენ. 1. ენა; დიალექტი; ჟარგონი; 2. (*somebody*) ვინმეს გა, კიცხვა; ქართ. ჟარგ. ნაღელის ამონთხევა (ვინმეს მიმართ).

talk out [tɔ:k'ʌʊt] დებატების გაგრძელება დროის ამოწურვამდე, რომ ეენჭვისყრა არ მოესწროს.

tall [tɔ:l] ამერ. სლენ. 1. გადაჭარბებული; გაზვიადებული; 2. უაზრო; შეუძლებელი; 3. დიდი; 4. შიშიმე, ზედმეტი; 5. ტრაბახა

tallage [tælɪdʒ] გადასახადები; გამოსაღებები; მოსაკრებლები

tally ['tæli] 1. რიცხვი; სერია; ჭგუფი; 2. თელის ერთეული; 3. ნომერი; განსხვავებული ნიშანი; იარლიყი; მარკა; 4. თელა, დათელა, შემოწმება; 5. გათელისწინება, დათელა (საქონლის რაოდენობისა); 6. პირი, დუბლიკატი; 7. საანგარიშსწორებო წიგნაყი (*მყიდველისა, რომელმაც საქონელი განვადებით შეიძინა*); 8. შესაბამისობა, თანხმობა

talls [tɔ:lz] ამერ. სლენ. 1. სიტუაციის გაკონტროლება; მიღწევაში დარწმუნებული; 2. სმოკინგი; მამაკაცის ოფიციალური კოსტუმი.

tallyman ['tæli:mən] 1. კონტროლიორი, აღმრიცხავი, მთელელი; ტალიმანი; 2. საქონლის განვადებით (ან ნიმუშის მიხედვით) გამყიდველი

tamper ['tæmpə] 1. სიყალბის ჩადენა; ფალსიფიცირება; 2. საბუთის გადაკეთება; 3. გაფუჭება; 4. მალულად მოქმედება; 5. (*in, for*) შავი საქმეების კეთება; 6. ცხვირის ჩაყოფა.

tandeming algorithm ['tændəmiŋ 'ælgɔ:riθm] (ეკონომიყურ ინფორმაციათა დამუშავების) თანმიმდევრობითი ალგორითმი.

tangible ['tændʒəbl] 1. შეფასებადი; 2. მატერიალური; ნივთიერი; 3. pl. მატერიალური ფასეულობა (ქონება); 4. საგრყნობი; ხელშესახები; 5. რეალური; შესაძნევი.

tank [tæŋk] ამერ. სლენ. 1. წინასწარი დაკავების ოთახი (კამერა); 2. მატარებელი; 3. დამარცხებული. 4. აუზი. 5. ინფორმაციის მგროვებელი

tantum quantum ღიათ. („ტანტუმი კვანტუმი“) იმდენად, რამდენადაც.

tap [tæp] 1. სორტი, მარკა (მაგ., ღვინოსი, სასმელისა); 2. მიერთება (კავშირის ხაზთან); 3. სლენ. ფულის დაცინცვლა, ფულის დატყუება; 4. სლენ. ფასი; ღირებულება; მოტყუების მსხვერპლი (იხ. აგრეთვე *sock, racket*); 5. სლენ. ფულის თხოვნა სესხად; მოტყუება; დადანაშაულება; დასმენა

tape [teɪp] 1. სლენ. შეფასება; კალკულაცია, გაანგარიშება; 2. პროფ. ყურადღებით

დათვლიერება; გამოკვლევა; 3. ლენტი; 4. წებვადი ლენტის მიწებება. **Δ** - recorder მანკიტოფონი; **data** - მონაცემებიანი (პერფო) ლენტი (ან მანკიტური ფირი); **red** - ინგლ. საქმის გაქიანურება; ბიუროკრატიზმი

tapestry ['tæpɪstri] საინფორმაციო ჩანართებიანი [ჩარჩოიანი] დისფლენის ეკრანი

tare [teɪ] 1. ტარა; 2. ტარის წონა; საფუთავის წონა; 3. ტარის წონის შეღავათის გათვალისწინება; **Δ** **customs** - ტარის დადგენილი მასა

target ['tɑːdʒɪt] 1. მიზანი; 2. დავალება; 3. მიზნის დასახვა; 4. საკონტროლო ციფრი; გეგმიური [დაგეგმილი] ციფრი; 5. მოქმედების მიმთითებელი; ალაში. **Δ** **to hit the** - 1. დასახული მიზნის მიღწევა; 2. დასახული ამოცანის შესრულება; 3. გეგმის შესრულება; საკონტროლო ციფრების მიღწევა **key** - ძირითადი დავალება; **time** - დადგენილი (მოდელური) მომენტი (ხდომილობის დადგომისა); **transfer** - დანიშნულების ადგილი (1. მონაცემთა გადაცემისას; 2. ტვირთის გადატანისას)

tariff ['tærɪf] 1. ტარიფი, ფასის დადება, ფასდება; შეფასება; 2. პრეისკურანტი; 3. განაკვეთების სკალა [ჩანგალი]; 4. ბაჟი; 5. ტარიფში შეტანა; ტარიფის შედგენა; 6. დაბეგვრა; 7. სატარიფო კრებული (სატარიფო განაკვეთისა და ტვირთის კლასიფიკაციის ნორმების კრებული) **flexible** - მოქნილი ტარიფი, გარკვეულ ზღვრებში ცვალებადი ტარიფი; **joint** - ერთიანი ტარიფების კრებული [პრეისკურანტი]

tarmac ['tɑːmæk] თერმეკი აშერ. სლენ. პოლიტ. (ეს ზმნა აღნიშნავს თვითმფრინავით ახლო მანძილებზე გადაფრენას საარჩევნო კომპანიისას)

task [tɑːsk] 1. ამოცანა; 2. ამოცანის დასმა; 3. აშერ. გამომუშაების ნორმა; 4. დაპრ. (საპროგრამო) მოდული; ამოცანა; **Δ** **major** - ძირითადი ამოცანა; **quality** - ხარისხის უზრუნველყოფის ამოცანა

taskwork ['tɑːskwɜːk] 1. სანარდო სამუშაო; 2. დაწესებული [განსაზღვრული] სამუშაო; გაყვეთილი

taste [teɪst] აშერ. სლენ. 1. (საერთო) შემოსავლის ნაწილი; 2. მცირე რაოდენობა.

taste-test ['teɪst ˈtest] (სამომხმარებლო) ქაშნიკი; ახალი პროდუქტის გემოს გასინჯვა

tasty ['teɪsti] საუბ. მეტად მიმზიდველი (ან სასურველი); ბრწყინვალე (სანახაობა, სპექტაკლი)

taw [tɑː] აშერ. სლენ. საქმის (ბიზნესის) დასაფინანსებლად საკმარისი თანხა.

tax [tæx] 1. საბაჟ. ბეგარა; გადასახადი; ბაჟი; 2. გამოსაღები; მოსაკრებელი; 3. საგად. დაბეგვრა; ბაჟის გადახდევინება; 4. აშერ. საუბ. ანგარიშის სიდიდე, ოდენობა; 5. აშერ. საწვერო შესატანი; 6. აშერ. კომერც. ფასის დადება, ფასდება; ფასის გაგება. **Δ** - **in kind** ნატურალური გადასახადი; **liable to a** - საგად. დაბეგვრადი; ~ **on profit** საგად. სამომოსავლო გადასახადი; **ad valorem** - ლათ. ლირებულების გადასახადი; **net worth** - საგად. საკუთრების გადასახადი (ვალის გარეშე); **receipts** - საგად. ბრუნვის გადასახადი

taxability ['tæksə'bilɪtɪ] დაბეგერადობა

taxable ['tæksəbl] დებეგერადი; გადასადი

taxation ['tæksə'seɪʃn] 1. დაბეგერა; (გადასახადის) გადახდევინება; 2. გადასახადის ოდენობა; 3. დაბეგერიდან შემოსული მოგება; 4. იურ. სასამართლოს ხარჯების ოდენობის დადგენა. **Δ adjusted for** ~ გადასახადის (ბეგარის) გათვალისწინებით; **to exempt from** ~ დაუბეგრაობა, გადასახად(ებ)ისაგან განთავისუფლება; - **of income** საშემოსავლო დაბეგერა

tax-collector ['tækskɔ,lɛkt] გადასახადების ამკრეფი

tax-dodger ['tæks,dɒdʒə] საუბ. საგად. ურჩი გადამხელი; დაბეგერისაგან თავის ამარიდებელი

taxeater ['tæksɪ:tə] საუბ. 1. სახელმწიფოსაგან (მიღებული) დახმარებით მცხოვრები (პირი), სახელმწიფო კმაყოფაზე მყოფი (პიროვნება); 2. სახელმწიფოსაგან სუბსიდირებული დაწესებულება

taxer ['tæksə] გადასახედების ამკრეფი; საფინანსო მოხელე

taxing ['tæksɪŋ] დაბეგერა; გადახდევინება (მაგ., ბაჟის, გადასახადისა). **Δ - power** დაბეგერის უფლება

taxless ['tæksləs] დაუბეგრაეი; გადასახად(ებ)ისაგან განთავისუფლებული.

taxonomy ['tæksə'nɒmɪ] ტაქსონომია (სისტემატიკის ჯგუფი, რომელშიც დაკანონებულია სისტემური ჯგუფის დაქვემდებარება); დაქვემდებარება; დაქვემდებარების სისტემა; **Δ structural** - სტრუქტურული დაქვემდებარება (მაგ., მარკეტინგში — ბაზრის მოდელებისა)

tax-write-off ['tæks raɪt əf] შემოსავლის ნაწილის დაუბეგრაობა (საქველმოქმედო მიზნით თანხის ნაწილის გადაცემისას)

team [ti:m] 1. ბრიგადა; ჯგუფი (მაგ., საინსპექციო); 2. მუშა ჯგუფი; 3. ერთად მუშაობა; ძალების გაერთიანება; რესურსების გაერთიანება

teamwork [ti:mwɜ:k] კოლექტიური (ბრიგადული, ჯგუფური) მუშაობა; კოოპერაცია (სამუშაო მიზნით გაერთიანება)

teaser ['ti:sə] საუბ. მოწამლა (სარეკლამო ხერხი მომდევნო სარეკლამო განცხადებებისადმი ინტერესის გასაღვივებლად)

technician [tek'nɪʃn] 1. ტექნიკოსი; 2. სპეციალისტი, (თავისი საქმის) ოსტატი

technics ['teknɪks] 1. ტექნიკა; ტექნიკური მეცნიერებები; პოლიტექნიკური დარგები; 2. ტექნიკური მონაცემები; 3. (ტექნიკური) მეთოდი, ხერხი

technique [tek'ni:k] 1. ტექნიკა (მეთოდების ან ხერხების ერთობლიობა); მეთოდია; 2. პროცედურა, მეთოდი; 3. ტექნოლოგია; ტექნოლოგიური მეთოდია; **Δ banking** - საბანკო ოპერაციების ტექნიკა; **farming** - აგროტექნიკა; **prediction** - დაპროგნოზების მეთოდი; **processing** ~ 1. მონაცემთა დამუშავების მეთოდი; 2. წარმოების ტექნოლოგია

technologist [tek`nalodʒɪst] 1. ტექნოლოგი; ტექნიკოსი; 2. საინჟინრო-ტექნიკური მუშაკი

technology [tek`nalodʒɪ] 1. ტექნოლოგია; მეთოდია; 2. ტექნოლოგიური პროცესი; საწარმოო პროცესი; 3. ტექნიკა; ტექნიკური მეცნიერებები; 4. ტექნიკური საშუალებები; 5. ტექნიკა და ტექნოლოგია; **Δ high** - უხალესი ტექნოლოგია; **information** - ინფორმაციის დამუშავების მეთოდია; **managment** - მართვის ტექნიკა

technostructure [ˈteknoˈstrʌktʃə] ტექნოსტრუქტურა

te hominem esse (memento) ლათ. („ტე პოშინე ესე“): „გახსოვდეს, რომ ადამიანი ხარ“

tedious [ˈtiːdiəs] შრომატევადი; ხანგრძლივი (სამუშაოს შესახებ)

teen [tiːn] ამერ. სლენ. თინეიჯერი (სინ: **teen-ager**).

teens [tiːnz] ამერ. სლენ. 13 წლიდან 19 წლამდე ასაკის(ა)

teevee [ˈtiːviː] საუბ. ტელევიზორი, ტელევიზორი (აბრევიატურული გამოთქმა: თივი)

TEFL [ˈtefl] (აბრ.) იხ. **TOEFL**. აბრ. ტოეფლი

teleautography [ˌteliːˌɑːtɔːɡrɑːfi] ტელეავტოგრაფია

teleautomatics [ˌteliːˌɑːtəˈmɪkˈs] ტელეავტომატიკა; დისტანციური მართვა

telebook [telɪbʊk] ტელეწიგნი (იყენებენ სატელევიზიო სერიალებისას. იხ. აგრეთვე **soap opera**)

telecom(ns) [telɪkɑ(mz)] საუბ. აბრ. იხ. **telecommunication**) აბრ. ტელეკომი

telecommunication [[ˈtelɪkəˈmjʊːnɪkɪʃn] 1. ტელეკავშირი, შეტყობინებათა (ან მონაცემთა) დისტანციური გადაცემა; 2. pl. (საინფორმაციო) კავშირგაბმულობის ქსელი

telecommute [ˈtelɪkɑmjʊːt] დისტანციური კავშირის დამყარება (მაგ., ბიზნესის სფეროს ინფორმაციასთან საოჯახო კომპიუტერიდან)

teleconference [telɪˈkɑnfɪrns] ტელეკონფერენცია. **Δ** - **hookup** ტელებტელეფონი

telecontrol [ˈtelɪkɑnˌtraʊl] ტელემართვა; დისტანციური მართვა (მაგ., საწარმო ან ეკონომიკური ინფორმაციისა, მონაცემებისა)

telecruiser [ˈtelɪkruːzɪ] გადასატანი სატელევიზიო სადგური

teledish [ˈtelɪdɪʃ] თეფისებრი ანტენა (კოსმოსიდან ტელეგადაცემების მისაღებად)

telex [ˈtelɪfæks] ტელეფაქსი (ფაქსიმილურ სააბონენტო მოწყობილობებს შორის ფაქსიმილური კავშირი ავტომატურად კომუტირებადი სატელეფონო ქსელის მეშვეობით)

telematics [ˈtelɪnɪfɑːmætiks] ტელეინფორმატიკა

telemarketing [ˈtelɪˈmɑːkɪtɪŋ] ტელემარკეტინგი (ტელეფონით უშუალო მარკეტინგი იხ. აგრეთვე **marketing**)

telematics [ˈtelɪˈmætiks] (აბრ. **TELE communication and infoMATICS** -დან)

ტელემატიკა: (ტექსტური ან/და გრაფიკული ინფორმაციის გადაცემა-მიღება-დამუშავებასთან დაკავშირებული დარგი)

telematic service ['teli'mætɪk 'sɜ:vɪs] ტელემატიკური მომსახურება, ტელემატიკური სერვისი (ტექსტური ან/და გრაფიკული ინფორმაციის გადაცემა- მიღება- (წინასწარი) დამუშავების ახალი სახე, რომელიც მოიცავს, მაგ., ბიუროფაქსს, ტელეფაქსს და სხვ.)

telemessaging ['teli'meɪdʒɪŋ] შეტყობინებათა დისტანციური გადაცემა; ტელეშეტყობინება (მაგ., ფირმიდან დილერისადმი)

teleprinter ['teli,prɪntə] ტელეპრინტერი (დისტანციურად მართვადი საბეჭდო მოწყობილობა)

teleservice ['teli,sɜ:vɪs] ტელესამსახური, ტელესერვისი

TELESHOPPING ['teliʃɒpɪŋ] ტელეშოპინგი; ტელეყიდვა; ტელენავაჭრი (ტელეკომუნიკაციის საშუალებებით საცალო ვაჭრობის სახე ნავაჭრის ბინაზე მიტანით, ანგარიშის კომპიუტერული წარდგენით)

Teleprompter ['teli,praɪmptə] ტელეპრომპტერი (ტელეეკრანზე ხელნაწერის გამოსახვის ხელსაწყო)

telesoftware ['teli,səftweə] პროგრამული უზრუნველყოფის დისტანციური გადაცემა (კავშირის არხებით გამოთვლითი ცენტრიდან მომხმარებელთა პერსონალური კომპიუტერების მეხსიერებაში)

teletex ['teleks] ტელეტექსტი (ტექსტური ინფორმაციის მიღება-გადაცემის საერთაშორისო სამსახური)

teletext ['telɪteksɪ] ტელეტექსტი (დილოგური ანუ ინტერაქციული საინფორმაციო ქსელი, რომლითაც მომხმარებელი შეაღწევს დარგობრივ მონაცემთა ბაზაში, ხოლო მოთხოვნილ ინფორმაციას ღებულობს თავისი დისფლეის ეკრანზე)

telethon ['teliθɒn] ტელემარათონი (საქველმოქმედო სატელევიზიო გადაცემა; ტელეთონი)

telewriting ['telɪraɪtɪŋ] დისტანციური ჩაწერა (მაგ., ეკონომიკური მონაცემებისა)

telex ['teleks] 1. ტელეტაიპი; ტელექსი; 2. ტელექსით გადაცემა (ან მიღება); ტელეტაიპით გადაცემა (ან მიღება)

teller ['tɛlə] 1. მოლარე (ბანკში); ბანკის მოხელე; ბანკის კლერკი; ბანკის თანამშრომელი; 2. ხმების მთელელი (მაგ., პარლამენტში); **Δ first (paying)** - (თანხის) გამცემი სალაროს მოლარე, პირველი მოლარე; **receiving (second)** - (თანხის) მიმღები სალაროს მოლარე; მეორე მოლარე

tell off ['tɛl'ɒf] აერ. სლენ. 1. მოსადიდებელი მოვლენისაგან თავის არიდება; 2. გაკიცხვა

tel quell ლათ. („ტელ კველ“): „რიგორც სახეზეა“ პირობით (მაგ., გაყიდვა გარანტიის გარეშე).

telly ['tɛli] სლენ. ტელევიზია; ტელეხედვა

temporal ['tempərəl] 1. დროებითი; ხანმოკლე; 2. დროითი; 3. პოლიტ. საერო, საქვეყნო (მაგ., საქმეები, პრობლემები), სამოქალაქო. **Δ** - and spatial დროითი და სივრცითი; ~ interests საერთო ინტერესები

tempora mutantur ლათ. („ტემპორა მუტანტურ“): „დრონი იცვლებიან“

temporis filia veritas ლათ. („ტემპორის ფილია ვერიტას“): „ტემპორიტება დროის ასულია“

tempus clausum ლათ. („ტემპუს კლაუსუმ“): „ნაკრძალი დრო“

tenancy ['tenənsi] 1. შეთანხმება (ან შეთანხმებული პერიოდი), რომლის მიხედვითაც პირს შეუძლია საცხოვრებელი ფართის დაკავება; 2. პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ადვოკატი სასამართლო პროცესზე არ გამოდის; 3. არენდის (ან იჯარის) უფლებით საკუთრება (ფლობა); იჯარა; არენდა; 3. ფლობა; საკუთრება (ძირითადად უძრავი ქონებისა); 4. იჯარით [არენდით] აღებული ქონება; 5. საკუთრების იჯარით ან ქირით აღების ხელშეკრულების ვადა. **Δ** share (cropper) - მონახვერობა; მონახვერე არენდა

tenant ['tenənt] 1. ტენანტი; დამქირავებელი (პირი ან კომპანია), არენდატორი; მოიჯარე; იჯარადარი; 2. მესაკუთრე (განს., უძრავი ქონებისა); 3. მცხოვრები; **Δ** joint ~ 1. თანამესაკუთრე; 2. თანამოიჯარე; თანაარენდატორი

tend [tend] 1. მიმართვა; გაძლოლა; გარკვეული მიმართულებით მოქმედება; 2. მართვა; სათავეში დგომა; 3. მიდრეკილების ქონა (მაგ., ფასების ზრდისა ან კლებისა)

tendency ['tendənsi] 1. მიმართულება, მიდრეკილება, ტენდენცია; მისწრაფება; 2. მიზანი; იდეა; 3. ტენდენციურობა; **Δ** bearish ~ საბირჟ. (კურსის) დაცემის ტენდენცია; bullish ~ საბირჟ. (კურსის) მატების ტენდენცია

tender ['tendə] 1. საგ.ეკ.ურთ. ტენდერი, (წერილობითი) წინადადება; განაცხადი (საეკპრო გარიგებებში); (დახმარების მიზნით) შეხვედრა; 2. საგადვალის საგადასახადო თანხა; 3. (ვალის) დაფარვა, გადახდა; 4. (ვალდებულების) შესრულება; 5. საინფ. მომს. შეთავაზება (მაგ., მომსახურებისა); 6. აქტ. ფასიან ქალაქდების შესაძენად განაცხადის წარდგენა. 7. ამერ. ოპერატორი; მექანიკოსი; 8. ტრანსპ. მოცურავე ბზა; სპეცი-ალური სატვირთო ან საფოსტო გემი; 9. მკველი; 10. ტენდერი (რკინიგზის საშახური-სა); 11. სუსტი (მაგ., კონსტრუქცია); 12. სასკ. დამზმარე; ოფიციალტი. **Δ** to hold a ~ ვაქრობის ჩატარება, ვაქრობა; to invite ~ 1. ვაქრობის [თარიღის] დანიშვნა; საეკპროდ მიპატიუება; 2. ფასიან ქალაქდებზე ხელმოწერის განაცხადება

tenderer ['tendərə] 1. კრედიტორი; აუქციონზე თამასუქების მყიდველი; 2. (საეკპრო-გარიგებითი) წინადადების შემომტანი (პირი), ოფერენტი

tenderloin ['tendəloɪn] ამერ. სლენ. ქალაქის რაიონი ან უბანი, სადაც თავმოყრილია ღამის გასართობი დაწესებულებები (კაზინო და სხვ.).

tender offer ['tendərəfə] შეძენის წინადადება (წაყენება ფირმას, რომლის ყიდვა სხვა კომპანიას განუზრახავს).

tenement ['tenəmənt] 1. იჯარით აღებული ქონება (ან მიწა); 2. შენობის დამქირავებელი; ბინის დამქირავებელი; 3. გაქირავებული მრავალბინიანი სახლი; 4. უძრავი ქონება; 5. უძრავი ქონებასთან დაკავშირებული უფლებები.

tenner ['tɛnə] ამერ. ათდოლარიანი ბანკნოტი; ბრიტ. ათფუნტიანი ბანკნოტი

tenor ['tɛnɔ] ტენორი; საგად. გადასახადის გადახდის ხანგრძლივობა; ტრატის (ან გზავნილი თამასუქის) ფულადი თანხის გვიან გადახდის ხანგრძლივობა

tentative ['tɛntətɪv] 1 წინასწარი; 2. დროებითი; ექსპერიმენტული.

tenure ['tɛnj(ʊ)ə] 1. ქონება; საკუთრება; ფლობა; 2. დროებითი საკუთრება (მაგ., იჭარის წესით); 3. საკუთრების უფლების პირობები; საკუთრების ვადა; 4. თანამდებობაზე ყოფნა; 5. უფლებამოსილება

tenurial ['tɛnjʊəriəl] მიწათმფლობელობითი; მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული

ten-vee ['tɛnvɪ:] ამერ. სღენ. 1 ყველაზე ცუდი; 2. ყველაზე დაბალი (ხარისხის). სინ.: 10-V.

terabit ['tɛrəbit] კომპ. მეცნ. ტერაბიტი (მილიონ-მილიონი ბიტი; იხ. bit)

term [tɜ:m] 1. ტერმინი; 2. გამოთქმა, სიტყვა; 3. ვადა, დრო, ხანგრძლივობა; პერიოდი; 4. იურ. ვადითი იჭარა, ვადითი არენდა; 5. ვალდებულებების შესრულების ვადა; დაკრედიტების ხანგრძლივობა; 6. მათემა. წევრი, ელემენტი, ტერმი; 7. ჩვეულ. pl. პირობები; გადახდის პირობები; (ვალის) დაფარვის პირობები. Δ in - s I. მაჩვენებლებში, ერთეულებში; გადაყვანით (მაგ., ლარებისა დოლარებში); 2. (ეკონომიკურ, მარკეტინგულ და სხვ.) ტერმინებში, ცნება-ტერმინებში; inreal - s უცვლელ ფასებში; in value - s ღირებულებით გამოსახულებებში; ფასეულობით მაჩვენებლებში; on - s (გარკვეულ) პირობებში; to come to - s შეთანხმების მიღწევა; პირობების მიღება; ~ s to the trade ცალობით მოვაკრეთათვის მიყიდვის პირობები; best - s ყველაზე ხელსაყრელი პირობები (მაგ., გადახდის ვადისა, ხელშეკრულებისა და მისთ.); credis - s სესხის პირობები; კრედიტის პირობები; soft - s შეღავათის პირობები

term days ['tɜ:m 'deɪs]. ვადის დღეები (კვარტალური გადასახადის დაფარვისა)

ternier ['tɜ:niə] 1. პირი, რომლის სასამართლო პროცესი დანიშნულია; 2. დროებითი მოიჯარე; 2. დროის განმავლობაში მფლობელი; 3. დამინაშავე, რომელიც მორატე დასამსჯელი ვადას იხდის.

terminable ['tɜ:miənbəl] სასწრაფო; დროთი შეზღუდული (მაგ., პირობები)

terminal ['tɜ:mi:niəl] 1. ტერმინალი; ბოლო მოწყობილობა, ბოლო (ავტომატისებული) სადგური; 2. ტერმინალური; მახოლოებელი, ბოლო; უკანასკნელი; 3. კომპიუტერის გამოსატანი პულტი, ტერმინალი; კომპიუტერული ქსელის ტერმინალი; ტერმინალური მოწყობილობა (მაგ., დისფლეი, ტელექსური, ტელეფაქსური, ტელეტექსტური ან ტელეგრაფულ-აპარატული მოწყობილობები); Δ data - I. მონაცემთა შეტანის მოწყობილობა; 2. მონაცემთა დაგროვების მოწყობილობა; data-transmission - (ეკონომიკური) მონაცემთა გადაცემის ტერმინალი; interactive - დიალოგური ტერმინალი, ინტერაქციული ტერმინალი (დისფლეი); point-of-sale საეაქრო პუნქტის (მაღაზიის) დისფლეი

terminate ['tɜ:mi:niət] 1 დაბოლოება; დასრულება; გათავება; 2. ამერ. დათხოვნა; სამსახურიდან წასვლა (გადადგომა, პენსიაზე გასვლა, დათხოვნა ან შტატების შემცირებაში მოყოლა); 3. შეზღუდვა; შემოსაზღვრა; ზღერის დადება; 4. დაგვირგვინება.

termination ['tɜ:mɪneɪʃn] 1. დამთავრება (მაგ., ხელშეკრულების ვადისა); შეწყვეტა, დასრულება; 2. გამოყენების შეწყვეტა, მოქმედების დამთავრება; 3. შეზღუდვა (პირობებისა)

terminer ['tɜ:mɪnə] სამართლო გადაწყვეტილება.

terms [tɜ:ms] pl გარიგების პირობები; გაყიდვის პირობები. **Δ come to** - შეთანხმების მიღწევა; **buy on** - კრედიტით ყიდვა

territory ['tɛrɪtɔ:ri] 1. ტერიტორია; 2. კომიუნალური მოქმედების რაიონი; 3. საზღვარის სფერო; 4. (მეცნიერების ან ცოდნის) სფერო, უბანი, დარგი

terre-tenant [tɛə'tɛnənt] უძრავი ქონების მფლობელი.

terrify ['tɛrɪfaɪ] 1. საშინელების განცალხანერგვა; 2. (into, out, of, to) დაშინება.

tertium non datur ლათ. („ტერციუმ ნონ დატურ“): „მესამე არ არსებობს“ (ფილოსოფიის მესამის გამორიცხვის პრინციპი).

test [tɛst] 1. მოწმე; 2. ხასიათით ბრძანების მტკიცებით ნაწილი (სადაც მითითებულია მოსამართლის ტიტული, ბრძანების გამოცემის თარიღი და სხვ.); 3. გამოცდა: შემოწმება; 4. გასინჯვა, სინჯვა; ქაშნიკი; 5. ტესტი, შემოწმების სისტემა; 6. ტესტირება; გამოცდის ჩატარება; შემოწმება; კონტროლირება; 7. საზოგადოება; სასინჯო ქვა, სერიოზული გამოცდა; 8. სტატ. კრიტერიუმი; ნიშან-თვისება; 9. კვლევა, ანალიზი, ცდა. **Δ** - **advertisement** საცდელი განცხადება, საცდელი რეკლამა; - **check** საკონტროლო გამოცდა (მაგ., ნაწარმისა); - **marketing** საცდელი მარკეტინგი; - **of business capacity** კომპანიის (ფირმის) კრედიტუნარიანობის კრიტერიუმი; **data measuring** - ყველა მონაცემის შემოწმება (მაგ., ნაწარმის მიღებისას); **fixed assets** - კომპანიის (ან ფირმის) საფინანსო მაჩვენებლები (მაგ., ძირითადი კაპიტალისა და ვალის თანხების შეფარდება); **witness** - შეგვეთის თანდასწრებით შემოწმება

testament ['tɛstəmənt] 1. ანდერძი; სიკვდილის წინა განკარგულება, თხოვნა; 2. გამოვლენა (მაგ., შეგობრული ურთიერთობისა); 3. მრწამსისა და პრინციპების ჩამოყალიბება; კრედიტი.

testate ['tɛstɪt] იურ. 1. მოანდერძე (კაცი); ანდერძის დამგები; 2. ანდერძით გადამცემული

testator ['tɛstɪtɔ:] მამაკაცი, რომელმაც დაწერა (ან დატოვა) ანდერძი; მოანდერძე; ანდერძის დამგები.

testatrix [tɛs'tɛtrɪks] მოანდერძე (ქალი), ანდერძის დამგები

test case ['tɛst keɪs] „საცდელი საქმე“; პრეცედენტული საქმე; პრეცედენტი

teste ['tɛst:] 1. მოწმე; 2. სასამართლო ბრძანების მტკიცებით ნაწილი (სადაც მითითებულია მოსამართლის ტიტული, ბრძანების გამოსვლის თარიღი, ვადა და სხვ.).

testificator ['tɛstɪfɪkɪtɔ:] (სინ.: **testifier**) მოწმე.

testify ['tɛstɪfaɪ] სასამართლოში ჩვენების მიცემა; 2. განცხადება; დამტკიცება; 3. ფაქტის სახით გამოსაღვეი მასალა.

testis mutui ლათ. („ტესტის მუტუი“) ურევი მოწმე.

testis unus, testis nullus ლათ. („ტესტის უნუს, ტესტის ნულუს“): „ერთი მოწმე, არამოწმე“ (რომის კანონმდებლობიდან).

testomonium ['testi'moʊniəm] **clause** ანდერძის დოკუმენტის ბოლო ნაწილი, რომელშიც მითითებულია, თუ როგორ დამოწმდა იგი (მაგ., ინგლისურის იურისპრუდენციის მიხედვით: „ამის დასამოწმებლად ვაწერ ხელს“, და ახლავს ხელმოწერა).

testimony ['testiməni] 1. ზეპირი ჩვენება, რომელსაც მოწმე იძლევა სასამართლოში; 2. მტკიცება; ჩვენება; 3. დამამტკიცებელი საბუთი; მოწმობა; საშხილი. **Δ to bear testimony** დამოწმება; დადასტურება; **the Testimonies** (ძველქართულ სამართალში ამ ტერმინის სინონიმია სჯულის ფიცარი - რ.ბ.)

testify ['testifaɪ] ჩუქნების მიცემა; 2. მოწმედ დადგომა.

testumonial ['testi'moʊniəl] 1. დახასიათება; რეკომენდაცია; სარეკომენდაციო წერილი; 2. სიგელი; სერტიფიკატი; ატესტატი; 3. სამადლობელო.

testing ['testɪŋ] იხ. **test** 1., 2., 3.

text [tekst] 1. დედანი, ხელნაწერი; 2. ტექსტი; 3. შინაარსი (ტექსტი წინათქმისა და შენიშვნების გარეშე); 4. თემა; სადისკუსიო თემა, მოხსენების თემა; **Δ angled** - კუთხით განლაგებული ტექსტი (მაგ., გრაფიკული დისფლეის ან პერსონალური კომპიუტერის ეკრანზე); **program** - პროგრამის ტექსტი; **alignment** ტექსტის მიბმა [დაკავშირება]; - **index** ტექსტური ფრაგმენტის ინდექსი; - **path** ტექსტის მიმართულება; - **port** სატექსტო უბნის დარღვევა (ეკრანზე); - **precision level** ტექსტის აღწარმოების ხარისხის დონე

textbook ['tekstbʊk] სახელმძღვანელო

textfax ['tekstfæks] ტექსტფაქსი; ტექსტური ინფორმაციის ფაქსიმილური გადაცემა

textiles ['tekstaɪlz] 1. ქსოვილი; ქსოვილები; 2. წარმსაფეიქრო მრეწველობა

texture ['tekstʃə] 1. ტექსტურა, აღნაგობა, სტრუქტურა; 2. აღნაგობის აღქმა; სტრუქტურის (ტექსტურის) აღწარმოება; 3. ქსოვილის აღნაგობა; ქსოვილის სიმჭიდროვის ხარისხი

textureless ['tekstʃə] უსტრუქტურო, ამორფული, გადაგეარებული აღნაგობის

theatre ['θiətə] ინგლ. 1. აუდიტორია; სადემონსტრაციო დარბაზი; 2. მსახურბელი, აუდიტორია (მაგ., გამოფენაზე მოსული მომხმარებელი); 3. თეატრი; 4. რეჟისურა; **Δ - screen advertising** რეკლ. რეკლამა კომერციულ ტელევიზორებში

teater (ამერ.) იხ. **theatre**.

theft [θeft] 1. ქურდობა; 2. ქურდობის დანაშაული (ფაქტი) იხ. აგრეთვე **thief**.

theft-bote ['θeft baʊt] 1. მოპარული საგნის, ნივთის ან სხვათა გადამალვა; 2. მოპარული საქონლის გაყიდვით მიღებული მოგება.

theorem ['θi:əɹɔ:m] 1. თეორემა; 2. თეორემით გამოხატვა, თეორემის ფორმით წარმოდგენა **Δ cobweb** - „ობობას ქსელის“ (ტიპის) თეორემა (მოთხოვნილებასა და წინადადებას შორის ურთიერთობის თეორემა იმ პირობებში, როდესაც წინადადების ფუნქცია უფრო ელასტიურია, ვიდრე მოთხოვნ იღებებს); **substitution** - ჩანაცვლების თეორემა (ეკონომიკური სისტემის მოდელში)

theory ['θi:(ə)ri] 1. თეორია; თეორიული საფუძვლები; 2. მეთოდი; კონცეფცია; 3. მათემატიკური განყოფილება; თეორია (მაგ., რიცხვთა თეორია, მსგავსების თეორია). **Δ - Y** „იგრაჟ“-ის თეორია (რომლის მიხედვითაც შემსრულებელს მკაცრი კონტროლი არ სჭირდება, ვინაიდან იგი პატიონსად და ინიციატივით მუშაობს). **Δ ~ of balances** ბალანსების თეორია; **~ of business cycle** ბიზნესის ციკლის თეორია; **~ of random processes** შემთხვევითი პროცესების თეორია

therbling ['θə:blɪŋ] თერბლიგი (შრომითი მოძრაობის ძირითადი ელემენტი)

there [ðeə] ამერ. სლენ. 1. ამგვარად; ის, რაც სახეზეა; რაც არის; 2. სწორედ ის, რაც საჭიროა (ამ მომენტში, ამ სიტუაციაში); 3. კომპეტენტური, შემძლე; ხელოვნური.

thereinafter [ˌðeɪn'ɑ:ftə] ქვემოთ (დოკუმენტში).

thereinbefore [ðeɪnɪn'ɒfə:] (ამ) დოკუმენტში ზემოთ აღნიშნული.

thereof [ðeə'ɒf] აქედან. **in respect there of** ამასთან დაკავშირებით.

therewith [ðeə'wɪð] ამასთან ერთად.

thethri [θeθri] თეთრი, ქართული ეროვნული ვალუტის ერთეული, ლარის ძველი ნაწილი (იხ. Lari; Lari = 100 th.) აბრ. th.. Th> სინ. Thetri); აბრ. თ.

thick-fleshed ['θɪk'fleʃt] კარგად ნაკეები (პირუტყვი); ჩასუქებული (ბავშვი)

thief [θi:f] ქურდი.

thin cat ['θɪn'kæʃ] საუბ. ღარიბი პიროვნება, რომელსაც არც პრივილეგია და არც გავლენა არა აქვს

thin-fleshed ['θɪn'fleʃt] ცუდად ნაკეები (პირუტყვი); გამხდარი (ბავშვი)

thing [θɪŋ] 1. საგანი; 2. ქონება; 3. ნივთი; ბარჯი; 4. pl. გარემოება; (საქმის) ვითარება; 5. დეტალი; განსაკუთრებულობა (ნაწარმისა, პროდუქციისა); 6. ჩვეულ. საუბ. pl. ყოველდღიური (მონხმარების) საგნები; ჭურჭელი, ჭურჭლეულობა; ნივთები

thin market [θɪn'mɑ:kit] პროფ. თხელი ბაზარი; უხალისო (რეაქტიული) ბაზარი

third party ['θɜ:d 'pɑ:ti] მესამე პირი; სასამართლო პროცესში (ან კონტრაქტში) ჩართული ორი პირის გარდა მესამე პირი.

thirty [θɜ:ti] ამერ. სლენ. 1. დღის ცვლის დასასრული; 2. (რადიო) გადაცემის დასასრული; 3. ნახვამდის (სინ.: 30).

thorny ['θɔ:ni] მსიძე (გზა, მიმართულება); ეკლიანი გზა.

thorough ['θɔ:ɹə] 1. გამოწვლილივითი; დეტალური; დოსკონანდური; 2. ღრმა; ყუ-

რადღებთან; 3. დახრეულებული; სრული; სრულუფასოვანი; 4. ნაძღვილი; დედ-
ნისეული; დედანი

thou [θu] ამერ. სლენ. ათასი დოლარი.

threat [θret] 1. ზეპირი, ან წერილობითი მუქარა; 2. დაშუქრება.

three-party service [θri:pa:ti 'sɜ:vɪs] დამატებითი კორესპონდენტის ჩართვის
.ამსახური (მესამე კორესპონდენტის ჩართვა საინფორმაციო ხაზში კავშირის გაუწყ-
ვეტლად)

three-way communication [θru:wei 'kæmjʊ:nɪkeɪʃn] სამმაგი კავშირი, სამგზისი
კავშირი (მაგ., ფირმას, ლიდერსა და მომხმარებელს შორის)

threshold [θreʃ(h)əʊld] ზღვარი (მაგ., მოგების ნორმისა, დაბეგვისა); ზღურბ-
ლი (მაგ., გავორტებისა)

thrift [θrɪft] 1. მომკირნეობა, დამზოგველობა, ყაიდათობა, ეკონომიურობა; 2. pl.
ამერ. შემნახველი საღაროები; 3. ფულის გადანახვა

thrive [θraɪv] 1. აყვავება (მაგ., ბიზნესისა, მეცნიერებისა); წარმატების მიღწევა
(მაგ., ბიზნესში)

thoroughfare [θru:ʃə] 1. სატრანსპორტო მაგისტრალი; 2. საწყალოსნო არხი
(გზა ან მაგისტრალი); 3. საერთო სარგებლობის გზა; გასასვლელი

throughput [θru:put] 1. მწარმოებლურობა; 2. გამტარუნარიანობა

through [θru:] პირდაპირი; ტრანზიტული

throw [θraʊ] სლენ. 1. ოფიციალური მიღების მოწყობა; გამსპინძლება; 2. თამ. თე-
ორ. ეკ. წაგება; 3. იათფასიანი ეურნალი; 4. ამერ. სლენ. ერთეული საქონლის
ფასი; 5. ამერ. სლენ. მომსახურების ერთეული, სტანდარტი; საქონლის
ერთეული; 6. ამერ. სლენ. საზოგადოებრივი ღონისძიების ჩატარება

tick [tɪk] 1. კრედიტი; 2. კრედიტით ყიდვა, განვადებით ყიდვა; 3. ანგარიში;
4. რეპუტაცია, კარგი სახელი; გადახდისუნარიანი (პიროვნების შესახებ) **thorough-
fare** 1. სატრანსპორტო მაგისტრალი; 2. საწყალოსნო არხი (მაგისტრალი); 3. საერთო
სარგებლობის გზა; გასასვლელი. **Δ to buy on** - კრედიტით ყიდვა; **to sell on** - კრედი-
ტით გაყიდვა

ticker [tɪkə] ამერ. სლენ. 1. კრედიტით ცხოვრება; 2. ქართ. ვარგ. ვა-
ლებში ჩაფულა; ვალებში ჩაყარა; 3. საბირჟო აპარატი (ფასიანი ქაღალ-
დების კოტირების გადასაცემად), ტიკერი; 4. ამერ. სლენ. კრედიტით გაცემა.

ticket [tɪkɪt] 1. ამერ. რომელიმე პარტიის კანდიდატთა სია პოლიტიკურ პოსტებზე
დანიშნვამდე; 2. ქვითარი; ბილეთი; 3. გეგმა; პერსპექტივა; 4. განცხადება
(გაქირავებამდე); 5. სასაბართლოს უწყება გზაზე მოძრაობის დარღვევისათვ-
ის; 6. გეგმა; პერსპექტივა; 7. განცხადება (გაქირავების თაობაზე); 8. ბილეთი;
9. ეტიკეტი; იარაღი; 10. ქვითარი; საბუთი; 11. საბირჟო წინასწარი რეგისტრაცია (საბირ-
ჟო ოპერაციებისა). **Δ at full rate** სრული (ღირებულების) ბილეთი; **credit** -
ფინანს. კრედიტ-ავიზო; კრედიტული ორდერი; საშემოსავლო ორდერი; **debit** - ფინანს.

დებიტ-აიზო; job ~ განაცხადი; price ~ საფასური (ეტყეტი, რომელზედაც ფასია მოთთებული)

tickler [tɪklə] აქცეპტორების (სასწრაფო) კარტოთეკა

tick-tack-toe [ˌtɪk.tækˈtoʊ] თამ. თეორ. ეკ. წერები და ნულები

tick-tock [ˈtɪktək] საუბ. პროფ. 1. უკანასკნელი ცნობების ქრონოლოგიური განხილვა; 2. სტატიის მასალის წინასწარი გადმოცემა

ticky-tack [ˌtɪkiˈtæk] ამერ. მსუბუქი ტიპის (ხის) სახლი (განსაკუთრებით კალიფორნიაში)

ticky-tacky [ˌtɪkiˈtækɪ] ამერ. საუბ. დაბალხარისხიანი მასალა

tide [taɪd] მიმართულება, დინება (მაგ., ეკონომიკური პროცესისა)

tie [taɪ] 1. ვალდებულება; მოვალეობა; 2. pl. კავშირი; კავშირურთიერთობა; 3. სისტემათშორისი კავშირის ხაზი; 4. შეკავშირება; გადასკვნა; 5. საგ. ეკ. ურთ. პირობებით შეზღუდვა (მაგ., ხელშეკრულების დადების ან გარიგებისას)

tied cottage [ˈtaɪd ˈkɑtɪdʒ] საშუაოს მიმცემი პირის სახლი, რომელსაც იგი დაქირავებულს უთმობს კონტრაქტით მუშაობის პერიოდში

tie-in [ˈtaɪ ˈɪn] 1. კატენტ. შემზღუდველი მითითება; მოქმედების შეზღუდვის მითითება 2. ლიცენზიური ხელშეკრულების პირობა, რითაც ლიცენზიატი ვალდებულია საგანი ან მოწყობილობა იყიდოს მხოლოდ ლიცენზიატისაგან ლიცენზირებული ნაწარმის საწარმოებლად. 3. იძულებითი ასორტიმენტი (გასაღების ფორმა); დატვირთვით გაყიდვა; 4. პროფ. რეკლ. შეკვრა (ერთი ან რამდენიმე ფირმის სხვადასხვა საქონლის ერთდროული რეკლამა)

tier [ˈtaɪə] 1. დონე (მაგ., ფასისა) იარუსი, ფენა; 2. (- up) ფენებად განლაგება; 3. კლასი (საზოგადოებისა). Δ ~ at a shop შემფუთავი (მალაზიაში)

tie-out [ˈtaɪ ˈaʊt] კატენტ. ლიცენზიატის უფლების შეზღუდვა ლიცენზიარის კონკრენტ(ებ)ის ნაწარმის ნაწარმის გამოყენების მიმართ (ისეთი ნაწარმების შესახებ, რომლებიც ლიცენზიის საგანს წარმოადგენენ)

tierce [ˈtɪəˈseɪ] ერთი მესამედი; მესამედი ნაწილი.

tight [taɪt] 1. არასაკმარისი; შეზღუდული (მაგ., კრედიტის შესახებ); 2. მჭიდრო; დაძაბული (მაგ., ბაზარი). Δ money is ~ იგრძნობა უფულობა. ~ rein მყარი დისციპლინა; ~ restrictions მკაცრი შეზღუდვები

tightness [ˈtaɪtnɪs] 1. არასაკმარისობა (მაგ., რესურსებისა); სიმჭიდრო; 2. სიციწროვე (ბაზრისა)

till [tɪl] 1. სალაროს ფულის ყუთი; სალაროს თანხა; 2. ბანკ. ბანკის აქტივები; 3. მიწის დამუშავება; 4. (მეცნიერული მიმართულების) 'შემუშავება; განვითარება; 5. -მდე; - ხანამ.

tiller [ˈtɪlə] ფერმერი; მიწის მესაკუთრე

tilly [ˈtɪli] ამერ. სლენ. სამეურნეო დანიშნულების ავტომობილი.

time [taim] 1. დრო; (დროის) მომენტი; (დროის) პერიოდი: და; დროის ხანგრძლივობა. აბრ. T., t.; 2. სამუშაო დრო; ტაქტი; პერიოდი; 3. დროის მონიშვნა; დასინქრონიზება; დაქრონომეტრიკა; ქრონიკა (მაგ., სივალუქის ან ანტიმეტრიკული ოპერაციების ჩასატარებლად); 4. დროის დანიშვნა, დროის შერჩევა; 5. სიჩქარე: ტემპი; ტაქტი; ზომა; რიტმი. **At a** - ერთდროულად; ~ **between failures** მტყუნებათშორისი ნაშუშევარი (მოწყობილობის); - **bill** 1. ტრანს. მატარებლების განრიგი; 2. მატარებლების გასელის გრაფიკი; **on** - ამერ. განვადებით; - **out of stock** დეფიციტის ხანგრძლივობა; მარაგის უქონლობის ხანგრძლივობა; - **to run** (სესხის) დაფარვის ვადა; **cycle** - (ბიზნესის) ციკლის ხანგრძლივობა; **data** - (ეკონომიკური) მონაცემთა ბაზის ხანგრძლივობა; **interaction** - ადამიან-კომპიუტერული დიალოგის (ანუ ინტერაქციის) ხანგრძლივობა; **service** - მომსახურების ხანგრძლივობა; **strage** - შენახვის ვადა; შენახვის ხანგრძლივობა; **throughput** - 1. მწარმოებლური დრო; 2. (მაღალი) მწარმოებლურობის ხანგრძლივობა; **up** - (ელექტრონული ნაწარმის) წესიერებაში მყოფი ხანგრძლივობის ხანგრძლივობა

time buyer ['taim 'baɪə] (სარეკლამო) დროის ადგილი, სარეკლამო რეკლამის გასაშვებად

time charter [ˌtaɪm 'tʃɑːtə] დროითი დაჯავშნვა (ტაქსის); სწრაფი ფრასტი.

timed [taimd] 1. განსაზღვრულ დროს დაგეგმილი; დროში გათვლილი; დროითგამოცდილი;

time-dependent ['taɪm dɪpɛndənt] დროზე დამოკიდებული, სასტაციონ. ელ.; არამდგრადი (მაგ., მაკროეკონომიკური პროცესი)

time-independent ['taɪm ɪndɪpɛndənt] დროისგან დამოუკიდებელი, სტაციონარული; მდგრადი

time-ordered ['taɪm,ɔːdɪd] დროით მოწყობილი

time proved ['taɪm 'pruːvd] დროით გამოცდილი, საიმედო

timetable ['taɪm,teɪbl] განრიგი; დროის (განაწილების) გრაფიკი; დროის დიარამა

time-taking ['taɪm ,teɪkɪŋ] შრომატევადი (მაგ., პროცესი, სამუშაო)

timework ['taɪmwɜːk] დროებითი სამუშაო; საათობრივი სამუშაო

timing ['taɪmɪŋ] 1. დროის დაგეგმვა; დროის ინტერვალის განაწილება; დროის დიაგრამა; დროითი თანფარდობები; 2. დროის მიხედვით შეთანხმება; დროში განაწილება; დროის განრიგის შედგენა (მაგ., დვიდენდის გაცემის); 3. დროის ნორმირება და ტაქტიკა; დასინქრონება (მაგ., მაკროეკონომიკური პროცესის); ქრონიკა

tin [tɪn] საუბ. (ლითონის) ფული; მცირე თანხა; 2. ვერცხლი; ფული.

tinker ['tɪŋkə] მეთუნე; ხელოსანი

tip [tɪp] 1. აქციების კურსის კონფიდენციალური ინფორმაცია; 2. საუბ. მცირედ ფულადი საჩუქარი; 3. სლენ. ხალხის ჯგუფი, რომელიც ქუჩაზე გამყიდველის ირგვლივ შეიკრება; 4. ამერ. სლენ. ინფორმირება; ცნობ(ებ)ის მიწოდება; გაფრთხილება.

tip one's duke [tɪp wʌnz dju:k] კატომ. ჟარგ. (ქართული ვარიანტი); გატეხვა (ნამდელი დანაშაულის აღიარება).

tipstaff ['tɪpstɔ:f] ინგლ. უმაღლესი სასამართლოს წარმომადგენელი ოფიციალური პირი, რომელიც ქაშუხს ატებს პირის დაპატიმრებაზე სასამართლოს შურაცყოფისათვის.

tipster ['tɪpstə] 1. (კრუ) საბირჟო ინფორმაციის ავტორი; 2. დაქირავებული ინფორმატორი; 3. ამერ. სლენ. ქუჩაში სხვადასხვა წერილმანით მოვაჭრე.

tissue ['tɪʃu:] ამერ. სლენ. საბუთის ზუსტი ასლი თხელ ქაღალდზე.

tithe ['tɪθ] დეკეტინა (შემოსავლიდან 10 %-იანი გადასახდი).

title ['taɪtl] 1. სათაური; დასახელება (მაგ., საქმიანი წიგნისა, საბუთისა); 2. საკუთრების უფლება; ტიტული; 3. წოდება, ტიტული; 4. საკუთრების უფლების საფუძველი;

Δ appropriation ~ ასივნებათა მუხლი; **industry** ~ დარგის სახელწოდება

T/O [tu:'əʊ] (აბრ.) იხ. **turnover**

tobacconist [tə'beɪkənɪst] ინგლ. მეთამბაქოე, თამბაქოს ან სიგარეტის გამყიდველი; თამბაქოს ყიდბრის მუკატრონე.

tod [tɒd] ინგლ. წონის ერთეული, ტონი (12,7 კგ)

TOEFL [taɪfl] (აბრ. **Test Of English as a Foreign Language**-დან) სკოლ. ტოფლ-ტესტი (ინგლისურის, როგორც უცხო ენის, სწავლების ტესტი)

togs [tɒgz] ამერ. სლენ. ტანსაცმელი; ნახმარი ჩასაცმელი; ქართ. ჟარგ. ბონბები.

toil [taɪl] 1. გამაღებით მუშაობა; 2. მძიმე შრომით მიღწევა (მაგ., რაიმე შედეგისა); 3. pl. ქსელი. **Δ in the ~ s** 1. ქსელი (მაგ., უწესიერო ბიზნესისას), ხაფანგში; 2. ძალაუფლების ქვეშ (ყოფნა); მძიმე პირობებში (ყოფნა)

token ['tɒkən] 1. ნიშანი; სიმბოლო (მაგ., ღირებულებისა); 2. ნიშანთვისება; განმასხვავებელი ნიშანი; 3. ტალონი, კუპონი; ეტონი; 4; საჩუქარი; სუვენირი; **Δ gift ~** ინგლ. დასაჩუქრებელი კუპონი (ფულის ნაცვლად ეძლევა მიღდევს რაიმე საქონლის შესაძენად)

tolerance ['tɒlərəns] 1. დამუება, დასაშვები გადახრა, ტოლერანსი; 2. ამტანობა; ტოლერანტობა

toll [tɒl] 1. გადასახადი (აეროპორტის სექტორის, გზის, ხიდის, ნავსადგურის და სხვათა) გამოყენებაზე; 2. გადასახადის დაწესების უფლება; 3. გადახდევინება; 4. დანაკარგები; 5. (დამატებით) გადასახადი მომსახურებისათვის. **Δ ~ free call** საქალაქო სატელეფონო საუბარი

tombstone ['tu:mstəʊn] ბანკის სარეკლამო სია (საფიანანსო პრესის ამონაყრებით)

tommy ['tɒmi] 1. ხელფასის ნაცვლად მუშისათვის გაცემული პროდუქტი; 2. საუბ. პური; საკმელი

ton [tɒn] 1. ტონა; 2. ასი ფუნტი სტერლინგი; 3. საუბ. მრავალი; უამრავი; 4. ამერ. სლენ. ასი მილი საათში.

tone [taʊn] 1. (ბაზრის) ხასიათი, ტონი; 2. ტენდენცია; საერთო ატმოსფერო, მდგომარეობა

tong [tag] ამერ. სლენ. სტუდენტთა სახლი.

ton-mile [ˌtɒn ˈmɪl] | ტონა მილზე (გადატანისუნარიანობასთან დაკავშირებით);

2. pl. ტვირთბრუნვა; **Δ** revenue - კომერციული ტონა მილზე

tonnage [ˈtɒnɪdʒ] 1. ტონაჟი, ტვირთამწეობა (ტონებში); 2. გემები. **Δ** cargo - 1.

ტვირთის ტონაჟი; 2. ტვირთის მასა; deadweight - (გემის) სრული ტონაჟი.

tool [tu:l] 1. ხაჭი; 2. გამოსაღები; მოსაკრებელი; 3. ამერ. კანონის მოქმედების დროებით შეწყვეტა; 4. ხეჩხი; მეთოდი; 5. სამარჯვი; მექანიზმი; 6. ინსტრუმენტი; (წინა- დადებისა და მოთხოვნის) მექანიზმი; 7. pl. შრომის იარაღები; 8. გადატ. ტვირთი; ვალი. **Δ** sales - ს რეალიზაციის მეთოდები და საშუალებები.

tooth-and-nail [ˈtu:θəndneɪl] ყოველგვარი საშუალებით, მთელი ძალისხმევით (კონკურენტული ბრძოლის შესახებ)

top [tɒp] 1. უმაღლესი წერტილი; უმაღლესი ნაფეხური; 2. აქც. უმაღლესი ფასი; აქციების უმაღლესი კურსი; 3. გადამეტება. **Δ** - secret „სრულიად საიდუმლოდ“ (გრიფი ფირმის ხელმძღვანელობის საბუთებზე)

topper [ˈtɒpə] განსაკუთრებით უმაღლესი ხარისხის საქონელი

tort [tɔ:t] სამოქალაქო კანონდარღვევა, (დელიქტი), რის შედეგად დაზარალებულს უფლება აქვს კომპენსაცია მიიღოს.

tortfeasor [ˈtɔ:t.fɪ:zə] ზიანის (ან ზარალის) მიმყენებელი; დელისკანტი; სამართალდამრღვევი.

tortious [ˈtɔ:tʃəs] დელიქტური, სამოქალაქო კანონდარღვევასთან დაკავშირებული.

torture [ˈtɔ:tʃə] 1. ფიზიკური ზიანის მიყენება ინფორმაციის გამოძალვის მიზნით; წამება; 2. აზრის (იდეის და სხვათა) დაშახინება.

torturer [ˈtɔ:tʃəzə] მწვალებელი; ჯალათი.

Tory [ˈtɔ:ri] ბრიტ. პოლიტ. თორი (კონსერვატიული პარტიის წევრი)

total [ˈtəʊtəl] 1. თინან. ჭამი; მთლიანი თანხა შედეგი; 2. მთლიანი; საერთო; 3. სრული, აბსოლუტური; 4. მთლიანი, ტოტალური; 5. თინან. დაჭამება; დაშედეგება; 6. შედეგენა; დათვლა; 7. მიღწევა, გატოლება; **Δ** - of taxes. გადასახადების საერთო მოცულობა; summary - საერთო შედეგი, ჭამური შედეგი

totality [ˈtəʊtəlɪti] (სრული) ნაყრები; (სრული) ერთობლიობა; სიმრავლე (მაგ., მოთხოვნისებებისა)

totalize [ˈtəʊtəlaɪz] დაჭამება; დაშედეგება

total loss [ˈtəʊtəl ˈlɒs] მთლიანი დანაკარგი; სრული დანაკარგი; გამოუწვორებული დანაკარგი (დაზღვევაში), რომლის გამო შეუძლებელია საგნის (ტვირთის და სხვათა) აღდგენა ან გამოყენება. შენიშვნა: ასეთ დანაკარგს უწოდებენ კონსტრუქციულ დანაკარგს constructive total loss.

ite [taut] აქერ. საუბ. 1. გადატანა, გადახიდეა საგ., ციკროსისა; 2. ტვირთი

ities quoties ლათ. („ტოტიეს „კოტიეს“), იმდენად ჩვიროს რა რ...
ოა"

iting up ['tatiŋ'ʌp] საგზაო მოძრაობის დარღვევათა სივრცეში ძველი
ვევის ფაქტის დამატება.

to up ['tʌt'ʌp] 1. ჯამი; 2. შეკრება; დაჯასება; შეჯასება; 3. დამატება
to-ich [tʌɪʃ] შეხება; მიხება; კონტაქტი; კავშირი; ურთიერთობა. **to - bottom** ყვე-
აბალ დონემდე დაცემა (მაგ., აქციების კურსის შესახებ)

touch-and-go ['tʌtʃənd'gəʊ] კრიზისული, სარისკო, სახიფათო, საფრთხილო, სა-
ში (მაგ., საქმიანი წამოწყების შესახებ)

tour [tuə] 1. ციკლი (მაგ., კომიუნიკაციის ამოცანაში); 2. მუშა ცეცხლი; 3. შემოვლა;
-ლი; მალაზიების შემოვლა (რაიმეს ყიდვის მიზნით)

tournament ['tʌniəmənt] თამ. თეორ. ეკ. ტურნირი

tout [taut] 1. საქონლის აქტიური გამსაღებელი. კომიუნიკაციის; 2. საქონლის გა-
საღება თავსმოხვეული ხერხებით

tow [taʊ] 1. ბუქსირით წაყვანა; 2. ბუქსირით წაყვანილი გემი

town: **to go to** - სლენ. წარმატების მიღწევა (ბიზნესში და სხვ.); **on the** - სლენ.
ფინანსური დახმარება მიღებული; სახელმწიფო დოტაციებზე მყოფი

township [taʊnʃɪp] 1. აქერ. (საცხოვრებელი) ადგილი; რაიონი; 2. დაბა, დასახლე-
ბული პუნქტი; 3. ბრიტ. ფერმა; მამული

Toyota იაპ. ტოიოტა (მსხვილი საავტომობილო გაერთიანება, რომელიც უშვებს
მცირე, საშუალო და დიდი სიმძლავრის ავტომობილებს, სათადარიგო ნაწილებს და სხვ.)

trace [treɪs] 1. კვალდაკვალ დევნა; (ექვმიტანილის) ძებნა; თვალთვალი (ექვ-
ვიტანილის ქმედებისა); 2. გეგმის ზოგადი მონახვა; 3. შედეგი; რეზულტატი;
4. დაფიქსირება; 5. ჩაწერა; 6. ტრასირება; მონიშვნა; 7. ძლივს გარჩევა; 8. კვალი;
9. ძებნა; ძიება; 10. შედეგი, ნიშანი (მაგ., ბიზნესის დასაწყისისა); 11. ჩაწერა (ჩამწერ აპარ-
ატში); 12. (თვალის) მიდევნება; დადგენა (მაგ., ხელშეკრულების საფუძვლისა).

tracer ['treɪsə] 1. ტვირთის გამოგზავნის ან გამოზიდვის მოთხოვნა; 2. ტვირთის
გადახიდეის მსვლელობის ინფორმაციის მოთხოვნა; ტვირთის ადგილმდებარეობის
ინფორმაციის მოთხოვნა; 3. შესვენება (პაუზის დაგვიანების თაობაზე)

track [træk] 1. კურსი; გზა; 2. კურსის დადგენა; 3. ფრენის მარშრუტი; **to storage** -
სათანადარიგო გზა

trackage ['trækɪdʒ] 1. სარკინიგზო ქსელი; 2. სარკინიგზო გზებით სარგებლობის
უფლება

tradable ['trɛdəbl] 1. შემოსავლიანი (მაგ., საქონელი); 2. სასაქონლო; საბაზრო;
to trade 1. ვაჭრობა; 2. სავაჭრო დარგი; წარმოების დარგი; წარმოება; 3. სავაჭრო
წრე; ვაჭრები; 4. საცალო ვაჭრობა; 6. პროფესია; ხელობა; 7. ამერგარიგება; გაცეცხლა;
8. (საზღვაო) რეისი. **to advertisement** (ვაჭრობის სფეროს) სარეკლამო განცხადება;

~ **booth** საგამოფენო სტენდი; ~ **fair** ბაზარი; ~ **magazine** პროფესიული (საეაქრო დარგის) ჟურნალი; **Δ barter** ~ ბარტერული ვაჭრობა; გაცვლითი ვაჭრობა; საქონლის უშუალო გაცვლა; **foreign** ~ საგარეო ვაჭრობა; **money** ~ ფულით ვაჭრობა; **retail** ~ საცალო ვაჭრობა

trade [ˈtɹeɪd] 1. ყიდვა-გაყიდვა; ფაჭრობა; სავარო ბიზნესი; 2. საცალო ვაჭრობა; 3. ვაჭართა წრე; ვაჭრები; 4. სავაჭრო დარგი; სავაჭრო საქმიანობის გაძღოლა; 5. პროფესია; ხელობა; 6. ამერ. გარიგება.

trade gap [ˈtɹeɪd ɡæp] სავაჭრო ბალანსის დეფიციტი.

trade-in [ˈtɹeɪd ˈɪn] შემხვედრი გაყიდვა (ძველი საგნისა გაყიდვა და ახლის ყიდვა)

trademark [ˈtɹeɪdmɑ:k] ლიცენზისავაჭრო ნიშანი; საქარხნო მარკა; სასაქონლო ნიშანი

trade name [ˈtɹeɪd ˈneɪm] (საქონლის) სავაჭრო სახელწოდება

trade off [ˈtɹeɪd əf] საგ.ე.ე.ურთ. კომპრომისი; შეთანხმება; ალტერნატივა (მაგ., რაიმე კომრეციული ვალდებულების შესრულება მომსახურების გარანტიის მიღების პირობებში)

trade-outs [ˈtɹeɪdaʊt] (ავტოფარდულეებში და სხვაგან) ვაჭრობის შეწყვეტა

trader [ˈtɹeɪdər] 1. ვაჭარი; ბიზნესმენი; 2. ბითუმად მოვაჭრე; 3. ვაჭრობის პროფესია; ხელობა; 4. მალაზია; ფარდული; სავაჭრო წერტილი; 4. ბირჟის მაკლერი; 5. სავაჭრო გემი

tradesman [ˈtɹeɪdzmæn] 1. იხ. **trader** 1., ცალობით მოვაჭრე; 2. ხელოსანი

tradespeople [ˈtɹeɪdzpi:pl] ვაჭრები; ვაჭართა ფენა

trade terms [ˈtɹeɪd ˈtɜ:mz] 1. სავაჭრო (ურთიერთობათა) ტერმინები. იხ. აგრეთვე **incoterms**; 2. ბითუმად და ცალობით მოვაჭრეთათვის გასაგები სიტყვები

trading [ˈtɹeɪdɪŋ] 1. ვაჭრობა; 2. სავაჭრო; ვაჭრობით დასაქმებული; 3. გარიგების დადება. **Δ ~ in futures** (გარკვეული) ვადით გარიგება; **Δ job lot** ~ საბირჟ. არასტანდარტული პარტიის საქონლის მიწოდების ოპერაცია; **odd lot** ~ საბირჟ. მცირე პარტიის ფაისანი ქალაღდებით ჩატარებული ოპერაცია

trading-down [ˈtɹeɪdɪŋ daʊn] გამყიდველის მისწრაფება მყიდველის მოსაზიდად, როდესაც გაყიდვის შედეგად მცირე მოგებას ღებულობს

trading-up [ˈtɹeɪdɪŋ ˈʌp] კონსერვაციის შედეგად ვაჭრობაში კაპიტალდაბანდებათა (მო)მატება

traditionalism [trəˈdɪʃnəlɪzəm] ტრადიციებისადმი ერთგულება; ტრადიციონალიზმი

traffic [ˈtræfɪk] 1. გადატანა; ტვირთბრუნვა; 2. ტრანს. მოძრაობა; ტრანსპორტი; 3. ტრანს. ფრაბტი; ტვირთი; გადასატანი ტვირთის რაოდენობა; მგზავრთა რაოდენობა; 4. ტრანს. pl. გადატანის ობიექტები (ტვირთი, მგზავრები); 5. კავშ. მიღებული და გადაცემული ტელექსებისა, და შეტყობინებათა რაოდენობა; 6. კავშ. ტრაფიკი; საინ-

ფორმაციო შეტყობინებათა ნაქალი; მუშა დატვირთვა (საინფორმაციო კავშირის ხაზისა). **Δ to carry on** ~ ვაჭრობის (ოპერაციის) ჩატარება; ~ **department** შეკვეთების გასვლის განყოფილება (სარეკლამო სააგენტოში); **data** ~ მონაცემთა ნაქალი; საინფორმაციო ნაქალი; **stream** ~ ნაქალური ტრაფიკი

trafficker ['trɑ:fɪkə] 1 ადამიანებით მოვაჭრე; ტრაფიკერი; 2 აკრძალული საქონლით ან გარეული ცხოველებით მოვაჭრე.

trailer ['treɪlə] (ავტო)მისაბმელი, ტრაილერი

trailership ['treɪlɪʃɪp] ტრაილერწამყვანი (გემი); ტრაილერშიზი

train [treɪn] 1 შესწავლა; მომზადება; 4. ვარჯიში; 5. მატარებელი; 6. მატარებლით მგზავრობა. **Δ fast** ~ სწრაფი მატარებელი; **mail** ~ საფოსტო მატარებელი

trained [treɪnd] ნასწავლი, მომზადებული; ნაეარჯიშევი

trainee [treɪni:] მოსწავლე (წარმოებაში); სტაჟიორი

training ['treɪnɪŋ] 1. სწავლება; დასწავლა; შესწავლა; მომზადება; 2. ვარჯიში
job ~ პროფესიული სწავლება

traitor ['treɪtə] მოღალატე; გამცემი.

tramp [træmp] 1. ტრემპი, მოხეტიალე გემი; სატვირთო გემი; 2. დემ. მანქანწალა

სიტყვათმომოკლებათა უსისტემოდ შექმნით ვითარდება ენობრივი ქაოსი, მახინჯდება ასო-ნიშანთა სახელწოდებები სწორად წარმოებული სიტყვათმომოკლებით მკითხველი სწრაფად წვდება ტექსტის ან გამოთქმის არსს თვით ფრაგმენტის შემოკლების ხარჯზე. ამასთან მცირდება ბეჭდვითი სიტყვის მოცულობა, მიიღწევა ქალაქისა და ელექტრონული საურთიერთო ეკრანული და ინტერნეტულ-სივრცითი გვერდების ეკონომია და სხვ.

წესების სისტემის მიზანია სიტყვათმომოკლების სფეროში არსებული ნაკლის აღმოფხვრა და, ამ მხრივ, სახელმწიფო ენის ნორმის რეგულირება.

ძირითადი დებულება: ლექსიკური სახის სიტყვათმომოკლება (აბრევიატურა შესამოკლებელი სიტყვების პირველი ასოებისაგან შემდგარი ლექსიკური ერთეული და აკრონიმი შემოკლებული სახელი), რომელიც შეიცავს თუნდაც ერთ ხმოვან ასო-ნიშანს, იწერება ისე, როგორც იკითხება და, პირიქით, იკითხება ისე, როგორც წერია. თუ სააბრევიაციო ერთეული მხოლოდ თანხმოვნებია (ე. წ. „გრუ“ აბრევიატურა, ტერმინი ეკუთვნის პროფ. გ. წიბახაშვილს) ხდება მათი გასიტყვება. გრაფიკული სახის სიტყვათმომოკლება (ის არ წარმოადგენენ ლექსიკურ ერთეულს) ექვემდებარება ტრადიციულ წესებს და შევსებულია თანამედროვე მოთხოვნების მომენტებით. სიტყვათმომოკლების ასოების მოხაზულობა ჩვეულებრივი შრიფტისაა, ტექსტისაგან ვიზუალურად არ გამოირჩევა (არ გამოიყოფა) არც სისქითა და არც სიმაღლე-სიგანით.

ძირითადი წესი (ორ თანხმონიან აბრევიატურათა გასიტყვება): სიტყვათმომოკლება შეიძლება წარმოებულ იქნას აზრობრივად სწორი სიტყვანაერთებისაგან, რომლის შემადგენელი სიტყვების პირველი (ინიციალური) ასოები ნებისმიერი თანხმოვნებია. საამისოდ ამ თანხმოვნების წყობას დავურთავთ შესამოკლებელი სიტყვანაერთების ბოლო სიტყვის ბოლო ასო-ნიშანს, რომელიც როგორც წესი, ხმოვანია, და სახელობითი ბრუნვის ნიშანი. ამასთან, ხმოვნებზე დაბოლოებული აბრევიატურები, რომლებშიც ხმოვნები შემოკლებულ არსებით სახელებს (ობიექტებს) აღნიშნავენ, ფუძემდებელი არიან.

წესი წარმოადგენს ყრუ ანუ თანხმობან ასობზე დაწყებული, შესა-
მოკლებელი სიტყვების გახმოვანების მექანიზმს. საამისოდ საჭიროა საბაზო
ტერმინოლოგიური ელემენტის დამოღლება, რომელიც გულისხმობს ზოგი-
ერთ ორსიტყვიან, მსაზღვრელ-საზღვრულიანი, გარკვეული კლასის ობი-
ექტების (ორგანიზაცია, კომისია, კომიტეტი, პარტია, ფონდი, ქსელი, კომ-
პიუტერი და სხვ.) ზოგად არსებით სახელს. მაგალითად, ერთი სახის მყა-
რი საბაზო ტერმინოლოგიური გამოთქმა „საარჩევნო კომისია“ ინიციალურ
წესით მოკლედ ასე იწერება: სკ, ქართული ასო-ნიშნების დამუ-
ხინებლად იგი გამოითქმის როგორც „სან-კან“ (სანკან; არაპრაქტიკულია.
მიზეზი: ქართული ასობის სახელწოდებები, რაე და ჰაეს გამოკლებით,
სამ ასოიანია, თანხმოვნებზე მთავრდება). ამ წესით „საარჩევნო კომისი-ა“
აბრევიატურულად არის სკ-ა. იგი როგორც იწერება ისე იკითხება.
ერთ-ერთი სახის ორთანხმოვნიანი საბაზო ტერმინოლოგიური გამოთქმა
„ღ-ირებულების გადასახად-ი“ შემოკლებით არის ღგ-ი.

შენიშვნა: აბრევიატურა მარტივად იწარმოება იმ შემთხვევაშიც,
როდესაც საბაზო ტერმინოლოგიური გამოთქმის მაკონკრეტებელი მსაზღ-
რელი სიტყვა ხმოვანზე იწყება. მაგალითად, ზემოდანიშნულის კვალდაკვალ,
„საარჩევნო კომისია“ სხუადასხვა სახისაა: ადგილობრივი საარჩევნო
კომისი-ა ასკა. „ენერჯის მარეგულირებელი ეროვნული კომისი-ა“
ემეკა. აქედან კონკრეტულად „საქართველოს ენერჯის მარეგულირებელი
ეროვნული კომისი-ა“ სემეკა.

**მეორე მუხვი (მრავალთანხმოვნიან „ყრუ“ სიტყვათშემოკლებათა გასიტყ-
ვება):** თანხმოვნებით დაწყებული რამდენიმე სიტყვიანი გამოთქმიდან აბ-
რევიატურის საწარმოებლად ვიღებთ პირველი (ან/და მეორე, მესამე,
ზოგჯერ მეოთხე) სიტყვის მარცვალს (მარცვლებს), ზოლო მოძღვენო
სიტყვებიდან კი ჩვეულებივ პირველ ასობს.

მაგალითად, „ცენტრალური საარჩევნო კომისი-ა“ შემოკლებით არის
(ქესკა); „დამოუკიდებელ სასელმწიფოთა თანამეგობრობა“ დასთა. მაგრამ
პრაქტიკაში იწერება დასთა (დასთა); „მატატებული ღირებულების გადასა,
ხად-ი“ დაღგ-ი (დაღგი); „შეზღუდული ჰასუხისმგებლობის საზოგადოება“
- შქსს-ა (შქსსა). ტენდენციურად იწერება როგორც ღღგ-ი, შქსს-ა და ა.შ.

შენიშვნა (შერეული, თანხმოვან-ხმოვნიანი ინიციალური აბრევიატურე-
ბი, რომლებიც იწარმოებიან სალექსიკო ერთეულის შინაარსის მიხედვით):

ა) თანხმოვან-ხმოვან-ხმოვნიანი და ხმოვან-თანხმოვნიანი აბრევიატურები.
მაგალითად, გამოთქმისათვის „გაერთიანებული ერების ორგანიზაცია“, ამავე
წესით, პირველი და მეორე სიტყვებიდან თითო მარცვლის გამოყოფით და
მესამე სიტყვის პირველი ასოს მიმატებით მიიღება ლექსიკური ერთეული
გაერო. არაზუსტია ინიციალური წესით წარმოებული გვლ (წინსართი ჰგეო“
დღეამიწასთან დაკავშირებულ ცნებებთან იხმარება: გეოგრაფია, გეოლოგია,
გეოსისტემა და სხვ.). ოქტანური რიცხვ-ი, ოქრი (ოქრი; არ გამოდგება
ინიციალური წესით წარმოები ორი).

გამოთქმის „თბილისის ელექტრონული ავტომატური სადგურ-ი“ აბრე-
ვიატურა იწარმოება მეორე სიტყვის მარცვლისა და დანარჩენი სიტყვების

საწყისი ასობისაგან მივიღებთ თელას-ი (თელასი). არ გამოდგებოდა პირდაპირი ინაიციალური გამოთქმა თელას-ი.

მესამე წესი: ერთნაირი თანხმოვნებისაგან დაწყებული სიტყვების შესამოკლებლად და აბრევიატურის ადვილად გამოსათქმელად აღებულია პირველი (და, ზოგჯერ სააბრევიაციო ერთეულის არსის შესატყვისად, მეორე) სიტყვის თავიდან მარცვლი, სხვა შესამოკლებელი სიტყვიდან კი, ჩვეულებრივ, მხოლოდ პირველი ასოები.

ამ წესში კომბინირებულად გამოყენებულია პირველი და მეორე წესები. მაგალითად, სიტყვებიდან „მთავარი მა-დაბლებელი ქვესადგურ-ი“ მიიღება ახალი ქართული ლექსიკური ერთეული მმაქ-ი (მმაქი). იგი თითქმის ისევე ჟღერს როგორც გავრცელებული სიტყვა მმაჩ-ი (მმაჩი) და ა.შ.

მეხუთხე: დასაშვებია ერთნაირხმოვნისანი ასოებით დაწყებული შესამოკლებელი გამოთქმების გასიტყვება, რომლებიც სემანტიკით და ენის სტრუქტურით გრამატიკულად სწორია. მაგალითად, „ანგარიშგება-არჩევნები“ ჩაიწერება გრაფიკულად: ა-ა (აა), ასეთი აღნიშვნა აბრევიატურა არ არის. მაგრამ თუ საკითხი ეხება კონკრეტულ შედეგის ფიქსაციას „ანგარიშგება-არჩევნების შედეგ-ი“ მიიღება აბრევიატურა ააშ-ი (ააში); ანალოგიურია ვერისტიკული ენის ანალიზატორი ევეა (არ გამოდგება ეეა, იგი არალექსიკური ერთეულია) და ა. შ.

მეოთხე წესი (აკრონიმები) თანხმოვნებით დაწყებული რამდენიმე (სამი და მეტი) სიტყვიანი გამოთქმიდან აკრონიმის მისაღებად საკმარისია შესამოკლებელი სიტყვების პირველ მორფემს და მომდევნო სიტყვების პირველ ასოებს) შეუმოკლებლად დაერთოთ ბოლო სიტყვა.

ამ წესში იხმარება მარცვლის გამოყოფის ელემენტი (მეორე წესი). მაგალითად, სიტყვების „გამოყენებითი ლინგვისტიკის ბიურო“ აკრონიმია გალიბურო; ლექს-იკოგრაფიული ცენტრი ლექსცენტრი და სხვ.

მეხუთხე: ა) დასაშვებია ტრადიციულად ქცეული წმინდა მორფემული (ან შერეულ-მორფემული) აკრონიმის წარმოება. ფილ-ოლოგიის ფაკულტეტი ფილფაკი; ფიზ-იკის ფაკულტეტი ფიზფაკი, რაიონული კომ-იტეტი რაიკომი; ბ) დასაშვებია დაწესებულებათა, ორგანიზაციათა, პოლიტიკურ გაერთიანებათა და სხვათა სახელწოდებების აკრონიმები. ამასთან მისაღებია ერთსიტყვიანი პირობითი შემოკლებები - კვაზიაკრონიმები.

მაგალითად, საქპატენტი (საქართველოს სახელმწიფო საპატენტო უწყება „საქპატენტი“), საქნავთობი (საქართველოს ნავთობის ეროვნული კომპანია „საქნავთობი“), საქრკინიგზა (შპს-ა „საქართველოს რკინიგზა“) და სხვ.

მეექვთე წესი (გრაფიკული და გრაფიკულ-ლექსიკური შემოკლებები): საერთაშორისო ხმარების სიტყვების ტერმინოლოგიური გაველნით (საქონლის ექსპორტ-იმპორტისას წონის, ზომის, მოცულობის ერთეულები ასევე დოკუმენტურ-გაფორმებითი შემოკლებები და სხვ.) ქართულ ენაში სიტყვათშემოკლება იმ კალკის სახით შემოგვაქვს, როგორც პირველწყარო ენა, შიბა დანერგილი. დანარჩენ შემთხვევებში გამოიყენება ქართულ ენაში ტრადიციულად არსებული გრაფიკული ტიპის შემოკლებები და მათი თანამედროვე ეკვივალენტები.

მაგალითად, შემოკლებებისათვის „პროფესიული“ და „პროფესია“ მიღე-

ბული კალკის პრო პრო (იპო) ომონიზა პროფ (იხმარებოდა პარალელური ფორმა პროფ (წერტილის გარეშე) მაგ, პროფკაემირი, პროფსაბპო და აშ.). ესპანურიდან მომდინარე ცგო (cargo ტვირთი, რუს. груз) აბრევიატურული კალკია კგო. იტალიური წარმოშობის აბრევიატურის fco (franco, ფრანკო) ფრანკო (თავისუფალი, გადასახადისაგან განთავისუფლებული) კალკია ფკო. აბრევიატურის Co (Company კომპანია) კალკია კო და ა. შ.

შენიშვნები:

1) ტრადიციულია გრაფიკული სახის შემოკლებები (ისინი არ ადგენენ ლექსიკურ ერთეულებს). საქ. (საქართველო, წერტილის გარეშე იხმარება სიტყვათწერეთში, მაგ, საქეაწრობა), სახ. (სახელმწიფო, წერტილის გარეშე იხმარება სიტყვათწერეთში, მაგ., სახარემია), ბ. ა. (ბეჭდის ადგილი), ეწ. სხ. (ან სხვ.), შდრ., კგ., წმ., სმ., მმ., მქკ., ნახ., ფიგ., ტ., ეო. აშ., რეგ. (რეგისტრი, რეგისტრაცია), გ. ს. მ. ს. (გვარი, სახელი, მამის სახელი), ინგ. (ინგლისი), აშშ (უზგობესია აშშ-ი) და ასე შემდეგ.

2) დასაშვებია ტრადიციულ-რელიქტური დეფისური სახის გრაფიკული შემოკლებები: რაიონი რ-ნი, უნივერსიტეტი უნტ-ტი, ინსტატუტი ინსტ-ტი და ასე შემდეგ.

3) იხმარება დახრილი ხაზით გამოყოფილი გრაფიკული შემოკლება რკინიგზა რკ/გზ, რიგის მიხედვით რ/მ, ანალოგურ-ციფრული ა/ც და სხვები.

დ) იხმარება ნულოვანი შემოკლებები (გრაფიკულად არ გამოიყოფა წერტილით, დახრილი ხაზით ან ტირეთი) გ (გრამი): მ (მეტრი), კმ (კილომეტრი) და სხვები.

4) დასაშვებია გრაფიკული სახის აბრევიატურა (წერტილებით გამოყოფილი სიტყვების შემოკლებები). მაგალითად, მაგალითად, ჩი (foot, ფუტი) ფტ. (წერტილით). sid (standard ტაიპარ სტანდარტი). სტ. (წერტი.), გალ. (gal. gall. გალონი) და სხვები.

5) უცხოენოვანი სიტყვათშემოკლებების ქართულად გადმოტანა ითვლება გამონაკლის შემთხვევად. უცხო აბრევიატურა იწერება ქართული ასოებით, ამასთან უცხო ენის აბრევიატურის გამოთქმის მიხედვით, მხოლოდითი ნიშნით დაბოლოებითა და ტირეებით გამოყოფით მაგ., IBM აი-ბი-ემი (ერთ-ერთი ამერიკული კომპიუტერული ფირმა), CNN სი-ენ-ენი, BBC ბი-ბი-სი და ა. შ.

6) დასაშვებია გავრცელებული აკრონიმული ნეოლოგიზმების ქართული ეკვივალენტების წარმოება: მაიკროსოფთ-ი (Microsoft) ინტრანეტი (Intranet-ლოკალური საინტერნეტი ქსელი), ჰიპერტექსტი (Hypertext) და ა. შ.

7) დასაშვებია ექსპორტ-იმპორტში გამოყენებული მნიშვნელობების (ინტერმინები) ქართული ეკვივალენტების წარმოება. მაგალითად, გამოთქმა „ფა-სი, ფრანტი და დახლევე-ა“ მოკლედ ჩაიწერება ფაფ-ა (ფაფა); „ფრან-კო საზღვარ-ი“ შემოკლებულად არის ფკო-სი (ფკოსი) და ა. შ. ისინი არ ჩაითვლებიან გრაფიკული სახის შემოკლებებად.

8) დასაშვებია აკრონიმული ნეოლოგიზმები ტიპებისა ავტო (ავტომობილი), მოტო (მოტოციკლეტი), ავია (ავიაცია) და სხვ.

9) გრაფიკული სახის შემოკლებებია მხოლოდ ხმოვნისაგან შედგენილი შემოკლებანი, რომლებსაც ზუსტ და ტექნიკურ მეცნიერებებში იყენებენ. მაგალითად აა (არითმეტიკული ანალიზატორი; არ ვარგა არ-ა), ოო (ოპტიკური ობიექტი) და ა.შ.

10) სიტყვათშეგოჭლავითი შეზღუდვები: ა) ქართულ სიტყვათშემოკლებებში დაუშვებელია არითმეტიკული მოქმედებების აღმნიშვნელი და სხვა სიმბოლოების (მაგ, %, &, \$) გამოყენება; ბ) როგორც წესი, არაა მიღებული ზმნების შემოკლება.

გოკლე დანართი

(მცირე აბრევიატურული ლექსიკონი)

პირითადი დებულებით (ქართული ენის სტრუქტურის ბუნებრივი თვისებით): თბილისის ს-ახელმწიფო უნივერსიტეტი თსუ; ს-აქარაველოს ტ-ექნიკური უნივერსიტეტი სტუ; ს-აქარაველოს ე-როვნული მ-ეცნიერებათა ა-კადემია სემა; ე-ეროპის უ-საფრთხოებისა და თ-ანამშრომლობის ო-რგანიზაცია ეუთო; ს-ამეცნიერო კ-ელევიითი ი-ნსტიტუტი სკი; ა-პერიკის შ-ეერთებული შ-ტატები აშშ-ი (ბრუნეის ნიშნით, იხ. პირველი წესის მოთხოვნა); ქართული ე-ნის გ-ანმარტებითი ლ-ექსიკონი ქეგლი (ქეგლ-ი); ს-აქართულოს ე-ნერგეტიკის მ-არეგულირებელი ე-როვნული კ-ომისია სეშეკა (სეშეკ-ა); ს-აქართულოს ა-ხალგაზრდა ი-ურისტთა ა-სოციაცია საია, ე-ეროპის უ-საფრთხოებისა და თ-ანამშრომლობის ო-რგანიზაცია ეუთო; ე-ეროპული მ-ონეტარული კ-ავშირი ეშკი (ეშკი), ინტელექტუალური ს-აკუთრების მ-სოფლიო ო-რგანიზაცია ისმო (იხ. ტექსტში WIPO) და სხვ.

პირველი წესით: დ-ამატებული დ-ირებულება დლა (დლა-ი); დ-ამატებული დ-ირებულების გ-ადასახადი დღგი (დღგი-ი); შ-ეზღუდული პ-ასუხისმგებლობა შპა (შპა-ი); შ-ეზღუდული პასუხისმგებლობის ს-აზოგადობა შპსა (შპსა-ი); ს-ასამართლო გ-ადაწყვეტილებათა აღმსრულებელი სგა (სგა-ი); ს-ააღმსრულებლო ფ-ურცელი სფი (სფი-ი); ს-ისხლის ს-ამართლის პ-როცესუალური კ-ოდექსი სსკი (სსკი-ი); ს-ამართლის ნორ, მების კ-რებული სნკი (სნკი-ი); დ-ამოუცილებელ ს-ახელმწიფოთა თ-ანამეგობრობა დსთა (დსთა-ი); ს-ააქციონერო ს-აზოგადობა სსა (სსა-ი); ს-ამართლის ბ-აკალავრი სბი (სბი-ი); ზ-ოგადი ს-ამართლის დ-ოქტორი ზსდი (ზსდი-ი); გ-ამომთელელი მ-ანქანა გმა (გმა-ი); მ-ექანიკური ქარხანა მქა (მქა-ი)

მეორე წესით: ცენტრალური ს-აარჩვენო კ-ომისია ცესკა; გა-ერთიანებული ერების ო-რგანიზაცია გაერო; თბილისის ელ-ექტრონული ა-ვტომატური სადგური თილას-ი; შ-ეპენილი ი-მუნო-დ-ეფიციტის ს-ინდრომი შიდსი, თ-ავისუფალი ე-აჭრობის ე-ეროპული ა-სოციაცია თავეა (იხ. ამ წიგნში EFTA) და სხვ.

მესამე წესით: მ-თავარი მ-ომორავებული ს-ტიმული მმასი (ავე-

ბულებით ანალოგიურია არსებული აბრევიატურისა მშანი; მ-თავარი მ-აღაბ-
ლებელი ქვესადგური მშაქი და სხვ.

ვაიოსხე ჟისით (აკრონიმები): ლექსიკოგრაფიული ცენტრი ლექს-
ცენტრი; საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა ლე-
ქსიკოგრაფიული ცენტრი სტემ-ლექსცენტრი; ფილ-ოლოგიის უკ-ულტეტი
ფილფაკი (ფილფაკი); ფიზ-იკის ფაკ-ულტეტი ფიზფაკი (ფიზფაკი) და
სხვ აგრეთვე უიტელი (ჯი-ბის ტელ-ფონი. ტერმინი ვაწარმოეთ 2004
წელს) და ა. შ.

მხსუთე ჟისით (არალექსიკური ერთეულები ანუ ტრადიციული მარ-
ტივი გრაფიკული სახის შემოკლებები): ბ. ა. (ბეჭდის ადგილი); გ.ს.ს.
(გვარი, სახელი, მამის სახელი), ფიგ. (ფიგურა); ცსრ. (ცხრაღი; ეი. (ესე
ივი), ის. (იხილე, იხილეთ) და ასე შემდეგ.

ღამატამითი განმარტამები:

I. მიზეზთა გამო აბრევიატურის პრობლემით სერიოზულად არ დაინტე-
რესებულა სიტყვის კულტურის თუ ტერმინოლოგიის საკითხებზე მომუშავე
ქართველი ენათმეცნიერი. აქამდე აბრევიატურაში ან სიტყვათმეცნიერებაში
ტერმინოგრაფიაში (ამ ტერმინებს არც კი სმარობენ) არ გამოუქვეყნებიათ
რაიმე სერიოზული ნაშრომი, თუნდაც სიტყვიერი ან რაიმე სახის აბრე-
ვიატურული ლექსიკონი. ამგვარ სიტყვათმეცნიერებაში ინდიფერენტობას თავ-
ისი მიზეზი ჰქონდა: ენათმეცნიერებაში ითვლებოდა (და დღესაც ენათმეც-
ნიერების ინსტიტუტში ზოგიერთი თვლის), რომ აბრევიატურა „არაქარ-
თული მოვლენა“, „ყურს ჭრის“, „მძიმე გამოსათქმელია“ და ა. შ. ეს
ფუჭი მსჯელობაა. ამ მხრივ საინტერესოა ქართული ენის ერთი მნიშ-
ვნელოვანი შესაძლებლობა. გვაქვს „აბრევიატურებას მსგავსი“ ასასობათ
სიტყვები **ბრჯეუ** (ვეიან მოქმედი ბ-საა), **წერთა** და ა.შ. მიჯრით
განლაგებული შვიდ თანხმონიანი სიტყვები **გეწერთის**, **გეფეტანის** და
სხვ. ამ ნიშნით **გეფეტანის** შეტანილია „გინესის რეკორდების“ წიგნში
(1993 წ გვ. 162). ჩვენ „გავაუმჯობესეთ“ ეს რეკორდი სიტყვით **გებრდენის**
(მიჯრით რვა თანხმონიანი რ. ბერულავა, თ. ბერულავა ქართ-ინგ-რუს
პროფესიული განმ. ლექსიკონი, 1994 წ. გვ. 439; გაზ. „საქენსაპულიკა“,
II აპრ., 2000 წ.; ფურნ. „სარკე“, 10-11 ხექტ., 2004 წ.). თურმე შეიძლება
მეტის დაქებნა, მაგალითად, შედგენილი სიტყვით **ქერქებრდენელი**. მასში
მიჯრითაა განლაგებული 10 (ათა!) თანხმონიანი და სხვ. სხვადასხვა ხის
ქერქებრდენელი და ქერქებრდენელი (ქერქებრდენელიში შედის
მიჯრით განლაგებული ცხრა თანხმონიანი ასე ვთქვათ, ჩვენზე „რეკორ-
დი.“) პეური ფრინეული და ცხოველი (მაიმუნე, დათვი და
სხვ.). ასეთი სიტყვებიც ენადა და „წყაროთა თვალი“ (გრ. რობაქიძე).

II. „ძირძველ ქართულს არ ახასიათებდა სიტყვათმეცნიერება“, ბრძანებს
ბატონი აკაკი ზინთობიძე (ამ სათაურით გამოქვეყნდა მისი წერილი იხ.
გაზ. „საქენსაპულიკა“, 16 ოქტ., 2003 წ.). ეს არ არის სწორი
ენათმეცნიერული პოზიცია. ჩვენი წინაპრებს (XI-XII სს და შემდგომ)
დამსახურებაა ის რომ ენათმეცნიერული ანალიზისა და მიხედვით
წყალობით (თანამედროვე გაგებით ევრისტიკულად) უძველესი დროიდან ქარ-

აგების სახით გვექონდა და შემოგვჩა სიტყვათა შემოკლებები. მაგალითად, „ქართულ ენას ახასიათებდა სიტყვათა შემოკლება: ღი (ღმერთი), თღი (თავადი), უფ (უფალი), ბნი (ბატონი) და სხვ. მეგრულ კანუ რიდან შემოგვჩა აკრონიმული გამოთქმა კელუ (ყეტი ღულა - მოღუნული ვოხი), აქედან კელუსია და სხვ. ძირძველ ქართულში ასოებით აღინიშნებოდა წლები, სანამ რიცხვთა არაბული სისტემა შემოვიდოდა და სხვ.“ (იხ. რ. ბერულავა „ენის დაცვა გაქცეული კალმით შეუძლებელია“. გ.ზ. „საქრესპუბლიკა“, № 330, 7 დეკ., 2003 წ.).

III. ზემოთ მოტანილი სიტყვათშემოკლებათა სისტემური წესები შეიქმნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ავტორი რევაზ ბერულავა. წარმოდგენილი სახით, იგივე სათაურით, იგი დაიბეჭდა წიგნში: რ. ბერულავა, ი. ქვაჩახია და სხვები სატრანსპორტო ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი, გვ. 251-258. რევაზ ბერულავას გამომცემლობა „იბერთედ-პრესი“, ISBN 99928-317-2-0. თბ., 2003 წ.). ამიტომ არ არის ინტერესმოკლებული სხვა საენათმეცნიერო დაწესებულებების სპეციალისტთა მოსაზრებები. მაგალითად, ს.-ს. ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის გამგე, აწ განსვენებული პროფესორი ალექსანდრე დლონტი და პროფესორი გიორგი წიბახაშვილი მრავალმხრივი ანალიზის შედეგად წერდნენ ჩვენი პირველი და მესამე წესების მნიშვნელობაზე (კერძოდ, „ყრუ“ აბრევიატურების გახმოვანების სიმარტივის შესახებ): „აბგვრთა საფუძვლად აიღო ეს წესი (ლჰაჰარაჰა ჩემს პირველ წესზე - რ. ბ.) დაუმატა მას ახალი მომენტები და ჩამოაყალიბა, ჩვენი აზრით, მისაღები და თანამედროვე მოთხოვნებთან შეფარდებული შემოკლებები: გამოთქმის გაადვილების მიზნით თანხმონებზე დაწყებული შესამოკლებელი სიტყვებიდან აიღო არა მარტო თავიიდურა ასოები, არამედ საჭიროების შემთხვევებში მათთან ერთად მარცვლებიც და აბრევიაციულ ერთეულებს დამკვიდრებულ სიტყვათა მსგავსი ფერადობა მისცა“ (ალ. დლონტისა და გ. წიბახაშვილის წერილი „წინათქმის მაგიერ“ წიგნში: რ. ბერულავა - რუსულ ქართული ლექსიკონი (აბრევიატურების ლექსიკონითურთ). თსუ, 1993 წ. გვ. 22). ამის მკაფიო მაგალითია კომპლექსი ცესკა, სემეკა და სხვა მრავალი (იხ. ამ წიგნში თანდართული აბრევიატურული ლექსიკონი). ანალოგიური მოსაზრება გამოთქევს სხვა სპეციალისტებმაც თსუ-ის ძველი და ახალი ქართული ენების კათედრებზე 2000-2001 წლებში ჩვენი მოხსენებების განხილვა-ანალიზის შემდეგ: „მიგვაჩნია, რომ სიტყვათშემოკლებათა წესების სისტემა იმსახურებს პრეზიდენტთან არსებული ქართული ენის ნორმების დამდგენ კომისიაზე განხილვას, რისთვისაც გთხოვთ სათანადო წარდგინებას“ (რ. მეტრეველისადმი მიმართული ხელს აწერენ: აკად. თ. გამყრელიძე, პროფესორები: ზ. სარჯველაძე, ე. ბაბუნაშვილი, ზ. ჭუმბურიძე, ა. ხელაშვილი, დოცენტები პ. ცხადია და ო. ქაჯაია, თსუ-ის ლექსიკონტრი № 1-02/01 15.05.2001 წ.; თსუ № 187 17.05.2001 წ. ეს წარდგინება ინახება ენათმეცნიერების ინსტიტუტში, აღნიშნული კომისიის მასალებში) და სხვ.

საკვალდებულოდ მიგვაჩნია მოვიტანოთ არნოლდ ჩიქობავას სახელობის

ენათმეცნიერების ინსტიტუტის ზოგიერთ დანიტერესებულ ექსპერტ-საკუთ-
ალისტთა მოსაზრება.

**ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
მქსამართების კომენტარები აბრევიატურების შესახებ
და რეპორაჟისტული GRAMMATICA MILITANS
(ახალი ძართული აბრევილოგიის ისტორიისათვის)**

პროფესორი აეთანდღე არაბული, ენათმეცნიერების ინსტიტუტის ღირეკ-
ტორის მოადგილე, თავის უახლეს წიგნში (სქართული მეტყველების კულ-
ტურა, 2005 წ. გვ. 130-135) მართებულად ასხვავებს ლექსიკურ ერთე-
ულებს (აბრევიატურები და აკრონიმები) და არაღექსიკურს (მარტივი შე-
მოკლებები). ვინაიდან, სამწუხაროდ, ენათმეცნიერებს არა აქვთ დამუშავე-
ბული აბრევიატურებისა და აკრონიმების წარმოების სისტემური წესები,
ფუჭად ჩანს ქართული აბრევილოგიისა და სიტყვათშემოკლებითი ტერმი-
ნოგრაფიის პრობლემის გადაჭრის გზა: მხოლოდ ფრაგმენტული მსჯელო-
ბით ავტორმა ვერ გამოიხატა ქართული აბრევიატურისა და აკრონიმის ერ-
თიან კომპლექსურ სისტემას დაქვემდებარებული წარმოების შესაძლებლობა.
რეალურად ვერ ხედავს, რომ ყოველი სწორად შედგენილი აბრევიატურა
სრულფასოვანი არსებობს სახელში და მართინად
ბანიხილავს ბრუნვის ნიშნიან სახელეზსა და მარტინ
შემოკლებებს, რომლებსაც არა აქვთ ბრუნვის ნიშანი: დსთ,
დღგ, შსს, სმკ, ქეგლ და ა.შ. ეს ერთეულები კი, ბრუნვის ნიშნის გა-
რეშე ფარგონებია და ასე წარმოთქვამენ „დე-ე-თე“, „დე-ლე-გე“, „შე-ჰე-სე“
და ა.შ. ანუ პრაქტიკაში ამახინჯებენ ქართულ ასოთნიშვნის სახელ-
წოდებებს და მასმედიაში, სამწუხაროდ, ზოგიერთ ენათმეცნიერთა ხელდას-
მით, იქმნება აბრევიატურული ქაოსი (იხ. რ. ბერულავა „ეურნალისტ-
ის სტილისტური ცნობარის“ ფარგონები ანუ კვლავ აბრევიატურების
შესახებ. გვ. „ლიტსაქართველო“, 29 აპრ. 2005 წ. და, აგრეთვე, რ. ბერულავა - პი
შენი ფანტური დე-ლე-გე შე პესე, შენა“ ანუ როგორ დავკოლოთ ასოთსახელები და
გავრყნათ ენა. „გაზ. „ლიტსაქართველო“, 17-23 აგვ. 2001 წ.). ბნი ა.
არაბული წერს ამგვარი ენობრივი ქაოსის პირობებში, სისტემურ წესებს
დაუქვემდებარებლად, არამეცნიერული გზით „ინდივიდუალური წესით“
სპორტანურად გაიწინილი „მოხდენილი აბრევიატურების“ ლეგიტიმურობის
შესახებ: „სხვათა შორის, მოხდენილი აბრევიატურა შეიძლება დროთა
განმავლობაში დამოუკიდებელ სიტყვადაც იქცეს“ (გვ. 132). ასე ცხადად,
აბრევიატურების შექმნა თვითღინებაზე იყო მიშვებული-

ამრიგად, ენათმეცნიერების ინსტიტუტში ექსპერტ-მეცნიერებმა ბმა ა.
არაბულმა და ქნმა შ. აფრიდონიძემ (ამაზე ქვემოთ აღნიშნავთ) ვერ გა-
დაწყვიტეს ძირითადი პრობლემა „ყრუ“ ანუ თანზომუნებთან აბრევიატურ-
ების გახმოვანება აფლერება. ა. არაბული სწორად აღნიშნავს: „ქარ-
თულ საფუძველზე (უნდა ვიგულისხმობთ ქართული ენის სტრუქტურის
საფუძველზე რ.ბ.) შექმნილი აბრევიატურების ოპტიმალური გახმოვანების
(სიტყვა „ოპტიმალური“ ზედმეტი ჩანს რ.ბ.) საკითხი ერთ-ერთი პრინ-
ციპული პრობლემაა“ (გვ. 135). ეს „პრობლემა“, ცხადია აწუხებთ სხვა

ენათმეცნიერებსაც. მაგალითად, სოციოლინგვისტიკოსს, ქ-ნ შუქია აფრ-
ილონიძეს და სხვებს.

ჰარადოქსია: აბრევიატურის პრობლემა ქართული გრამატიკის უნიკალური თვისების წყალობით არასდროს არ არსებობდა! მარტივად რომ ვთქვათ, აღნიშნულმა და სხვა ენათმეცნიერებმა ვერ გააკეთეს ანალიზი ისტორიული ძველქართული ქარაგმების (ანუ აბრევიატურების) მნიშვნელობაზე და ვერ გაითავისეს მისი მებრძოლი თვისება (GRAMMATICA MILITANS - „მებრძოლი გრამატიკა“), შედეგად ამისა ვერ შეაფასეს „მებრძოლი გრამატიკის“ დიდი რეფორმისტული შესაძლებლობა და ძალაუნებურად, შეეცადნენ „გრამატიკაზე მალა შედგომას“. შეუძლებელია არ დაეთანხმო ლათინელებს NEC CAESAR SUPRA GRAMMATICA (იხ. ამ წიგნში გვ. 317 - „გრამატიკაზე მალა კისარი ვერ დადგება“).

საკითხი კი მეტად მარტივ კვამარტივებაში მდგომარეობდა: ქართული ენის უნიკალური გრამატიკული სტრუქტურის გამო ყოველი შესამოკლებელი გამოთქმის ბოლო სიტყვის (ეს სიტყვა კი ყოველთვის არსებითი სახელია) ბოლო ასო ყოველთვის ხმოვანია. იგი დაერთვის „ყრუ“ აბრევიატურას და ამით აბრევიატურა გახმოვანებულია (რ. ბერულავა გმ თუ გმა, ეგმ თუ ეგმა? გაზ. „თბილისი“ 2 თებ., 1989 წ.; რ. ბერულავა ქართული ენა და „ყრუ აბრევიატურების“ აუქლებების პრობლემა. ჟურ „ბურჯი ეროვნების“, № 4-6, 2004 წ.). ეს გარემოება ენათმეცნიერთათვის ცნობილია თვით ენათმეცნიერების ინსტიტუტში სატარებული ყოველწლიური სახელმწიფო კონფერენციებიდან (რ. ბერულავა „ქართული ენის სტრუქტურის სიტყვათშემოკლებითი თვისების გამოყენება ტერმინოლოგიაში“. საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისია. არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. მეორე კრებული: „უზენაძრე ენათა დამუშავება. ქართული ენა და კომპიუტერული ტექნოლოგიები“. გამომც. „ქართული ენა“, თბ., 2004 წ. რ. ბერულავა - სიტყვათშემოკლებათა სისტემის პროექტისათვის კომპიუტერულ ტერმინოლოგიაში. პირველი კრებული, 2003 წ., გვ. 7-9) და სხვ.

ენათმეცნიერების ინსტიტუტის ექსპერტთა პოზიცია აბრევიატურების თაობაზე ასახულია გამოთქმის „ცენტრალური საარჩევანო კომისია“ შესახებ ბ-ნ ა. არაბულის მიმართებაში ამ კომისიის თავმჯდომარის მოადგილისადმი (№ 0104/186 6 სექტ., 2005 წ. აღ. ღონღაძეს), რომელიც ცესკოდან თსუ-ის სტემ-ლექსიკოგრაფიულ ცენტრში გადმოვიგზავნეს (№:01-05/597 09.09.2005 წ., რ. ბერულავას, ცესკოს თავმჯდომარის, გ. ქავთარაძისაგან). ბ-ნი ა. არაბული, წერს: „საზოგადოდ, აბრევიატურათა შედგენის ორგვარი შესაძლებლობა გვაქვს: ან ა) შესაბამის შემადგენელ სიტყვათა პირველი ასოებით, როგორც ეს ევროპულ ენებშია (ამ შემთხვევაში იქნებოდა აბრევიატურაში აბრევიატურაში თანხმოვანთა თავმოყრის აცილებებს, ანუ მისი თავმოყრის მიზნით - მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში - შემადგენელ სიტყვათა პირველი მარცვლების გამოყენებით. რადგან ქართული

ასონიშნების სახელწოდებები დახურულ მარცლებს წარმოადგენენ (ან, ბან, ძილ, წარ. .) წარმოთქმის დროს პირველი სახის აბრევიატურის გახშოვანება არ ზერხდება (ავტორს დაავიწყდა, რომ რაე და ჰაე ღია მარცკლიანებია რ. ბ.), ამიტომ უპირატესობას მეორე შესაძლებლობას ვანიჭებთ. ამდენად, ცესკო სრულიად ზუნებრივი აბრევიატურაა. ენთიმეცნიერმა ვერ შენიშნა, რომ ამ „უპირატესობით“ ანუ „შემაღგენელ სიტყვათა პირველი მარცლებების გამოყენებით“ (მისი განმარტებით „მეორე შესაძლებლობა“) მიიღება არა მისი რეკომენდებული „ცესკო“ არამედ „ცესკაო“ („ცენტრალური სა-არჩევნო კომისია“). არც ამორფული „ცესკო“ ვარგა და არც აპტორისეული „ახსალი“ წარმონაქმნი „ცესკაო“. უნდა ვიბულისხმოთ, რომ ამგვარი „ინდივიდუალური წესით“ (გამოთქმა ეკუთვნის ქნ შ აფრიდონიძეს) შექმნილი „ცესკაო“ უნდა დაემატოს ამ კომისიის სხვა მასშედური ცრუსახელწოდებებს („ცესკო“, „ცესკო“, „ცესკო“ და „ცესკ“ (ანუ „ცან-სან-კან“. ახე წერია ამ კომისიის კარებზე) ამრიგად, ერთსა და იმავე კომისიას თურმე შესაძლებელია აქონდეს ექვსი ცრუსახელწოდება! (იხ. რ. ბერულავა - „ჩამოყალიბებული საარჩევნო კომისიის მასშედური ცრუსახელწოდებები და მეცნიერულად სწორი ცესკა, სემეკა და სხვები“. გაზ. „ალიონი“, 23-26 აგვ, 2003 წ.; რ. ბერულავა „ღსთა და ცესკა გრამატიკულად“. გაზ. „საქრესპუბლიკა“, №37, II აპრ, 2000 წ.).

აი სად მივყავართ ქართული ენის უნიკალური თვისების უბუღებებელყოფას (ამ და ქვემოთმოყვანილი ტიპური კონკრეტული შემთხვევების შესახებ იხილეთ ჩვენი წესების სისტემის „ძირითადი დებულება“ და მეორე წესი ოგი სწორედ ცესკასაც ეხება). შედეგად ამისა ბოლო ხუთი წლის მანძილზე სახეზეა მასშედური ქაოსის აგრესიული დანერგვა, მათ შორის ზემოთხსენებული „ჟურნალისტის სტილისტური ცნობარითაც“. ეს არის მიზეზი იმისა, რომ ზოგიერთ ენათმეცნიერს არ სურს გაიგოს ქართულ სიტყვათმშობლებათა უმარტივესი სისტემური წესების რაობა და გამოყენების სისადავე. ამ წესებით სწორია აბრევიატურაა ცესკა, ასევე სწორია სემეკა და არა სემეკი, როგორც ა. არაბული და შ. აფრიდონიძე ანალიზის გარეშე გეთავაზობენ ცნობარში: კომისია-ა მოაერდება „ა“-ზე და არა „ო“-ზე ან „ი“-ზე (რ. ბერულავა ქართული ენა და „ყრუ“ აბრევიატურების აუღერების პრობლემა. ჟურნ. „ბურჯი ეროვნებისა“, № 4-6, 2004 წ.).

ენათმეცნიერების ინსტიტუტის ერთ-ერთი თვალსაჩინო ენათმეცნიერის მსჯელობა აბრევიატურის რაობაზე, სამწუხაროდ, არაზუსტი და ალოგიკურია: „ქართულ სალიტერატურო ენაში დღეს არსებული შემოკლებები (წ, იხ, გვ, შდრ., და ა.შ. და სხვ.) სხვა არაფერია თუ არა აბრევიატურები ამ სიტყვის ყველაზე ფართო მნიშვნელობით“ (შუქია აფრიდონიძე აბრევიატია თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში“, კრებული: „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, წიგნი მე-12, თბ., 2004 წ, გვ. 222-229).

ენათმეცნიერებაში ითვლება, რომ აბრევიატურა „ამ სიტყვის ყველაზე ფართო მნიშვნელობით“ მსოფლიოს ყველა ენაში წარმოადგენს ლექსიკურ

ერთულს არსებით სახელს. ავტორის მიერ მოტანილი მაგალითები მხოლოდ გრაფიკული გამოსახულებებია: იხმარება წერტილებით, არსებითი სახელი არ არის, ვინაიდან შდგენის პრინციპით, არა აქვს ბრუნვის ნიშანი და სხვ. იგი მხოლოდ წერის დროს გამოყენება. ჯერ კიდევ 1988-1989 წლებში აღენიშნეთ, რომ აბრევიატურა, როგორც არსებითი სახელი, ყოველთვის ხმოვანზე მთავრდება (რ. ბერულავა ქართული სასაქონლო-ტექნიკური აბრევიატურისა და აკრონიმის ძირითადი წესები (წარმოადგინა აკადემიკოსმა შოთა ძიძიგურმა). სსსრ მეცნ. აკადემიის „მოამბე“, ტ. 136, № 3, 1989 წ.; რ. ბერულავა სამეცნიერო-ტექნიკური დარგების ქართული აბრევიატურების წესებისათვის. კრებული „ენათმეცნიერება“, მე-2 ტ., თსუ, 1988 წ.). ამ ენობრივ-სტრუქტურულ რეალობას ხაზს უსვამენ ენის ნორმების კომისიის მიერ შექმნილი ექსპერტთა ჯგუფი (აკად. თ. გამყრელიძე, პროფესორები გ. გოგოლაშვილი, ზ. ჭუმბურიძე), რომელმაც ზემოთაღნიშნული „ქართულ სიტყვათმემოკლებათა წესების სისტემა“ წარადგინა აღნიშნულ კომისიაზე განსახილველად (თსუდან პროფ. ა. ხელაშვილის მიერ ამ კომისიაში გაგზავნილი მასალები ინახება ენათმეცნიერების ინსტიტუტში, 2 ივნ, 2002 წ.). როგორც ვნახეთ, ამ მოსაზრებას იზიარებს ბ-ნი ა. არაბულიც.

ქ-ნი შ. აფრიდონიძე იმეორებს ჩვენს „ძირითად დებულებას“ და „პირველ წესს“, ამასთან არ უთითებს ლიტწყაროს. აშკარად ჩანს ჩვენი წესების კონტრაფაქტია, არასწორად გამოყენება ანუ აბრევიაციის სისტემური წესების თვისებების აღრევა - ირეგულარობა და შედეგად ამისა „შვიდი სარეკომენდაციო წესი“ რეალურად დაიყვანება სამ წესზე. ეს სამი წესი კი ჩვენ გაერთიანებული გვაქვს ზოგად დებულებასა და ორ წესში (იხ. ზემოთ). ცდილობს „ქართული სიტყვათმემოკლებითი სისტემის წესების“ შეცვლას ამორფული „კომპლექსური მიდგომით“ (ამის თაობაზე იხ. ქვემოთ მისი „სარეკომენდაციო წესების“ ანალიზი) და ამგვარი არასისტემური მიდგომით, ცხადია, ვერ მოჰყავს რაიმე მაგალითი ასე გავრცელებულ თანხმონებთან ანუ „ყრუ“ აბრევიატურებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში აშკარად გამოჩნდებოდა ჩვენი ძირითადი დებულებისა და პირველ-შორე წესების პრიმატი. აქვე გვინდა მადლობა მოვახსენოთ, ქ-ნ შუქიას, ვისი რეკომენდაციითაც ზემოთმოტანილი სისტემური წესების თაობაზე გამოვაქვეყნეთ ერთ საგაზეთო გვერდიანი მასალა (რ. ბერულავა ქართული სიტყვათმემოკლება. ახალი წესები. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, № 54, 7 მარტი, 1998 წ. წარმოადგინა შ. აფრიდონიძემ). ამ სტატიაში ჩვენი ძირითადი ყურადღება გამახვილებულია სწორედ „ყრუ“ აბრევიატურების გახმოვანების საკითხზე არსებითი სახელის ბოლოსართის მემკვიბით, წესების სისტემის სინერგიზმზე და ურთიერთკავშირზე, რის შედეგადაც ყოველი მომდევნო წესი წინა წესიდან გამომდინარეობს და სხვ.

ქ-ნ შუქიას აქამდე აბრევიაციის თაობაზე ნაშრომი არ შეუქმნია. ამიტომ საინტერესოა მის მიერ ჩამოწერილი აბრევიაციის სარეკომენდაციო პუნქტები. „... აბრევიატურას არსებითი სახელის ფუნქცია აქვს სახელი

კი ქართულში ხმოვნის (მასთან, ბოლოკიდურა ხმოვნის) გარეშე არ არსებობს". ჩვენი შენიშვნები: ა) ავტორი იმეორებს ჩვენს ზემოაღნიშნულ პირველ წესს. **შეღარაბიხისათვის:** ჩვენი პირველი წესით სწორად ნაწარმოები აბრევიატურა, როგორც არსებითი სახელი, ხმოვანზე მთავრდება ამ სისტემური წესიდან ორგანულად გამომდინარეობს ჩვენი მეორე და მესამე წესები. ავტორისთვის დიდი ხანია ცნობილია ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები, ვინაიდან გვწამს, რომ კითხულობს ენათმეცნიერთათვის ერთ-ერთ წამყვან ჟურნალს „ბურჯი ეროვნებისა“ (იქ 2000-2003 წლებში გამოქვეყნეთ ოთხი ნაშრომი აბრევიოლოგიური წესების სისტემის, ეერისტიკულ სიტყვათშემოკლებების, ენის ეკოლოგიური გარსისა და სიტყვათშემოკლებითი ტერმინოგრაფიის საკითხებზე); „II. ამასთანავე, ერთმარცვლიანი აბრევიატურა ქართულში ტიპობრივი არ არის, ძალზე იშვიათია და მხოლოდ წერილობითი სახით არსებობს (თსუ უფრო ადრე აგრეთვე სპა. (მაგალითი აღებული აქვს „ორფოგრაფიული ლექსიკონიდან“. აქ ავტორს უნდა დაეწერა, სტუ რ.ბ.). ამიტომ ერთმარცვლიანი აბრევიატურა რეკომენდებული არ არის“. ჩვენი შენიშვნები: ამ სამი აზრის შემდეგ პუნქტში სამივე აშკარად მცდარია: ა) ერთმარცვლიანი აბრევიატურების რამდენიმე ასეული ერთული არსებობს. ისინი სხვადასხვა ფორმების, ორგანიზაციების სახელწოდებებს გამოხატავენ; ასევე ერთმარცვლიანია ათასობით მოკლენის, რეჟიმის თუ მოწყობილობის გამოხატული აბრევიატურები და სხვ. ბ) სწორი არ არის მტკიცება, რომ ერთმარცვლიანი აბრევიატურები თითქოს-და „მხოლოდ წერილობითი სახით არსებობს“ (მოკუსმინოთ სპორტულ ტელე და რადიოკომენტატორებს ან შევხედოთ სარეკლამო დაფებს, სატელევიზიო რგოლებს და სხვ.); გ) აბსურდია ერთმარცვლიანი აბრევიატურების აკრძალვის რეკომენდება: რა უკუთ ჩვენი დედა უნივერსიტეტის, პოლიტექნიკურ უნივერსიტეტის და სხვადასხვა კოლეჯების და ინსტიტუტების აბრევიატურებს? არ იქნეს მათი შემოკლება რეკომენდებული?; „III. „სახელობით ბრუნვაში წარმოდგენილი ნებისმიერი ზიგრძის არსებითი სახელის მსგავსად აბრევიატურაც მუდამ ხმოვანზე მთავრდება“. ჩვენი შენიშვნა: ეს პუნქტი ზედმეტია, ვინაიდან ჩვენს პირველ წესში ცალსახად ითქვა ამის თაობაზე, ქანა შუქიამ თავის I პუნქტში იგი უკვე გამოიყენა და ამით პუნქტობრივი სინერგოზში - წესებს შორის გამაპლიერებელი ურთიერთკავშირი, გამორიცხა, რაც ავტორის მიერ წესების შესაქმნელად არასისტემური კონტრაფაქტული მიდგომის შედეგია; „IV. აბრევიატურა დაუბრკოლებლივ უნდა წარმოითქმებოდეს. ამ მიზნით აბრევიატურაში ფონეტიკურად შეუესებელი თანხმოვნები (მაგ. ღსთ, ღღ) ხმოვნით უნდა გამოიჯნოს (სასურველია - შესაშოკლებელი სიტყვის პირველი ან ბოლო ხმოვნით“. ჩვენი შენიშვნები: ა) აღენიშნეთ, რომ ჩვენი პირველი წესით (1988-2000 წწ. იხ. ზემოთ) „აბრევიატურა როგორც იწერება ისე იკითხება“. ეს მტკიცება ავტორს არასწორად აქვს გაგებული, წერს: „აბრევიატურა დაუბრკოლებლივ უნდა წარმოითქმებოდეს“. „დაუბრკოლებლივის“ ხმარება უაზრობაა. მთაერია რამდენად სწორი სისტემური პრინციპითაა წარმოებული აბრევიატურა. „დაუბრკოლებლივ“ ყველაფრის წარმოთქმა შეიძლება, მათ შორის, სამწუხაროდ, როგორც ზემოთ აღენიშნეთ, ქართული ასო-ნიშნების

უცხო ენის ფონეტიკითაც, აბრევიატურებისადმი მთავარი მოთხოვნა „როგორც იწერება, ისე იკითხება“ იგნორირებულია; ბ) უაზროა იმის მტკიცება, რომ სააბრევიაციო კომპლექსებს დსთ, დღგ და სსკებს დაერთოს მხოლოდ პირველი ან ბოლო ხმოვანი. (ვერ აკონკრეტებს არსებითი სახელის ბრუნვის ნიშანს!) ვინაიდან ამ გზით მიღებული ერთეულთა კომბინაციები დასთ - დასთ და დაღგ დაღგ ბრუნვის ნიშნის გარეშე რჩება და არ აღგენენ სრულფასოვან არსებით სახელებს, ისინი ფარგონებია. ამ შემთხვევაში ავტორი უგულვებელყოფს ენის ეკოლოგიისა და სიტყვათშემოკლებითი ტერმინოგრაფიის ბუნებრივ ელემენტარულ მოთხოვნებს (იხ. მაგ., რ. ბერულავა ვერისტიკული სიტყვათშემოკლება, სიტყვათშემოკლებითი ტერმინოგრაფია და ეკოლოგიური გარსი. ჟურნ. „ბურჯი ეროვნებისა“, №3-4, 2001 წ.; რ. ბერულავა სიტყვათშემოკლება და მისი ტერმინოგრაფია. გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 7-23 აკვ., 2001 წ.). თუ ქ-ნ შუქიას ლოგიკას მიეყვებით ცენტრალური საარჩევანო კომისია ცსკ „აბრევიატურულად“ იქნება ერთი ან ორი ატროფირებული წარმონაქმნი ცესკ ცსკ ანუ „ინდივიდუალური წესით“ (მისი ტერმინია) სახეზეა აბრევიატურული ქაოსის რეკომენდაცია. ამ მეთოდით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცნობილ ენათმეცნიერთა მიერ ლინგვისტური ანალიზით რეკომენდებული ცესკას ნაცვლად ბ-ნ ავთანდილ არაბულს „ინდივიდუალური წესით“ შეეძლო შეექმნა კიდევ ერთი ამორფული წარმონაქმნი „ცესაკო“.

ავტორების მიერ წარმოდგენილ გაურკვეველ ენობრივ ფონზე საუბრობდა, რომ აღნიშნული ფარგონები ცესკო, სემკეი, დსთ, დღგ, შსს, სმკ და სხვები მათი რეკომენდაციით შეტანილია „ჟურნალისტიკის სტილის ტურ ცნობარში“, 2002 წ.; ამის თაობაზე გამოხმაურების სათაურშივე ჩანს საკვლევი საგნის არასწორი გაგების არსი (რ. ბერულავა „ჟურნალისტიკის სტილისტურ ცნობარის“ ფარგონები ანუ კვლავ აბრევიატურების შესახებ“, გაზ. „ლიტსაქართველო“, 29 აპრ., 2005 წ. და სხვ.). ქ-ნი შუქია წერს: „V. თუ აბრევიატურის ბოლო შემადგენელი სიტყვის ფუძე მოკლეა (ერთმარცვლიანია) რეკომენდებულია აბრევიატურაში იგი სრული სახით დარჩეს (ტრესტი, ბანკი, ფონდი), ხოლო წინამავალი კომპონენტი შემოკლდეს როგორც აკრონიმის წესით, ისე პირველი მარცვლის (თანხმოვანიანად) გამოტანის წესით (მაგ., სახბანკი)“. ჩვენი შენიშვნები: ა) ეს პუნქტი სხვა სიტყვებით იმეორებს ჩვენს ზემოთმოტანილ მეთოდზე წესს, რომელიც გამოვამკვეყნეთ 1989 წელს (იხ. მითითებული „მოამბე“) და 1993 წელს (იხ. ჩვენი რუსულ-ქართული ლექსიკონი, თსუ, 1993 წ. გვ.11 მაგ., ცესბიურო, აგრეთვე გალბიურო, ლექსცენტრი და სხვ.); ბ) განა ერთმარცვლიანია ტრესტი, ბანკი, ფონდი? ისინი ორმარცვლიანებია. „VI. ქართული აბრევიატურა იწერება შერწყმულად, უღეფისოდ (საქწიგნი, თბილგა-ზი)“. ჩვენი შენიშვნა: ეს რეკომენდაცია ზედმეტია. იგი არაფერს არ მატებს უკვე ბევრჯერ ნახსენებ შერწყმულად, უღეფისოდ წარმოდგენილ აკრონიმებს (იხ. პუნქტები III. და V.); ამასთან სიტყვა „ქართული“ სტილისტურად და აზრობრივად ზედმეტია, ვინაიდან ყველა ენაზე აბრევიატურა შერწყმულად იწერება „VII. უცხოურ აბრევიატურათა ქართულად

გადმოცემისას რეკომენდებულია.“ ჩამოთვლილია როგორც ჩვენს მესუთე წესში: ბი-ბი-სი, სი-ენ-ენი და სხვები (ჩვენი ხუთივე წესი თს-უის ლექსცენტრიდან 2000 წელს წარდგენილია ენათმეცნიერების ინსტიტუტში, დაიბეჭდა ავრეთივე ჩვენს ნაშრომში: რ. ბერულავა, ა. ქვაჩხია და ს.ს. „სატრანსპორტო ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი“, რედაქტორულა. ას გამოცემლობა „იბერთედ-პრესი“, 2003 წ. ქვესათური: „ქართუ-სიტყვათმშობიკლებათა წესების სისტემა“ გვ. 251-257). ეს მასალაა ქ-ნ შუქიასთვის კარგადაა ცნობილი.

ქ-ნ შუქიას ლაბორინთულ წერილში (მას ზემოაღნიშნულის მცირე წერილის გარდა არც ერთი სამეცნიერო ნაშრომი, თუნდაც საგაზეთო წერილი აბრევიოლოგიაში არასდროს გამოუქვეყნებია) სრულიად იგნორირებულია თანხმონებიაანი, მათ შორის ერთნაირ თანხმონებიაანი ინციკლოური აბრევიატურები. არ მოკავს მაგალითი თანამედროვე ქართული ხალიტრატტურო ენიდან. თუ მოკავს ისიც არასწორი პრეფიქსებით: მქკ მარვი ქმედების კოეფიციენტი: არც მქკ-ს ზმარობდა ვინმე და არც მის ზმონიან ვარიანტებს: მქკ-ის, მქკ-ას, მქკ-ის ან მქკ-ს“. ამ აბრკადაბრის ალოგიზმი სასეზუა: ენათმეცნიერი კერ საზღვრავს არსებობი სახელის ბრუნვის ნიშანს იგი არ არის არც „ა“ (ან) და არც „ო“ (ონ). სიტყვის „კოეფიციენტი“ ბრუნვის ნიშანი არის „ი“ (ინ). ხოლო კომპლექსი „მქკ“ საერთოდ არ შუქიავს არა თუ „ზმონიან ვარიანტს“ არამედ აბრევიატურისათვის დამახასიათებელ არსებობი სახელის ბრუნვის ნიშანსაც!

ქ-ნ შუქიას აბრევიატურების რაობა დაჯიანილი აქვს ცნობილი არქაული აკრონიმების ილუსტრაციაზე წერს აბრევიატურაზე და გულისხმობს ძხოლოდ აკრონიმებს: სახმშენი, სახბანიკი, საქწიენი, თბილვაზი და შ. ქართულ აბრევიოლოგიაში 17 წლის მუშაობის გამოცდილებით გამოვაქვეყნეო 20-მდე სტატია, შევადგინეო ექვსი აბრევიატურული ლექსიკონი) შევამსნიეო, რომ სამეცნიერო და ცხოვრებისეულ პრაქტიკაში აბრევიატურები აღგენენ 80-85-მდე პროცენტს. აკრონიმები ძხოლოდ 5-20 პროცენტს. დაუჯერებელი ფაქტია სოციოლინგვისტიკაში ცნობილი ენათმეცნიერი აბრევიატურის პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთ გამოსავალს ზედავს კომპიუტერში: „ერთადერთ იმედად რჩება კომპიუტერის თანამედროვე პოლიგრაფიული შესაძლებლობანი, რომლებიც ასობების სიძუქით ან ზომის გადილებით აბრევიატურის ვიზუალერ მზარეს გამოვავაოფინებს“ (გვ. 224). ჩვენი სისტემური მიდგომის უგულვებლყოფით ქართული ენის ბუნების თვისების უარყოფით, ავტორის ამ მტკიცებით სტიმულირდება აბრევიატურათა ქაოსური, სტოქასტიკური შედგენა, ენის დაბინძურება. ამ მძენე ტენდენციის დასაწერგავად, ავტორის დამოძღვრებით, მწვანე შუქია აწთებული: „აუცილებლობის შემთხვევაში აბრევიატურები შესაქმნელია და ისინი უნდა შეიქმნას ინდივიდუალური წესით“ (გვ.227). არასისტემური და არაკომპლექსური მიდგომით, არამედ ვისაც რამდენიც სურს იძღენი აბრევიატურა უნდა შეიქმნასო. ამ უახლესი ენობრივი მოვლენის აღსაწინააღმდეგე უპრიანია შემოვიტანოთ ტერმინოლოგიური გამოთქმა „სიტყვათმშობიკლებითი ქაოსოლოგია“ (abbreviation chaology სიტყვებიდან chaos + logic ანუ ქაოსთმოდნობა). აი ძველქართულიდან მომდინარე ტრადიცია-

აბრევიატურების შექმნის სისტემური წესების უგულვებელყოფის შედეგი ენათმეცნიერის მიერ აბრევიატურული ჩიხის გაჩენის მცდელობისა და ქაოსის მოზღვაუების წყარო! ცხადია, ამგვარი „მეცნიერული“ მიდგომით ყველა თავის „აბრევიატურას“ წარმოაჩენს თუნდაც ერთი და იმავე არსებითი სახელის მიმართ, რომლის მაგალითები უხვადაა მასშვადიაში და, სავარაუდოა, რომ ხელდასმულია წერილის ავტორისა და ბ-ნ ავთანდილის მიერ (კერძოდ, ზემოთ აღნიშნეთ ბ-ნ ა. არაბულისეულ ცესკო-ს, ცესაკო-ს და სემეკი-ს მაგალითის მოტანით). რაც შეეხება ავტორის იდეას, რომ მწე-ანე შუქია ასანთები მუქი და სხვადასხვა ზომის აბრევიატურებისათვის, აზრს მოკლებულია. ცნობილია, რომ არამც 'თუ ქართულში, არც ერთ ენაში აბრევიატურა ტექსტიდან არ გამოიყოფა სიმუქით. მთავარია აბრევიატურის სწორი სისტემით შედგენა და ისევე წარმოთქმა, როგორც იწერება (იხ. ზემოთ ჩვენი „ძირითადი დებულება“).

როგორც ვხედავთ, ბ-ნ ავთანდილს და ქ-ნ შუქიას აბრევიატურების პრობლემის ერთიანი სისტემური წესით გადაწყვეტაზე არ უმუშავიათ, განსაკუთრებით სხვადასხვა თანხმონებებიან, მათ შორის ერთნაირ სახელწოდებებიანი ინიციალურ აბრევიატურების წარმოებაზე. სხვა მხრივ მათი მსჯელობა იდენტურია იმ განსხვავებით, რომ ჯერ გამოქვეყნდა ქ-ნ შუქიას წერილი (2004 წ.), შემდეგ კი ბ-ნ ავთანდილისა. ქ-ნი შუქია თვლის, რომ აბრევიაციის პრობლემის გადასაწყვეტად შიუღებელია „ერთი რომელიმე პრინციპით შეზღუდვა“ და ერთი წინადადებით, ენობრივი დიქტატისა და უადგილო მენტორიზმით, დაუსაბუთებლად ხელადებით უარყოფს იმ ენობრივ რეალობას, რაც ძველქართულშივე გადაწყვეტილი იყო სიტყვათშემოკლებების თაობაზე: არ ეთანხმება „რ. ბერულავას პუბლიკაციებს ბოლო წლების ეურნალ-გაზეთებში“ (იხ. ციტ. ლიტ. გვ. 227).

რეალურ სურათთან ახლოსაა რეცენზენტ ქ-ნ მ. ტაბიძის აზრი ჩვენს წესებზე: „ავტორის მსჯელობა ეყრდნობა შესამოკლებელ სიტყვათა თავკიდურა ასოების მიხედვით შემოკლების ტრადიციულ წესს ქართულში, 'უსადაგებს მას იმ ვარიანტებს, რომლებსაც დღევანდელი ცხოვრება წამო-უვს წიწ'- „რ. ბერულავა საკვებით სამართლიანად აკრიტიკებს 'რთულყოფილ აბრევიაციის გავრცელებულ შემთხვევებს“ (პასუხი თსუ-დან 'ენიერების ინსტიტუტში გაგზავნილ ზემოთმოტანილ „ქართულ სიტ-ჟოკლებათა წესების სისტემაზე“. იხ. № 1-0V979 2 იენ. 2000 წ.)

„მეცნიერებაში (ენობრივ) მონოპოლიას სიკამთა
არასდროს მოუტანია“ (არნ. ჩიქოვბაძე)

სახით მოვიტანთ ენათმეცნიერების ინსტიტუტის
ამონარიდს: „ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო
თა და აბრევიაციის ნორმატული წესების კვალიფიციურ-
უგავლო ამოცანად მიიჩნევა. უახლოეს მომავ-
ლი იქნება როგორც პრობლემის საფუძვლიანი ანალიზი,

ასევე არსებული შემოკლება-აბრევიატურების ძირითადი ინდექს-ლექსიკონი" (ენათმეცნიერების ინსტიტუტის წერილი № 01.040/3; 25 თებ., 2002 წ. სახ. კანცელარი აში № 16/10 18 თებ., 2002 წ. ინახება ენის ნორმების დამდგენი კომისიის მასალებში). როგორც ამ ინსტიტუტის წარჩინებულ სოციო-ოლინგუვისტიკების ნაშრომების განხილვით ვაჩვენეთ, ამ ხუთი წლის განმავლობაში თანამედროვე გამოყენებითი ენათმეცნიერების ერთ-ერთი ქვეკან-ყოფილების აბრევიატურების და სიტყვათშემოკლებით ტერმინოგრაფიის პრობლემაზე მუშაობის შედეგად „სამომავლო ამოცანა“ გვრათ გადავწყვეტელია, აბრევიაციის „პრობლემის საფუძვლიანი ანალიზი“ არასაფუძვლიანია მარტივი მიზეზის გამო: არ არის გათვალისწინებული ქართული ენის უნიკალური თვისება აბრევიაციის შესახებ (იხ. ზემოთ „ბრამატისკა მილიტანს“). შედეგად ამისა კალაუნებრად უგულვებამეყოფილია პრობლემის ერთიანი სისტემური გადაწყვეტის შესაძლებლობა: ერთიან სისტემაში არაა მოქცეული გადასწყვეტი პრობლემის არსი, რითაც ბუნებრივია, ენათმეცნიერების ინსტიტუტში ვერ შექმნეს თუნდაც დაპირებული ზოგადი „ძირითადი ინდექს-ლექსიკონი“. ეს გარემოება არცაა გასაკვირი, ვინაიდან, ჩვენი წესების სისტემის განხილვის შედეგად ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დასკვნაში წერია, რომ აბრევიატურა არ არის არსებითი სახელი (?). დასკვნაში პკითხულობთ: „არის უხერხული უზუსტობები ქართული ენის გრამატიკული აგების ელემენტარული გადმოცემის თვალსაზრისით. მაგალითად, აუტორის მიხედვით აბრევიატურა ეგმა (ელექტრონული გამოშვებული მანქანა) იბრუნებს როგორც არსებითი სახელი“. მაშასადამე, მანდანა არ ყოფილა არსებითი სახელი და, თურამე სწორად შედგენილი აბრევიატურა არ წარმოადგენს ლექსიკურ ერთეულს.

ასეთი არაკროფენიული მიდგომის გამო ხუთი წლის განმავლობაში დანიშნულა თსუ-დან აკად. თ. ბამყალიძის, პროფესორების გ. გომოლაშვილისა და ზ. ჭუგურიძის მიერ სახელმწიფო ენის ნორმების კომისიაზე განსახილველად წარმოდგენილი პროექტი, ამ წლებში კი გზა გაეხსნა აბრევიატურულ ქაოსს მემცნიერებასა და მასშედიში. მან დაუძველი ადგომოდან ზოგიერთი ენათმეცნიერის მხრიდან. ეს მეთად სავალალო მოვლენაა ენის ნორმების დამდგენი სახელმწიფო კომისიის გაუძმების თანამედროვე ეტაპზე, რასაც კერამან კენსან სიტყვებით რომ ვთქვათ, უმჭვალად მოჰყვება „სიტყვის საზარალი დეპრეკაცია“ (იხ. „სიტყვის საზარალი დეპრეკაციის“ ანუ ენის ნორმების გაქრობის სიმპტომები. გაზ. „ლიტსაქართველო“, 27 აგვ. 2 სექტ., 2004 წ., ავტ. რ. პერულავა. იხ. აგრეთვე „საჭიროა ენის დაცვის სინერჯიზმი“, გაზ. „საქრესპუბლიკა“, № 130, 7 ივნ., 1997 წ. ავტ. რ. ბერულავა).

ამგვარ კუროფენთან დაკავშირებით მეთად მნიშვნელოვანია იმ დიდი მემცნიერის შეხედულება, ვის სახელსაც ატარებს ენათმეცნიერების ინსტიტუტი: „წოველგვარი ლექსიკონის შექმნას ენათმეცნიერების ინსტიტუტი ვერ იკის.

რეზ. ეს გონოკოლია იძნებოდა. მესწიერებაში გონოკოლიას სიკამთე არასდროს გოუტანია“ (აკად. არნოლდ ჩიმოზავა, - „ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი კომისიის თავმჯდომარის ამხანაგ ბ. ძარტველი“ შვილს. 2 იანვარი, 1984 წელი“. იხილეთ: გვეკირდება თუ არა სახელმწიფო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისია? ავტ. რ. ბერულავა, გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 12 ნოემ., 2004 წ.).

ცხადია მეითხველს გაუნდება ბუნებრივი შეკითხვა: საიდან იღებს სათავეს ენობრივი გონოკოლიზმი და ღოგმატური მენტორიზმი, რომლის შესაქმნობის საფრთხეზე და ნებატიურ შედეგზე ამ ოციოდე წლის წინ წარდა აკადემიკოსი არნოლდ ჩიმოზავა? წყარო წარმოქმნა თავის ღროზე ბ-ნ მ. შვიარდნაძის ხელმოწერილმა ბრძანებულებამ (№ 209, 20 აპრ., 1997 წ.), სადაც ერთ-ერთ პუნქტში წერია: „ძარტული სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენ კომისიას ევალება: კომისიის საბაზო დაწესებულების, საქარტველოს ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ შემუშავებული სალიტერატურო ენის ნორმათა პროექტების დამტკიცება“

ცხადია, პროექტის შემუშავება ცალსახად გულისხმობს მის შედგენას. პარადოქსია: თუ საბჭო არ ქმნის და არ ამუშავებს ერთ თემას, ერთ პრობლემას, მაგალითად, აბრევიოლოგიაში, როგორ უნდა შეადგინოს თავისი პროექტი? აქ გამოსავალი ერთია აღნიშნული ბრძანებულების საფუძველზე ენათმეცნიერების ინსტიტუტში ბლოკირებულ იქნას სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენ კომისიაზე გასატანი პროექტი, ვიდრე ენათმეცნიერების ინსტიტუტი არ დაამუშავებს აღნიშნულ თემას! ექსპრეზიდენტის ამ დადგენილებით იგნორირებულია ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სხვა ენათმეცნიერული ცენტრის (კათედრები, განყოფილებები, ლაბორატორიები) ძალისხმევა და სხვ. ჩვენი პროექტის ენის ნორმების დამდგენ კომისიაზე წარსადგენად ხელოვნურად ბლოკირების შემდეგ (2001-2002 წწ.), როგორც ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დასკვნაშია აღნიშნული, ინსტიტუტში დაიწყეს აბრევიაციის თემის დამუშავება, რასაც მოჰყვა ბ-ნ ა. არაბულისა და ქ-ნ შ. აფრილონიძის ზემოთმოტანილი საანალიზო ნაშუქვებები, რამაც ვერ გადაწყვიტა ქართული სალიტერატურო აბრევიაციის პრობლემა.

ამრიგად, ექსპრეზიდენტის ბრძანებულებით ხელმოწვეურად, შემქმნილმა ენობრივმა გონოკოლიამ ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ზემოთაღნიშნული წერილის (№ 01040/13; 13.02.2002 წ.) დასკვნის ავტორებს (ექსპერტებს) შეუქმნა სწორქმედების ილუზია. სამეცნიერო საბჭოს მიერ გამოყოფილი ოკონენტების დასკვნა შეზასდა ეპროკის ლექსიკოგრაფოსთა საერთაშორისო ასოციაცია „ეურალექს“-ის (ვარ ამ ასოციაციის წევრი) მიერ ნაშრომებისადმი შემუშავებული საერთაშორისო პარამეტრებით (EURALEX,

Oxford, UK, 2002 იხ. www.csc.dk/elx2002

www.oup.co.uk/inl3/list/lexico). კერძოდ, ტიპობრივი მოთხოვნებით: A_ძირითადი შინაარსის გაგების ხარისხი; B_კონკრეტულ არსში წვდომის ხარისხი; C_კვალიფიკაციის შესაბამისობა; D_ანალიზის მკაფიოობა; E_საკითხით დაინტერესება; F_ენისა და სტილის შეცნობის ხარისხი; G_საერთო შეფასება. ამრიგად, ათბალიანი სისტემით **ენათმეცნიერების ინსტიტუტის მსსპარტ-ოპონენტების ნაშუშვარი ასე შეფასდა: სპარტო შუშასაბ (G): საშუალოზე დაბალი** (ამ შეფასების თაობაზე თსუ-ის ლექსცენტრიდან გაგზავნილი 27 გვერდიანი სრული მასალა, ორი საილუსტრაციო ცხრილით, აქვე აღნიშნულ ინსტიტუტში № 1-0V/003 12.03.2002, ენის ნორმების დამდგენი კომისიის მასალებში). ასე წარმოიშვა წესების სისტემის ბლოკირება არგატანა ენის ნორმების კომისიაზე განსახილველად იმ მოლოდინით, რომ „კვალიფიციური დამუშავების სამომავლო ამოცანა“ მხოლოდ ინსტიტუტში უნდა გადაწყდეს ზემოთ ენახეთ, რომ ამ პრინციპმა („უჩვენოდ რად იმღერეთა“) დაუღო საფუძველი სიტყვათშემოკლებით ტაბუს vacuum horrendum-ს („საშიში სიტყვილუ“) და „ინდივიდუალური წესით“ შექმნილი „სიტყვებით“ აბრევიატურულ განუკითხაობას. სიტყვათშემოკლებითი სისტემური სტანდარტის დადგენა-გამოყენებით კი ენის სიწმინდესაც აქტიურად დავიცავთ: „მშობლიური ენის სიწმინდისათვის ბრძოლა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა საკუთარი სამშობლოსა“ (კონსტანტინე გამსახურდია).

სიტყვათშემოკლებათა წესების სისტემის ზემოთაღნიშნულმა კონტრაფაქციამ წარმოიშვა საავტორო უფლებათა აშკარა დარღვევისა და სათანადო ადლიტემის წინაპირობა, კერძოდ, ასეთი მუხლების მიმართ: თავი მეორე, მუხლები 5, 6 და 9. („სავტორო უფლების წარმოშობა“); მ. 10 („ავტორობის პრეზუმფცია“); მ. 14 („გამომცემლის განსაკუთრებული უფლებები“); მ. 17, ე ნაწარმოების (ჩვენთან წესების სისტემის რ. ბ.) დაცვა ყოველგვარი დამახინჯებისაგან ან სხვაგვარი ხელყოფისაგან“); მ. 17, დ („წინ აღუდგეს ავტორის თანხმობის გარეშე ნაწარმოებში ცვლილების შეტანას ნაწარმოების იღვის ზელშეუზღებლობის უფლება“) და სხვები. ხუთი წლის წინ (2000 წ.) აღნიშნულ კომისიაზე წარდგენილი პროექტის ძველკომუნისტური მეთოდებით ბლოკირებისა და ენის დაბინძურების შესაძლო შედეგების შესახებ უფრო ვრცლად აღნიშნულია ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორისა და ე. შევარდნაძის სახელზე თსუ-ის ლექსცენტრიდან ენის ნორმების დამდგენ კომისიაში გაგზავნილ წერილში №1-0V/003 12.03 2002 წ.; სახკანცელარიაში მიღების № 89/20 13 მაისი, 2002 წ.).

დ ა ს კ ვ ნ ა

